K 240931
3

ოთარ ჯანელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეროვნული ფენომენი

## ეროვნული ეკონომიკა ეროვნული

F 79628
3

ოთარ ჯანელიძე

# სჯიჩიდონ ჯედი

## ჭოლოფიკური ჭოჩოფრიული

თბილისი - 2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა

УДК 329 (479.22)(092)
ჯ 221

ნაშრომი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერისა და პირველი თავმჯდომარის სპირიდონ კედიას პოლიტიკური პორტრეტის შექმნის ცდაა. გამოკვლევა დაფუძნებულია დოკუმენტურ პირველწყაროებზე, ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალებზე.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი — პროფ. მიხეილ ქურდიანი

რეცენზენტები: — პროფ. მერაბ ვაჩნაძე
— პროფ. ჯანრი კაშია

K 240931
3

© ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
2002

ჯ 75/2002

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი I

I.1. „ქართული სულის ტრიუმფი“ _____ 5

I.2. „დააკმაყოფილეთ ხალხის მოთხოვნა და სკოლაც დაწყნარდება“ _____ 9

I.3. „ბრალად ედება ზუგდიდში რესპუბლიკის დაარსებისაკენ ლტოლვა“ _____ 17

I.4. კოლეჟ დე ფრანსში, სორბონის, ტულუზისა და მონპელიეს უნივერსიტეტებში _____ 26

ნაწილი II

II.1. „დიად საქმეს დიადი ენთუზიაზმი შობს“ (გაზეთ „საქართველოს“ დაარსება) _____ 43

II.2. „დიდია ჯარი ჩვენი იდეის“ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნება) _____ 55

II.3. „იქართველეთ უფრო, იკოსმოპოლიტეთ ნაკლებ“ (ღია წერილი ქართველ დეპუტატებს) _____ 64

II.4. ვიზა სტალინმა მისცა _____ 71

II.5. წარდგენილია გერმანულ ორდენზე _____ 90

ნაწილი III

III.1. „მას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს საქართველოს ისტორიაში“ _____ 102

III.2. „კეთილშობილ განცდათა და მაღალ აზრთა შეჯახების ასპარეზზე“ (ეროვნული საბჭოს ტრიბუნიდან) _____ 108

III.3. „უტოპიურს ანთებაში არ ჩაწვათ ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი“ (სიტყვები და გამოსვლები დამფუძნებელ კრებაში) _____ 122

III.4. „დაე წავიდნენ ცოცხლები“ _____ 138

ნაწილი IV

IV.1. „საქართველოს ბედისწერის თვე და წელიწადი“ (დაპყრობილ სამშობლოში) _____ 147

IV.2. „პატრონები თუ არ გქონდათ, რისი იმედით გამოდიოდით?“ (1924 წ. აგვისტოს აჯანყება) ____ 153

ნაწილი V

V.1. ხვედრი პოლიტიკური ემიგრანტისა ____ 166

V.2. ნუ მოკლავთ ტროცკის ____ 184

V.3. გაცრუებული იმედი ____ 197

V.4. „შემდეგი თაობა გაგვიგებს“ ____ 208

დანართი ____ 213

ბიბლიოგრაფია ____ 234

Résumé ____ 255

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## I.1. „ძარცული სულის ტრიუმფი“

დასავლეთ საქართველოს უმშვენიერესმა კუთხემ, სამეგრელომ სამშობლოს მრავალი ღირსეული და სახელოვანი შვილი აღუზარდა. მათ შორის მწერლები, პოეტები, მეცნიერები, სპორტსმენები, კულტურისა თუ ხელოვნების მუშაკები და სხვ., რომელთა სახელები შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

სამწუხაროდ, ჟამთა უკუღმართობამ ზოგი აქ ფეხადგმული და დაფრთიანებული, თავის დროზე ფართოდ ცნობილი მოღვაწე მშობლიურ მიწა-წყალს მოსწყვიტა და უცხოეთში გადახვეწილი დასავიწყებლად გაიმეტა. ერთი ამგვარი პიროვნებაა სპირიდონ კედია, — კაცი, რომელსაც ბედმა წილად ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობა არგუნა და ამით საქართველოს ახალ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაუმკვიდრა.

კედია (კეიდია) არცთუ მრავალრიცხოვანი აზნაურული გვარია, რომლის განსახლების არეალი ძირითადად ქ. ზუგდიდითა და ოდიშის რამდენიმე სოფლით შემოიფარგლება. ქართულ საისტორიო წყაროებში ამ გვარის რომელიმე მოღვაწე არ იძებნება. ჩვენს მატიანეებს სპირიდონ კედიას უშუალო წინაპართაგან ვინმე გამოჩენილი ადამიანის სახელი არ შემოუნახავს. მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ კი ერთგან ნახსენებია მეეტლე კედია.

კ. ბოროზდინის სიტყვით, სამეგრელოში „აზნაურები ბევრნი იყვნენ, მიწა ცოტა ჰქონდათ, ასე რომ შეძლებულად მცხოვრები მათში სანთლით უნდა ეძებნა კაცს, მაგრამ ერთი სიკეთე სჭირდათ აზნაურებს: რაც უნდა საქმე ყოფილიყო, არ თაკილობდნენ და ამ მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდათ გაღატაკებულ და უმამულო თავადებთან შედარებით.“

1860 წლის კამერალური აღწერით სამეგრელოში 303 თავადი და 2073 აზნაური აღირიცხა (*ს. მაკალათია 1941, 167*). ამ უკანასკნელთა უმეტესობა მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა.

დადიანთა მმართველობის გაუქმებისა და ოდიშის სამთავროს ლიკვიდაციის შემდეგ ამ კუთხეში ბევრი რამ შეიცვალა.

1867 წელს რუსეთის ადმინისტრაციამ სამეგრელო ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებად დაჰყო და ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში გააერთიანა. ზუგდიდის მაზრა ყოფილი სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. მისი მოსახლეობა 1894 წლის მონაცემებით 11.5 ათას კაცს შეადგენდა. თვითონ ზუგდიდი, მართალია, მხარის სხვა სამაზრო ცენტრებისაგან გამოირჩეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ პატარა დაბას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ზუგდიდს სწრაფად დაეტყო ქალაქური იერი. ისტორიულად აქ იმყოფებოდა მთავრობის რეზიდენცია — დადიანთა სასახლე, ხოლო სამთავროს გაუქმების შემდეგ ზუგდიდში რუსული ჯარის ნაწილები დაბანაკდნენ. აქვე დაიდო ბინა ახალმა ადმინისტრაციამაც. თანდათან იმატა მოსახლეობის რიცხვმაც. მალე ზუგდიდი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტად იქცა. აქაური ბაზარი განთქმული იყო ღომით, სიმინდითა და მისი ფქვილით, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, რომელსაც ფართოდ ეტანებოდა მყიდველი. ამავე პერიოდს ეკუთვნის სამეგრელოში ჩაის კულტურის დანერგვისა და გავრცელების ცდები. ზუგდიდში არსებობდა აბრეშუმის ფაბრიკა, აშენდა არყის სახდელი ქარხანა და სხვ.

რუსეთის შემადგენლობაში ინკორპორაციას არ გამოუწვევია დიდი საზოგადოებრივი გარდაქმნები. 1867 წელს აქ საგლეხო რეფორმაც გატარდა, თუმცა სოციალური ურთიერთობა კარგა ხანს ძველივე დარჩა. მოსახლეობა კვლავ შეძლებულ თავადთა უმნიშვნელო რაოდენობად, გაღატაკების გზაზე დამდგარ აზნაურთა საგრძნობ ფენად და მუდამ გაჭირვებაში მყოფ მრავალრიცხოვან გლეხობად იყოფოდა. მაგრამ „თავადს აზნაური სძულდა, აზნაურს — თავადი და გლეხს — ორივე". მათი გზები არსებითად გაყრილი იყო, რაც საზოგადოებრივ ანტაგონიზმს აძძაფრებდა. კიდევ უფრო უნუგეშო ის იყო, რომ ბზარი გასჩენოდა ერთიან ქართულ ცნობიერებას, მოშლილიყო საერთო ეროვნული შეგნება და „მე"-ს „ჩვენ"-ზე ეჭარბა.

ცეცხლზე ნავთს ასხამდა რუსეთის თვითმპყრობელობა. „გათიშე და იბატონეს" იმპერიული პოლიტიკა საქართველოს კუთხეებს ერთმანეთს უპირისპირებდა, მათ შორის შუღლსა და ღვარძლს სთესდა, განკერძოებისა და სეპარატიზმის ბაცილას აღვივებდა.

ერის ინტელექტუალური ნაწილი, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, მწერლობა ცდილობდა წინ აღდგომოდა ამ მზაკ-

ვრობას, სიტყვით თუ კალმით განუმარტავდა ქართველობას, რომ „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო“ — ყველა მისი სამშობლო იყო, „საქართველო ჩონგურია“ და მისი ერთი სიმიც რომ გაწყდეს, მაშინვე შველა უნდა და სხვა, მაგრამ ძნელად აღწევდა საწადელს. ცარიზმი მიზანმიმართულად განაგრძობდა თავის კოლონიურ კურსს, რაც ქართველთა ეროვნულ თვითმყოფობას მოშლითა და გადაგვარებით ემუქრებოდა.

ქართული კულტურისა და სარწმუნოების, ქართული ენის დევნისა და შევიწროვების კვალდაკვალ მეფის მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა თვალი სამეგრელოს დაადგეს და მშობლიური წიაღიდან მისი მოწყვეტის ვერაგული გეგმა შეიმუშავეს. თვითმპყრობელობის დამქაშები შთააგონებდნენ მეგრელებს, რომ ისინი თითქოს ქართველები არ იყვნენ, მათთვის თითქოს სრულიად ზედმეტი იყო ქართული ენა, რომელსაც თავს ახვევდნენ ქართველი ნაციონალისტები და სხვ.

ამ ცბიერი ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურებოდა ლონისძიება, რომლის გატარება რეაქციონერებმა XIX საუკუნის 80-იან წლებში დააპირეს. 1884 წლის იანვარში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ გამოსცა საგანგებო დადგენილება სამეგრელო-სამურზაყანოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვისა და მისი მეგრულით შეცვლის შესახებ. ჩატარდა წინასწარი სამუშაოც. ხელისუფლება იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ აქციას, რომ პეტერბურგიდან სპეციალურად გამოგზავნეს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პროფესორი გრენი, რომელმაც მეგრული ანბანის შედგენა დაიწყო. განზრახული იყო „ახალი დამწერლობის“ საფუძველზე სახელმძღვანელოს გამოცემა და სხვ.

სამწუხაროდ, ამ იდეის მხარდამჭერთა შორის ვაიქართველნიც აღმოჩდნენ (თ. აშორდია და სხვ.). სამეგრელოს პროგრესულმა მოღვაწეებმა ხმა აღიმაღლეს და განგაშის ზარი დაარისხეს ხელისუფლების უკუღმართი წამოწყების წინააღმდეგ. გაიბრძოლა ცენზურის არტახებით შებოჭილმა დედაქალაქის პრესამაც, მაგრამ საჭირო იყო კიდევ უფრო გაბედული გალაშქრება და მძაფრი პროტესტი, რათა ეს მანკიერება ჩანასახშივე აღკვეთილიყო. საქმეში ილია ჭავჭავაძე ჩაერთო.

ერის დიდმა მოძღვარმა სრულად შეიგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და გადაწყვიტა, სპეციალურად ემოგზაურა სამეგრელოში.

ქართველ მწერალსა და მოღვაწეზე ამ დროს უკვე დაწესებული იყო პოლიციის ფარული მეთვალყურეობა. მას ბრალი ედებოდა „ლიბერალთა“ იმ ჯგუფში მონაწილეობის გამო, რომელსაც „სურს მოიპოვოს საქართველოს დამოუკიდებლობა და ოცნებობს ქართულ პარლამენტზე“. ხელისუფალთა ეჭვი რომ გაეფანტათ, გამოიძებნა საგანგებო საბაბიც: სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის — დავით დადიანის მემკვიდრეს, რუსეთში მცხოვრებ ნიკოლოზ მინგრელსკის გადაწყვეტილი ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეცა თავისი მამის კუთვნილი ქართული ხელნაწერებისა და ბიბლიოთეკის ნაწილი. ილიამ, როგორც ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარემ, შეადგინა კომისია ამ ძვირფასი განძის თბილისში ჩამოსატანად და კომისიის წევრებთან ერთად (ვასილ მაჩაბელი, დავით ერისთავი, გრიგოლ ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი, სიმონ ღოღობერიძე, იონა მეუნარგია) სამეგრელოში გაემგზავრა. იგი ეწვია გორდას, ბანძას, ნოქალაქევს, სენაკს, ხეთას, ცაიშს თუ ზუგდიდს. მოსახლეობა აღტაცებით ეგებებოდა სათაყვანებელ მამულიშვილს, ქართული სული კვლავაც ზეობდა ცოტნე დადიანის სამშობლოში.

ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში სტუმრობა თავისთავად იყო შთამბეჭდავი მოვლენა, მაგრამ განუზომლად დიდია ამ მოგზაურობის ეროვნული მნიშვნელობა. ერთ-ერთი ხალხმრავალი შეხვედრის დროს, როგორც თვითმხილველნი მოწმობენ, ილიას წარმოუთქვამს ისტორიული სიტყვები: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ (*ი. მეუნარგია 1937, 28*). მწერლის ეს ხატოვანი ფრაზა გულში ჩამწვდომლად გამოთქვამს საქართველოს ერთიანობის იდეას. თვით ილიას თუ დავესესხებით: „პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოვებს ხოლმე თავის უკეთეს ნააზრს და ნაგრძნობს, თავის უკეთეს სულთასწრაფვას, თავის იმედს და სასოებას.“

„ქართული სულის ტრიუმფი“ უწოდა ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში ჩასვლას მინდია ლაშაურმა (*ძ. ლაშაური 1996, 231*). სოლომონ ცაიშვილის გამოთქმით კი, ილიას სიტყვები „იმდენად ელვის სისწრაფით მოედო მთელს მხარეს და ისეთი სიმხნისა და აღმავლობის გამომწვევი შეიქმნა, რომ ვერც ერთი, თუნდაც „კონფიდენციალური“ მოხსენებანი ბობოლა მოხელეებისა, ვერ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცხრობდა მისგან გამოწვეულ აზვირთებას“ (*ს. ცაიშვილი 1962, 216*).

სპირიდონ კედია ილიას სამეგრელოში მოგზაურობის წინა წელს — 1884 წლის 20 სექტემბერს დაიბადა ზუგდიდში, აზნაურ მალხაზ კედიასა და თეო ქუთათელაძის ოჯახში. ცხადია, მცირეწლოვან ბავშვს მაშინ არაფერი გაუგია თავის მშობლიურ კუთხეში დიდი მწერლის სტუმრობის, მით უფრო ამ სტუმრობის აზრისა და მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ არსთა გამრიგემ შემდგომში სწორედ სპირიდონ კედიას დააკისრა განეგრძო ერის ბრძენი მოძღვრის მძიმე და ეკლიანი გზა, — ეტვირთა საქართველოს ეროვნული მთლიანობის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმ პოლიტიკური ორგანიზაციის წინამძღოლობა, რომლის შექმნის თაოსანი და მედროშე თავად ილია ჭავჭავაძე იყო.

## I.2. „დაბალშვილებმა ხალხის ბოლოზენა და სრულიაც დაწყნარდება“

სპირიდონ კედია ადრე დაობლდა. მამამისი, მალხაზ კედია სრულიად ახალგაზრდა — 1887 წელს გარდაიცვალა. ოჯახის მოვლა-პატრონობისა და გაძღოლის სიმძიმე მთლიანად სპირიდონის დედას — თეოს დააწვა მხრებზე. სახლში კი ორი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდებოდა — სპირიდონი და კატო. ძმა დაზე სამითოდე წლით თუ იყო უფროსი.

ღმრთისმორწმუნე, დარბაისელმა და სათნო ქვრივმა კარგად იცოდა ცოდნისა და განათლების ფასი. იგი შვილებს იმთავითვე უნერგავდა სწავლის სიყვარულს. პატარებს ქართული წერა-კითხვაც თვითონ ასწავლა და სასკოლოდ მოამზადა.

იმდროისათვის ზუგდიდში უკვე არსებობდა დაწყებითი სასწავლებელი. იგი ჯერ კიდევ 1867 წელს დაუფუძნებიათ ქართველ მოღვაწეებს ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის ანტონ ფურცელაძის ხელმძღვანელობით (*ვ. შენგელია 1972, 12*).

თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს განათლების ქსელი მხოლოდ ერთ — თბილისის გიმნაზიასა და რამ-

დენიმე ორკლასიან სამაზრო სკოლას მოითვლიდა, ბატონყმობის გაუქმებისა და მომდევნო ბურჟუაზიული რეფორმების ხანაში კარიზმი იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ახალი რეალობებისათვის და გაემრავლებინა საშუალო სასწავლებლების რიცხვი. სკოლებს სათავეში ედგნენ ინსპექტორები, რომლებიც სასწავლო ოლქის მზრუნველს ექვემდებარებოდნენ. მზრუნველიცა და მისი ხელქვეითი მოხელენიც უმეტესწილად რუსები იყვნენ. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ ქართველი ერის ისტორიასა და კულტურაზე, არ იცოდნენ ქართული ენა, არ ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ ადგილობრივი ხალხის ცხოვრებას, მის ჭირსა და ვარამს. განათლების სისტემა მთლიანად თვითმპყრობელობის სამსახურში იდგა. მეფის მთავრობის ანტიხალხური საგანმანათლებლო კურსი, როგორც კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მიმართული იყო იმპერიის განაპირა ხალხების ასიმილაციისაკენ.

სკოლები ძირითადად რუსულენოვანი, სწავლება კი ფასიანი იყო. ასე იყო ზუგდიდის სკოლაშიც, რომელიც 90-იანი წლების დამდეგს ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლად გადაკეთდა. ამ სკოლის კედლებში აღიზარდნენ აკადემიკოსები ილია ვეკუა და ნიკოლოზ ანთელავა, პოეტი ალიო მირცხულავა, ცნობილი ისტორიკოსი შოთა მესხია და მრავალი სხვა.

8 წლის სპირიდონი დედამ 1893 წელს ხსენებული სასწავლებლის პირველ კლასში შეიყვანა. სპირიდონ კედიას მოწაფეობის წლებში სასწავლებლის ინსპექტორები იყვნენ ჯერ თ. ცელევალნიკოვი, შემდეგ კი ი. ფიოდოროვი. სხვადასხვა დისციპლინებს ასწავლიდნენ პედაგოგები სობოტნიცკი, სტეპანოვი, ლეჟიონოვი, ხოშტარია, დეკანოზი ა. ვახანია დ სხვ. სკოლის სასწავლო გეგმიდან კარგა ხნის ამოღებული იყო ქართული ენა. მიუხედავად იმისა, რომ კონტიგენტის დიდი უმეტესობა ქართველი ბავშვები იყვნენ, ქართული ენა მხოლოდ ფაკულტეტურ საგნად ითვლებოდა, რომელშიც მოსწავლეს შეფასება არ ეძლეოდა.

1898 წელს სპირიდონ კედიამ დაამთავრა ზუგდიდის საქალაქო საწავლებლის ექვსი კლასი და მიიღო ატესტატი (№266).

უმამო ოჯახი მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. თუმცა დედას ეჭვქვეშ არ დაუსვამს სპირიდონის სწავლის გაგრძელების საკითხი, მცირეოდენ დანაზოგს თავი მოუყარა და ვაჟიშვილთან ერთად მახლობელ ქალაქ ქუთაისში გაემგზავრა.

დასავლეთ საქართველოს საგუბერნიო ცენტრში იმხანად ორი საშუალო სასწავლებელი — კლასიკური გიმნაზია და ქართვე-

ლთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული ქართული პროგიმნაზია არსებობდა. არჩევანი ფართო არ ყოფილა. პროგიმნაზიაში, მართალია, სწავლის საფასურს არ ახდევინებდნენ, მაგრამ ადგილები მკაცრად რეგლამენტირებული იყო. ამასთან, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უმაღლესში პირდაპირ შესვლა არ შეეძლოთ. ამ უფლებას კლასიკური გიმნაზიის „სიმწიფის მოწმობა" იძლეოდა, თუმცა გიმნაზიაშიც მიღება წინასწარი გამოცდებისა და კონკურსის გზით წარმოებდა.

ამ ბარიერის დასაძლევად სპირიდონს სჭირდებოდა დამატებითი მეცადინეობა. ახლობელთა რჩევით, დედამ იგი ცნობილ ქართველ პედაგოგს იოსებ ოცხელს მიაბარა. მზრუნველი, გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებლის შეგირდობამ ნაყოფი გამოიღო — სპირიდონმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და 1898 წლის 1 სექტემბერს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეორე კლასში ჩაირიცხა.

სპირიდონ კედიას მიერ გიმნაზიაში წარდგენილ საბუთთა შორის დაცულია ზუგდიდის მაზრის უფროსის ხელმოწერით გაცემული სიღარიბის მოწმობა, რომ დედამისს — თეო ქუთათელაძე-კედიას არ გააჩნია არავითარი საშუალება საკუთარი ხარჯით აღზარდოს შვილი რომელიმე სასწავლებელში (*ქსა, ფ. 94, ანგ. 1, საქ. 3132, ფურც. 19*).

აღსანიშნავია, რომ ამ ცნობის საფუძველზე სპირიდონი გაანთავისუფლეს სწავლის ქირისაგან, ხოლო შემდეგ სახელმწიფო სტიპენდიაც დაუნიშნეს.

გიმნაზიაში მეტად მძიმე და სულისშემხუთველი რეჟიმი იყო გაბატონებული, მაგრამ რაკი დასავლეთ საქართველოში სხვა ამგვარი სასწავლებელი არ არსებობდა, მასში შესვლის მსურველნი მაინც მრავლად იყვნენ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა აკაკიმ, გიორგი წერეთელმა, კირილე ლორთქიფანიძემ, ნიკო ნიკოლაძემ, სერგი მესხმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ნიკო მარმა, შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, აკაკი შანიძემ და ბევრმა სხვა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქუთაისში ძალუმად სცემდა კულტურული ცხოვრების ძარღვი. ეს პატარა საგუბერნიო ქალაქი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო და მიყუჩებული, არსებითად ტონს აძლევდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. „ქუთაისის მკვიდრნი მსოფლიო ცხოვრების ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი. ქა-

ლაქის ქუჩებსა და ბულვარებში ხშირად შეხვდებოდით ევროპამოვლილ დარბაისლებს, პეტერბურგისა თუ მოსკოვის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და მაღალი რანგის მოხელეებს... ქალაქში მრავალი გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა. იბეჭდებოდა წიგნები და ბროშურები. გახსნილი იყო ბიბლიოთეკები... ქუთაისში მძლავრი თეატრალური კოლექტივიც არსებობდა" (*ნ. ფაბიძე 1982, 91*).

ცხოვრების ქუთაისური პერიოდი სპირიდონ კედიას პიროვნებად ჩამოყალიბების, მისი იდეურ-მსოფლმხედველობრივი ფორმირებისა და შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის შემზადების სერიოზული სკოლა გამოდგა. ამ საქმეში საგულისხმო როლი იმ გარემოებამაც ითამაშა, რომ მოწაფეობის წლებში სპირიდონი ბინად იოსებ ოცხელის ჭერქვეშ იმყოფებოდა. ამ ამაგდარ პედაგოგსა და გულანთებულ მამულიშვილს არაერთი ქართველი ჭაბუკისათვის გაუკვალავს სამომავლო გზა. ვარლამ დონდუას სიტყვით: „იოსებმა დაგვაფრთიანა მრავალი ახალგაზრდა, გაგვითბო გული, გვასწავლა ცხოვრება, შეგვაყვარა, საზოგადოება" (*ი. ჟღენ-ძეხაძე 1989, 10-11*).

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა სპირიდონისათვის იოსებ ოცხელის საუბრებსა და მამობრივ მზრუნველობას. სავსებით მართებულად შენიშნავდა კედიას ერთ-ერთი ბიოგრაფი, რომ „ოცხელის ოჯახში ცხოვრება შემდეგი საფეხურის პატრიოტული სკოლა იყო გულისყურის მქონე ბავშვისათვის და მის გულში უკვე დანერგილ სამშობლოს სიყვარულს კიდევ ახალი უფრო ძლიერი ყლორტები დაემყნა" (*ბ. ჯუთარაძე 1979, 1*).

სპირიდონ კედიას გიმნაზიის თანაკლასელები იყვნენ შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე და იურისტი გიორგი ჟორდანია (თედო ჟორდანიას შვილი, პროფესორ გივი ჟორდანიას მამა), ასევე ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო წევრი და სახელმწიფო მოღვაწე სერგო ქავთარაძე (*ჯუსა, ფ. 94, ანგ. 1. საქ. 3600, ფურც. 4*) და სხვ.

ურიგო არ იქნება, გავეცნოთ კლასის დამრიგებელთა მიერ კონდუიტში შეტანილ სპირიდონ კედიას პედანტურ დახასიათებას. სწავლის პირველი წელი: „საშუალოზე ნიჭიერი, თავმოყვარე და ფიცხი ყმაწვილი. შრომისმოყვარეა და გულმოდგინე. გამოირჩევა

საზრიანობით. ყოფაქცევა — საუკეთესო". მომდევნო წელიწადი-ჭიერი, განვითარებული და ნაკითხობით ერთ-ერთი პირველი მოწაფეა კლასში. სასწავლო წლის განმავლობაში რაიმე საძრახისში შემჩნეული არ ყოფილა" და სხვა ამგვარი. მაგრამ თანდათანობით ჩნდება არასასურველი შენიშვნები და საყვედურები. მაგალითად: „მოუხშირა გაკვეთილების გაცდენას. თავის თავზე დიდი წარმოდგენა ემატება, წარმატებები კი კლებულობს"; „ლათინური ენის გაკვეთილზე შემჩნეულია კარნახში, რისთვისაც გამოეცხადა სასტიკი საყვედური"; „სულელური წიგნების უსასრულო კითხვით ბევრ რამეზე მცდარი შეხედულება შეექმნა. ყოფაქცევის ნიშანი სამამდე შეუმცირდა იმ ნაშრომის გამო, რომელიც სავსე იყო უხამსი გამოხდომებით" (*ქსა, ფ. 94, ანწ. 1, საქ. 3132, ფურც. 3-41*). მართლაც, მეხუთე კლასში გიმნაზისტებისათვის რუსულის გაკვეთილზე მიუციათ თემა „რუსეთის მოხელეების დახასიათება" — ალბათ გრიბოედოვისა და გოგოლის მიხედვით. სპირიდონ კედიას ეს თემა დიდი გულმოდგინებით დაუმუშავებია და გადაუჭარბებია კიდეც, რადგან მიწასთან გაუსწორებია თვით რუსული რეჟიმი. შემცბარ მასწავლებელს კედია დირექტორთან შეუყვანია. დირექტორი ძლიერ გაჯავრებულა, — „როგორ გაბედე ასეთი რამის დაწერა, იცოდე დღეიდან რუსეთის უნივერსიტეტის კარები შენთვის დახურული იქნებაო. არც ვაპირებ რუსულ უნივერსიტეტში შესვლასო, უპასუხნია მოწაფეს სრულიად მშვიდად" (*ძ. ჯეთაჩაძე 1979, 2*).

„მგონია არც ერთ სასწავლებელში დედამიწაზე არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებს და მოსწავლეთ შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს, როცა ჩვენ იქ ვსწავლობდით. უფროსებიდან არც ერთი თბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედებდნენ" — იგონებდა ნიკო ნიკოლაძე (*ნ. ნიკოლაძე 1894, 42*). თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო გიმნაზიაში აღწერილი მოვლენიდან ხუთი ათეული წლის შემდეგაც. აი, რას წერს ამავე გიმნაზიის კურსდამთავრებული, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი მეთაური სამსონ ფირცხალავა: „სწავლების მეთოდის უვარგისობა იყო მიზეზი, თუ ის, რომ მასწავლებლები უცხონი იყვნენ და საერთოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდობლად და უგულოდ

ეპყრობოდნენ, მოწაფეთა და მასწავლებელთა შუა ხიდი იყო ჩატეხილი. მოსწავლეთ სძულდათ სასწავლებელი, არ ჰქონდათ სურვილი და მისწრაფება ცოდნის შეძენის, მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს" (*ს. თორეხალავა 1988, 17*). ამით თუ აიხსნებოდა, რომ მაღალი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩეოდა არც სპირიდონ კედია. მეშვიდედან მერვე კლასში გადასვლისას ცალკეული საგნების მიხედვით მას ამგვარი შეფასება ჰქონდა: საღმრთო სჯული — 4, რუსული ენა — 3, ლათინური ენა — 4, ბერძნული ენა — 4, მათემატიკა — 3, ფიზიკა — 3, ისტორია — 4, გეოგრაფია — 4, ფრანგული ენა — 4 და გერმანული ენა — 4 (*ქს�a, ფ. 94, ანწ. 1, საქ. 3132, ფურც. 23*).

ცარიზმისდროინდელი სკოლა ვერ ასრულებდა ნამდვილი სკოლის ჭეშმარიტ დანიშნულებას. იგი იმის ცდაში იყო, რომ ყმაწვილებს ესწავლათ მხოლოდ სწავლისათვის და უგულებელყოფდა არსებითს — ბავშის „ზნე-ხასიათის წვრთნას", ანუ, როგორც ილია ამბობდა, — „კაცის გაადამიანებას".

ქუთაისის გიმნაზია სახელმწიფო სასწავლებელი იყო და მასში ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა. პედაგოგიური კოლექტივიც არსებითად რუსი ეროვნების კადრებით იყო დაკომპლექტებული. ისინი თავიანთ აღსაზრდელებს რუსულ სულსა და შეგნებას უნერგავდნენ, მაგრამ ქართველი ბავშვების ეროვნულ გადაგვარებას ვერ ახერხებდნენ. სამსონ ფირცხალავას სიტყვით: „ჩვენზე მოქმედებდა ქუთაისის საერთო სულიერი ატმოსფერო. ქუთაისი იყო ქართული ქალაქი, საკმაოდ ინტელიგენტური, მრავალი მოსწავლე-ახალგაზრდობით, ქართული ენით, ქართული გრძნობით და აზროვნებით, სადაც ყველა ერთიმეორესთან დაახლოებული იყო, თითქმის ერთ ოჯახს წამოადგენდნენ. ჩვენ ახლოს ვხედავდით ქათველ მოღვაწეებს, მწერლებს, არტისტებს, ადგილობრივს თუ თბილისიდან ჩამოსულებს. ეს თავისთავად ხელს უწყობდა ჩვენს ეროვნულ განვითარებას" (*ს. თორეხალავა 1988, 20*).

მოსწავლეთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქუთაისის ბულვარი. ეს იყო საინტერესო დისკუსიების, ურთიერთ აზრთა გაზიარებისა თუ სჯა-ბაასის მუდმივი ადგილი. აქ ჩვეულებრივ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ასაკის, მდგომარეობის, პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და განათლების ადამიანები. ... ყვე-

ლა ერთმანეთს იცნობდა, ურთიერთს ენდობოდა და ღრმა პატივისცემით ეკიდებოდა. იმართებოდა გაუთავებელი დავა-დისპუტი ხანდაზმულებსა და ახალგაზრდა გიმნაზისტებს შორის, რომელიც ხშირად გვიან ღამით მთავრდებოდა (ა. ხოკუა 1989, №532). ბულვარი სპირიდონ კედიას საყვარელი ადგილი იყო. აქ მას უნახავს აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და მოუსმენია მათთვის.

სპირიდონ კედიას მოწაფეობის წლები უაღრესად რთულ და ბობოქარ მოვლენებს დაემთხვა. საპროტესტო ტალღა ჯერ რუსეთ-იაპონიის ომმა ააზვირთა. გიმნაზიის მოსწავლე-ახალგაზრდობა ენერგიულად ჩაება ამ მოძრაობაში. ისინი გამოსცემდნენ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს, ავრცელებდნენ ჰექტოგრაფზე გადაბეჭდილ ანტისაომარ პროკლამაციებს და სხვა. თანატოლებში გამორჩეული ჭაბუკი სპირიდონი ამ მოვლენების შუაგულში იდგა.

მოსწავლეთა დიდი მღელვარება მოეწყო ქუთაისში 1904 წლის 13 თებერვალს. მასში აქტიური მონაწილეობისათვის სპირიდონ კედია 6 საათი კარცერში ჩაუსვამთ (ქსსა, ფ. 94, ანწ. 1, საქ. 3132, ფურც. 41). შექმნილ სიტუაციაში გარკვევის მიზნით ქალაქში საგანგებოდ ჩავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსი ზავადსკი, რომელიც ეწვია კლასიკურ გიმნაზიას. იგი ესაუბრა გამოსვლების ორგანიზატორ ახალგაზრდებს, მათ შორის სპირიდონ კედიას. ამ უკანასკნელს დაჰპირდა, სტიპენდიას დაგინიშნავთო და თან მოუთხოვნია, რომ მოწაფეებზე გავლენა მოეხდინა და დაეწყნარებინა. სპირიდონის პასუხი ყოფილა: „მღელვარება ქუჩაშია გამოსული და სკოლებშიც იქიდან შემოდის. დააკმაყოფილეთ ხალხის მოთხოვნა და სკოლაც დაწყნარდებაო“ (ქ. ჯეთარაძე 1979, 3).

სპირიდონ კედიას მეუღლის, სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ახლახან გამოქვეყნებული დიდად მნიშვნელოვანი მოგონებიდან ვგებულობთ, რომ სპირიდონს, როგორც ქუთაისის მოსწავლეთა წარმომადგენელს, მონაწილეობა მიუღია და სიტყვა წარმოუთქვამს ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგზე, რომელიც თბილისში, წყნეთის ქუჩაზე — ახლანდელი უნივერსიტეტის მიდამოებში გამართულა (ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 99). მიტინგი კაზაკთა რაზმს დაურბევია, მაგრამ ასეთ განსაცდელს ვერ შეუშინებია საბ-

რძოლველად შემართული მომავალი პოლიტიკოსი. იგი მთელი არსებით ჩაბმულა მოძრაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის დამდეგს რუსეთის იმპერიას პეტერბურგში დაწყებულმა სახალხო რევოლუციის ექომ გადაუარა. სისხლიანმა კვირამ საყოველთაო აღშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. გაფიცვები, მიტინგები და მანიფესტაციები უცხო როდი იყო მაშინდელი ქუთაისისათვის. ავანგარდში მოსწავლე ახალგაზრდობა იდგა. „პროკლამაციებს ისე ვწერდით, როგორც სასკოლო თემებსო“ — იგონებდა ტიციან ტაბიძე.

იანვრის ბოლოს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა არეულობა და ფართო გამოსვლა მოეწყო, რომელმაც მთელი ქალაქის ყურადღება მიიპყრო. ამ პოლიტიკურ აქციას სპირიდონ კედია ხელმძღვანელობდა. ჟანდარმერიამ საპასუხო ღონისძიებას მიმართა და 7 მოსწავლე დააპატიმრა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სპირიდონ კედია ქალაქიდან გაასახლეს და საცხოვრებელ ადგილად ზუგდიდი მიუჩინეს (*ქსცსა, ფ. 94, ანწ. 1, საქ. 3132, ფურცელ. 5*).

გიმნაზიის მოსწავლეებს მხარი დაუჭირა ქალაქის მოსახლეობამ, რომლის წარმომადგენლები სიმღერითა და პოლიტიკური ლოზუნგებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. ქართულ და რუსულ ენებზე გაისმოდა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს თავისუფლებას“ (*ი. ბენძელაძე 1975, 85*).

მომხდარი ფაქტის გამო, 1905 წლის 8 აპრილს პედაგოგიურმა საბჭომ საგანგებო სხდომა გამართა. გიმნაზიის დირექტორის ო. ჩებიშის წინადადებით, სპირიდონს, რომელიც მაშინ მერვე კლასის მოსწავლე იყო, მოუხსნეს სტიპენდია. ობოლი გიმნაზიელისათვის სასჯელის ეს ზომაც მძიმე უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბჭომ იგი არასაკმარისად მიიჩნია და სპირიდონ კედია საერთოდ გარიცხა სასწავლებლიდან. პედაგოგიური საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილება შემდგომში სასწავლო ოლქის მზრუნველმა ზავადსკიმაც დაამტკიცა.

ისმის კითხვა: რატომ ვერ გააგრძელა სწავლა სპირიდონ კედიამ ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელსაც უკვე სათავეში ედგა მისთვის კარგად ნაცნობი და მოამაგე იოსებ ოცხელი?

ჯერ ერთი: პოლიტიკური არაკეთილსაიმედობისათვის გარიცხული მოსწავლის იმავე ქალაქის, თუნდაც კერძო, სასწავლებელში მიღება მეტად სარისკო იყო და მეორე, რაც მთავარია — ჩადენილი დანაშაულისათვის სპირიდონ კედიას ქუთაისში ცხოვრება აეკრძალა. იგი ქალაქიდან დაუყოვნებლივ გაასახლეს და სამეგრელოში დააბრუნეს. გარიცხულ და გასახლებულ ჭაბუკს პოლიციაში ხელწერილიც ჩამოართვეს ზუგდიდიდან გაუსვლელობის შესახებ.

ასე დასრულდა სპირიდონ კედიას მოწაფეობა. მომავალ პოლიტიკურ მოღვაწეს წინ თვითმპყრობელობის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძნელი გზა ელოდა.

## I.3. „ბრძოლად ედება ზუგდიდში ჩესჭუბლიძის დაბრსებისაძენ ლტოლვა“

1905-იან წლებში რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში საქართველოში სოციალ-დემოკრატები იდგნენ. მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი ნაწილი თანაუგრძნობდა მათ იდეოლოგიას — მარქსიზმს, რომელიც ფართოდ ვრცელდებოდა, განსაკუთრებით მუშათა წრეებსა და სოფლის ღარიბობაში. აქტიური საქმიანობით გამოირჩეოდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიაც. ამ ორგანიზაციის რიგებში ინტელიგენტური ძალები სჭარბობდნენ, თუმცა საერთო ნიადაგის თეორია, როგორც ფედერალისტთა მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი, მეტ-ნაკლებად საზოგადოების სხვა ფენებშიც ჰპოვებდა მიმდევართ.

იოსებ ოცხელის ჭერქვეშ დაფრთიანებული სპირიდონ კედია ეჭვით უყურებდა სოციალისტურ თეორიებს. მას არ სჯეროდა, რომ მარქსის მოძღვრებას შეეძლო საქართველოსთვის სარგებლობის მოტანა. თვითგანვითარებას დაწაფებული სპირიდონი ბევრს კითხულობდა და მოწაფეობის წლებში მოზრდილი საოჯახო ბიბლიოთეკაც შექმნა, რომელიც უმთავრესად მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურას შეიცავდა. აქ დიდი ადგილი ეჭირა ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა ნაწერებს, „ივერიისა“ თუ „დროების“ სხვადასხვა წლების კომპლექტებსა და ცალკეულ ნომრებს.

K 24031

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპირიდონ კედია თვალს ადევნებდა პერიოდულ პრესაში მიმდინარე ცხარე პოლემიკას მესამე დასელებსა და ილია ჭავჭავაძეს, სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის და მათ სადაო საკითხებზე თანდათან საკუთარი პოზიციაც უყალიბდებოდა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს თავისუფლება, თუნდაც ავტონომიის ფორმით, უფრო საშურია, ვიდრე სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა შროის საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საკითხი პირველად სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ წამოჭრა. ამ მიზანს ემსახურებოდა ჯერ კიდევ 1903 წელს პარიზში დაარსებული გაზეთი „საქართველო", შემდეგ კი თვით საქართველოში გამომავალი მთელი ფედერალისტური პრესა. ავტონომიის იდეის ერთგულებამ სპირიდონ კედია ფედერალისტებთან დააახლოვა და მათ პარტიაში შესვლა გადააწყვეტინა. საქართველოს ავტონომიის ლოზუნგმა ფედერალისტურ პარტიაში თავდაპირველად სხვადასხვა მიმართულების არამარქსისტული ჯგუფები — ესერები, ანარქისტები და თვით ეროვნულ-დემოკრატებიც გააერთიანა.

ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონების თანახმად, სპირიდონ კედია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი აქტიური და საI-მედო წევრი გამხდარა, მას ორგანიზაციის ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებს ანდობდნენ.

1905 წელს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მითითებით, გიორგი დეკანოზიშვილმა საზღვარგარეთ დიდძალი საბრძოლო აღჭურვილობა შეიძინა. თოფები, შაშხანები და ტყვიები საქართველოს რევოლუციური რაზმებისათვის იყო განკუთვნილი. იარაღი საგანგებოდ ამ საქმისათვის დაქირავებულ ხომალდ „სირიუსით" საქართველოში ფარულად გამოიგზავნა. ხსენებულ მოგონებებში აღნიშნულია, რომ სპირიდონ კედია ამ იარაღის მიღების უშუალო ორგანიზტორი ყოფილა. „მან რამდენიმე ღამე გაათია ზღვის ნაპირას დათქმულ ადგილზე, იარაღი მიიღო და საიმედო ადგილამდე მიიტანა". ამ ცნობას შეუმოწმებლად ეყრდნობიან მ. ქავთარაძე (*მ. ჯავთარაძე 1979, 2*) და გ. შარაძე (*გ. შარაძე 1991, 97*).

უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიიდან საქართველოში იარაღის არალეგალურად შემოტანის ფაქტთან სპ. კედიას უშუალო კავშირის შესახებ ჯერ-ჯერობით სხვა წყარო არ მოიპოვება. ყოველ

შემთხვევაში, ამის თაობაზე არაფერია აღნიშნული ამ საქმის ანა-ციატორების გიორგი დეკანოზიშვილისა („კავკასიონი“ 1964, 114-131) თუ თედო სახოკიას (თ. სახოკია 1984) ნაწერებში, არც სხვა მემუარებსა (ვ. ლასხიშვილი 1992, 57-63; ვ. ტულუში 1967, 45-46) და სპეციალურ ლიტერატურაში (ძ. ტულუში 1965, 137-155; ლ. შგელიძე 1993, 289-195). სამაგიეროდ, არსებობს საარქივო დოკუ-მენტი, რომელიც მოწმობს, რომ გიმნაზიიდან გარიცხული და სა-მეგრელოში დაბრუნებული სპირდონ კედია ფართოდ ჩაბმულა აქაურ გლეხთა მოძრაობაში. არაერთხელ გამოსულა სიტყვით ზუგდიდის მაზრის მშრომელთა თავყრილობებსა თუ საიდუმლო შეკრებებზე. სპ. კედია გაბედულად გმობდა მეფის მთავრობის რე-აქციულ ღონისძიებებს, შეკრებილთ გასაგები ენით უხსნიდა სამ-შობლოზე თავსდამტყდარი უბედურების მიზეზებს, მოუწოდებდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისაკენ (სუსა, ფ. 94, ანწ. 1, საქ. 652, ფურცლ. 471).

რევოლუციური მოძრაობის საერთო აღმავლობამ ხელი-სუფლების ადგილობრივი ორგანოების პარალიზება გამოიწვია. შეიარაღებული გლეხები ბევრგან უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე, მემამულეთა თუ ეკლესიის მიმართ სხვა ვალდებულე-ებებზე, სოფლებიდან ერეკებოდნენ მეფის მთავრობის მიერ დანიშ-ნულ მამასახლისებს, აღარ ასრულებდნენ სოფლისა და მაზრის ადმინისტრაციის განკარგულებებს, ძალით იკავებდნენ მებატონე-თა, ხაზინისა და სხა მიწებს. სოფლის მმართველობა ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, შორაპნის, გორისა და სხვა მაზრებში ფაქ-ტობრივად ხალხის ხელში გადავიდა, რომელიც საამისოდ თავის წარმომადგენლობებს ირჩევდა. ასე წარმოიშვა თავისებური პატა-რა „რესპუბლიკები“ (ნაძალადევის, გორის, ყვირილის, ჭიათურის, ზუგდიდის და სხვ), რომლებმაც მცირე ხანს იარსებეს, მაგრამ ფართო ინტერესი და გამოხმაურება ჰპოვეს. მაგალითად, კავკასი-ის პოლიციის უფროსი აღუწერდა რა მეფისნაცვალს დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, დასძენდა: „ეს უბრალო ანარქია კი არ არის..., არამედ შეიქმნა რაღაც განსაკუთრებული სახელმწიფო, რომელიც თვითმმართველი რევოლუციური თემები-საგან შედგება... ამბები, რაც ქუთაისის გუბერნიაში ხდება, იმდე-ნად გასაოცარია იმპერიის პოლიტიკური წყობილების საერთო

ფონზე, რომ უცხოელები საგანგებოდ ჩამოდიან კავკასიაში, ადგილზე გაეცნონ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს“ (*ხუსა, ფ. 13 ანგ. 27, საქ. 64, ფურც. 105*).

მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი თავის მხრივ საიმპერიო ხელისუფლებას მოახსენებდა: სოფლად ყველგან იმართებოდა მიტინგები, მანიფესტაციები, რომლებზეც აშკარად უწევდნენ პროპაგანდას ისეთ იდეებს, როგორიცაა წოდებათა თანასწორუფლებიანობა... და მართვა-გამგეობის არსებული წესის შეცვლა იმ აზრით, რომ თვით ხალხმა აიღოს ხელში ძალაუფლება. გლეხურმა მოსახლეობამ გარეკა სოფლის კანონიერი ხელისუფალნი და აღარ მიმართავდა დახმარებისათვის მთავრობის ადგილობრივ აგენტებს... გაჩნდნენ თვითნებურად მოქმედი ასისთავები და ათისთავები..., რომლებიც ხალხის სახელით ასამართლებდნენ და სჯიდნენ, მოსახლეობისაგან ჰკრეფდნენ გამოსაღებს, რაღაც „სახალხო ორგანიზაციების“ სასარგებლოდ, რომლებმაც ხელთ აიღეს ძალაუფლება, და საერთოდ გამგებლობდნენ ისე, რომ სრულიად უგულებელყოფდნენ კანონიერად დაყენებულ ხელისუფალთ“ (*Всеподдан. записка... 1907, 25-26*).

ზემოაღნიშნული არსებითად ზუგდიდსა და მის მაზრასაც ეხებოდა. მართალია, აქაურ თოფშემართულ გლეხთა მოქმედებიდან ბევრი რამ სპირიდონ კედიას იდეურ მრწამსსა და თვალსაზრისს არ თანხვდებოდა, მაგრამ იგი ძნელად თუ გაემიჯნებოდა საერთო სულისკვეთებას.

ჟანდარმერიის ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია სამეგრელოში თავისუფლების ახალი პროპაგანდისტის გამოჩენა. გუშინდელი გიმნაზიელი ჭაბუკი პოლიციურ ორგანოთა საძიზნედ იქცა. ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველომ სპირიდონ კედიასთან დაკავშირებით ფორმალური მოკვლევა დაიწყო. მალე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და გაჩაღდა ძიება.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელობა მკაცრად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს. დამსჯელი ოპერაციები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა დასავლეთ საქართველოში. ცხადია, დაპატიმრება და სერიოზული სასჯელი მოელოდა სპ. კედიასაც, მაგრამ მან შეძლო ხელიდან გასხლტომოდა პოლიციას და მიმალულიყო. იგი თავის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად სვანეთში გადავიდა და გელოვანის სტუმართმოყვარე ოჯახს შეეხიზნა.

„მოუხელთებელი მეამბოხის“ კვალს ყველგან დაეძებდნენ. ზუგდიდში სპირიდონ კედიას სახლ-კარს კინაღამ ცეცხლიც ეკიდეს. მთაში გაჩერებაც აღარ შეიძლებოდა, რადგან საფრთხე ელოდა კეთილი მასპინძლის ოჯახსაც. გაზაფხულდა თუ არა, ჩერქეზეთში გადავიდა და რამდენიმე თვით იქ შეაფარა თავი (*ხუხსა, ფ. 1836, ანგ. 1. საქ. 107, ფურც. 27*). ზაფხულის მიწურულს კვლავ საქართველოში დაბრუნდა, სვანეთში თავის კეთილისმყოფელთ გამოემშვიდობა და გეზი ქუთაისისაკენ აიღო. ფათერაკიანი გამოდგა სპირიდონისათვის თოვლიანი ხეობითა და გაყინული ბილიკით ბარში ჩამოსვლა. ფეხებდამძრალს მოძრაობა უჭირდა, ერთ ადგილას ფეხი დაუსხლტა და ნაპრალში ჩავარდა, საიდანაც გულწასული ამოიყვანეს მისმა თანამგზავრებმა. წვალებით მიაღწიეს ქუთაისს. ქალაქში ფარულად მცხოვრებ ძებნილს კარგა ხანს უჯოხოდ სიარული არ შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ ასეთ ვითარებაშიც კი სპირიდონ კედია ფიქრობდა, განეგრძო სწავლა და ეძიებდა გზებსა და საშუალებებს რომელიმე საუნივერსიტეტი ქალაქში გასამგზავრებლად.

დაბრკოლება მრავალი იყო. ჯერ ერთი, მას არ გააჩნდა გიმნაზიის დამთავრების ატესტატი, რადგან მერვე კლასიდან გარიცხეს. მეორე — ატესტატიც რომ ჰქონოდა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში არ მიიღებდნენ, იქ, ჩვეულებრივ, აუცილებელი იყო პოლიტიკური კეთილსაიმედობის ცნობის წარდგენა, რომელსაც ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ეჭვმიტანილ სპირიდონ კედიას, ცხადია, არავინ მისცემდა. რჩებოდა უცხოეთი, სადაც ამ მხრივ შეზღუდვა არ არსებობდა.

რუსეთისაგან გაცლა იმავე დროს პოლიციისა და ჟანდარმერიისაგან თავდაღწევასაც ნიშნავდა. 1906 წლის შემოდგომაზე სპირიდონ კედია საშშობლოდან მალულად გაემგზავრა, ისე რომ საკუთარ დედასაც ნორმალურად ვერ გამოეთხოვა და დიდი გაჭირვებით პარიზს ჩააღწია.

საფრანგეთში სპირიდონი არსებითად ემიგრანტი იყო, მაგრამ აქ იგი პოლიტიკურ საქმიანობაში არ ჩაბმულა და უპირატესობა უმაღლესი განათლების შეძენას მიანიჭა (იხ. ქვემოთ).

შვიდ წელზე მეტი დაჰყო სპ. კედიამ საშშობლოსაგან შორს — უცხოეთის ცის ქვეშ, სწავლაც დაასრულა და კვლავ არჩევანის წინაშე დადგა. ევროპაში უკვე იგრნობოდა მოახლოებული ომის სუნთქვა. დიდი ომი პატარა ქვეყნებსაც ძირეულ ცვლილებებს უქადდა. ახლა საქართველოში ყოფნა იყო აუცილებელი

და სპირიდონმაც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა (ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მას როგორც კურსდამთავრებულს, საქართველოდან შეუწყდა სტიპენდიის გზავნა).

სპირიდონ კედიამ კარგად იცოდა, რომ ძებნილი კაცისთვის რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოსვლა იოლი არ იყო, ამიტომ წინასწარ იზრუნა — თავის პროფესორს რუსეთში საფრანგეთის ელჩის მ. პალეოლოგისადმი სარეკომენდაციო წერილი სთხოვა, ჯიბეში სხვისი პასპორტი (გვარად დემეტრაშვილისა) ჩაიდო და ისე გამოემგზავრა. მაგრამ ფხიზლად იყო საიმპერიო ჟანდარმერიაც, რომელსაც თავისი აგენტურა მრავლად ჰყავდა უცხოეთშიც მისთვის ცნობილი გახდა სპ. კედიას განზრახვა სამშობლოში ფარულად ჩამოსვლისა.

„უახლოეს მომავალში საზღვრაგარეთიდან რუსეთში დაბრუნებას აპირებს საქართველოს რევოლუციური სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი სპირიდონ კედია... მას სურს იცხოვროს არალეგალურად, შესაძლოა, ვინმე ჯანაშიას პასპორტით“, — ოპერატიულად აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტი თავის ქვედანაყოფებს 1913 წლის 8 ნოემბერს და იქვე ავალებდა: თუ კედია იმპერიის ფარგლებში გამოჩნდებოდა, მასზე დაეწესებინათ საიდუმლო მეთვალყურეობა ძებნილის რევოლუციური კავშირების გამოსარკვევად. პოლიციის დეპარტამენტმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს გაუგზავნა სპ. კედიას ფოტოსურათი და დაწვრილებითი აღწერილობა. დოკუმენტს დავიმოწმებთ დედნის ენაზე: ”Приметы Кедия: высоко роста, крепкого телосложения, нос большой, кожа на лице очень порыстая, причем лицо как будто усеяно мельчайшими черными точками; большие торчащие в сторону усы; волосы на голове черные с боковым пробором; очень близорук, всегда носит пенснэ без оправы; сильно картавит; прекрасно владеет русским, французским и грузинским языками; тип грузына и производит впечатления настоящего серьезного интеллигентного господина” (*ხუხსა, ფ. 94, ანწ. 1, საქ. 652, ფურც. 469*).

ჟანდარმერიამ მალევე შეიტყო სპირიდონ კედიას ნევისპირა ქალაქში ჩამოსვლა. იგი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ამ ფაქტმა, რომელიც მაშინვე გახმაურდა, დიდად დაამწუხრა პეტერბურგში მცხოვრები ქართველობა. თანამემამულეებმა სასწრაფოდ დაიწყეს ზრუნვა სპ. კედიას საპყრობილედან დასახსნელად.

საქმეში აქტიურად ჩაერთო პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. მეცნიერის არქივში, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ამ ამბებთან დაკავშირებული რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი აღმოჩნდა. ეს არის სპ. კედიას მიმართვა ივანე ჯავახიშვილისადმი, გიორგი სიდამონ-ერისთავისა და ვერა კაკაბაძის წერილები სწავლული ისტორიკოსისადმი და თვით ივანე ჯავახიშვილის ბარათი გაგზავნილი კიტა აბაშიძისადმი.

მიმოწერიდან ირკვევა, რომ პეტერბურგელი ქართველები თავდაპირველად აპირებდა თხოვნის შეტანას ციხიდან სპირიდონ კედიას თავდებით გამოსაშვებად, მაგრამ აეჭვებდათ ერთი გარემოება: პატიმრის მიერ წლების წინ ძიებისა და სასამართლოსათვის თავის არიდება ხომ არ გამოიწვევდა წინააღმდეგობას საპროკურორო ზედამხედველობის მხრივ? გ. სიდამონ-ერისთავმა დააზუსტა, რომ „უქვეშევრდომილესი თხოვნის“ წარდგენა დასაშვები იყო სასამართლოს დაწყებამდე, ხოლო უარის შემთხვევაში, განაჩენის შემდეგ შეიძლებოდა შეეტანათ ხელახალი თხოვნა.

სპირიდონ კედიას კრონშტადში ორ თვეზე მეტი მოუწია ყოფნა. ამ ციხეში მანამდეც არაერთი ქართველი მჯდარა. მათ შორის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1861 წლის მღელვარების მონაწილენი: ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვა. პირველ ორს სპირიდონი ქუთაისიდან იცნობდა და დიდად აფასებდა, ხოლო ბ. ღოღობერიძესთან, რომელიც იმხანად პარიზში ცხოვრობდა, ახლო ურთიერთობაც აკავშირებდა.

სპირიდონ კედიას სატუსაღოდან გამოყვანა, გენერალ ივანე ნაკაშიძის გავლენიან ნაცნობთა ჩარევით, მხოლოდ 1914 წლის 29 აპრილს მოხერხდა. პატიმარს ძველი საქმე აღარ გაუხსენეს, უთხრეს: „თქვენს შესახებ კარგი ცნობა მივიღეთ საქართველოდან და თავისუფალი ხართო.“

„რით აიხსნება ასეთი ზღაპრული ბედნიერება ვერ გავიგეთ, წერდა ვერა კაკაბაძე ივანე ჯავახიშვილს, — ნაკაშიძეს ვკითხე ტელეფონით და თქვა, მე არაფერი ვიცი, მაგრამ რომ გამოუშვებდნენ, ეს ვიცოდიო. მადლობის ღირსი ბ-ნი ჯავახიშვილია და არა მეო. აბა რა გავიგოთ ასეთი პასუხისაგან!“ (*ხელნაწ. ინსტ. ივ. ჯავახიშვილის ფ. საქ. 1861*).

მოულოდნელი თავისუფლებით გაოცებული დარჩა თვით სპირიდონ კედიაც, ვერ დარწმუნებულიყო, პატიმრობიდან თავდაღწევა საბოლოო იყო, თუ მოელოდა რაიმე სასჯელი. ყოველ შემთხვევაში, იგი ივანე ჯავახიშვილისა დიდად მადლიერი დარჩენილა იმისათვის, რომ მეცნიერმა ცდა და მონდომება არ დააკლო მის საქმეს. „თქვენი გულისყურისა და დაუზარებელი გარჯის საგნად რომ გადავიქეცი, ეს სულს მივსებს სიხარულით. ნება დამრთეთ, გულწრფელი გრძნობა ღრმა მადლიერებისა მოგიძღვნათ ამის გამო, — წერდა სპ. კედია ივანე ჯავახიშვილს და ბარათის დასასრულს დასძენდა: — ძალიან გთხოვთ, ბატონო ივანე, კიდევ გაისარჯოთ ან რაც იცით ამ ახირებულ განთავისუფლების შესახებ, მაუწყოთო“ *(ხელნაწ. ინსტ. ივ. ჯავახიშვილის ფ. საქ. 1884)*.

სახელოვანმა ისტორიკოსმა არც ამჯერად დაიზარა და სპ. კედიას საქმის დეტალების გარკვევა ქუთაისში მყოფ კიტა აბაშიძეს თხოვა. მეცნიერის წერილს კ. აბაშიძისადმი სრულად დავიმოწმებთ:

„ძმაო კიტა, — წერდა ივანე ჯავახიშვილი — შენ რომ წახვედი ქუთაისში სრულიად მოულოდნელად პეტრე სურგულაძისაგან ს. კედიას წერილი მომივიდა. თურმე ის გამოუშვიათ ციხიდან. მაგრამ ვერაფერი გაუგია რა მიზეზია, ჩაერია ვინმე (იქნება როგორც პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ჰპირდებოდა, საფრანგეთის ელჩმა იშუამდგომლა), თუ აქ რაიმე შეცდომა და გაუგებრობა მოხდა (იქნებ პეტერბურგში საქმეს ვერ მიაგნეს) და ვაითუ ახლო მომავალში კედიას მდგომარეობა კვლავ შეიცვალოს. ეხლა საჩქაროდ საჭიროა, მანდ გამოირკვეს საიდუმლოდ, რაც შეიძლება მალე, რა ბრალდება მას და რა მდგომარეობაშია მისი საქმე, იქნებ რაიმე ცნობები იყოს მისი განთავისუფლების შესახებ, ან თუ ბრალდება, რა მოელის მას კანონით. რასაკვირველია, მისი გადმოყვანის შესახებ ქუთაისში ახლა კრინტის დაძვრაც არ შეიძლება. საჩქაროდ გამიგე ყველაფერი და მაცნობე, შენი ვანო“ *(ხელნაწ. ინსტ. ივ. ჯავახიშვილის ფ. საქ. 1369)*.

მცირე ხანში ივანე ჯავახიშვილმა ადრესატის პასუხი მიიღო. კიტა აბაშიძე იწერებოდა: სპირიდონის განთავისუფლების ამბავმა ყველანი გაგვახარა, მაგრამ „უმჯობესია გაჩუმება მაგ საქმეზედ“, თვითონ კედია კი იქნებ „პატარა ხანი გადაიმალოს კიდევ. ქუთაისში სხვა თუ არა ესდეკების გაზეთი შეიტანს დანოსს მის შესახებ. სპ. კედიას „ზუგდიდში რესპუბლიკის დაარსების

ლტოლვა ედება ბრალად“ (*ხელნაწ. ინსტ. ფ. კავახიშვილის ფ. ხაჯ. 1548*).

1918 წელს საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარდგენილ თავის ავტობიოგრაფიაში სპ. კედია აღნიშნავდა, რომ 1905 წელს იგი პასუხისგებაში იყო მიცემული 102 მუხლის ძალით (*სუსსა, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 107, ფურცელ. 27*). უნდა ითქვას, რომ აქ დაშვებულია უნებლიე შეცდომა. სპირიდონ კედიას თავის ბრალდების საქმე საკუთარი თავლით არასოდეს უხილავს. ავტობიოგრაფიის შედგენისას იგი, ალბათ, ზეპირ მეხსიერებას ენდო, რამაც გამოიწვია უზუსტობა.

1903 წლის 22 მარტს დამტკიცებული რუსეთის სისხლის სამართლის დებულების 102-ე მუხლი იმავე დებულების მე-100 მუხლში მითითებულ მეტად მძიმე დანაშაულის, სახელდობრ — სახელმწიფო ღალატის ან რუსეთისაგან მისი რომელიმე ნაწილის ძალადობრივი გზით ჩამოშორებისათვის სასჯელის ზომას განსაზღვრავდა და რვა წლამდე კატორღას ითვალისწინებდა. სინამდვილეში, როგორც ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტით ირკვევა, სპირიდონ კედიას ბრლდება არა 102-ე, არამედ 129-ე მუხლით ჰქონდა წაყენებული (*სუსსა, ფ. 94, ანაწ. 1, საქ. 652, ფურცელ. 471*). ამ მუხლის თანახმად, დამნაშავე, საჯაროდ წარმოთქმული იმგვარი სიტყვის თუ თხზულების გავრცელებისათვის, რომელმაც გამოიწვია სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ მიმართული, მეამბოხური ან მოღალატური ქმედობა, ისჯებოდა გადასახლებით (*Уголовн. уложение... 1903, 50-51*).

მეფის ხელისუფლებამ ულმობლად დასაჯა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში აღმოცენებული მუშათა დეპუტატების საბჭოების, გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა თუ თვითგამოცხადებული „რესპუბლიკების“ მესვეურნი. მაგალითად, „გურიის რესპუბლიკის“ საქმესთან დაკავშირებით ოდესის სამოსამართლო პალატამ 1908 წლის ოქტომბერში დამნაშავედ სცნო პასუხისმგებლობაში მიცემული 10 კაცი. მათგან ბენია ჩხიკვიშვილსა და ნესტორ ერქომაიშვილს უფლებათა ჩამორთმევა და შესაბამისად პირველს ოთხი, ხოლო მეორეს 8 წლით კატორღაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნა გადაუწყვიტა (ზ. *ბურული 2000, 6; „აბრეშუმი“ 1908, №181*).

ამ ფონზე, როგორც ვნახეთ, სპირიდონ კედია იოლად გამოვიდა. „ზუგდიდის რესპუბლიკის“ გამო იგი კატორღასა თუ ცარიზმის საპყრობილის ხანგრძლივ ტყვეობას გადაურჩა, მაგრამ შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჭირისუფლობისათვის ბოლშევიკური ჩეკას ჯურღმულებს ვეღარ ასცდა.

## I.4. ქუთაისში და შრომაში, სოხუმის, ტულუზის და ბონჟელიის უნივერსიტეტებში

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან გარიცხული სპირიდონ კედია ცოდნის დაუფლების უსაზღვრო სურვილს შეეპყრო და მოსვენებას არ აძლევდა. რევოლუციური მოძრაობის სტიქიონმა ვერ გაანელა მისი ლტოლვა უმაღლესი სასწავლებლისაკენ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მომავალ პოლიტიკოსს ამ გზაზე მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ მატერიალურად ხელმოკლე ოჯახის შვილს, რომელიც მოწაფეობის წლებშიც კი თავს კერძო გაკვეთილებით ირჩენდა, არ მოეპოვებოდა სწავლის გასაგრძელებლად საჭირო და აუცილებელი სახსარი. მდგომარეობა თითქოს უიმედო ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდული შემართება და გატაცება უმოქმედობას ვერ შეურიგდებოდა.

1905 წლის 12 ოქტომბერს სპირიდონ კედიამ წერილით მიმართა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს და ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად მისგან თანადგომა ითხოვა. „თავისი ხნეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, სასურველი იქნებოდა, რომ მარგანეცის მრეწველთა საზოგადოება, რომელიც მფლობელია დიდი მატერიალური შესაძლებლობებისა, შემწედ აღმოუჩნდეს ჩემს გულითად მისწრაფებას და დამინიშნოს იმ ოდენობის სტიპენდია, რაც გამოცდილ და მეცნიერების პატივისმცემელ ადამიანთა თვალსაზრისით, აუცილებელი იქნება სერიოზული და ნაყოფიერი მუშაობისათვის სულიერი და გონებრივი

განათლების გზაზე“ — ვკითხულობთ ხსნებულ წერილში (*ქსსა, ფ. 139, ანაწ. 2, საქ. 67, ფურც. 2*).

„შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს“ (ასე ერქვა მრეწველთა და ჭიათურის მადნის ექსპორტიორთა გაერთიანებას) დაარსებიდან (1896 წ. 15 აპრილი) 1917 წლამდე სათავეში ედგა გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ხოლო მისი მოადგილე იყო კიტა აბაშიძე. ორივენი ცნობილი ეროვნული მოღვაწენი და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელები იყვნენ. საბჭო, მიუხედავად მისი ზოგიერთი რუსი მოხელის წინააღმდეგობისა, ფართო ქველმოქმედებას ეწეოდა ეროვნულ საქმეთა სასარგებლოდ. საბჭოს მრავლად ჰყავდა სტიპენდიანტები დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს თუ მის ფარგლებს გარეთ. მარტო 1905-1906 წლებში მარგანეცის მრეწველთა საბჭო სტიპენდიების სახით 30 ათასს მანეთს იხდიდა (*ვ. ბარგიანი 1968, 423*). (სტიპენდიანტთა შორის ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტი, შემდეგში ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძეც იყო (*ძ. ნიკოლეიშვილი 1991, 190*)). უარი არც სპირიდონ კედიასათვის უთქვამთ და მას თვიურად 25 მანეთი სტიპენდია დაუნიშნეს.

სპირიდონ კედიას განზრახული ჰქონდა გერმანიაში გამგზავრება და ლაიფციგის უნივერსიტეტში შესვლა (*ქსსა, ფ. 139, ანაწ. 2, საქ. 67, ფურც. 2*). გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდობა უმეტესად ჰუმანიტარულ განათლებას ეუფლებოდა. საფიქრებელია, სპირიდონიც მათ კვალს გაჰყვებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სწავლასმოწყურებული ჭაბუკი გერმანიის ნაცვლად საფრანგეთში აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ სპირიდონ კედიას საფრანგეთში ჩასვლის დროისათვის პარიზში აღარ არსებობდა სოციალისტ-ფედერალისტური ორგანოს „საქართველოს“ რედაქცია და გაზეთის გამოცემაც უკვე შეწყვეტილი იყო. არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ლასხიშვილი თბილისში დაბრუნდნენ, გიორგი დეკანოზიშვილი, მართალია, საფრანგეთში დარჩა, მაგრამ ხშირი ავადმყოფობის გამო პოლიტიკურ მუშაობას არსებითად ჩამოშორებული იყო.

როგორც ზემოთ ითქვა, სპირიდონ კედია ემიგრაციაში გამგზავრებამდე დაკავშირებული იყო ფედერალისტურ პარტიასთან. 1906 წლის ზაფხულში ამ ორგანოს რიგებში განხეთქილება მოხდა — მემარჯვენენი, უმთავრესად ეროვნულ-დემოკრატები პარტიის შემადგენლობიდან გავიდნენ. მათ შორის იყო სპირიდონ კედიაც. ამავე პერიოდში, საქართველოში დიდი სამზადისი წარმოებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ფორმირებისათვის. ამ საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული თვით ილია ჭავჭავაძე. შეადგინეს და ბეჭდურად გამოსცეს მომავალი ორგანიზაციის პროგრამაც (*ო. ჯანგლოძე 1977 ბ, 18*), მაგრამ პოლიტიკური პარტია იმხანად არ ჩამოყალიბებულა.

ახალი პარტიის დამფუძნებელთა შორის ეროვნულ-დემოკრატთა მომავალი ლიდერის გვარი არ ფიგურირებდა, მაგრამ სანდოა და მეტად ფასეული სპირიდონ კედიას ცნობა, ხსენებულ აქციაში ილია ჭავჭავაძის უშუალო მონაწილეობის შესახებ. „ილია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური პარტიის დაარსება და 1905 წელს იგი „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ აარსებს. მას აზრად აქვს ამ პარტიის მხრებზე გადმოასვენოს ის ტვირთი, რომელსაც საქართველო ერქვა და რომელიც მან მთელი ორმოცდაათი წელიწადი მარტოდმარტო ზიდა და ატარა, როგორც ერის ბელადმა — აღნიშნავს სპ. კედია ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ თავის საინტერესო ნარკვევში (*სპ. კედია 1988, 32*).

1906 წლის ნოემბერში სპირიდონ კედია პარიზში ჩავიდა. უნივერსიტეტში პირდაპირ შესვლას აზრი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, საამისოდ წინდაწინ სულ მცირე 200-მდე ფრანკი მაინც იყო საჭირო სხვადასხვა ხარჯებისათვის, მათ შორის „ე.წ. დისპანსისათვის ქალაქის სასარგებლოდ“ (ამ თანხას ლიცეუმდამთავრებული საფრანგეთის მკვიდრნიც იხდიდნენ სტუდენტად გახდომის წინ), რაც სპ. კედიას ერთბაშად არ გააჩნდა (*ჟურნ., ფ. 139, ანაწ. 2, საქ. 139, ფურცელ. 6*) და მეორეც, გიმნაზიაში ნასწავლი ფრანგული საკმარისი არ იყო ამ ენაზე საუნივერსიტეტო საგნების დასაძლევად.

ევროპაში ყოფნის პირველი წელი სპირიდონმა ფრანგული ენის ათვისებას მოანდომა, პარალელურად ისმენდა ლექციებს „კოლეჟ დე ფრანსში“, სადაც იგი თავისუფალ მსმენელად ჩაეწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. „კოლეჟ დე ფრანსი“ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, 1530 წელს დააარსა ჰუმანიზმის იდეების პატივისმცემელმა საფრანგეთის მეფე ფრანსუა I. ამ სასწავლებელში ადგილობრივი ახალგაზრდების მხარდამხარ ცოდნის საფუძვლებს მრავალი უცხოელიც ეწაფებოდა.

სპ. კედიამ კოლეჯის კედლებში სრულად შეიგრძნო ფრანგული ენის სიღრმე და სილამაზე. იგი იმდენად დაეუფლა ფრანგულს, რომ მომდევნო წელს ამ ენაზე ლექციების მოსმენა უკვე თავისუფლად შეეძლო.

1907 წელს სპირიდონ კედია სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. უმდიდრესი აკადემიური ტრადიციების მქონე ეს უმაღლესი სასწავლებელი პარიზში XIII საუკუნის დასაწყისში გაიხსნა. იგი პირველი საერო უნივერსიტეტი იყო მთელს ევროპაში. იმავე საუკუნის 50-იან წლებში, საფრანგეთის მეფის ლუი IX კარის მოძღვარმა რობერ სორბონმა, პარიზის ლათინურ კვარტალში ჯერ საღვთისმეტყველო სკოლა და ღარიბ სტუდენტთა თავშესაფარი, ხოლო შემდეგ საღვთისმეტყველო ფაკულტეტი დააფუძნა, რომელიც მოგვიანებით ხსენებულ უნივერსიტეტთან გაერთიანდა. 1808 წელს, ნაპოლეონ ბონაპარტეს დეკრეტით, სორბონის შენობაც პარიზის უნივერსიტეტს გადაეცა, რის შედეგადაც ეს ორი სახელწოდება არსებითად გაიგივდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის სორბონი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ სასწავლო-კვლევით და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. აქ თავმოყრილი იყო საუკეთესო სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები, როგორც ჰუმანიტარულ, ისე საბუნებისმეტყველო დარგებში.

სპირიდონ კედიამ ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა დაუფლება ამჯობინა და საბუთები საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის I კურსზე შეიტანა.

აღსანიშნავია, რომ სპ. კედიასთან ერთად 1907 წელს სორბონის უნივერსიტეტში ათამდე სხვა ქართველი ახალგაზრდაც შევიდა. მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე ჯანელიძე, გრიგოლ გველესიანი, ალექსანდრე გაბუნია და სხვ.

ცნობილმა მეცნიერმა, ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯანელიძემ პარიზში სწავლის პერიოდზე საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა. ქვემოთ ჩვენ ამ მოგონებებით ვისარგებლებთ.

სორბონის უნივერსიტეტში ახალგაზრდებს ყოველგვარი გამოცდებისა და კონკურსის გარეშე იღებდნენ. სწავლების სისტემა საგნობრივი იყო, რაც გამორიცხავდა კურსიდან კურსზე გადასვლას. ფაკულტეტის ყველა დარგზე დისციპლინათა გარკვეული რაოდენობა იკითხებოდა. სტუდენტს უფლება ჰქონდა, სურვილისამებრ სამი საგანი აერჩია და, როდესაც სამივე მათგანში გამოცდას ჩააბარებდა, მიიღებდა დიპლომს და ლიცენციატის წოდებას.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ძირითადი სასწავლო საგნები იყო: ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოლოგია, მინერალოგია, გეოლოგია და გეოგრაფია. სპირიდონ კედიას არჩევანი ბოტანიკაზე, ზოოლოგიასა და გეოლოგიაზე შეჩერდა. დავიმოწმებთ ერთ საყურადღებო ფრანგულენოვან საარქივო დოკუმენტს, რომელიც სტუდენტმა სპ. კედიამ პარიზიდან თავის სპონსორ ორგანიზაციას — ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გამოუგზავნა:

„პარიზის უნივერსიტეტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

პარიზი, 1907 წლის 7 ნოემბერი.

ქვემორე ხელის მოწერით მდივანი ვამოწმებ, რომ ბატონმა სპირიდონ კედიამ, დაბადებულმა 1884 წლის 20 სექტემბერს ზუგდიდში, ქუთაისის გუბერნია, 1907 წლის 6 ნოემბერს გადაიხადა პირველი გადასახადი საბუნებისმეტყველო ლიცენციატის დიპლომის მისაღებად. დღეისათვის ბატონ კედიას აქვს უფლება პირველ ტრიმესტრში განახორციელოს პრაქტიკული სამუშაოები (სემინარები) ზოოლოგიაში, ბოტანიკასა და გეოლოგიაში“ (*ქს�a, ფ. 139, ანგ. 2, ხაჟ. 67, ფურც. 10*).

ზოოლოგიას მაშინ აღიარებული სწავლული, აკადემიკოსი დელაჟი და პროფესორი ერუარი კითხულობდნენ, ბოტანიკის სწავლებას ვან ტიგემი, ბონე და მოლ იარი უძღვებოდნენ, ხოლო გეოლოგიის ლექციები პროფესორებს ოგსა და პერვანკიეს ჰქონდათ მინდობილი. „თითოეული მათი სიტყვა იმდროინდელი მეცნიერების მაჯისცემის გამომხატველი იყოო“ — იგონებს ალ. ჯანელიძე (*ალ. ჯანელიძე 1988, 93*).

აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძისავე სიტყვით, სორბონის უნივერსიტეტში „ლექციის კითხვას ერთგვარი რიტუალი ახლდა. დიდი აუდიტორია სტუდენტებით სავსეა, ყველას გაუმზადე-

ბია რვეული და ავტოკალამი... დიდი კედლის საათი რეკავს, და თითქოს საათის მექანიზმთან არის დაკავშირებულიო, ფარფოლ იღება აუდიტორიის კარი მსმენელების პირდაპირ და გამოჩნდება იმპოზანტური ბედელი დიდი ოქროსფერი ჯაჭვით მკერდზე; ის გზას უსნის პროფესორს, რომელიც უკვე შემოდის აუდიტორიაში, მიდის კათედრასათან, შლის პორტფელს და იწყებს ლექციას... აუდიტორიიდან პროფესორის წასვლაც იმავე წესით ხდებოდა... ლექციებზე დასწრება სავალდებულო არ იყო, თუმცა ყველა ესწრებოდა აუცილებლად, პრაქტიკუმზე დასწრებას კი მკაცრი კონტროლი ეწეოდა."

პროფესორები მეტად სერიოზულად ეკიდებოდნენ სტუდენტთა გამოცდასაც, რომელიც სამი სახით წარმოებდა: წერით, პრაქტიკულად და ზეპირი ფორმით. წერითი და პრაქტიკული გამოცდა 5-5 საათს გრძელდებოდა. ეს იმდენად ძნელი იყო, რომ გამოცდაზე მხოლოდ სტუდენტთა 80-იოდე პროცენტი გადიოდა. მათგან მესამედი წერის შემდეგ ამოვარდებოდა სიიდან, 10-15 პროცენტი პრაქტიკულ გამოცდას ვერ ძლევდა, ზეპირში კი, ჩვეულებრივ, აღარავინ იჭრებოდა (*ალ. ჯანელიძე 1988, 93-94*).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სპირიდონ კედიას უმაღლესი განათლების მისაღებად შემწეობის სახით, თვეში 25 მანეთი სტიპენდია დაუნიშნეს. უნდა ითქვას, რომ ეს თანხა სრულიადაც არ იყო საკმარისი საფრანგეთში ნორმალური ცხოვრებისა და სწავლისათვის.

„წამოსვლისას ვფიქრობდი, რაც გინდა დამემართოს, 25 მანეთით მაინც ვიცხოვრებ მეთქი. თურმე ეს სიბრიყვით, გამოუცდელობით, ცხოვრების პირობების უცოდინრობით მომდიოდა... ცოტა გამოცდილებამ და აქაურ ცხოვრებაში ჩახედულებამ ეს ბავშვური რწმენა ჩამიკლა... აქ სტუდენტის მინიმუმ თვიურ ხარჯად 50-60 მანეთი უნდა ჩაირიცხოს, თუ გინდა სწავლის მოსურნე ყმაწვილი ნაყოფიერად აწარმოებდეს მუშაობას" — ნათქვამია სპ. კედიას ერთ იმდროინდელ კერძო წერილში.

სპირიდონმა ითხოვა თავის კეთილმყოფელთაგან, თუ შესაძლებელია, სტიპენდია გამიორმაგეთო, მაგრამ პასუხად უარი მიიღო, დახმარების გაზრდა ვერ მოხერხდა. ამასთან, ჭიათურიდან გაგზავნილი სტიპენდია ზოგჯერ საგრძნობლადაც იგვიანებდა, სპირიდონს კი სხვა რამ სახსარი არ გააჩნდა. შეუძლებელია, აუღელვებლად წაიკითხო მისი წერილები შავი ქვის მრეწველთა

საბჭოს თანამშრომელ ვინმე იასონისა თუ საშასადმი, სადაც ამწერილია ხელმოკლე სტუდენტის მძიმე, თითქმის აუტანელი მდგომარეობა. „ადამიანი გარშემორტყმული იყო საუცხოო პირობებით ყოველმხრივი სწავლა-განათლების მისაღებად და უსახსრობის გამო არ შეგეძლოს მათი სასურველათ სარგებლიანი გამოყენება — ეს ენერგიის ისეთი მაბათილებელი მდგომარეობაა, რომ ლამის ნაღველმორეულმა უიმედო სასოწარკვეთილებას მივცე თავი“ — აღნიშნულია ერთგან. „პარიზში ხარო და ყველა მოითხოვს „ბრძენი“, „სწავლა-განათლებით აღჭურვილი“ ჩაბრუნდე და იმას კი არ დაგიდევენ, თუ ამისთვის საჭირო პირობები გაქვს“, — ნათქვამია სპ. კედიას სხვა ბარათში (*ქსა, ფ. 139, ანწ. 2, საქ. 139. ფურც. 12*).

უცხოეთში მყოფი ხელმოკლე სტუდენტი თავის გულისტკივილს გიორგი ზდანოვიჩსაც უზიარებდა: „თქვენ, შეიძლება იცოდეთ, რომ ეგ წყარო (სტიპენდია — ო. ჯ.) ჩემთვის ერთადერთია, სხვა მაშველი გარეთ არსად არავინ მყავს და თუ ეს ფულიც რიგზე წესიერად თვის დამდეგს ვერ მივიღე, მეტის-მეტად სახიფათო, საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდები და იძულებული ვიქნები აქედან გაბრუნების საქმე მოვიწყო და სამუდამოდ ჩავიქრო ის იმედის ლამპარი, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრებაში დარჩენას ჩემთვის შესაძლოთ ხდის“ (*ქუთ. ძუგ. კ. ზდანოვიჩის ფ. საქ 1941, ფურც. 1*).

მიუხედავად მრავალი ხელისშემშელი გარემოებისა, სპირიდონი ბეჯითად მეცადინეობდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ავად გახდა და იძულებული შეიქმნა სამხრეთ საფრანგეთში, კერძოდ ქალაქ ტულუზაში გადასულიყო. იგი მდინარე გარონის სანაპიროზე მდებარე ერთი კერძო სახლის მომცრო ოთახში დაბინავდა. მკურნალობის პარალელურად სპირიდონი არც მეცნიერებას მოსწყვეტია და სწავლა იქაურ უნივერსიტეტში განაგრძო. მომდევნო წელს ისევ პარიზს დაბრუნდა, თუმცა მისი ჯანმრთელობისათვის სამხრეთის ჰავა კვლავ აუცილებელი გახდა. სპირიდონ კედია ამჯერად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მახლობლად, ქალაქ მონპელიეში გაემგზავრა და უნივერსიტეტიც იქვე დაასრულა. სამი სერტიფიკატის დაუფლების შემდეგ მან მიიღო დიპლომი „ლისანს ეს სიანს“, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და სორბონში, პროფესორ დასტრის ლაბორატორიაში ფიზიოლოგიის

დოქტორის ხარისხისათის შეუდგა მუშაობას (*სუსა, ფ. 1836, ანგ. 1, საქ. 107, ფურც. 27*). (სხვათა შორის, სადოქტოროდ ჩაფიქრებული ფრანგულენოვანი ნაშრომი ფიზიოლოგიაში, რომელიც რამდენიმე რვეულს აერთიანებდა, 1922 წელს ჩეკისტებმა სპ. კედიას დაპატიმრებისას, სხვა საბუთებთან ერთად მისი თბილისური ბინიდან წაიღეს, როგორც საეჭვო დოკუმენტები).

ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობაზე აღზრდილი სპირიდონ კედია შორეულ საფრანგეთშიც თავის სამშობლოს ჭირვარამზე ფიქრობდა. ცდილობდა, არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც გამოდგომოდა შეჭირვებულ ქვეყანას. მისი ინიციატივით, 1907 წლის იანვარში პარიზში დაარსდა ქართველ სტუდენტთა საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა სხვადასხვა სამეცნიერო, საისტორიო, სიტყვაკაზმული მწერლობისა და პოპულარული წიგნების თარგმნა და გამოცემა, რათა ამ გზით ხელი შეეწყოთ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისა და იდეური მომწიფებისათვის.

საზოგადოების წევრები არჩევდნენ საინტერესო და გამოსადეგ უცხოურ ლიტერატურას, იწყებდნენ მათ თარგმნას და კვირაში ერთხელ ერთმანეთს უკითხავდნენ, უსწორებდნენ და ამგვარად იწაფებოდნენ.

სპირიდონ კედიას განზრახული ჰქონდა ამ საქმეში ევროპის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე თანამემამულე ახალგაზრდობის ჩაბმაც. ასე შეიქმნებოდა იდეურად შეკავშირებული ქართველ სტუდენტთა საერთო საზოგადოება უცხოეთში, რომელიც წინასწარ შემუშავებული და ურთიერთშეთანხმებული გეგმით იმუშავებდა. „ეხლა, როდესაც ჩვენი ხალხის სულიერი მოთხოვნილება ძალზე მომწიფებულია, როდესაც ნიადაგი მზად არის დაითესოს მშობლიურს ნიადაგზედ სწავლა-მეცნიერების თესლი, ... მოვალეობა ერთი ორად გვემატება და ჩვენც რომელსამე გზით მაინც უნდა ვემსახუროთ ჩვენი ღარიბი მწერლობის გამდიდრების საქმეს," — წერდა სპირიდონი თავის გიმნაზიის ამხანაგს დ იმხანად ვენის უნივერსიტეტის სტუდენტს, შემდგომში ცნობილ ისტორიკოსს სარგის კაკაბაძეს (*ლ. კაკაბაძე 1991, №39*).

სამწუხაროდ, ვენელი ქართველები ერთმანეთთან დაპირისპირებულ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში იყვნენ დაქსაქსული და მათი გაერთიანება ერთი იდეის გარშემო ვერ მოხერხდა.

სპირიდონ კედიას მაინც არ დაუყრია ფარხმალი, მით უმეტეს, რომ ქართველი ახალგაზრდების რიცხვი 1908 წლისათვის პარიზში საგრძნობლად გაიზარდა და თითქმის ექვს ათეულს მიაღწია. ამან შესაძლებელი გახადა, ჩამოყალიბებულიყო უფრო ფართო უპარტიო საზოგადოება — სტუდენტთა სათვისტომო.

სათვისტომო საზოგადოდ უმაღლესი სასწავლებლებისათვის დამახასიათებელი ფენომენი იყო. მშობლიურ გარემოს ხანგრძლივად მოწყვეტილი ახალგაზრდები სტუდენტობის პერიოდში სწორედ ეროვნულ სათვისტომოებად ერთიანდებოდნენ. სათვისტომო, ჩვეულებრივ, ერთი კუთხის, ერთი მიწა-წყლის ახალგაზრდებს ეთნიკური პრინციპით აკავშირებდა, განსხვავებით სტუდენტური წრეებისაგან, რომელნიც იდეურ-მსოფლმხედველობრივი პროფილის, პარტიული კუთვნილებისა და ინტერესთა მიხედვით ყალიბდებოდნენ.

პირველი ქართული სტუდენტური სათვისტომო XIX საუკუნის 60-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოცენდა. ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი თერგდალეულთა მძლავრ დაჯგუფებას, რომელმაც შემდგომში წარუშლელი როლი შეასრულა მთელი ქართველი ერის ცხოვრებაში. პეტერბურგის გარდა ქართული სათვისტომოები რუსეთის ყველა და დასავლეთ ევროპის რამდენიმე საუნივერსიტეტო ქალაქშიც დაფუძნდა.

სპირიდონ კედიას სიტყვით, პარიზში ქართული სათვისტომოს ფორმირება ძირითადად ოთხმა გარემოებამ გამოიწვია: „1. სხვადასხვა საერთო მოთხოვნილებათა გასაძღოლად პარიზის ქართველობის ერთად შეყრის, შეჯგუფების საჭიროებამ; 2. ჩვენი სამშობლოს სულიერ ცხოვრება-ვითარებასთან მუდმივ მონაწილეობასა და ურთიერთობაში ყოფნის აუცილებელ საჭიროების შეგნებამ; 3. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საფრანგეთის ცხოვრების პირობების, სწავლა-განათლების და კულტურულ დაწესებულებათა გასაცნობად მუდმივი ხასიათის ორგანიზაციის არსებობის აუცილებელ საჭიროებამ და 4. იმ უმთავრესად, მოსაზრებამ, რომ აქ მომუშავე ქართველს ხელთ ქონდეს მისი ერის სულიერი ნაცხოვრის ავლ-დიდება საჭირო მუშაობის წასამართავად“ (*ხელნაწ. ინსტ. ი. კოკუბაშვილის ფ. საქ. 482*).

ახლად შექმნილი სათვისტომოს თავმჯდომარედ ალექსანდრე ჯანელიძე აირჩიეს. სათვისტომომ დააარსა საკუთარი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, გამოიწერა ქართული და სხვა გაზეთები, შეუდგა საქართველოს შესახებ უცხოურ ენებზე გამოცემული წიგნების შეგროვებასა და სხვა. სტუდენტები ამუშავებდნენ რეფერატებს, ეწეოდნენ „ქართველთა ვინაობისა და რაობის" პროპაგანდას და ცდილობდნენ, მატერიალურადაც დახმარებოდნენ ერთმანეთს. „ამხანაგობის გრძნობა ამ შორეულ ქვეყანაში განსაკუთრებით ძლიერი იყო. ყოველი ახლად ჩამოსული საერთო მზრუნველობის საგანი ხდებოდა. უცხოთა შორის უფრო მწვავედ განვიცდიდით ღვიძლ-კავშირს ერთმანეთთან და შორეულ სამშობლოსთან" — იგონებდა ალექსანდრე ჯანელიძე.

სპირიდონ კედიაც თვლიდა, რომ ქართველ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა უცხოეთში განამტკიცებდა სულიერ კავშირს სამშობლოსა და დასავლეთს შორის სწავლა-განათლების სფეროში, ამ გზით „პირდაპირ, უშუამავლოდ გაიდებოდა ხიდი აზროვნულ-გონებრივ აღებ-მიცემობაში ევროპასთან" და ქართულ ნიადაგში ჩაიყრებოდა „ევროპის სწავლა-მეცნიერების ცხოველმყოფელი თესლი". ამ „სასურველ მოვლენას", სპ. კედიას აზრით, ხალისით უნდა მისალმებოდა ყოველ ქართველი, „ვისაც გული შესტკივა თავის სამშობლოს კულტურულ დაწინაურებაზე", მის უკეთეს მომავალზე.

ქართველი ახალგაზრდობის განსწავლას დასავლეთის მოწინავე უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიეო ცენტრებში ხელი უნდა შეეწყო და დაეჩქარებინა საქართველოს ევროპასთან დაახლობის, ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის დიდმნიშვნელოვანი პროცესი. რაც მეტი ქართველი ეზიარებოდა ევროპულ სწავლა-განათლებასა და კულტურას, მით უფრო გაადვილდებოდა ჩვენი საზოგადოების დასავლურ ღირებულებებზე ორიენტაცია, მომზადდებოდა პირობები ქართულ ცნობიერებაში ევროპის ფაქტორის გასაღრმავებლად და სხვ. სწორედ ამ გარემოებამ გადაწყვეტინა სპირიდონ კედიასა და მის მეგობრებს, დასახმარებლად მიემართათ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის.

ჩვენ ხელნაწერთა ინსტიტუტის სიძველეთსაცავში მივაკვლიეთ ერთ ამგვარ თხოვნას, რომელიც პარიზის ქართველთა საზოგადოების გამგეობის მინდობილობით სპირიდონ კედიამ „დედა ენის" შემოქმედსა და დიდ მამულიშვილს, იაკობ გოგებაშვილს გამოუგზავნა 1908 წლის 20 იანვარს. „გაუწყებთ რა პარიზში

ქართველთა საზოგადოების დაარსებას..., გთხოვთ, როგორც ვამბობ ჩენილ ქართველ მოღვაწეს და ჩვენი ეროვნების ფხიზელ დარაჯს მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი საზოგადოების ნივთიერ გაძლიერების საქმეში დასახულ მისწრაფებათა მისაღწევად" — ვკითხულობთ ამ წერილში (*ხელნაწ. ინსტ. ი. გოგებაშვილის ფ. საქ. 482*).

აღსანიშავია, რომ ასეთივე თხოვნის ბარათი, იმავე თარიღით, სპირიდონ კედიას გიორგი ზდანოვიჩისთვისაც გამოუგზავნია (*ი. ბეჟანაძე 1998, 80-81*).

ეროვნულ და საზოგადო საქმეთა ამ ორ ჭირისუფალს — იაკობ გოგებაშვილსა და გიორგი მაიაშვილ-ზდანოვიჩს სპირიდონ კედიამ დახმარებისათვის პერსონალურად მიმართა, დანარჩენი ქართველი ინტელიგენციის საყურადღებოდ კი მსგავსი თხოვნა გაზეთ „ისრის" ფურცლებზე გამოაქვეყნა: „პარიზის ქართველ საზოგადოების გამგეობა მოუწოდებს კერძო პირებს, გამომცემლობებს თუ საზოგადო დაწესებულებებს, დახმარება გაუწიონ ახლად დაარსებულ საზოგადოებას დასახულ მისწრაფებათა განხორციელებაში ფულით იქნება იგი თუ წიგნებისა და ძველი ქართული ჟურნალების შემოწირვით", — აღნიშნულია მიმართვაში (*„ისარი", 1908, №21*).

პარიზის ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საღამო იყო. მის შესახებ საინტერესო მასალა შემორჩა თვითმხილველთა მოგონებებისა და საჟურნალო კორესპონდენციის სახით.

საქართველოს ყველა კუთხეში გამართული პოეტის საიუბილეო ზეიმების შემდეგ, რასაც საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდა, მოხუცი მგოსანი ევროპაში გაემგზავრა და საფრანგეთში ჩავიდა. პარიზში მყოფი პოეტის საპატივსაცემოდ ქართველმა სტუდენტებმა ფართო შეხვედრის მოწყობა დააპირეს. სურვილი ჰქონდათ, საღამოზე მოეწვიათ საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწენი, ასევე პრესის წარმომადგენლები და სხვა, მაგრამ ეს წადილი ვერ აისრულეს. სამაგიეროდ, შესძლეს პარიზის მთელი ქართველობის შეკრება და 1909 წლის 2 დეკემბერს საპატიო სტუმარს კაფე „ვოლტერში" უმასპინძლეს. „სერობა გამსჭვალული იყო ქართული ელფერით და ერთსულოვნებით, რამაც აკაკიზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“ — მოგვითხრობს ერთ-ერთი დამსწრე წრეთავანი (*ნარკანი 1909, 3-5*).

სიტყვები წარმოთქვეს გრ. გველესიანმა, ალ. გაბუნიამ, ი. ჭეიშვილმა მ. გობეჩიამ, კ. მიქელაძემ, ალ. ჯანელიძემ, გ. კიკვაძემ, ალ. ჯავახიშვილმა და სხვ. აკაკის სახით ქართველი ახალგაზრდები ესალმებოდნენ ლექსის დიდ მეუფეს, რომლის შემოქმედება სამშობლოს ღრმა სიყვარულითა და მომავლის ნათელი რწმენითაა აღსავსე.

საპასუხო გამოსვლაში პოეტმა მიმართა თანამემამულეთ: „...თქვენ იზრდებით აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მაინც ვერაფერი შეუშლის თქვენს გრძნობა-გონების გადიდებას!“ აი, ამიტომაც, თქვენგან მეტს თხოულობს სამშობლო და ჩვენი ნაკლი თქვენ უნდა შეავსოთ!... თქვენც ყოველგვარი გასაჭირი და განსაცდელი უნდა აიტანოთ, უეჭველად მიაღწიოთ მიზანს და მომზადებული დაუბრუნდეთ სამშობლოს!“ თავისი სიტყვა აკაკიმ ექსპრომტად შეთხზული ლექსით დაასრულა:

„...მე, ნამდვილ გმირს, საეროს, თვენს საკადრისს,
თქვენი წრიდან, თქვენგანვე გამოველი,
და ვისურვებ, რომ თქვენ ცდასა და შრომას
უცხოეთში მოემართოს აწ ხელი.“ (*ლ. ახათიანი 1953, 454*).

ამგვარი შეხვედრები სამშობლოს ბედ-იღბალზე მოფიქრალ ახალგაზრდებს იმედს მატებდა, გულში მხნეობას უნერგავდა და თავისუფლების წყურვილს უორკეცებდა.

პარიზის ქართულ სათვისტომოში სპირიდონ კედიას მოღვაწეობის საილუსტრაციოდ საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, სახელდობრ სპ. კედიას წერილს არჩილ ჯორჯაძისადმი, რომელიც 1913 წლის 13 იანვრითაა დათარიღებული.

წერილის დაწერის საბაბი გამხდარა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატის, სოციალისტ-ფედერალისტ ვარლამ გელოვანის ერთ-ერთი საგაზეთო ინტერვიუ-განცხადება — სათათბიროში წამოვაყენებ საქართველოს ავტონომიის საკითხსო (ვ. გელოვნმა ეს პრობლემა მართლაც დასვა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან 1912 წლის 13 დეკემბერს, მგრამ სპ. კედიას წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესანტს ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია ჯერ კდევ არ ჰქონდა მიღებული).

სპირიდონ კედიას ვ. გელოვანის განცხადება მიუჩნევია „ჩუმი მზადების ხმად, რომელიც ახალ საქართველოს სრულიერ მისწრაფებას მესაიდუმლობს“ და გადაუწყვეტია, შეხმიანებოდა არჩილ ჯორჯაძეს — პიროვნებას, ვინც „ქალწულებრივი სიფაქიზით ელოლიავება სამშობლო ქვეყნის გულისცემის საყვარელ ჰანგებს.“

„ვიფიქრე..., რა წამს ინტერვიუს გავეცანი, — წერდა სპ. კედია — ეგების საკმარისი ძალები არ ყვანდენ ეროვნულ იდეის მესვეურ-მებრძოლთ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრების გადაღმაც გასწიონ წინსწარი პროპაგანდა მეთქი. ხოლო ამგვარი მოქმედება გარდაუვალ საჭიროებად ჩავთვალე და მაშინ ჩემს თვალწინ ხორცი შეისხა საზღვარგარეთელ ქართველების მოვალეობამ ამ საქმის მოგვარების სახით.“

პარიზის ქართველობამ ავტონომიის იდეა მოიწონა — აღნიშნულია წერილში შემდეგ, და გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს მის ხორცშესხმაში, რისთვისაც შეიმუშავა შემდგი სამოქმედო პროგრამა: „ვიდრე საკითხი სათათბიროში დაისმებოდეს: ა) გაიმართოს ერთდროული კამპანია გავლენიან პოლიტიკურ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე; ბ) გამოიცეს და დაურიგდეს დეპუტატ-სენატორებს: 1. საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულება (იგულისხმება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი — ო.ჯ.), 2. წიგნაკი შესახებ რუსეთის პოლიტიკისა საქართველოში და სხვ. გ) მოეწყოს პოლიტიკური მიტინგები.“

საფრანგეთში მყოფი ქართველები კისრულობდნენ ყოველგვარი საჭირო მასალის ევროპულ ენებზე თარგმნასა და გავრცელებას. ამასთან, საქმის პრაქტიკულად დაწყებამდე, სპირიდონ კედიას აუცილებლად მიაჩნდა, დაეზუსტებინა: „1. თუ საროდისოდ აპირებს... ბ-ნი გელოვანი საკითხის დასმას და 2. რაზედ ამყარებს უმთავრესად ამ მოთხოვნას: ხელშეკრულებაზე = ისტორიულ უფლებას, — თუ იმ გარდუვალ უფლებაზე, რომელიც ყოველ მომენტში აქვს დაჩაგრულ ერთეულს, მონობის უღელს ბრძოლა გამოუცხადოს“ (*ხელნაწ. ინსტ. ა. ჯორჯაძის ფ. საქ. 80*).

ამ წერილში კარგად მჟღავნდება დაკვირვებული და გონიერი მოღვაწის საღი პოლიტიკური ალღო. სპირიდონ კედიას, საგსებით სამართლიანად, მიაჩნდა, რომ სამშობლოს თავისუფლების გზაზე განხორციელებულ, ყოველ დიდ პოლიტიკურ აქციას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ფართო სამზადისი, უპირვე-

ლესად სწორი ინფორმაციის გავრცელება არა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა შორის, არამედ ავტორიტეტულ და გავლენიან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ასევე საჭიროა პროპაგანდა ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში მათი თანაგრძნობისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით (დღევანდელი ტერმინოლოგიით — საინფორმაციო ომის მოგება).

სხვათა შორის, ამგვარი თვალსაზრისი გამოხატულია სპ. კედიას ერთ შემდეგდროინდელ პუბლიკაციაშიც, რომელიც გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა. მასში ვკითხულობთ: „მოსკოვი და პეტროგრადი დღეს ცენტრია რუსეთის ღონიერი პოლიტიკური ცხოვრებისა. ამ ცენტრებში იჭედება მმართველ წრეებისა და პოლიტიკურ პარტიების მახლობელი იდეალი და სადღეისო ლოზუნგები. საჭირო იყო ამ ქალაქებში ამაღლებულიყო ქართველი ერის ინტერესის დამცველი ხმა. აქ ცენტრში უნდა იმართებოდეს პოლიტიკური კონფერენციები საქართველოს შესახებ, იბეჭდებოდეს და რიგდებოდეს საკანონმდებლო დაწესებულებათა წევრებს შორის შესაფერისი პოლიტიკური ბროშურები. ამ ქალაქების პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა იდგეს მხნე და ენერგიული მებრძოლი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, გაჟღენთილი ეროვნული სულით და აღფრთოვანებული ეროვნული იდეალით. ამ ქალაქებში უნდა ინტენსიურად მოქმედებდეს ქართული სიტყვა და კალამი, რომ გააცნოს პოლიტიკურ წრეებს და ფართო საზოგადოებას ქართველი ერის სულისკვეთება, მისი მოთხოვნა... შეაგნებინოს რუსეთს, რომ როგორც რუსეთისათვის ძვირფასია რუსული ენა, კულტურა, რუსეთის წარსული და აწმყო, რუსეთის ეროვნული თავისუფლების სილაღე და რუსეთის ტერიტორია, სწორედ ასევე ძვირფასია ეროვნულობის თითოეული ჩამოთვლილი ატრიბუტი ქართველისათვის" (*სპ. კედია 1915 ჯ, №98*).

არანაკლებ საინტერესოა ა. ჯორჯაძისადმი გაგზავნილ წერილში წამოჭრილი კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ, გარკვევა იმისა, თუ რა საფუძველს შეიძლება ემყარებოდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა. სპირიდონ კედიას აზრით, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ორი ურთიერთდამოუკიდებელი საფუძველი გააჩნია: პირველი ეს არის ქართველი ერის ისტორიული უფლება — გამოხატული კონკრეტულ დოკუმენტში გეორგიევსკის ტრაქტატის სახით, ხოლო მეორე — დაჩაგრულ ერთა საზოგადო

უფლება — ხმა აღიმაღლოს დამპყრობლის წინააღმდეგ და ბრძოლა გამოუცხადოს მისი მონობის უღელს. ერთიცა და მეორეც საფუძვლიანი არგუმენტი იყო და საერთაშორისო სამართალს მათთვის ანგარიში უნდა გაეწია.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ამ არგუმენტებს პრაქტიკულადაც იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვს ბრძოლაში.

საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემათა შორის იმხანად ერთ-ერთი უმწვავესი ეროვნული ტერიტორიის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხი იყო. მოწინავე ქართველობა აქტიურად იბრძოდა ქვეყნის არსებობისა და მომავლის ეკონომიკური საფუძვლის — ქართული მიწა-წყლის შესანარჩუნებლად. იგი ამხელდა ხელისუფლების მანკიერ პოლიტიკას და არც იმ ქართველ მემამულეებს ინდობდა, რომლებიც თავიანთ სამკვიდროს უცხოტომელებზე ყიდდნენ.

პარიზის ქართველი სტუდენტობა, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი მოვალეობა სამშობლო ქვეყნის წინაშე, უცხოეთიდან მხარს უბამდა ღირსეულ თანამემამულეთა ძალისხმევას. ქართველმა ახალგაზრდებმა ხმა აღიმაღლეს იმათ წინააღმდეგ, ვინც „ფითრს სთესდა ეროვნულ სხეულში". ამ მხრივ საგულისხმოა ჟურნალ „კლდეში" დაბეჭდილი ერთი კორესპონდენცია „პარიზში მოსწავლე ქართველი ამხანაგობის" ხელმოწერით. ეს პუბლიკაცია, სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეროვნულ-დემოკრატთა მომავალი ლიდერის — სპირიდონ კედიას კალმის ნაყოფი უნდა იყოს.

„დღევანდელი მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას ხვალინდელი საქართველოს სულიერი და მატერიალური განძის დაცვა და გამდიდრება ჰმართებს", — ვკითხულობთ სტატიაში. ავტორის აზრით, არც ერთ გადამთიელს უფლება არ უნდა ჰქონდეს საქართველოში ათი-ათასობით დღიური მიწა შეიძინოს. მათ კარგად უნდა შეიგნონ, „თუ რა ყოფნა — არყოფნის საგნად დაუსახავს ქართველობას დაცვა საქართველოს მთლიანობისა, თუ რა სალოცავ ხატად გულს უსვენია ეგ მიწა ნაანდერძევი, წინაპართა სისხლით გაჟღენთილი, წინაპართა თავდადების გოლგოთა, დღესაც კვნესარი ჩვენი ძვირფასი გარდასულების ხმითა!" საქართველოს ავისმსურველთათვის ამ მორალური შეგონების პარალელურად, წერილი შეიცავს გაფრთხილებას როგორც მტრის, ისე მოყვრის გასაგონად: „ქართველობის ღირსება ისე არ დაცემულა, ... რომ მის გრძნობათა და სულისკვეთებას კრძალვით და რიდით

აღარ მოეპყრათ... ისმინოს ყველამ, შინაურმა გამყიდველმა და გარეშე მყიდველმაც: ბოროტმოქმედებათა სიმძიმით წელში დადრეკილი საქართველო და მისი მესაიდუმლე ეროვნულ აღორძინების პოტენციალი, ქართველი ახალგაზრდობა — ვერავის უცნობს იმის უფლებას, რომ სჭრან და აჭრელონ აღმა-დაღმა სხეული ქართველი ერისა“ (*„კოლ“, 1913, 8-9*).

საფრანგეთში გატარებული წლები სპ. კედიასათვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოდგა. მან შეიძინა უმაღლესი სპეციალური განათლება და სათანადო დიპლომიც მიიღო, მაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო არსებითი. მ. ქავთარაძის სიტყვით, ამ წლებმა „სპირიდონის მსოფლმხედველობა გაამდიდრა, განამტკიცა და მყარ ფორმაში ჩამოაყალიბა. მან აქ თვალნათლივ დაინახა, თუ სინამდვილეში რა ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა ცხოვრებაში სოციალიზმს... მან გაიგო, რომ ძლიერსა და განათლებულ საფრანგეთში, რომელიც ეროვნულ ჩაგვრას არ განიცდიდა, პატრიოტობას ახლგაზრდობის აღზრდაში პირველი ადგილი ეკავა. მისთვის აშკარა გახდა იმ გზის მცდარობა, რომელსაც მის სამშობლოში მისდევდნენ, რადგან... არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ მხოლოდ რეჟიმის შეცვლა საქართველოს დამაკმაყოფილებელ მდგომრეობას მოუტანდა“ (*ძ. ჯავთარაძე 1979, 3-4*).

ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვებამ და დასავლურმა სინამდვილემ სპ. კედია კიდევ უფრო დაარწმუნა სოციალისტ-ფედერალისტთაგან თავის ჩამოშორების სისწორეში. სოციალიზმი, თუნდაც ფედერალიზმთან შეუღლებელი არ იყო ის გზა, რომელიც მის სამშობლოს მონობისაგან დაიხსნიდა. „სოციალიზმი შემოქმედი პრინციპი არ არის... იგი სპობს როგორც შემეცნებაში, აგრეთვე პრაქტიკასა და სინამდვილეში ცნებას თავისას, ცნებას საკუთარისას, სპობს საკუთრებას, გადალახავს ეროვნულ საზღვრებს, ფეტიშად იხდის ინტერნაციონალს... იგი პყრობილია პლატონური ტრფიალით, სოლიდარობის გრძნობით, რომელიც ჩამორჩენილი ერის ცხოვრებაში გულუბრყვილო ჰუმანურობამდე და თეორიულ ქრისტიანობამდე მიდის. დემოკრატიულად შეცნობილი და შეგრძნობილი სოციალიზმი შეურიგებელია და თავის შინაარსს მიუკიბ-მოუკიბავად მთელი სისავსით ქადაგებს... მისი არსი უარყოფითია“ — წერდა ეროვნულ-დემოკრატთა მომავალი ლიდერი (*სპ. კედია 1915 ე, №175*).

სპირიდონ კედიამ საბოლოოდ უარყო სოციალიზმიცა და ფედერალიზმიც, საჭირო იყო სხვა გეზი, სხვა არჩევანი, ახალი მიმართულება და სპირიდონ კედიაც გადაჭრით დაადგა იმ კურსს, რომლის კონტურები მკაფიოდ და ნათლად ილია ჭავჭავაძის ნააზრევში გამოიკვეთა. ეს იყო საქართველოს თავისუფლებისა და აღორძინების ერთად-ერთი სწორი გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## II.1. „დიად საქმის დიადი ენთუზიაზმი ჰოობს (ბაზეთ „საქართველოს“ დაარსება)

უცხოეთში გატარებული წლები ნაყოფიერი გამოდგა სპირიდონ კედიასათვის. უმაღლესი განათლების გარდა ევროპაში მან ცხოვრებისეული გამოცდილებაც შეიძინა. მისი ჭაბუკური მაქსიმალიზმი დინჯმა და გააზრებულმა ჭკუა-გონებამ შესცვალა, ხოლო იდეურ-მსოფლმხედველობრივ სფეროში ადრინდელი ფედერალისტური მიდრეკილება ეროვნულ-პატრიოტულმა სულისკვეთებამ დასძლია. სპ. კედიამ თვალნათლივ დაინახა და გააცნობიერა, რომ სოციალისტურ იდეოლოგიას ისეთი პატარა და სხვის უღელქვეშ მოქცეული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველო იყო, არ შეეძლო შვება მოეტანა. იგი არათუ არ პასუხობდა საქართველოს ეროვნულ მისწრაფებებს, არამედ საერთოდაც მცდარი გზით მიჰყავდა ქვეყანა, რადგან ერის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთს უპირისპირებდა და კლასობრივი ბრძოლის სისხლიან მორევში ექაჩებოდა.

საქართველოს ხსნა ეროვნული იდეის ირგვლივ „ყოველი საქართველოს“ მჭიდროდ დარაზმვით, ერის შინგანი ერთიანობითა და მონოლითიური სიმტკიცით შეიძლებოდა. საშობლოს თავისუფლებაზე მეოცნებე სპირიდონ კედია საქართველოში სწორედ ამ მისწრაფებით, გააზრებული გეგმითა და ჩანაფიქრით დაბრუნდა. როგორც დიდ ილიას ხუთი ათეული წლის წინათ, სპირიდონ კედიასაც მოსვენებას არ აძლევდა კითხვები: როგორ შეხვდება ხალხი, საზოგადოება მის განზრახვას? იპოვის კი იგი სოციალიზმის ბანგით გათანგულ ქვეყანაში იმ ადამიანებს, ვისაც თავის გრძნობას გაანდობს, ფიქრს გაუზიარებს? მომავალმა პოლიტიკოსმა პრაგმატულ დასავლეთში ისიც კარგად შეითვისა, რომ არანაირი სერიოზული საქმე — თვით ყველაზე კეთილშობილურიც კი, უსახსროდ არ გამოვა, თუმცა დიდი ძალაა ენთუზიაზმიც. მთავარია დაიწყოს, გადაიდგას პირველი ნაბიჯი, მერე და მერე იქნებ ფულიც გამოჩნდეს.

სპირიდონ კედიას საქართველოში არყოფნის პერიოდში აქაურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილიყო. ილიას სიკვდილმა მხოლოდ დროებით გამოაფხიზლა და შეკრა ქართველობა. მერე ყველაფერი ისევ ძველებურად

წარიმართა. დაქსაქსული და დათითოკაცებული ინტელიგენტები ერთმანეთთან დაპირისპირებული და სამტროდ შემართული პოლიტიკური მიმდინარეობანი თუ პარტიები — ასეთი იყო იმ დროის ქართული რეალობა.

ვის მიმართოს, ვისგან დაიწყოს, ვის გაუმხილოს პირველს თავისი გულისნადები? სპირიდონ კედიამ ნიადაგი ჯერ ფედერალისტებთან, ყოფილ თანაპარტიელებთან მოსინჯა. ამ ორგანიზაციაში არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელ როლს გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა და სხვ. ასრულებდნენ. სპირიდონი გიორგი ლასხიშვილს დაუკავშირდა, პარტიის სოციალიზმისაგან გამიჯვნა და მთლიანად ეროვნულ პოზიციებზე გადაყვანა შესთავაზა.

ახალგაზრდა მამულიშვილის ძალისხმევა ამაო გამოდგა, გიორგი ლასხიშვილი თავის წინადადებაზე ვერ დაიყოლია. ფედერალისტებს სოციალიზმი არ ეთმობოდათ.

პირველი ცდა უშედეგო, მარცხიანი გამოდგა. ცხადია, ამან გული ატკინა, დააღონა, მაგრამ ფრთები არ შეუკვეცია. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა, მიზანი ღირდა ბრძოლად. საჭირო იყო სოციალიზმისაგან განზე მდგომი სხვა ძალების პოვნა, ანდა სრულიდ ახალი ამგვარი დარაზმულობის შექმნა.

„არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა თავმოყრა და შეკავშირება იმ ძალებისა, რომლებსაც ჰქვია არასოციალისტური ეროვნული დემოკრატია, რომლის კულტია საქართველო, რომლის მმართველი იდეა — ეროვნული იდეაა და რომელიც ქვეყნის ქონებრივი და სულიერ-გონებრივი შემოქმედების ბურჯია“, როგორც ამჟამად — წერდა სპირიდონ კედია.

ეს არ იყო მარტივი და ადოლი საქმე, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. საქართველოს პოლიტიკური ასპარეზი იმხანად მარქსიზმს ჰქონდა დაპყრობილი. სოციალ-დემოკრატიის ბანაკში, საქართველოს ავტონომიაც რომ მიუღებლად მიაჩნდათ, თანამოაზრეთა ძიებას აზრი არ ჰქონდა. პატრიოტული სულისკვეთების ეროვნულ-საზოგადოებრივი ძალების თავმოყრა და შეკავშირება შესაძლებელი იყო ახალი დამოუკიდებელი ქართული გამოცემის გარშემო. სპირიდონ კედიამ მტკიცედ გადაწყვიტა გაზეთის დაარსება.

მან იცოდა, რომ ქ. ბაქოში არსებობდა მძლავრი ქართული კოლონია, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მრეწველ-მეწარმენი: ძმები ზუბალაშვილები, აკაკი ხოშტარია, იოსებ დადიანი, თ.

ჯაყელი და სხვ. ისინი თავიანთ სხვა თანამემამულეებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ საქმიანობას. ამ ქალაქში 1909 წლიდან მოქმედებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, გახსნილი იყო ქართული სკოლები, ბიბლიოთეკა, ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვნი იყო ისიც, რომ ბაქოში ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ნაციონალური პარტიის" სახელწოდებით. ორგანიზაციის საპროგრამო მოთხოვნებს საქართველოს ფართო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, დემოკრატიული წეს-წყობილების დამყარება და სხვ. შეადგენდა (*სუსხა, ფ. 94, ანგ. 1, საქ. 433, ფურც. 19*).

ბაქოელ ეროვნულ-დემოკრატთა უმთავრესი ლოზუნგი — „ქართველებო, ყველა კლასისა შეერთდით" — მიზნად ისახავდა ცალკე აღებულ არა პროლეტართა, გლეხურ, თავადაზნაურულ, საეკლესიო და სხვა მისწრაფებებს, არამედ ზოგადქართული, — საერთო ეროვნული ინტერესების სამსახურს (*ალ. ბენდიანიშვილი 1980, 199*). ორგანიზაციას სათავეში ედგა სამთამადნო ინჟინერი და მდიდარი მრეწველი იოსებ დადიანი, რომელიც 1915 წლის დამდეგიდან ქათველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე ასათიანის სიტყვით, იოსებ დადიანს პირადი ქონება „ეროვნულ სალაროდ ჰქონდა გადაქცეული". სამშობლოს კერაზე არ მიტანილა არც ერთი ნაკვერცხალი, მის ასაღვივებლად და ასანთებად, რომელსაც არ მისწვდენოდეს ი. დადიანის ხელი. ქართულ სკოლას, ეკლესიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას თუ სხვ. ი. დადიანი უწევდა დახმარებას „თაოსნობით, შრომით, ქონებრივი სახსრით" (*ალ. ასათიანი 1937 ა, 38–39*).

ცნობილი ქველმოქმედები და ეროვნულ საქმეთა დიდი ჭირისუფალნი იყვნენ ავრეთვე ბაქოსა და სპარსეთში მოღვაწე აკაკი ხოშტარია, ძმები ზუბალაშვილები და სხვ. ყველა ამათი იმედით სპირიდონ კედია ბაქოში ჩავიდა. იქაური შეძლებული ქართველობა მოწონებით შეხვდა ახალგაზრდა თანამემამულის განზრახვას, დიდი ნდობა გამოუცხადა და თანადგომაც აღუთქვა მას.

აღსანიშნავია, რომ ბაქოელმა ქართველებმა მომავალი გაზეთისათვის გარკვეული თანხაც გაიღეს, რომელიც სპირიდონ კედიას გადაეცა. ეს თანხა უმთავრესად სტამბის შეძენას მოხმარდა (*ძ. ჯუთარაძე 1979, 4; ტ. ყაფლო 1961, №43*).

თბილისში იმ დროს გამოდიოდა ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „კლდე". იგი ყოველკვირეული გამოცემა იყო 700-750-იანი ტირაჟით და თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე უკვე მოესწრო გაეტეხა „უიმედობით დაბურული ცხოვრების ტყე". ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყო ეროვნულ მოღვაწეთა მტკიცე ჯგუფი რევაზ გაბაშვილის, შალვა ამირეჯიბის, შალვა ქარუმიძის, დავით კასრაძის, დავით ვაჩნაძის, დიმიტრი ჯავახიშვილის, ეროდიონ სონღულაშვილის, ალექსანდრე სარაჯიშვილის, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) და სხვ. შემადგენლობით. სპირიდონ კედიამ ახლა ამ ჯგუფის წევრებს მიმართა. მიღწეულ იქნა შეთანხმება, „კლდის" ბაზაზე დაეფუძნებინათ ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ჟურნალთან შედარებით უკეთ მოახერხებდა იმავე მიზნების სამსახურს და „ქართული ეროვნული მომავლისაკენ გაჭრილ ბილიკს" კიდევ უფრო გააფართოებდა.

გაზეთის დაარსებისათვის სახსრების მოძიება საქართველოშიც გაგრძელდა. ქუთაისის არქიმანდრიტმა ნაზარმა ამ საქმისათვის 800 მანეთი გამოგზავნა, ხოლო თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) თავადაზნაურთა მარშალმა დიმიტრი ჩოლოყაშვილმა 5000 მანეთი გაიღო (*ლ. ვაჩნაძე 1992 ა, 127*). ახალი გაზეთის დამფუძნებლებს მატერიალური დახმარება გაუწიეს აგრეთვე თბილისში თევზეულით მოვაჭრე ძმებმა ძეგველაშვილებმა და სხვა კერძო პირებმა (*ტ. ცოცანავა 1962, 37*).

ევროპაში უკვე მძვინვარებდა პირველი მსოფლიო ომის ხანძარი. საქართველო, როგორც ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს — რუსეთის შემადგენელი ნაწილი, ძალაუნებურად აღმოჩნდა ჩაბმული ამ ომში. ამასთან, ოსმალეთთან გაჩაღებულმა საბრძოლო შეტაკებებმა ჩვენი ქვეყანა ფრონტისპირა მხარედ აცია. ასეთ პირობებში ეროვნული სულისკვეთების გაზეთის დაარსება მეტად ძნელი და სარისკო ჩანდა.

ადმინისტრაცია ეჭვით უყურებდა პატრიოტულ გამოცემებს. „კლდის" რედაქციასა და ცენზურას შორისაც მუდმივი დაპირისპირება არსებობდა. ჟურნალის მესვეურთა წრეში მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის შერჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. ამ როლს ვერც სპირიდონ კედია იკისრებდა, იგი ხომ საპყრობილიდან ახალი გამოსული იყო.

უნდა გამოძებნილიყო ხელისუფლების თვალში „კეთილსაიმედო“ რეპუტაციის მქონე ნეიტრალური პიროვნება, რომელიც მომავალ გამოცემას გაუძღვებოდა. არჩევანი ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტსა და დრამატურგ სანდრო შანშიაშვილზე შეჩერდა. იგი ციურიხისა და ბერნის უნივერსიტეტებში მეცნიერების სხვადასხვა დარგებს ეუფლებოდა, მაგრამ 1914 წლის ზაფხულზე სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსულს, მსოფლიო ომმა სწავლის დამთავრების საშუალება აღარ მისცა.

ს. სანშიაშვილმა 1915 წლის 12 თებერვალს თბილისის გუბერნატორისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა, გამოეცა ყოველდღიური პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული და ილუსტრირებული ქართულენოვანი გაზეთი. მის სახელწოდებად „საქართველო“ შეირჩა. ახალი გაზეთის პროგრამა ასე განისაზღვრა: 1. სააგენტოთა დეპეშები: 2. მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი; 3. საშინაო და უცხოური ქრონიკა; 4. კავკასიის, რუსეთისა და უცხოეთის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების მიმოხილვა; 5. ცალკეული სტატიები ადგილობივი საერთო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხებზე; 6. სტატიები სოფლის მეურნეობაზე და მეოჯახეობაზე; 7. პოპულარული და სამეცნიერო-პოლიტიკური წერილები; 8. საშინაო და საგარეო მიმოხილვა; 9. ფელეტონები დღის თემებზე; 10. საზოგადოებრივი, სასამართლო და სამეცნიერო ორგანიზაციების ანგარიშები; 11. ბელეტრისტიკა, მოთხრობები, ლექსები; 12. თეატრი და ხელოვნება; 13. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 14. კორესპონდენციები; 15. საცნობარო განყოფილება; 16. საბირჟო ცნობები და სხვადასხვა საქონელზე ბაზრის ფასები; 17. ცნობილ ადამიანთა პორტრეტები, კარიკატურები, ილუსტრაციები; 18. იუმორი და განცხადებები; 19. ნარევი; 20. წერილები რედაქციას (*ს.ს.ს., ფ. 480, ანგ. 2, საქ. 1088, ფურც. 1-2*).

„საქართველოს“ გამომცემლისა და პასუხისმგებელ რედაქტორის პოსტზე სანდრო შანშიაშვილი დამტკიცდა. ზემოთ ხსენებული „კლდის“ ჯგუფის გარდა, გაზეთმა შემოიკრიბა ქართველი

ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები, რომელთა შორის აღსანიშნავია შითა ბაგვისპირელი, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, კოტე მაყაშვილი, გერონტი ქიქოძე, სანდრო ახმეტელი, რაფიელ ინგილო (ივანიცკი), დავით ჩიქოვანი და სხვ.

რედაქციამ ბინა დაიდო მოსკოვის ქუჩაზე მდებარე ეკატერინე გაბაშვილის სახლში, რომლის სამი ოთახი მწერალმა ქალმა უფასოდ დაუთმო გაზეთის გამომცემლებს (*ს. ბანშაშეილი 1977, 68*).

„საქართველოს" პირველი ნომერი 1915 წლის 24 მაისს გამოვიდა. იგი იხსნებოდა მოწინავე წერილით, რომელიც მკითხველს აცნობდა რედაქციის მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული იყო, რომ გაზეთის გამოცემა მძიმე მომენტში იწყებოდა. დასავლეთ ევროპა, რუსეთი და ჩვენი სამშობლოც ომის ალშია გახვეული, ძველ ჭეშმარიტებებსა და იდეალებს საფუძველი ეშლებათ, ხოლო ახალი ცხოვრების სახე ჯერაც გაურკვეველია. ასეთ ვიტარებაში, რედაქციის აზრით, „უწინარეს ყოვლისა ეროვნული თავდაცვის ორგანო გვესაჭიროება. სადღეისო საკითხი ეროვნული ძალების თავმოყრა და დარაზმვაა. ხვალ მათი ამოძრავება დაგვჭირდება". „საქართველოს" მესვეურებს თავიანთი გაზეთი სწორედ ასეთ ორგანოდ ჰქონდათ წარმოდგენილი, ამიტომ იგი არ უნდა ყოფილიყო ვიწრო ჯგუფური და არც ვიწრო კლასობრივი. ახალ გამოცემას მთელი ერის ინტერესების დაცვა უნდა ეკისრა, „პარტიული მართლმორწმუნოება-სულიერი ხალვათობისა და მუდმივი ეჭვიანობისათვის თავისუფალი ძიება დაეპირისპირებინა."

მოწინავეში შემდეგ გამოკვეთილი იყო საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი ის ეროვნული პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებას მტკიცედ შეკრული და საერთო იდეით განმსჭვალული მთელი ერის ძალისხმევა უნდა მოხმარებოდა. უპირველესი მნიშვნელობის საკითხად, „ურომლისოდ ყოვლად შეუძლებელია ეროვნული შემოქმედება", დასახელებული იყო ტერიტორია.

ეროვნული თვითმმართველობის (წაიკითხე — თავისუფლების — ო. ჯ.) მიღწევის საფეხურებად გაზეთის რედაქციას ქართული სკოლა და ეროვნული ეკლესიის თვითმწყემსობა მიაჩნდა. დიდი როლი ენიჭებოდა აგრეთვე ეროვნული მეურნეობის, წარმოებისა და აღებ-მიცემობის განვითარებას. ხაზგასმით იყო მითითებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ნამდვილი თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ისეთ ერს შეუძლიან, რომელმაც სათანადო დისციპლინა და საქმიანობის უნარი გამოიჩინა ეკონომიკურ სფეროში.“

„ჩვენ ვიცავთ ეროვნულ თავისებურობას და არა განკერძოებას და კარჩაკეტილობას“ — აცხადებდნენ გაზეთის დამფუძნებლები. გვწყურია ვეზიაროთ თანამედროვე მოწინავე ერების კულტურას, მაგრამ არ გვინდა, რომ ერთი რომელიმე ერის გავლენას დავემორჩილოთ. დაწინაურებული და კულტუროსანი ქვეყნების გამოცდილება ჩვენ ბუნებასა და მოთხოვნილებებს უნდა შევუფარდოთ, სხვანაირად „თავს ვერ დავაღწევთ უმწეო და მონურ წაბაძულობას, რომელიც უნიჭო და სუსტ ერთა ხვედრია“ — ნათქვამი იყო იქვე.

წერილის დასასრულს გამოთქმული იყო რწმენა, რომ „დიად საქმეს დიადი ენთუზიაზმი შობს“ და, რომ საქართველოში „ბლომად მოიპოვება ის მდუღარება სულისა“, რომელიც დასახულ მიზანს რეალობად აქცევს (*„საქართველო“ 1915 ა, №1*).

„საქართველოს“ პირველი ნომრის მოწინავეს შემთხვევით არ დავუთმეთ ასეთი ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სარედაქციო წერილი ხელმოუწერლად დაიბეჭდა, ჩვენ მის ავტორად სპირიდონ კედია მიგვაჩნია. საამისოდ მრავალი არგუმენტი არსებობს, მათ შორის სპ. კედიას ხელმოწერილი სხვა პუბლიკაციები ამავე გაზეთის ფურცლებზე, რომლებშიც დაბეჯითებით სწორედ იგივე აზრებია გატარებული. ამასთან, საგულისხმოა სპირიდონ კედიას სტილიც — ოდნავ ამაღლებული და დახვეწილი, რომელიც საერთოა მისი ნაწერებისათვის და განირჩევა „საქართველოს“ სხვა ავტორთა წერის მანერისაგან. სანიმუშოდ გაზეთის დასახელებულ ნომერში დაბეჭდილი სპ. კედიას ერთი სტატიის მოკლე ნაწყვეტიც გამოდგება. „ეროვნული სხეული მაგრად, მტკიცედ უნდა იდგეს მჭიდრო ტერიტორიაზედ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მისი აკვანიცაა და საფლავიც“, — წერდა ეროვნულ-დემოკრატთა მომავალი ლიდერი. „არ ვეკრძალვით ვსთქვათ, ჩვენი მისწრაფების ლურსმანი სწორედ ამ აკვან-საფლავის დაცვაა, საქართველოს საზღვრების აღდგენაა. ... საქართველო ყველა ქართველისაა“ — მიუთითებდა ავტორი. „მისი საზღვარი ყველა ჩვენის საზღვარია. მაშ ნუღა ვიქნებით გათიშული ამ თავი და თავი საკითხის გარშემო. ფსიქოლოგიურად შემოვიმიჯნოთ თავი

ჩვენი და ნივთიერი ზღუდე გარშემოუდგათ ჩვენსა ქვეყანას" (*კედია 1915 ა, №1*).

ახალი გაზეთის დანიშნულება სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეებს ასე წარმოედგინათ: „ერის ძირითადი ინტერესების დაცვა, მისი მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ქვეყნის მმართველი იდეის შექმნა და მაგიერობა იმ ორგანოს, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილ ერში ამ იდეის განაღდებას და განხორციელებას ემსახურება."

„საქართველოს" გამოსვლამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. საზოგადოდ, ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული მოვლენა იყო, რომელიც თავისთავად იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა უმეტესობამ ახალი ეროვნული გამოცემა მხოლოდ საკუთარი სამრეკლოდან შეაფასა. სოციალ-დემოკრატებისათვის მიუღებელი იყო „კლასთა თანხმობა და თანამშრომლობა". მათ ვერც კი წარმოედგინათ ერთიანი ეროვნული ინტერესების არსებობა. ამიტომ ამ მიმართულების პრესა ეჭვით შეხვდა „საქართველოს" განზრახვა-ჩანაფიქრს. გაზეთი „ახალი კვალი" შენიშნავდა: „საქართველოს მიმართულება არც ისე ახალია. ის აღმოცენდა ჟურნალ „კლდის" საფუძველზე, რომელმაც „გაბედულად უკუაგდო სოციალისტური სამოსელი და ნაციონალურ ბურჟუაზიული დროშით მოევლინა ჩვენს საზოგადოებას". „საქართველოს" სურს აწარმოოს ზეკლასიური პოლიტიკა... ეს ძველებური ხერხია: კლასიურ პოლიტიკას ეროვნულად ასაღებენ, ეროვნულ მანტიაში „ვიწრო ჯგუფობრივ" ინტერესებისათვს იბრძვიან, ეს ჩვენს მკითხველს კარგად უნდა ახსოვდს" (*„ახალი კვალი", 1915, №5*).

გაზეთ „თანამედროვე აზრის" სიტყვით, „ყველა ჯურისა და ფერის ნაციონალისტს თავის თავი მთელი ერის დამცველად და ჭირისუფლად მოაქვს, თუმცა ნამდვილად იგი ერთი კლასის და ისიც გაბატონებულის მებაირაღტრეა. „საქართველოც", რასაკვირველია, ზეკლასიურ დროშას აფრიალებს... ეს არის დროშა მებრძოლი ნაციონალიზმის" (*„თანამედროვე აზრი", 1915, №69*).

ფედერალისტური „სახალხო ფურცელი" თავის მკითხველს მოკლედ აუწყებდა „საქართველოს" პირველი ნომრის გამოსვლას, აცნობდა მისი სარედაქციო წერილის ძირითად დებულებებს და დასძენდა: „საქართველოს" საქმიანობის სრული სურათი მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ წარმოგვიდგება, როდესაც ყველა ეს საკითხი შინაგანი თვისებებით ერთმანეთს შეუთანხმდება და ერთ მთლიან მიმართულებად იქცევაო" (*„სახალხო ფურცელი", 1915, №290*). სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ეს მომლოდინე პოლიტიკა სულ რაღაც 5 თვის შემდეგ შეუნიღბავ აგრესიასა და დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1915 წლის 12 ოქტომბერს, ახლად დაარსებული გაზეთი „ზვირთი" წერდა: „ქართველ საზოგადოებაში ეხლა არც ერთი ჯგუფი ისე შორს არ არის ჩვენგან, როგორც „საქართველოელთა" ჯგუფი... წინათ ჩვენ და მათ გვაახლოებდა ეროვნული საკითხი, იმიტომ რომ ეროვნულ-პოლიტიკური სახე არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული. ეხლა ეს ბურჟუაზიულ-ფეოდალური წრეები აშკარად დაადგნენ შოვინიზმის გზას და პაწია იმპერიალისტების პოლიტიკას... თუ აწმყო არ წყალობს „საქართველოს", უეჭველია მომავალი მისი სამარეა" (*„ზვირთი", 1915, №1*) — წინასწარმეტყველებდა ფედერალისტი პუბლიცისტი.

ცოტა მოგვიანებით „სახალხო ფურცლის" თანამშრომელი მიუთითებდა: „საქართველო" არ შეიძლება იყოს სერიოზული მიმართულების ორგანო, ვინაიდან სერიოზულობა და გამოურკვევლობა შეუძლებელია". გამოურკვევლობაში ავტორი გულისხმობდა იმას, რომ ვითომდა „გაზეთ „საქართველოს" არ მოეპოვება სოციოლოგიური კონცეპცია და პოლიტიკური დოქტრინა" (*თ. ღლონტი 1915, №558*).

ერთადერთი გამოცემა, რომელიც კმაყოფილებით მიესალმა სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეთა ახალ ორგანოს, ქუთაისში გამომავალი გაზეთი „სამშობლო" იყო. მის ფურცლებზე ვკითხულობთ: „სიამოვნებით ვეგებებით გაზეთ „საქართველოს". ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ მადლი საქართველოს ჭირნახულობისა არ დაიკარგებოდა და ერთხელაც იქნებოდა საქართველოს საუკეთესო შვილნი თავს გამოიდებდნენ ჩვენი სამშობლოს სახელით, ამავე სამშობლოს ასაყვავებლად და გასაძლიერებლად. ჩვენც ჩვენს სუსტ ძალ-ღონეს ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას ვახმარდით და რაკი ამ დღეს მოვესწარით, რომ „საქართველოს" გარშემო შემოიკრიბნენ ფხიზელი ძალები, სიხარულით გილოცავთ, მკითხველებო" (*„სამშობლო", 1915, №82*).

გაზეთ „საქართველოს" მრწამსი და სულისკვეთება კარგად ჩანს 1915 წლის ერთ მეთაურ წერილში, რომელიც ცენზუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ლამის გაუნახევრებია. მოწინავის ავტორი სპირიდონ [illegible] წერდა: „ჩვენი სიტყვის და საქმის საგანია: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს“, ყოველდღიური საქმიანობა ამის მისაღწევად და ამ მიზნით უნდა იქნას გაშუქებული“ (*სპ. [illegible], 1915 ბ, №37*). ეს არსებითად სამშობლოს თავისუფლების ილია ჭავჭავაძისეული ლოზუნგის გაცოცხლება იყო უილიო საქართველოში.

მართლაც, „საქართველოს“ დამფუძნებლებმა ფარზე აზიდეს ილიასაგან წარმოჩენილი და ხაზგასმული ტრიადა — „სამი ღვთაებრივი საუნჯე — მამული, ენა, სარწმუნოება“ და სიტყვით თუ კალმით მათი დაცვა-შენარჩუნებისათვის იწყეს ბრძოლა. გაზეთის პუბლიცისტებს მშობლიური ენა ქართველი ერის მორალური სიმდიდრის პანთეონად მიაჩნდათ, ქართული ეკლესია — ქართველი ხალხის სულიერი სიდიადის, საქართველოს მიწა-წყალი კი ერის ქონებრივი სიდიადის პანთეონდ. „დედა ენა, ეროვნული ეკლესია და ეროვნული ტერიტორია, — აი, დღევანდელი სამი მცნება ყოველი ქართველისა, რომელმაც იგი გულში ჩახუტული უნდა ატაროს... ქართველმა ერმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს განძი ის სამი ბურჯია, რომელზედაც აღორძინდება მომავალი ძლიერი საქართველო“ (*[illegible] 1915, №8*).

„საქართველო“ მყისვე ეხმაურებოდა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და მათ შესახებ პირუთვნელ აზრს გამოთქვამდა. გაზეთი იშვიათად გამოვიდოდა მეთაური წერილის გარეშე. ყოველი მოწინავე ერის ამა თუ იმ საჭირბოროტო პრობლემას ეხებოდა, მკითხველს ნათლად და მკაფიოდ განუმარტავდა საკითხის არსს, მიუთითებდა მოსალოდნელ საფრთხესა და შესაძლო სარგებლიანობაზე. წერილებს გამოარჩევდა მკვეთრად გამოხატული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესი, სიმართლისაკენ სწრაფვა და ჭეშმარიტების ძიება, მომავლის რწმენა და იმედი. გაზეთი უპირატესობას ზომიერ და თავდაჭერილ ტონს ანიჭებდა.

ცენზურის სულისშემხუთველ ატმოსფეროში ძნელი იყო მკითხველისათვის აზრისა და სათქმელის პირდაპირ გაზიარება, მაგრამ „საქართველოს“ პუბლიცისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც ახერხებდნენ ამას. გაზეთი მტკიცედ ესწრაფოდა საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თუმცა ამ ცნებათა საჯაროდ გამოყენებას ერიდებოდა. ამის მიუხედავად, დაკვირვებული და საზრიანი მკითხველი ადვილად მიხვდებოდა,

რომ „ეროვნული თვით-აღდგენა“, რომელიც „საქართველოს“ ყველა ქართველის უდავო დევიზად“ მიაჩნდა („*საქართველო*“, *1915 ბ, №167*), სხვა არაფერი იყო, თუ არა სამშობლოს თვითმპყრობელობის უღლისაგან თავდახსნა, მისი თავისუფალი, სახელმწიფოებრივი განვითარება. ამის მიღწევის უმთავრეს პირობად გაზეთს „ეროვნული ერთობა ესახებოდა. „ამას ვემსახუროთ, ამაზედ ვწეროთ, ეს ვიქადაგოთ“ — მიუთითებდა გამოცემის ერთ-ერთი ნომრის მოწინავე.

„საქართველოს“ მესვეურებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ, „რაც კეთილშობილება, მაღალი ზნეობა, სიფაქიზე და პატიოსნება გაზეთის მუშაკსა და ხელმძღვანელს მოეთხოვება, იმდენი იშვიათად თუ ვინმეს მოეკითხება“ (*ძველი საქართველო 1916, №152*). რედაქცია ერთგულად იცავდა მისსავე პრინციპს: „დიდი მამულიშვილობა და მორალური სიმტკიცე ჰმართებს, ვინც სათავეში მოქცევია ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას თუ სხვადასხვა ქართულ დაწესებულებას. ... ყველგან, ყოველს ადგილზე უნდა იდგეს პიროვნება, რომელსაც ესმის მშობლიური ქვეყნის განცდანი, სწამს ქართული საქმე და მომავალს იმედით შეჰყურებს“ („*საქართველო*“, *1915 ბ, №167*).

თანამედროვენი „საქართველოს“ ევროპული დონის გამოცემად მიიჩნევდენ. ამაში, ცხადია, არ იგულისხმება გაზეთის ტექნიკური მხარე და პოლიგრაფიული მახასიათებლები. ამ მხრივ „საქართველოს“ შესაძლებლობანი ერთობ მოკრძალებული იყო. შედარებისას ყურადღება ძირითადად პუბლიკაციათა ანალიტიკურ ხასიათზე, მასალის შინაარსობრივ ღირსებებზე და საერთო სტილზეა გამახვილებული, რითაც ქართული გამოცემა მართლაც რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ტიციან ტაბიძის სიტყვით, „საქართველოს“ ეტყობა მეტი ევროპულობა, შეიძლება ითქვას, წერის ფრანგული მანერა. ეს სპირიდონ კედიას ხელია“ (*ე. ბაგული 1920, №2*).

მიხეილ მაჩაბელი წერდა, რომ „საქართველო“ ჩინებული გაზეთი დადგა... ჯანსაღი მიმართულება, სწორი კურსი, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და გულწრფელობა მოს-

ჩანს მის ხელმძღვანელობაშიო“ (*ხელნაწ. ინსტ. ძ. ძაჩაღლოს ეროვნული ბიბლიოთეკა 840*).

„საქართველოს“ უმთავრეს თანამშრომელთა შორის სპირიდონ კედიასა და ყოფილ „კლდეელთა“ გარდა უნდა დავასახელოთ: ნიკო ნიკოლაძე, ვასილ ბარნოვი, გიორგი გვაზავა, ალექსანდრე ასათიანი, გრიგოლ ვეშაპელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, ივანე მაჭავარიანი, ივანე ზურაბიშვილი და სხვ. გაზეთმა თავისი არსებობის 6 წლის მანძილზე რამდენიმე რედაქტორი გამოიცვალა.

დაარსებიდან 1917 წლის 12 აპრილამდე გამოცემას სანდრო შანშიაშვილი უძღვებოდა. იგი რედაქტორის პოსტზე გრიგოლ ვეშაპელმა შეცვალა. როდესაც ეროვნულ-დემოკრატთა შორის განხეთქილება მოხდა და პარტიის მთავარ კომიტეტს წევრთა ერთი ნაწილი გამოეყო დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატების (იგივე ეროვნული, იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია) სახით, გ. ვეშაპელი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ მოგვევლინა. ბუნებრივია, იგი „საქართველოს“ რედაქტორად ვეღარ დარჩებოდა და არც დარჩენილა. მან ჯერ გაზეთი „კლდე“ დააფუძნა, რომელიც მოგვიანებით „სალი კლდის“, „პიტალო კლდის“, „ნაციონალისტისა“ და „მიწის“ სახელწოდებით გამოიცემოდა.

1918 წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან „საქართველოს“ გაძღოლა გერონტი ქიქოძეს დაეკისრა. მისი რედაქტორობით გაზეთი 1919 წლის 18 მაისამდე გამოდიოდა. ამის შემდეგ კი გამოცემას უშუალოდ სპირიდონ კედია ხელმძღვანელობდა (გ. ქიქოძე საერთოდ გავიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან). სპირიდონისთვის, ცხადია, ძნელი იყო ერთდროულად პარტიის თავმჯდომარეობა, დამფუძნებელ კრებაში მოღვაწეობა და ყოველდღიური ორგანოს რედაქტორობა, მაგრამ იგი თავდაუზოგავად მუშაობდა და ყველაფერს ასწრებდა. მის მოუცლელობას არც ერთი საქმისათვის ხელი არ შეუშლია. გაზეთის პოპულარობა მატულობდა, ფართოვდებოდა მკითხველთა და ხელისმომწერთა რაოდენობა, იზრდებოდა ტირაჟიც, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა...

„საქართველოს“ უკანასკნელი ნომერი 1921 წლის 23 თებერვალს დაიბეჭდა, როდესაც ბოლშევიკური ურდოები თბილისის

კარიბჭეს შემოადგნენ და დედაქალაქში შემოჭრილი მტრის ნაწილ-ბაზანთა ქუხილი ისმოდა.

## II.2. „დიდი ჯარი ჩვენი იდეის“ (ეროვნულ-დემოკრატიული ჯარტიის დაფუძნება)

სპირიდონ კედიას ნაღვაწ-ნაამაგარ საქმეთაგან ერთ-ერთი უმთავრესია დიდი ილიას იდეის ხორცშესხმა, ბრძენკაცის დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინება, რაც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებით გამოიხატა. „ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება სუფევს საქართველოში მას აქეთ, რაც საქართველომ ცნო თავი მოტყუებულად რუსეთის მიერ და ნაცვლად პროტექტორატისა და დაცვისა, მოახდინა ანექსია საქართველოსი“ — წერდა ექვთიმე თაყაიშვილი. მართლაც, საქართველოს თავისუფლებისათვის დაწყებული ბრძოლა XIX საუკუნის დამდეგიდანვე გამოკვეთილი ეროვნული ნიშნით წარიმართა. თვითმპყრობელობის იმპერიულ რეჟიმთან დაპირისპირებული ქართველი ხალხის მებრძოლი სულისკვეთება ეროვნულ იდეოლოგიაში გამოვლინდა. ეროვნულ-დემოკრატიზმი სახელმწიფოებრიობაწართმეულ და კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული ერის განმათავისუფლებელ მოძღვრებად იქცა.

ილია ჭავჭავაძის და მის თანამოსაგრეთა ნააზრევში მომწიფდა მომავალი ეროვნული პარტიის იდეური საფუძვლებიც, თუმცა თერგდალეულთა თეორიული შეხედულებების პოლიტიკურ ყალიბში ჩამოსხმასა და დამოუკიდებელ ორგანიზაციად ფორმირებას თითქმის 6 ათეული წელი დასჭირდა.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, საეჭვოდ აზვირთებული და ჯებირებს გადასული სოციალ-დემოკრატიული ტალღის საპირისპიროდ ილიამ სცადა პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება ეროვნულ და დემოკრატიულ ნიადაგზე. სპირიდონ კედიას სიტყვით, „ილია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური პარტიის დაარსება და 1905 წელს იგი ეროვნულ-დემოკარტიულ პარტიას აარსებს. მას აზრად აქვს, ამ პარტიის მხრებზე გადმოასვენოს ის ტვირთი, რომელსაც საქართველო ერქვა და რომელიც მან მთელი ორმოცდაათი წელი მარტოდ-

მარტო ზიდა და ატარა როგორც ერის ბელადმა“ (*ს. კეთა 1988, 32*).

სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის თაოსნობა მაშინ საბოლოოდ ვერ დასრულდა. პოეტის მუხანათურმა მკვლელობამ კი მისი განზრახვის ხორცშესხმა კიდევ უფრო შორს გადასწია. პირველი არასოციალისტური პარტიის დაფუძნება საქართველოში ბედმა სპირიდონ კედიას დააკისრა.

ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილი თავდაპირველად სოციალისტ-ფედერალისტთა წიაღში გაერთიანდა და მისი მემარჯვენე ფრთა შეადგინა. ამ მსოფლმხედველობის მიმდევართ ფედერალისტებთან საქართველოს ავტონომიის ერთგულება აკავშირებდა, სოციალისტური პრინციპები კი იმთავითვე გათიშვისა და განცალკავების საფუძველს ქმნიდა. ამ ნიადაგზე შეუთავსებლობამ მართლაც მალე გაყარა ხსენებულ მიმდინარეობათა გზები. 1906 წლის ზაფხულში ეროვნულ-დემოკრატთა დიდი ჯგუფი ფედერალისტურ პარტიას ჩამოშორდა, თუმცა დამოუკიდებელ პოლიტკურ ორგანიზაციად არ ჩამოყალიბებულა.

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ერთი მძლავრი ნაკადი 1909 წელს ჟურნალ „ერის“ გარშემო წარმოიშვა (პეტრე სურგულაძე, გიორგი გვაზავა, ნიკო ლორთქიფანიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სვიმონ ყიფიანი და სხვ). სხვა, არანაკლებ ძლიერი გაერთიანება აღმოცენდა 1912 წელს, რომელმაც ჟურნალი „კლდე“ დააარსა (რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, შალვა ქარუმიძე, დავით ვაჩნაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დავით კასრაძე და სხვ.). ამავე პერიოდში კიდევ ერთი ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი ჩამოყალიბდა ქუთაისში (ვასილ წერეთელი, გრიგოლ ჭელიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ია ეკალაძე, იოსებ ოცხელი, ალექსანდრე თორაძე). იგი 1912 წლის ოქტემბრიდან გაზეთ „იმერეთს“, ხოლო 1915 წლის იანვრის ბოლოდან გაზეთ „სამშობლოს“ გამოსცემდა.

დასახელებული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა კიდევ უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოიკვეთა, ამასთან, იგი თანდათანობით პოლიტიკური პროგრამის ჩარჩოებში მოექცა, რითაც ხელი შეუწყო და დააჩქარა მომავალი პარტიის იდეური და ორგანიზაციული ფორმირება. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პრესის მეშვეობით ქართველი საზოგადოების

სხვადასხვა წრეები უფრო ახლოს გაეცნენ ამ მოძრაობის დადებ-
არსს და იმ ადამიანებსაც, რომლებმაც თავს იდეს ილია ჭავჭავ-
ძისა და მის თანამოაზრეთაგან დაწყებული საქმის გაგრძელება.

ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია რთულად და წი-
ააღმდეგობრივად მიიკვლევდა გზას. მიხეილ ქავთარაძის სიტ-
ყვით, „ახალი ეროვნული პარტიის რიგების შესადგენად თითქოს,
თეორიულად მაინც, ხალხის პოვნაც კი გაძნელებულად ჩანდა,“
მაგრამ საქმიანი, მართალი და პრინციპული სიტყვა ნელ-ნელა
ეფინებოდა ხალხში, ხოლო „შეგნებულ ქართველთა გულსა და
გონებას ისე ხვდებოდა ვით, სანატრელი წვიმა დაგლოვილ მი-
წას“ (*ძ. ჯუთარაძე 1979, 4*).

სპირიდონ კედია მომავალი პარტიის წევრებსა თუ მიმდევ-
რებს ერთი რომელიმე კლასის წიაღში როდი ეძებდა. მისი ასპა-
რეზი სრულიად საქართველო და მთელი ქართველი ერი იყო, გა-
ნურჩევლად წოდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

პოლიტიკური ორგანიზაციის დასაფუძნებლად სპირიდონ
კედიამ პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულების ქუთაისური და
თბილისური ჯგუფების გაერთიანებით დაიწყო. ამასთანავე, პარტი-
ის მომავალი თავმჯდომარე მოგზაურობს როგორც აღმოსავლეთ,
ისე დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, დაბებსა თუ სოფლებში,
აწყობს თანამოაზრეთა კრებებსა და სხდომებს. შეკრებილთ განუ-
მარტავს ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებებს, ავტონომიის,
ეროვნული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობას, მოუწოდებს
ეროვნული თანხმობისა და შეკავშირებისაკენ. აარსებს პარტიის
ძირეულ — პირველად ორგანიზაციებს. აღსანიშნავია, რომ ეს პრო-
ცესი დაემთხვა თვითმპყრობელობის დამხობას, რამაც მნიშვნე-
ლოვნად გააადვილა შემდგომი მოქმედება.

გაზეთების „სამშობლოსა და „საქართველოს“ ირგვლივ
შემოკრებილი წრეების ბაზაზე, 1917 წლის მარტის დასაწყისში,
თბილისში ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სა-
ორგანიზაციო კომიტეტი. მასში შევიდნენ: სპირიდონ კედია, გიორ-
გი გვაზავა, ვასილ წერეთელი, გრიგოლ ვეშაპიძე, შალვა ქარუ-
მიძე, დავით ვაჩნაძე, შალვა ამირეჯიბი, რევაზ გაბაშვილი, ალექ-
სანდრე ასათიანი და სხვა. კომიტეტმა ბინა ლორის-მელიქოვის
ქუჩაზე მდებარე ქართული ბანკის შენობაში დაიდო.

საორგანიზაციო კომიტეტის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერ-
თი პირველი ოფიციალური დოკუმენტია მისი „მოწოდება“, რომე-
ლიც გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა 1917 წლის 9 მარტს.

მასში ნათქვამია: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში — როგორც ქალაქში, ისე სოფლად! „მამულიშვილნო!" დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულობანი მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში".

1917 წლის 10 მარტს კომიტეტმა ახალი კლუბის შენობაში გამართა კრება, რომელსაც პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა 2 ათასამდე წარმომადგენელი დაესწრო. „კლუბის დარბაზი, კორიდორები და შემოსასვლელები ხალხით იყო სავსე. უადგილობის გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა" — გვამცნობს საგაზეთო ინფორმაცია.

კრებას სპირიდონ კედია უძღვებოდა, რომელმაც შეკრებილთ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ტრაგიკული ისტორია XIX საუკუნისა, როდესაც ცარიზმმა მოსპო ყოველივე ეროვნული — მთავრობა, სამართალი, ჯარი, ფული. „ქვეყანას საზღვრები შემოარღვიეს და დაიტაცეს მისი ქონება, მისი მიწა-წყალი. განიდევნა მისი ენა, დაანგრიეს მისი ეკლესია, აწამეს საქართველო სულიერად, აწამეს იგი ხორციელად... საქართველოს სახე ათას წლებით შექმნილი, იშლებოდა!"

თებერვლის მიწურულში დაემხო რეჟიმი, რომელიც ასე მტარვალურად მოექცა საქართველოს. განდევნეს დინასტია, რომელმაც ფიცი და ხელშეკრულება დაარღვია და საქართველო სისხლისაგან დასცალა — თქვა სპ. კედიამ და ხაზგასმით მიუთითა, რომ თვითმპყრობელობის დამხობა დიდი აქტია. რუსეთი უფლებრივ სახელმწიფოდ გადაიქცა... ხალხის ხმა, დღემდე უყურადღებოდ დატოვებული, ძალით და უფლებით შეიმოსა,... მოქალაქეობრივი წარმატებების აუცილებელი პირობები დამყარდა.

ორატორი მიესალმა თებერვლის რევოლუციას და ახალ, დროებით მთავრობას. შემდეგ კი აღნიშნა: რევოლუციით დამკვიდრებული მოქალაქეობრივი ნორმები — სიტყვის, კრების, სინდისისა და სხვა თავისუფლება რუსეთისათვის საკმარისია, რომ ფრთა გაშალოს, საქართველოსთვის კი ეს არ კმარა. „მოქალაქეობრივი უფლებრიობა — დასძინა სპირიდონ კედიამ, თავისუფალ ერშია შესაძლებელი. თუ ერს საკუთარი მთავრობა არა ჰყავს, თუ ერის სამართალი მისი შვილებისაგან არ იწერება, თუ ერის მართვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგებლობა გადამთიელის ხელშია და არა მისი შვილებისა. ფუ-ჭია ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლება. ერის სული შებორ-კილია, მისი არსებობა შებოჭილი, მისი ძალა-მოქმედება შეხუთუ-ლი. ერი, როგორც ერი, მონაა მაშინ."

საქართველოს განახლება მოქალაქეობრივ-უფლებრივი ნორმების გამოცხადებით ვერ დაიწყება — განაცხადა სპ. კედიამ, — არამედ მისი ეროვნული თავისუფლების აღდგენით. „ეს უნდა მოხ-დეს ეხლა ან არასოდეს." „უდიდესი მომენტი დადგა საქართვე-ლოს ისტორიაში — განაგრძობდა ორატორი, — მხოლოდ ეხლა შეიძლება აღმობრწყინდეს თავისუფლების ჩასული მზე... ჩვენში იღვიძებენ ის ამაყი წინაპარნი, რომელთაც გამოსჭედეს თავისუფა-ლი საქართველო და რომელნიც მტლად ედებოდნენ მას. ... დღე-საც მთელი ქართველობა უნდა შემოიკრიბოს ამ იდეის გარშემო... ავმაღლდეთ და დავივიწყოთ ყოველივე საპირადო, საპარტიო, სა-წოდებრიო, ვეზიაროთ, სამშობლოს უზენაესობას" — მოუწოდა სპ. კედიამ, თუმცა არ დავიწყნია, გაეფრთხილებინა დამსწრე საზოგა-დოება, რომ არ გაიმეორონ 1905 წლის შეცდომები, რომ „პატა-რა ერი ვართ" და აუცილებელია „გავუფრთხილდეთ ყოველი ქართველის სიცოცხლეს". თავისი გამოსვლა მან ასე დაასრულა: „გვქონდეს სამშობლოს თავისუფლების რწმენის სიმხურვალე, გვქონდეს გონების სიფრთხილე და გრძნობის ზომიერება. ვიყოთ საღი სულით, საღი სხეულით და საქართველოს თავისუფლებაც ჩვენთან არს! გაუმარჯოს მას" (*„საქართველო", 1917, №50*).

ეროვნულ-დემოკრატთა კრებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც თავისუ-ფალია სოციალისტური იდეოლოგიისაგან და მზად არის დაირაზ-მოს სამშობლოს სამსახურისათვის.

თბილისში გამართულმა კრებამ მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყა-ლიბების დაწყებულ პროცესს. პარტიის ადგილობრივი რგოლები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღმოცენდა, მათ შორის: ახალციხესა და ახალქალაქში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სიღნაღ-ში, თელავში, ფოთსა და ქუთაისში. თბილისში დაფუძნდა რამდე-ნიმე საუბნო კომიტეტი. ძირეული ორგანიზაციები დაარსდა ბა-თუმსა და სოხუმში. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სოხუმის კომიტეტში ქართველებთან ერთად რამდენიმე აფხაზიც შევიდა.

ეროვნულ-დემოკრატებს მრავალრიცხოვანი მიმდევრები ჰყავდათ ახალგაზრდებში, განსაკუთრებით სტუდენტებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებში. მათი წარმომადგენლები 1917 წლის აპრილში ქუთაისში შეიკრიბნენ კონფერენციაზე, რომელიც ექვს დღეს გაგრძელდა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მატერიალურად ეხმარებოდნენ საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ცალკეული კერძო პირები თუ სააქციო კომპანიები. ეპისკოპოსმა კირიონმა პარტიას მისი დაფუძნებისას 10 თუმანი შესწირა (*„საქართველო“, 1917 ℊ, №81*). შემომწირავთა შორის სხვა ცნობილი მოღვაწენიც იყვნენ. მთავარმა კომიტეტმა შეიმუშავა პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების — პროგრამისა და წესდების პროექტები, რომლებიც 1917 წლის მარტ-აპრილში განსახილველად გამოქვეყნდა.

ეროვნულ-დემოკრტიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა მოწვეულ იქნა თბილისში 1917 წლის 4-10 ივნისს.

ყრილობის გახსნის დღეს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას მოწინავე „ეროვნული დემოკრტია“. მასში აღნიშნული იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების სახით საქართველოში მტკიცდება ახალი იდეა და ირაზმება ახალი ძალა. „მას შეაქვს ხალხში იდეა სამშობლოსი და სული საქმისა და მოქმედებისა.“ წერილში გაცხადებული იყო: „დიდია ჩვენი ადგილი ჩვენს სამშობლოში. დიდია ჯარი ჩვენი იდეის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და მისი პოლიტიკური აღდგენა ორთავე ერთად თავს იყრის ამ ჯარში“. „დღეს პირველი ყრილობაა ამ ჯარის წარმომადგენლების — მიუთითებდა სპ. კედია. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილს იჭერს საღი ნაციონალიზმი და რეალური ეკონომიზმი... საქართველოს სინამდვილესა და ამ იდეოლოგიას შორის სრული შეხამებულობა და ჰარმონიაა... ამ იდეოლოგიაშია საქართველოს საზოგადოებრივი ენერგიის ახალი სტიმული“ (*სპ. კედია 1917, №118*).

ეროვნულ-დემოკრატთა ყრილობა დალოცა ერის სულიერმა მოძღვარმა, ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა სპირიდონ კედიამ. იგი მიესალმა დარბაზში მსხდომ 200-მდე დელეგატს, რომელთაც

წილად ხვდათ პატივი, მონაწილეობა მიეღოთ ახალი ქართული პოლიტიკური პარტიის დაფუძნებაში.

სპ. კედიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს ეროვნული იდეალი ან ახლა უნდა განხორციელდეს და ან არასდროს", გამოსვლა კი დაამთავრა სურვილით: „ღმერთმა ჰქნას, მეორე კონფერენცია უფლებაშემოსილ თბილისში გვენახოსო" (*„საქართველო", 1917, №120*).

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყრილობაზე წარმოდგენილია მთლიანი საქართველო! ეს არ არის წოდებრივი ან ვიწრო კლასობრივი, მითუმეტეს ეს არ არის ვიწრო პროვინციული წარმომადგენლობა" — აღნიშნავდა ერთ-ერთი ჟურნალისტი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის პირველი სხდომისადმი მიძღვნილ საგაზეთო კორესპონდენციაში და დასძენდა: „აქ პირქუში ხევსურები მოძრავ იმერლების გვერდით სხედან და დინჯი აჭარლები მხარს უმშვენებენ ფხიზელ ქიზიყელებს. მართლმადიდებლები და მაჰმადიანები, კათოლიკეები და ისრაელები ხელიხელ ჩაკიდებულნი მოდიან და იდეა, რომელიც მათ აერთიანებთ, არის იდეა თავისუფალი საქართველოსი" (*„საქართველო", 1917ჯ, №120*).

დამფუძნებელ ყრილობას მიესალმნენ აჭარის წარმომადგენელი ხოჯა ახმედ ეფენდი ქათამაძე, ინგილოთა სახელით რაფიელ ივანიცკი (ინგილო), ქართველ ებრაელთა მინდობილობით იოსებ ხახანაშვილი, ხევსური გოგოთურ ჭინჭარაული, კახელ გლეხთა დავალებით დათიაშვილი, დელეგატი აფხაზეთიდან ანჩაბაძე.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელთა შორის იდგა თერგდალეულთა უკანასკნელი მოჰიკანი ნიკო ნიკოლაძე. იგი ერთგვარი ხიდი იყო ილიასა და მისი მომდევნო ბლეადის ეროვნულ მოღვაწეთა შორის, რაც თაობათა უწყვეტ კავშირსა და ერთიანობას განასახიერებდა. ამას არა მხოლოდ სიმბოლური, არამედ დიდი პრაქტიკული დატვირთვაც გააჩნდა. ნიკო ნიკოლაძის „მოხსენებები პარტიულს ყრილობაზედ, მისი რჩევა-დარიგებანი ახალგაზრდა მეგობრებისადმი, მრავალ ათეულ წელთა მაგალითებით დამძიმებული, და მისი პირადი მაგალითი... უდიდესი მნიშვნელობის წამახალისებელი ძალა იყო ახალი პარტიისათვის", — შენიშნავდა ალექსანდრე ასათიანი (*ალ. ასათიანი 1928, 141-142*).

ყრილობის მუშაობამ 7 დღეს გასტანა. სხდომებს ძირითადად სპირიდონ კედია უძღვებოდა. დელეგატებმა მოისმინეს და განიხილეს რიგი აქტუალური პრობლემები, მათ შორის. საქართველოს ავტონომიის შესახებ (მომხსენებელი გიორგი გვაზავა), საქართველოს ტერიტორია (პავლე ინგოროყვა), საქართველოს ფინანსები (გიორგი ჟურული), აგრარული საკითხი საქართველოში (ალექსანდრე ასათიანი), საქართველოს ეკლესიათა და სარწმუნოებათა შესახებ (სერგი გორგაძე), პოლიტიკური მომენტის შესახებ (გერონტი ქიქოძე) და სხვ.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების საკითხმა, რომელიც გ. გვაზავას მოხსენების ჩარჩოებში მოექცა. კამათში, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, 15-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. ეროვნულ-დემოკრატთა მისწრაფება საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისაკენ ფართოდ იყო ცნობილი, მაგრმ ყრილობას ამ კუთხით პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს, იგი დემოკრატიულ რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული პოლიტიკური ავტონომიის (თვითკანონმდებლობის) მოთხოვნით შემოიფარგლა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ არ წამოაყენა ყრილობამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა?

ეროვნულ-დემოკრატთა ამგვარი ფრთხილი პოზიცია არსებული სინამდვილისა და საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შეხედულებების სწორ და საღ ანალიზს ეფუძნებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ამ ეტაპზე უარყოფითად ეკიდებოდნენ როგორც უშუალო მეზობელი, აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლენიანი პოლიტიკური ძალები, ისე თვით ქართველი სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები თუ ესერები, რომ არაფერი ითქვას რუსეთის ახალ ხელისუფლებაზე. დიდი საფრთხე იყო მოსალოდნელი აგრეთვე კავკასიაში მყოფი რუსეთის მრავალრიცხოვანი არმიისაგან, რომელიც სულ უფრო უმართავი ხდებოდა. ასეთ პირობებში აჩქარება სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. ყრილობაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა: დაბეჯითებით აღინიშნა, რომ არ უნდა დავემსგავსოთ განთავისუფლებულ მონებს. „ჩვენ ისეთი დროშა უნდა ავაფრიალოთ, რომელიც უზენაეს იდეალამდის მიგვიყვანს, მაგრამ ვეკრძალოთ კი, რომ დროში იგი არ დაგვახრევინონ“ (*„საქართველო“, 1917 ,, №120*).

ყოველ განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა შესაბამისი რეზოლუცია, რომლის მუხლები არსებითად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დებულებებიდან გამომდინარეობდა.

ყრილობამ დაამტკიცა ფუძემდებლური დოკუმენტები — პარტიის პროგრამა და წესდება.

დასკვნით სხდომაზე გაიმართა მთავარი კომიტეტის არჩევნები. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ალექსანდრე ასათიანი, რევაზ გაბაშვილი, გიორგი გვაზავა, გიორგი გორდეზიანი, დავით ვაჩნაძე, რაფიელ ინგილო, სპირიდონ კედია, იოსებ მაჭავარიანი, გიორგი ჟურული, ეროდიონ სონღულაშილი, შალვა ტატიშვილი, შალვა ქარუმიძე, გერონტი ქიქოძე და სანდრო შანშიაშვილი. მთავარმა კომიტეტმა თავის მხრივ აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარე სპირიდონ კედია, მოადგილეები — გიორგი გვაზავა, იოსებ მაჭავარიანი და გრიგოლ ვეშაპელი, მდივანი შალვა ტატიშვილი (*„საქართველო“ 1917 ,, №130*).

დამფუძნებელი ყრილობით დასრულდა ახალი ეროვნული პარტიის ფორმირების რთული და ხანგრძლივი პროცესი. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც დაარღვია საქართველოში არსებული პოლიტიკურ პარტიათა ერთფეროვანი — სოციალისტური სპექტრი და დაამკვიდრა ახალი მემარჯვენე ტიპის გაერთიანება — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მის წიაღში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლობამ მოიყარა თავი. პარტიის წევრთა შორის იყვნენ ძირძველი თავადი და ახლად ფეხადგმული მეწარმე, ქონებაშემოფლანგული აზნაური თუ შეძლებული მეურნე, მსხვილი ბანკირი თუ წვრილი ვაჭარი, ცნობილი სწავლული თუ უბრალო გლეხკაცი, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა მაინც უფრო გასაგები და მისაღები ქართველი ინტელიგენტური წრეებისათვის აღმოჩნდა, რომელთა რიცხობრივი უპირატესობა პარტიაში ყოველთვის საგრძნობი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II.3. „იქარწმუნეთ უშრო, იკოსკო

მიუხედავად, სახელმწიფო სათათბირომ თვითმპყრობელური ერეკვა მის პირობებშიც სიტყვის გარკვეული თავისუფლება შეინარჩუნა. მომდევნო ორ სათათბიროს ასცდა წინამორბედთა ბედი, მათ თავიანთი ლეგისლატურა არსებითად მშვიდობიანად ამოწურეს.

ოთხივე არჩევნების პერიოდში სპირიდონ კედია უცხოეთში იმყოფებოდა, თუმცა ახერხებდა და სისტემატურად ადევნებდა თვალს მის დაძაბულ პერიპეტიებს. მომავალი პოლიტიკური მოღვაწე განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა ქართველი დეპუტატების სიტყვებსა და გამოსვლებს, რომელთაც ფართოდ აშუქებდა იმდროინდელი მემარცხენე პრესა.

დიდი მოწონებით შეხვდა სპ. კედია ვარლამ გელოვანის გაბედულ განცხადებას საქართველოს ავტონომიის შესახებ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში 1912 წლის 13 დეკემბერს.

ვ. გელოვანი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო. ფედერალისტები იმთავითვე ჩვენი ქვეყნის ეროვნული ავტონომიის პროპაგანდას ეწეოდნენ ჯერ პარიზული გაზეთ „საქართველოს“, ხოლო პირველი რევოლუციის წლებიდან საქართველოში გამომავალი თავიანთი პერიოდული პრესის მეშვეობით. როცა ამის შესაძლებლობა მიეცათ, ქართველმა ფედერალისტებმა ავტონომია სათათბიროს ტრიბუნიდანაც მოითხოვეს. ვარლამ გელოვანმა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის დიდი ხნის გულისწადილი პოლიტიკურ მოთხოვნად ჩამოაყალიბა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წინაშე საჯაროდ დასვა. მართალია, ამას საკითხის გადაწყვეტა არ მოჰყოლია, მაგრამ მთელი რუსეთისა და მისი უმაღლესი ხელისუფლების გასაგონად წამოყენებულ, ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ოფიციალურ მოთხოვნას მაინც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველი ხალხის ამ სამართლიან მოთხოვნას, როგორც მოსალოდნელი იყო, მხარი არ დაუჭირეს ჩვენებურმა სოციალისტებმა. არადა, სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმდინარეობა იმ მომენტისათვის საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან და გავლენიან ძალას წარმოადგენდა. ქართველ მენშევიკთა თვალსაჩინო წევრები არჩეულნი იყვნენ ოთხივე სათათბიროს დეპუტატებად, ხოლო მათი ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე საპარლამენტო ფრაქციასაც კი ხელმძღვანელობდა მესამე და მეოთხე სათათბიროში. მენშევიკი დეპუტატების გამოსვლები მიმართული იყო თვითმპყრობელობის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა სოციალურად ჩაგრული ფენების

— მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვას, მაგრამ არა ეროვნული, არამედ კლასობრივი ნიშნით. ისინი მხარს უჭერდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას და საქართველოს გამოყოფას თუნდაც ავტონომიის საფუძველზე მიუღებლად თვლიდნენ. მადენად, ეროვნული საკითხი, რომელიც კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული ქართველი ერის ყველაზე მტკივნეული პრობლემა იყო, მენშევიკთათვის თითქოს არც არსებობდა.

ეროვნულ-დემოკრატთა აზრით კი, სახელმწიფო სათათბიროში წარგზავნილი ქართველი დეპუტატი უპირველესად საშობლოს ჭირისუფალი უნდა ყოფილიყო, მას საქართველოს საერთო ეროვნული ინტერესი უნდა დაეცვა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიულ უფლებათა და საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენისათვის ეღვაწა.

სპირიდონ კედიას სიტყვით, „ხალხის წარმომადგენელი მოვალეა იცოდეს ყოველივე დეტალი თავისი ერის სპეციფიკური ტკივილებისა და მტკიცედ დაიცვას მშობელი ხალხის ინტერესი.“

რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში 3 ქართველი დეპუტატი იყო არჩეული — სოციალ დემოკრატები (მენშევიკები) აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხეიძე და ფედერალისტი ვარლამ გელოვანი. ამ უკანასკნელს 1915 წლის დამდეგს ფრონტზე პარტახტიანი ტიფი შეეყრა, რისგანაც მალე გარდაიცვალა. ქართველ საზოგადოებრიობას იმედი ჰქონდა, რომ სათათბიროში დარჩენილი ორი მისი თანამემამულე კლასობრივი და პარტიული ჩარჩოებით არ შემოიფარგლებოდა და მოღვაწეობას ერის სახელით წარმართავდა.

ეს აზრია გატარებული სპ. კედიას პუბლიკაციაში „მოვალეობა და შედეგი“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა. ავტორი წერდა: „საქართველოს შვილები კ. ჩხეიძე და ა. ჩხენკელი მოვალენი არიან იზრუნონ, იბრძოლონ და დაიცვან ქართველისა და საქართველოს ინტერესები, მოვალენი არიან, რადგანაც სხვა ქართველი იქ აღარ არის, რომ მშობელ ქვეყანას შეეძლოს თავისი უზენაესი ზნეობრივი უფლებით დაავალოს თავისი სახელის და არსებობის დაცვა.“ ჩვენი დეპუტატები სწორედ ამ საკითხში უნდა გამოვიდნენ ენერგიულ ტრიბუნებად — შენიშნავდა სპ. კედია და დასძენდა: ქართველი საზოგადოება მოვალეა „მოსთხოვოს სათათბიროში დეპუტატად წასულ ქათველებს ნავსი გატეხონ და ხმა ამოიღონ ერის სახელით ერის საჭიროებაზე;

იქართველონ უფრო და იკოსმოპოლიტონ ნალკებ“ (*სა. კვირა, 1915 ,, №72*).

ეროვნულ-დემოკრატები არ უარყოფდენ იმ ფაქტს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები იმპერიის მასშტაბით, თანამოაზრეთა წრეებში კი მის ფარგლებს გარეთაც, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და იგი დამსახურებულად ჰქონდათ მოპოვებული ცარიზმის წინააღმდეგ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლით. სრულ ობიექტურობას ასახავდა გაზეთი „საქართველო“, როცა შენიშნავდა: „ყოველთვის, როდესაც რუსეთის დაგუბებულ ცხოვრებაში რაიმე ახალი ასპარეზი წარმოშობილა, ჩვენი ქვეყნის შვილი ამ ასპარეზზე სასახელოდ გამოჩენილა“, და რომ „რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს იშვიათ ფიგურებს შორის საქართველოს ერთ-ერთი შვილი ყოველთვის მოსჩანს როგორც საპარლამენტნო ტრიბუნის დამამშვენებელი, რომლის ყოველი გამოსვლა საერთო ყურადღებასა და გულისყურს იპყრობს“ (*„საქართველო“, 1916, №194*).

ასეთ ცნობილ და სახელოვან დეპუტატებს უფრო მეტის გაკეთება შეეძლოთ და მოეთხოვებოდათ კიდეც თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ოპონენტებიც ამას უკიჟინებდნენ, რაც განსაკუთრებული სიმწვავით 1915 წლის ზაფხულში წარმოჩნდა.

1915 წლის ივლისში სახელმწიფო სათათბირომ მოისმინა მთავრობის დეკლარაცია, რასაც ხანგრძლივი განხილვა და კამათი მოჰყვა. თავრიდის სასახლეში შეკრებილ ხალხის რჩეულთ თავიანთი ჭირ-ვარამი გადაუშალეს რუსეთში მოსახლე ერთა წარმომადგენლებმა. მუსულმანთა სახელით დეპუტატმა ჯაფაროვმა, სომხებისაგან პაპაჯანოვმა, ებრაელებისაგან ფრიდმანმა, ლიტველთა მინდობილობით იანუშკევიჩმა და სხვ. კონკრეტული ეროვნული მოთხოვნები წამოაყენეს. ქართველ ერს კი მოსარჩლე არ გამოუჩნდა. კ. ჩხეიძის გამოსვლა რუსეთის სახელმწიფოს ზოგად პრობლემებს და უფრო სოციალურ ასპექტებს შეეხებოდა.

პროგრესულმა ქართველმა საზოგადოებამ ეს ფაქტი მტკივნეულად განიცადა და თავისი გულისწყრომაც გამოხატა. გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ კ. ჩხეიძეს ამგვარი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „აღტაცებული ვიყავით თქვენი აქაური მოღვაწეობით, აღშფოთებული ვართ თქვენი დუმილით ერთა წარმომადგენლების დეკლარაციის დროს“ (*„საქართველო“, 1915 ა, №52*).

„დ. კახელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში დავით ვაჩნაძე პირდაპირ მიუთითებდა: ქართველმა სოციალისტებმა არ იკადრეს გამოსარჩლება ქართველ ჩაგრულ და აწიოკებულ ერისა... ქართველმა დეპუტატებმა თავიანთი საქციელით „სრულად წაშალეს მთელი მსოფლიოს წინაშე ქართველი ერის სახელიც და რუსეთის პოლიტიკური წრეების წინაშე ჩამარხეს მისი ეროვნული სახე.“ ამით მათ „ხელი მოაწერეს თავის მძიმე დანაშაულს ქართველი ხალხის ეროვნულ დღევანდელ ინტერესების და მომავლის წინაშე“ (*დ. კახელი 1915, №52*).

ქუთაისურ „იმერეთში“ ვასილ წერეთელი არისხებდა ზარებს. იგი წერდა: „წავიკითხე კ. ჩხეიძის სადეკლარაციო სიტყვა და კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ საქართველოს დეპუტატი არა ჰყავს... რაც სთქვა (კ. ჩხეიძემ — ო. ჯ.), უთუოდ უნდა თქმულიყო. მაგრამ ის ლაპარაკობდა არა როგორც საქართველოს, არამედ როგორც მთელი რუსეთის წამომადგენელი. ამგვარი სიტყვა მილიუკოვს, კერენსკის ან მათ ამხანაგ რომელიმე რუსს უფრო შეეფერებოდა. საქართველოს წარმომადგენელს, რომ გვყოლოდა ასეთი, უფრო საქართველოს სატკივარზე უნდა ელაპარაკნაო“ — დასძენდა ცნობილი პუბლიცისტი (*ვ. წერეთელი 1915, №23*).

გაზეთმა „საქართველომ“ კ. ჩხეიძის კარიკატურაც დაბეჭდა წარწერით: „კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო.“

ხსენებულ საკითხზე ქართული პრესის ფურცლებზე სხვაც არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა. ფედერალისტური „სახალხო ფურცელი“ ხაზს უსვამდა, რომ ჩვენი დეპუტატების „პოლიტიკური ლექსიკონიდან საქართველო დიდი ხანია ამოშლილია“ და სხვ. (*„სახალხო ფურცელი“, 1916, №498*).

სოციალ-დემოკრატთა გაზეთი „თანამედროვე აზრი“ შეეცადა დაეცვა კ. ჩხეიძე და ა. ჩხენკელი და აღედგინა საზოგადოების თვალში მათი შელახული რეპუტაცია. ცოტა მოგვიანებით კამათში ნოე ჟორდანიაც ჩაერთო.

„...შეუძლია ქართველ ს.-დ. დეპუტატთ იყვნენ წარმომადგენელნი როგორც თავისი პარტიის, ისე ქართველი ერის? — კითხვას სვამდა ნ. ჟორდანია და იქვე პასუხობდა: „უეჭველია, შეუძლიათ. ეს აუცილებელიც არის. თუ ჩვენ ვიცავთ ყველა დაჩაგრულთა ინტერესებს, თუ ქართველობა დაჩაგრულია არამარტო როგორც რუსეთის მოქალაქე, არამედ როგორც ქართველი — ცხა-

დია, იგი უნდა დავიცვათ ორივენაირად: საერთო მოქალაქეობრივ-ად და კერძო ნაციონალურად. მარტო პირველი მომენტით დაკ-მაყოფილება სრულიად არ ხატავს არც მარქსისტულ პროგრამას, არც მის ტაქტიკას. ეს ორი მხარე ერთად უნდა შედუღდეს და ერთ მთელად იქცეს... მარქსისტულ მოქმედებაში თავსდება რო-გორც დაჩაგრული კლასის, ისე დაჩაგრული ერის გამოსარჩლება. ეს ითქმის ყველა ერის ს.-დ. დეპუტატზე, რომელთაც თავ-თავის ერის მდგომარეობა უკეთ იციან და მათ საჭიროებას საერთო სა-ჭიროებასთან ერთად ტრიბუნაზე უკეთ გამოიტანენ. ყოველივე შეცდომა ამ მხრივ, არის შეცდომა პირადი და არა პარტიული" — დაასკვნიდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა აღიარებული წინამ-ძღოლი (*ან 1915, №197; „განთიადი", 1915, №17, 9*).

თვალნათლივ ჩანს, რომ ამ წერილით ნ. ჟორდანია ზო-გადად მარქსიზმს და კერძოდ თავის პოლიტიკურ ორგანიზაციას გამოესარჩლა, თუმცა საბოლოოდ ვერც ერთი დაიცვა და ვერც მეორე. მოწინააღმდეგე ძალთა იერიში კვლავ გრძელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები არც კი გამოხმაურებიან ქართული პერიოდული პრესის მრავალრიცხო-ვან პუბლიკაციებს. ისინი ჯიუტად განაგრძობდნენ მოწინავე სა-ზოგადოებრივი აზრის იგნორირებას. უთუოდ ამ გარემოებამ უბიძ-გა სპირიდონ კედიას, ამჯერად ღია წერილით მიემართა კარლო ჩხეიძისა და აკაკი ჩხენკელისათვის. წერილი გაზეთ „საქართვე-ლოს" ფურცლებზე დაიბეჭდა.

სპ. კედია ადრესატებს შეახსენებდა, რომ სახელმწიფო სა-თათბირო მრავალი მსხვერპლის ფასად მოპოვებული დაწესებუ-ლებაა, — უფლებათა სამჭედლოა, რისთვისაც დიდი წვლილი გაI-ღო საქართველომ, როგორც ერმა. მისი რჩეული შვილები ზვარა-კად ეწირებოდნენ ამ ტაძრის აგებას, სადაც ახლა მთელი ერიდან ორი ქართველიღა ობლად ზიხართ. თქვენს სამშობლოს, საქარ-თველოსა და ქართველობას — მიმართავდა სპ. კედია კ. ჩხეიძესა და ა. ჩხენკელს, თავისი საერთო ვაება აქვსო და ჩამოთვლიდა იმ უმთავრეს სატკივართ, რომლებიც ღირსებაშელახულ და უფლება-აყრილ ჩვენს ქვეყანას გულს უღრღნიდა და აღსასრულს უახლო-ვებდა. მაშინ, როდესაც ქართული ენა დევნასა და შევიწროებას განიცდის, შევიწროებულია ქართული ეკლესია, შელახულია რე-ლიგიური სინდისი, საქართველოს მიწა-წყალს უცხო ელემენტი ეპატრონება, „ვის უნდა მოვსთხოვოთ ჩვენი ეროვნული სახელის, ნამუსის და უფლების დაცვა იქ, სადაც იკვეთება და იჭედება უფ-

ლება მთელი რუსეთის იმპერიისათვის?!“ — სვამდა კითხვას ბ-ნ კედია და განაგრძობდა: „გასული წლის ივლისის სათათბიროს სასტორიო სხდომაზედ, რომელზედაც რუსეთის იმპერიაში მოყოლილი ერების შვილებმა ხმა აღიმაღლეს, და რამდენადაც პირობები ამის ნებას იძლეოდა, თავიანთ ერის ჭირ-ვარამზედ და მათი უფლების დაცვაზე ილაპარაკეს, საქართველოსა და ქართველი ერის ხსენებაც არ იყო! თქვენ კი პატივცემულო ქართველებო, — მოუწოდებდა სპირიდონ კედია თანამემამულე დეპუტატებს, — მაშინ იქ ისხედით; ხოლო თქვენ, კერძოდ ბ-ნო კარლო ჩხეიძე, ჭკვიანსა და მკაცრ სიტყვას წარმოსთქვამდით რუსეთის მუშათა კლასის სახელით! რა დაგიშავათ თქვენი სამშობლოს სახელმა?! ჭკუა და მებრძოლის სიმკაცრე რად არ მიუძღვენით თქვენი ქვეყნის დაცვის საქმეს?!“

„თქვენმა საქციელმა ყველას გული დაგვინაცარა, გაგვანადგურა მორალურ-ეროვნულად — წერდა სპ. კედია. ამ ტკივილს ბევრი თქვენი პარტიული ამხანაგიც გრძნობდა, მაგრამ მათ დააკლდათ მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ საქვეყნოდ დაეტუქსეთ, კერძოობაში კი მათგან თქვენი გაკიცხვა გვსმენიათ.“

„დავიჯეროთ, წარსულ დანაშაულს კვლავ ჩაიდენთ?! — არ ერიდებოდა სპირიდონ კედია ხალხის რჩეულთ — ნუთუ ქართველი ერის სახელი კვლავ მოუხსენებელი დარჩება, ნუთუ საქართველოს უფლების დაცვის ხმა არ უნდა გაისმას სათათბიროში, მაშინ როდესაც იქ საქართველოს ორი ღვიძლი შვილი იმყოფება?! ... თქვენი სამშობლო თქვენგან მსხვერპლს მოითხოვს მისი უფლებისა და სახელის დასაცავად. საქართველო მოითხოვს, მისმა დეპუტატებმა საქართველოს დროშა ხელში დაიჭირონ თავრიდის სასახლეში. .... კვლავ ნუ ჩაიდენთ საშვილიშვილო ცოდოს და დანაშაულს. ეს არის საბოლოო გაფრთხილება, რომელსაც გითვლით საქართველოს უკვდავი ფარული ზრახვა. დანარჩენი, თქვენ იცით!“ (*ხ. კედია 1916 ა, №29*).

ამ წერილში მკაფიოდ და ნათლად გამოსჭვივის სპირიდონ კედიას იდეური მსოფლმხედველობა, მისი ეროვნული და დემოკრატიული სულისკვეთება.

„ჩვენ ჩვენს ეროვნულ ტკივილს მოვთქვამთ და ვჩივით და ტკივილის სიმწარისაგან, შესაძლოა, ხანდახან უსამართლო საყვედურიც დაგვცდესო“ — წერდა ერთ-ერთი თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი. ამ აზრს საკუთარი იზიარებდა სპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდონ კედიაც, რადგან სამშობლოს თავისუფლება და [illegible]-
დღეობა გაცილებით ძვირად ფასობდა, ვიდრე თუნდაც სათათბი-
როს დეპუტატის თავმოყვარეობა. ასეთი „მკვახე შეძახილი" ზოგ-
ჯერ მთელ ერს ჭირდებოდა, არათუ მის რომელიმე ცალკეულ
წევრს და აქაც სპ. კედიასა და ეროვნულ-დემოკრატებს ხატად
და მაგალითად დიდი ილია ეგულებოდათ.

## II.4. შიზა სტალინეს შესტა

საქართველოს, ქართველ მეფეებსა თუ მხედართ, ისტორი-
ული ავბედობის გამო, საუკუნეთა გასწვრივ, მრავალჯერ უბ-
რძოლიათ სხვათა ომში, სხვისი დროშით და სხვათა ღირსებისათ-
ვის. ბევრჯერ გაუმარჯვნიათ, აღზევებულან, სახელიც დაუგდიათ,
მაგრამ ეს საკუთარ ქვეყანას არაფერში გამოდგომია.

სამწუხაროდ, მხოლოდ შორეულ წარსულში როდი იყო
ასე. ვერც ახალ დროში — XX საუკუნეში ავცდით ამ ხვედრს.

1914 წელს მსოფლიო ომის არნახულ ხანძარში გაეხვია.
ღვთის შვილნი კიდევ ერთხელ უღვთოდ დაერივნენ ერთნეთს. თუ
ძლიერნი ამა სოფლისანი თავიანთი გავლენის უფრო გავრცელები-
სათვის ყლეტდნენ ერთმანეთს, სუსტი და მცირერიცხოვანი ერის
შვილები, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ეწირებოდნენ დიდ სახელ-
მწიფოთა უსაზღვრო ამბიციებს.

რუსეთის იმპერიის ორბიტაში მოქცეული საქართველო,
მისდა უნებურად, ჩართული აღმოჩნდა ახალ სისხლისღვრაში. 200
ათასი იარაღასხმული ქართველი, მათ შორის მრავალი ცნობილი
გენერალი და ოფიცერი, იბრძოდა დაწყებული ომის ფრონტებზე.
დარჩებოდა ქართველთა თავდადება რიგით თავგანწირვად, თუ
დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ მათი სამშობლო თავს დააღწევ-
და მონობის უღელს — ეს პრობლემა ერთობ სერიოზული განხილ-
ვის, აზრთა ურთიერთგაზიარებისა და კამათის საგნად იქცა ქარ-
თულ პოლიტიკურ პარტიათა თუ მიმდინარეობათა შორის. საქარ-
თველოს მომავალი ბედ-იღბლის საკითხი უშუალოდ დაუკავშირდა
მიმდინარე ომს.

მენშევიკთა გარკვეულმა ნაწილმა უპირატესობა ნეიტრა-
ლიტეტის პრინციპს მიანიჭა, მაგრამ ქართულმა სოციალ-დემოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიამ, რომელიც იმხანად ჩვენში ყველაზე გავლენიანი ძალა იყო, არსებითად რუსეთის დაცვის ე.წ. „ობორონცული“ პოზიცია გაიზიარა.

ფედერალისტები თვლიდნენ და ასაბუთებდნენ, რომ დაწყებული ომი აუცილებლად ეროვნულ ხასიათს შეიძენდა. პარტია ოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო დაჯგუფებას — ანტანტას. მართალია, სოციალისტ-ფედერალისტური ორგანიზაციის წევრთა შორის პროგერმანული ორიენტაციაც შეიმჩნეოდა, მაგრამ იგი პრაქტიკულ საქმიანობაში არ გადაზრდილა.

ეროვნულ-დემოკრატთა წიაღში მომწიფდა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ორი განსხვავებული ტაქტიკა: პირველი იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანია და ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკი გაიმარჯვებდა, ხოლო მეორე — თუ წარმატებას რუსეთი და ანტანტის ქვეყნები მიაღწევდნენ. შემუშავებულ იქნა მოქმედების კონკრეტული გეგმებიც ორივე ტაქტიკისათვის. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ შენიღბულ, ფრთხილ და ზომიერ პოლიტიკაზე, რომელსაც ჟურნალ „კლდისა“ და გაზეთ „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილი ეროვნულ-დემოკრატები ქვეყნის შიგნით ახორციელებდნენ და მხოლოდ საზღვარგარეთ მოღვაწე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობაზე საუბრით შემოვიფარგლებით.

ომის გაჩაღებიდან ახლო ხანებში, კერძოდ 1914 წლის შემოდგომაზე, ჟენევაში მოქმედი საქართველოს განთავისუფლების ჯგუფი საქართველოს განთავისუფლების (იგივე დამოუკიდებლობის) კომიტეტად გადაკეთდა. მისი ინიციატორი და თავდაპირველი წევრები პეტრე სურგულაძე, ნესტორ მაღალაშვილი, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები იყვნენ. კომიტეტის თავმჯდომარეობა პ. სურგულაძეს მიენდო. ქართველმა მოღვაწეებმა მიზნად დაისახეს, ებრძოლათ სამშობლოს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად. გერმანიის შვეიცარიელი ელჩის მეშვეობით ისინი დაუკავშირდნენ კაიზერის სამთავრობო წრეებს და ჟენევიდან ბერლინში გადაინაცვლეს.

მსოფლიო ომში ჩაბმული გერმანია და მისი მოკავშირენი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად საბრძოლო მოქმედებების პარალელურად მარჯვედ იყენებდნენ პროპაგანდისტულ საშუალებებსაც. საგანგებო ყურადღება მიექცა დაპირისპირებულ ბანაკში შემავალ სახელმწიფოთა, განსაკუთრებით რუსეთის ჩაგრული

ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ძირს უთხრიდა და ასუსტებდა მტრის საომარ პოტენციას. ამ ქმედ-
რაობის წახალისებისა და უფრო ფართოდ გაშლის მიზნით, გერ-
მანიის ხელისუფლებამ გამოჰყო სპეციალური სახსრები. საგარეო
საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ შტაბში შემუშავებული
გეგმის თანახმად, პოლონეთში, უკრაინასა და კავკასიაში უნდა
მოეწყოთ ანტირუსული აჯანყებები. ჩანაფიქრის წარმატების შემ-
თხვევაში, გერმანიასა და რუსეთს შორის წარმოიშობოდა ბუფე-
რული სახელმწიფოები, რომლებიც გერმანიაზე იქნებოდნენ დამო-
კიდებული (*S. Zeterberg 1978, 43–44*). რაც შეეხება საქართვე-
ლოს, თუ იგი რუსეთისაგან თავს დააღწევდა, გერმანიას შეეძლო
ეს რეგიონი კავკასიაში თავისი პოლიტიკის ფორპოსტად გამოეყე-
ნებინა.

როგორც დავინახეთ, საქართველოს განთავისუფლების კო-
მიტეტისა და გერმანიის ინტერესები რომანოვთა იმპერიისაგან სა-
ქართველოს ჩამოცილების საკითხში გარკვეულწილად ერთმანეთს
დაემთხვა. ამან ერთობლივი საქმიანობა უფრო გააადვილა და
დააჩქარა კიდეც. მალე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, რო-
მელშიც „იყო დაპირება გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს
სუვერენობის ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართვე-
ლოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადე-
ბისა (*კ. სალია 1962, 16*).

გერმანელთა რჩევით, განთავისუფლების კომიტეტის წევ-
რები ოსმალეთს გაემგზავრნენ იქაურ მთავრობასთან ანალოგიური
ხელშეკრულების დასადებად.

გერმანიის საიმპერიო კარის ხელშეწყობით ქართული სა-
ხელმწიფოებრიობის აღდგენის გეგმა ხსენებული კომიტეტისგან
დამოუკიდებლდ, გიორგი მაჩაბელმაც შეიმუშავა. გიორგი ცნობი-
ლი ქართველი მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის ძმისა და ილია
ჭავჭავაძის ერთგული მეგობრის, ვასილ მაჩაბლის შვილი იყო. ვა-
სილის ორი ვაჟი — ნიკო და ილია პეტერბურგში საქმიანობდნენ,
გიორგი კი უმაღლესი განათლების დასაუფლებლად გერმანიაში
გაემგზავრა. სწავლობდა ბერლინის სამთამადნო აკადემიაში გეო-
ლოგიის სპეციალობით. სტუდენტობის წლებში იგი ჩაება ტევტო-
ნური ორდენის წრეში, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ამ
სასწავლებლის პროფესურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის
წარმომადგენლები. შალვა მაღლაკელიძის სიტყვით, „გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი წარმოსადეგი კაცი იყო. თავადის გვარი ჰქონდა და ... ბრინცებში როგორც „ფიურსტი“. ... თავისი ღირსებით ყოველი მხრივ და მოხერხებით დაუახლოვდა გიორგი ბრინცებს, ახალგაზრდა ჰოჰენცოლერნებს, ვიტელსბახებს ბავარიისა, დამეგობრდა მათთან (*შ. ბოლოკოძე 1991 ა, 34*).

ამგვარ გავლენიან ახლობელთა დახმარებით გ. მაჩაბელმა შეძლო დაკავშირებოდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსან მოხელეებს. 1914 წლის სექტემბერში გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა ამ უწყებაში წარადგინეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს აღდგენას გერმანელი ბრინცით სათავეში.

მალე გ. მაჩაბელიცა და მ. წერეთელიც კონსტანტინოპოლს მიავლინეს იქ მყოფ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან შესაერთებლად. ამ დროს ლეო კერესელიძე უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ქართველთა წინადადების არსი ისეთივე იყო, როგრც გერმანელებთან შეთანხმებისა: ოსმალეთს, თუ იგი რუსეთს კავკასიას წაართმევდა, საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა ეცნო. თურქებთან მოლაპარაკება გაცილებით რთული აღმოჩნდა, მაგრამ კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩის ვანგენჰეიმის ჩარევით, ხელშეკრულება მაინც გაფორმდა. საქართველოსა და ოსმალეთის საზღვრად რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვარი უნდა დარჩენილიყო. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, განთავისუფლების კომიტეტს ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული სამხედრო შენაერთის ჩამოყალიბების უფლება მიეცა.

ქართული ლეგიონის შესადგენად განზრახული იყო, გამოეყენებინათ გერმანიისა და მის მოკავშირეთა ბანაკებში მოხვედრილი სამხედრო ტყვეები, ქართველი მაჰმადიანი და მოხალისე ემიგრანტები.

თურქეთში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი რამდენადმე გაფართოვდა. პირვანდელ წევრებს დაემატნენ გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, ალექსანდრე გოზალიშვილი, ზია ბეგ აბაშიძე, მელიტონ ქარცივაძე და შალვა ვარდიძე. აქვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა კომიტეტის წესდება და სამოქმედო პროგრამა. კომიტეტის წევრებმა თავიანთი პირველი ოფიციალური შეკრება იმით აღნიშნეს, რომ სხდომის შემდეგ ეწვივნენ ქ. ტრაპიზონს, სადაც ბერძნული ეკლესიის ეზოში დაკრძალული

იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი, უკანასკნელი ქართველი, გვირგვინოსანი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. „მთელი კომიტეტი ვეახელით სოლომონ მეფის სამარეს, ვაწირვინეთ და მუხლმოდრეკილებმა შევფიცეთ სოლომონს, თავგანწირვით ვებრძოლოთ მტერს“, — იგონებდა გიორგი კერესელიძე (*გ. კერესელიძე 1951, 29*).

კომიტეტის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საქართველოსთან დაკავშირება აქაური პოლიტიკური წრეების სულისკვეთების გაცნობისა და დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდის მიზნით. ეს საქმე გიორგი მაჩაბელს დაეკისრა, რომელიც ამის შემდეგ უნდა შეერთებოდა ბერლინში დამკვიდრებულ მ. წერეთელს, გ. კერესელიძესა და ა. გოზალიშვილს. კომიტეტის სხვა წევრები თურქეთში დარჩნენ.

გ. მაჩაბელი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს, შეხვდა ძირითად პოლიტიკურ პარტიათა თუ მიმდინარეობათა ხელმძღვანელებს, აუწყა მათ უცხოეთში დაფუძნებული კომიტეტის შესახებ და მისი გეგმებიც გააცნო. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხმა მხარდაჭერა ჰპოვა, მოიწონეს კომიტეტის სახელით გაფორმებული დოკუმენტები, ხოლო ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაში მიუღებლად მიიჩნიეს მუხლი საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე.

ქართველმა მენშევიკებმა და ფედერალისტებმა კომიტეტთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. ეროვნულ-დემოკრატთა წრეში კი დაარსდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ფარული ფილიალი სპირიდონ კედიას, დავით ვაჩნაძისა და რევაზ გაბაშვილის შემადგენლობით. ფილიალის წევრებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი შალვა ქარუმიძე და შალვა ამირეჯიბი. შემუშავდა საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის საიდუმლოდ შემოტანისა და დაბინავების გეგმა. გ. მაჩაბელმა გერმანიის საზღვაო და სამხედრო შტაბის ხელშეწყობით მართლაც გააბა კავშირი წყალქვეშა ნავებით (*W. Bihll 1975, 87*).

ფილიალის ფუნქციას შეადგენდა კომიტეტის მუშაობის კოორდინაცია საქართველოში და სისტემატური კავშირის უზრუნველყოფა ევროპასა თუ თურქეთში მოღვაწე განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან. მასვე უნდა ეზრუნა უცხოეთიდან ფარულად შემოტანილი საბრძოლო აღჭურვილობის მიღება-დაბინავებაზე და სხვ. ეს იყო უაღრესად რთული და სარისკო საქმე, მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტეს ომის პირობებში, რომელიც დიდ თავდადებას, გაჭ-ბედაობასა და ამასთან ღრმა კონსპირაციას მოითხოვდა. საკმარისი იყო ერთი მოუზომავი ან გაუფრთხილებელი ნაბიჯი, რომ ყველაფერი დაღუპულიყო, მათ შორის ამ მოღვაწეთა სოცოცხლეც. ფილიალის წევრები თავიანთი მოვალეობის სრული შეგნებით ჩაებნენ კომიტეტის მუშაობაში.

განთავისუფლების კომიტეტის თბილისის ფილიალის დავალებით, ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი ლადო მძინარიშვილი 1915 წლის შემოდგომაზე გადავიდა ფრონტის ხაზზე და ტყვედ ჩავარდნილი დაუკავშირდა ბერლინში მყოფ კომიტეტის წევრებს, რომელთაც საშშობლოდან საიდუმლო ინფორმაცია გადასცა. მომდევნო წლის ივნისში საქართველოს სტამბოლიდან იარაღით დატვირთული წყალქვეშა ნავი U-33 მოადგა ლ. მძინარიშვილის, პ. კერესელიძისა და მთიელი შამილის შემადგენლობით. ამ ექსპედიციის შესახებ თბილისელ თანამოაზრეებს გ. მაჩაბელმა შვეიცარიიდან გამოგზავნილი თავისი ძმის მეშვეობით აცნობა. დანაბარები მეკავშირეს თითქოს სპ. კედიასათვის გადაუცია. რევაზ გაბაშვილის სიტყვით, „ამ პრაქტიკულ საქმეებში სრულიად უმწეო ადამიანს“ რატომღაც ეს ცნობა ფილიალის სხვა წევრებისათვის არ გაუნდვია, ალბათ, „შიშის გამო“ და წყალქვეშას დასახვედრად თვითონაც არაფერი მოუმოქმედებია, ამიტომ ნაპირზე იარაღის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გადმოტანა მოხერხდა (*რ. გაბაშვილი 1992, 162*).

თავის მოგონებებში რ. გაბაშვილი ბევრს არაფერს ამბობს წყალქვეშა ნავის მეორედ სტუმრობაზე, რომელიც ხსენებული ამბიდან სულ რაღაც სამიოდე კვირაში განხორციელდა და საქართველოში ამჯერად გიორგი მაჩაბელი ჩამოვიდა. სამწუხაროდ, სათანადოდ ვერც ეს ექსპედიცია მიიღეს და, ცხადია, არა სპირიდონ კედიას „შიშის“ მიზეზით. სპ. კედიას შიშზე აქცენტირება უფრო მემუარისტის ტენდენციურობას უნდა მიეწეროს, ვინემ სინამდვილეს. სხვათა შორის, ავტორის ამგვარივე ტენდენციურობით აიხსნება ისიც, რომ თავის მემუარებში დავით ვაჩნაძე საერთოდ არ იხსენიებს სპირიდონ კედიას როგორც განთავისუფლებს კომიტეტის თბილისის ფილიალის წევრს (*ლ. ვაჩნაძე 1992 ა, 127*), არადა თვით კომიტეტის საარქივო დოკუმენტებში ამ უკანასკნელის გვარი უფრო ფიგურირებს, ვიდრე დანარჩენი ორისა.

ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი და პარტიის მომავალი თავმჯდომარე არ ყოფილა მხდალი კაცი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებდა პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლში ორჯერ გადაელახა რუსეთის იმპერიის საზღვარი და ჯერ შვეციასა და დანიაში ჩასულიყო განთავისუფლების კომიტეტთან დასაკავშირებლად, მეორედ კი ამავე მიზნით ბერლინს სწვეოდა. რევაზ გაბაშვილიცა და დავით ვაჩნაძეც სპირიდონ კედიას ამ ვიზიტების შესახებაც რატომღაც დუმან. ყველაფერი კი ასე მოხდა:

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და მეფის ხელისუფლების დამხობამ რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხებს თავისუფლების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. ამოძრავდა უკრაინა, პოლონეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთი. მეტი გამოცოცხლება დაეტყო სამხრეთკავკასიის და კერძოდ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებსაც. გაზეთების „საქართველოსა“ და „სამშობლოს“ ირგვლივ შემოკრებილმა ეროვნულ-დემოკრატთა თბილისისა და ქუთაისის ჯგუფებმა ჯერ მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი ჩამოაყალიბეს, ხოლო თავიანთ პირველ ყრილობაზე პოლიტიკური პარტიაც დააფუძნეს. ურთიერთშორის დაპირისპირების მიუხედავად, საქართველოს მთავარ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მაინც შეძლეს მუშაობის კოორდინირება და ამ მიზნით ინტერპარტიულ საბჭოში გაერთიანდნენ. დაისახა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის გეგმაც.

ასეთ ვითარებაში, 1917 წლის ოქტომბრის დამდეგს გერმანული წყალქვეშა ნავით UB-42 საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა განთავისუფლების კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი მიხაკო წერეთელი. ამჯერად იარაღთან ერთად უცხოეთიდან თანხაც გამოიგზავნა.

მ. წერეთელი თბილისში მცირე ხნით დარჩა. იგი ფარულად ცხოვრობდა დავით ვაჩნაძის ბინაზე, მაგრამ მასპინძლის დახმარებით, მოახერხა შეხვედროდა „ყველა პარტიულ მოთავეებს“. საიდუმლო თათბირი, რომელსაც მენშევიკთაგან ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი, ფედერალისტთაგან იოსებ გედევანიშვილი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატთაგან დავით ვაჩნაძე ესწრებოდნენ ამ უკანასკნელის სახლში გაიმართა. მ. წერეთელმა დამსწრეთ გააცნო განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობა და აუწყა ცენტრალურ სახელმწიფოთა გეგმები საქართველოს მიმართ. აღნიშნა, რომ გერმანელებს აინტერესებდათ ქართველი ხალხის მოწინავე წრეების სულისკვეთება და შეტყობა იმისა,

„სურს თანამედროვე ქართველობას დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა თუ არა? (*დ. ვაჩნაძე 1992 ა, 143-144*).

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხზე თათბირის მონაწილეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არც ყოფილა, მაგრამ თუ ერთნი (მ. წერეთელი, დ. ვაჩნაძე) აჩქარების მოხმრე იყვნენ, მეორენი (ნ. ჟორდანია და სხვ.) ხალხის შესამზადებლად დროს მოითხოვდნენ. ამასთან, ნოე ჟორდანიას სიტყვით, „საჭირო იყო ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა იმ მიზანთან და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ დაემუქრებდა“ (*ნ. ჟორდანია 1990, 72*).

შეხვედრით კმაყოფილმა მ. წერეთელმა გერმანიიდან ჩამოტანილი ფული — 15 ათასი რუსული ოქროს მანეთის ღირებულებისა, მოახლოებული ეროვნული ყრილობის წინ ნოე ჟორდანიას გადასცა (*ვ. კეშაკმო 1928, 148*) (გერმანული წყაროების თანახმად, მ. წერეთელს საქართველოში 370 ათასი მანეთი მოჰქონდა (*ლ. ბაკრაძე 2001, 119*)).

ფინანსების საჭიროება კიდევ უფრო გამოიკვეთა. ამასთან, განთავისუფლების კომიტეტის ქართული ფილიალის წევრებთან მიხაკო წერეთლის შეხვედრების შემდეგ გადაწყდა, უცხოეთიდან ფულთან და იარაღთან ერთად მოეთხოვათ სპეციალისტების და, რაც მთავარია, „თავდადებული და შეგნებული ხალხის“ გამოგზავნა (*ხუსა, ფ. 13, ანდ. 27. საქ. 5430, ფურც. 9*).

მიხაკო წერეთელს, როგორც დავალებული ჰქონდა, მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა მთიელებთან და აზერბაიჯანელებთან, რაც გარკვეულ დროს მოითხოვდა. ამიტომ საზღვარგარეთ წასვლა და განთავისუფლების კომიტეტის ბერლინელ წევრებთან დაკავშირება სპ. კედიას დაეკისრა.

1917 წლის 1 ნოემბერს, სათანადო პასპორტით აღჭურვილი ეროვნულ-დემოკრატთა მეთაური თბილისადან პეტროგრადის გზით უცხოეთში გაემგზავრა. ამ დროს იმპერიის ცენტრში დიდი ცვლილებები მზადდებოდა. სპირიდონ კედია რუსეთის დედაქალაქში ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების მეორე დღეს ჩავიდა. ხელისუფლებას უკვე ბოლშევიკები დაპატრონებოდნენ. იწყებოდა ცხოვრების სრულიად ახალი, პროლეტარული წესი და რიგი. საზღვარგარეთ წასასვლელად „ძველი“ პასპორტი აღარ გამოდგებოდა. ვიზაზე ბეჭედი ბოლშევიკური ხელისუფლების

წარმომადგენელს უნდა დაესვა. მთავრობის წევრებთან დაკავშირება კი იმხანად ლამის შეუძლებელი იყო. სმოლნს შეიარადებულ მეზღვაურთა და ჯარისკაცთა გაძლიერებული რაზმები იცავდნენ.

სპირიდონ კედიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა ი. სტალინთან შეხვედრა, რომელიც მაშინ ეროვნებათა სახელმწიფო კომისარიატს განაგებდა. ეს საქმე სხვათა თანადგომის გარეშე ნამდვილად არ გამოვიდოდა, მაგრამ თუ ვინ დაეხმარა ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერს რუსეთის ბოლშევიკთა ერთ-ერთ მეთაურთან აუდიენციაში, ამის თაობაზე ზუსტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. შესაძლოა, ხელშემწყობის როლში გიორგი მაჩაბლის ახლო მეგობარი, საქართველოს ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელი, შემდგომში საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის კომისარი, ოფიცერი ესტატე მაჩაბელი ვიგულვოთ, რომელიც იმხანად პეტროგრადში იმყოფებოდა და ეროვნებათა სახალხო კომისართანაც ახლო ნაცნობობა აკავშირებდა (ა. *ასლანიშვილი 1996, №215*). სავსებით დასაშვებია აგრეთვე ვარაუდიც, რომ პეტროგრადელ ქართველთა თხოვნით, სპირიდონ კედიასათვის იოსებ სტალინთან აბელ ენუქიძეს ეშუამდგომლა. მით უფრო, რომ, ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, ენუქიძეზე იმხანად „ყველაფერი იყო დამოკიდებელი“ (*ზ. ავალიშვილი 1990, 24*). ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებიც, სადაც აღნიშნულია, რომ სპირიდონ კედია შეხვედრია ა. ენუქიძეს და დაურწმუნებია იგი, რომ გაზეთისათვის სასწრაფოდ სჭირდება საბეჭდი მანქანა, რომელიც უნდა შეიძინოს შცვეიცარიაში. ენუქიძემ მისცა საჭირო მოწმობა და სპირიდონი იოლად გასცილდა რუსეთის საზღვარს (ამ პიროვნებას სპ. კედიას ოჯახთან კავშირში ქვემოთ კვლავაც შევხვდებით).

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ქართველ სეპარატისტს უცხოეთში გამგზავრების ნება თავისივე თანამემამულე დიდმოხელე ბოლშევიკმა — იოსებ სტალინმა მისცა (*ხუხა, ფ. 13, ანგ. 27, ხაჟ. 5430, ფურც. 9*). (გაივლის ხუთიოდე წელი ამ დღიდან და ბოლშევიკები სპირიდონ კედიას ახლა საერთოდ გაასახლებენ საზღვარგარეთ).

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ სპ. კედიას სტალინთან გარკვეული საუბარიც ჰქონია. ბუნებრივია, სტალინი დაინტერესდებოდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ამბებით, გაიხ-

სენებდა თავის ნაცნობებსა თუ პარტიულ ამხანაგებს და თანამემამულეს უცხოეთში სტუმრობის მიზანსაც ჰკითხავდა. სპირიდონი საქართველოს ჭეშმარიტ მისწრაფებას თანამოსაუბრეს, ალბათ, არ დაუმალავდა, მაგრამ ევროპაში თავისი ვიზიტის თაობაზე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, საბჭოთა მთავრობის წევრს სიმართლეს რომ არ ეტყოდა, ეს ცხადი უნდა იყოს. სხვაგვარად მისი გამგზავრების საკითხი დადებითად ვერ გადაწყდებოდა, არადა, გადაწყდა.

სპირიდონ კედიას სტალინთან შეხვედრიდან იმგვარი შთაბეჭდილება დარჩენია, თითქოს ეს უკანასკნელი „სიმპათიით უცქერის ეროვნებათა თავისუფლებას" (თუ როგორ გამოიხატა ეს სიმპათია საქართველოსთან მიმართებაში მკაფიოდ გამოჩნდა 1921 წლის თებერვალ-მარტში) და არაფერი აქვს საწინააღმდეგო მათი დამოუკიდებლობისა.

როგორც აღინიშნა, სპირიდონ კედიამ რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან გაფორმებული ვიზა მიიღო, მაგრამ ახლა საჭირო შეიქმნა შვეიცის მთავრობის წინააღმდეგობის გადალახვა. შვედები უარს აცხადებდნენ მეზობელი რევოლუციური ქვეყნიდან თავიანთ სახელმწიფო საზღვრებში მოქალაქეთა შეშვებაზე.

გიორგი მაჩაბლის ძმის — ნიკოს დახმარებით, სპირიდონ კედიამ მაინც შესძლო სტოკჰოლმში ჩაღწევა და იქიდან თანამოაზრე ბერლინელ ქართველთა დეპეშით ინფორმირება. საქართველოდან წარგზავნილი დელეგატისაგან შეტყობინების მიღებისთანავე, გიორგი მაჩაბელმა სტოკჰოლმში გამგზავრება დააპირა, მაგრამ ეს დროულად ვერ მოხერხდა, რის გამოც სპ. კედიას მისწერა — გადასულიყო დანიაში და თვითონაც იქითკენ გაეშურა. კოპენჰაგენში გერმანიის საელჩო, ისევე როგორც მსგავსი დაწესებულებანი ბერნში, სტოკჰოლმსა და სტამბოლში პირველი მსოფლიო ომის წლები ანტანტის სახელმწიფოების, კერძოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისტური საქმიანობის ცენტრებს წარმოადგენდნენ (*S. Zeterberg 1978, 50*).

ქართველი პატრიოტები ერთმანეთს კოპენჰაგენში შეხვდნენ.

სპირიდონ კედიამ უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს ახალი, მეტად სასიამოვნო ამბავი ჩაუტანა, სახელდობრ, მან გიორგი მაჩაბელს გააცნო თბილისში მიმდინარე სამზადისი ეროვნული ყრილობის მოსაწვევად, რომელიც სანიშანსვეტო მოვლენა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხდარიყო საქართველოს თავისუფლების გზაზე. ამ ფაქტმა მაჩაბელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა გაერთიანება თუნდაც საქართველოს ავტონომიის იდეის გარშემო, მან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოახლოებად მიიჩნია. გიორგი მაჩაბელი კმაყოფილებთ შეხვდა ქართველ თავადაზნაურთა განზრახვას საკუთარი ქონების მთელი ქართველი ერისათვის გადაცემის შესახებ. მის მაძიებელ გონებაში მაშინვე დაიბადა ახალი გეგმა, რომელიც პირველად სპირიდონ კედიას გაუზიარა. გეგმის თანახმად, განთავისუფლების კომიტეტს, ხსენებული ქონების გარანტიით, გერმანიის მთავრობისათვის უნდა ეთხოვა სესხი, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაფუძნებას მოხმარდებოდა. „თუ საქართველოს ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის, არ ავიღებთ, მზად კი გვექნებაო“, — დასძინა გ. მაჩაბელმა (მაჩაბელსა და გიორგი კერესელიძეს ამ საკითხზე მართლაც ჰქონდათ მოლაპარკება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც დახმარება აღუთქვეს (*სუხსა, ფ. 13, ანგ. 27, საქ. 5430, ფურც. 11*).

სპირიდონ კედიასთან თავისი შეხვედრის შესახებ გიორგი მაჩაბელმა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ უწყებას წერილობით აცნობა, ხოლო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის სხდომას ბერლინში 1917 წლის 28 დეკემბერს შემდეგი მოახსენა: „სპირიდონ კედია — თავმჯდომარე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, კანდიდატი რუსულ დამფუძნებელ კრებისა და ქალაქის ხმოსანი ჩამოვიდა ჯერ სტოკჰოლმში ჩვენ სანახავად და მერე კოპენჰაგენში. თბილისში მიხაკო წერეთელი რომ ჩასულა, ყველა პარტიული მოთავენი უნახავს და ულაპარაკნია მათთან.... მიხაკო წერეთელს შემოუთვლია გაგვეგზავნა ფული. ... იმ თანხიდან, რომელიც პირველად ჩაიტანეს, უნდა მიეცათ მოთავეებისათვის, მაგრამ იმდენად მცირედი იყო, რომ ვერ გაგვწვდებოდა და მეორედ რომ ჩავა ფული, მაშინ დავეხმარებითო. საჭიროა გადავგზავნოთ არამარტო სპეციალისტები, არამედ თავდადებული და შეგნებული ხალხი.“ სპ. კედიას სურდა აგრეთვე სამშობლოში ჩაეტანა ცენტრალურ სახელმწიფოთა განცხადებები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ (*სუხსა, ფ. 13, ანგ. 27, საქ. 5430, ფურც. 9-10*).

მშრალი საოქმო ჩანაწერი, ცხადია, ვერ გადმოსცემს ეროვნული თავისუფლების კომიტეტის წევრთა სულიერ განწყობილებას — ამაღლებულს იმის შეგნებით, რომ მათი სამწლიანი ბრძოლა სამშობლოს თავისუფლების საოცნებო მიზანს სულ უფრო რეალურსა და ხელშესახებს ხდიდა.

სპირიდონ კედიას ევროპაში გამგზავრებიდან ორი კვირის შემდეგ, 1917 წლის 16 ნოემბერს ობერლეიტენანტმა კურტ შვარცმა გერმანული წყალქვეშა ნავი UB-42 კიდევ ერთხელ მოაყენა ანაკლიის ნაპირს. ეროვნული კომიტეტის ხუთკაციან ჯგუფს, რომელსაც საქართველოში ფული და საბრძოლო აღჭურვილობა მოჰქონდა, ამჯერად პეტრე სურგულაძე მეთაურობდა. სამწუხაროდ, ეს ექსპედიციაც წარუმატებელი გამოდგა. დათქმული საიდუმლო ნიშანი სწორი არ აღმოჩნდა და ნაპირზე გადასული გერმანელი უნტეროფიცერი და მეზღვაური რუსების სანაპირო დაცვის გუშაგებმა შეიპყრეს (*Г. Лорей 1937, 402*). მასალებში აღნიშნული არ არის, თუ რა ბედი ეწია გერმანელებთან ერთად მყოფ ოფიცერ სიამაშვილსა და სულეიმან ირემაძეს. რაც შეეხება დაპატიმრებულ უცხოელთ, რომლებიც ბათუმის ციხეში მოათავსეს, მათ სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდათ, რომ არა დავით ვაჩნაძის ენერგიული მოქმედება და პატრიოტი სამხედროების — გენერალ გიორგი მაზნიაშვილისა და პოლკოვნიკ ვასილ კარგარეთელის თანადგომა. ერთი თვის თავზე გერმანელი ტუსაღები განთავისუფლებულ იქნენ (*დ. ვაჩნაძე 1992 ა, 128–129*).

წყალქვეშა ნავი ორი დღე უშედეგოდ ელოდა ნაპირზე გადასულთ, მეტ ცდას აზრი აღარ ჰქონდა და მეთაურმა უმჯობესად ჩათვალა უკან გაბრუნება. „ჩვენი გადასვლის ისტორია ჩემთვის სულ ბურუსით მოცულია და ათასგვარი ეჭვი მებადებაო“ — წერდა პეტრე სურგულაძე ექსპედიციის მარცხის თაობაზე გიორგი კერესელიძეს (*სუსა, ფ. 13, ანგ. 27, საქ. 5433, ფურც. 16*).

გაიგო თუ არა ექსპედიციის ფიასკოს შესახებ, განთავისუფლების კომიტეტმა დაადგინა: ფული, რომელიც პეტრე სურგულაძემ საქართველოში ვერ ჩაიტანა, სპირიდონ კედიასათვის გაეტანებინათ. სპირიდონ კედიას ქართული ფილიალის წევრთათვის გადასაცემად გაეგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „კომიტეტი მეტად უკმაყოფილოა, რომ საქართველომ აქამდის ვერაფერი ... გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ პირობები მეტად ადვი-

ლია თავისუფლებისათვის და, რომ კომიტეტი დარწმუნებულია სპირიდონი რომ ჩავა, ყოველ ღონეს იხმარს, რათა საქართველომ გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა“ *(ხუსსა, ფ. 13, ანწ. 27, საქ 5430, ფურც. 11)*. (საქართველოში გამოსაგზავნი ფულის, ამჯერად 726 ათასი მანეთის წამოღება ვერც სპირიდონ კედიამ შეძლო *(ლ. ბაკრაძე 2001, 125)*.)

სპირიდონ კედიამ კოპენჰაგენიდან სამშობლოში დაბრუნება კვლავ პეტროგრადის გავლით გადაწყვიტა. რუსეთის დედაქალაქში დაუბრკოლებლად ჩავიდა, მაგრამ იქიდან საქართველოში გამომგზავრება მეტისმეტად გაუჭირდა. ბოლშევიკებს უკვე მოესწროთ დამფუძნებული კრების გარეკვა და ქვეყანაც სამოქალაქო ომის სისხლიან მორევში შთანთქმულიყო... მგზავრობა სამხრეთისაკენ სრულიადაც არ იყო უხიფათო. სარკინიგზო მიმოსვლა სატახტო ქალაქებსა და კავკასიას შორის ვეღარ წარმოებდა. დონისა და ყუბანის ოლქებში „ლენინელები“ და „კორნილოველები“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდნენ ერთმანეთს. გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა. დასახლებული პუნქტები ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლშევიკური ცენტრის განკარგულება თუ ერთგან უსიტყვოდ ჭრიდა და სრულდებოდა, მეორეგან იგი არად ფასობდა და შეიძლებოდა ათასგვარი უსიამოვნების საფუძველიც გამხდარიყო. სწორედ ამიტომ პეტროგრადში მყოფ ქართველთა ეროვნული კომიტეტი, რომელსაც სპირიდონ კედიაც შეუერთდა, ერთხანს ფეხს ითრევდა, ეძებდა „სამშობლოში ევაკუაციის“ უსაფრთხო გზებსა და საშუალებებს.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, სმოლნის უმაღლესი ნებართვით, „სანიტარული მატარებელი №133“, რეისით პეტროგრადი-ბაქო-თბილისი — 1918 წლის 28 მარტს ფინეთის ვაგზლიდან დაიძრა. რამდენიმე ათეულ თანამემამულესთან ერთად მატარებელში ავიდა სპირიდონ კედიაც. აქვე იყვნენ მისი ახლო ნაცნობი, იურისტი ზურაბ ავალიშვილი და თანამოაზრე, ცნობილი მეწარმე აკაკი ხოშტარია.

ზურაბ ავალიშვილი შთამბეჭდავად აგვიწერს ამ ფატერაკიანი ხანგრძლივი მგზავრობის პერიპეტიებს. მატარებელმა პეტროგრადიდან დონის როსტოვში ჩასვლას ერთი კვირა მოანდომა. მგზავრები ორი დღე-ღამე ამ ქალაქში დააყოვნეს. ზ. ავალიშვილის სიტყვით, „თვით როსტოვშიც არ იყო სიმშვიდე. ვაგზლის მიდამოებს პანიკა მოიცავდა ხოლმე. აყენებდნენ და ხსნიდნენ გუშა-

გებს, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ტყვიამფრქვევები, და ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ამშვიდებდა, ვის ამშვიდებდნენ, ვინ იყო სეირის მაყურებელი და ვის ჰქონდა ძალაუფლება“ (*ზ. ავალიშვილი, 1990, 30*).

სადგურ კავკასკაიაზე ქართველებს მატარებელი ჩამოართვეს და სანაცვლოდ რამდენიმე საბარგო ვაგონი დაუთმეს. არმავირში მგზავრები გულმოდგინედ გაჩხრიკეს, მერე კი საგანგებო კომისიაში დაკითხვაც მოუწყვეს. სპირიდონ კედია და მისი რამდენიმე თანამგზავრი ღამე არმავირელმა ქართველებმა შეიკედლეს. ზურაბ ავალიშვილი იგონებს: „მე და სპირიდონ კედიას წილად გვერგო გვესარგებლა არმავირში აქციზის სახით მოსამსახურე ჩვენი თანამემამულის სტუმართმოყვარეობით, რომელიც პოლიტიკაში ეროვნულ-დემოკრატების თანამოაზრე იყო: იგი აღფრთოვანებული იყო პატივით — ღამე გაეთენებინა იმ პარტიის გამოჩენილი ლიდერისთვის — კედიასათვის, ამით კი მეც პატივნაცემი დავრჩიო.“

არმავირელი პატრიოტი ქართველივით როდი ფიქრობდნენ და იქცეოდნენ კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომელთაც იმ პერიოდში ხელთ ეპყრათ ქალაქის მთელი ძალაუფლება. წინადღით ჯარისკაცთა მიტინგმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „ივერიის პოლკის“ რამდენიმე ათეულ ოფიცერსა და მებრძოლს, მათ შორის 13 ქართველს, რომელთაც მოხალისეთა არმიასთან კავშირი დაბრალდათ. სასჯელი იქვე მოიყვანეს სისრულეში და დახვრეტილები თავისივე ხელით წინასწარ გათხრილ ორმოში ჩაყარეს.

იგივე ჯარისკაცები საეჭვოდ ემუქრებოდნენ ჩვენს მგზავრებსაც. იყო სხვა არაერთი განსაცდელი, ახალი გაჩხრეკები, დამატებითი ახსნა-განმარტებები და სხვ. სპირიდონ კედია სამშობლოში მხოლოდ 1918 წლის აპირილის ბოლოს დაბრუნდა. 1 მაისს გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა, რომ სპირიდონ კედია თბილისში ჩამოვიდა. ქრონიკაში მითითებული იყო აგრეთვე აკაკი ხოშტარიასა და ზურაბ ავალიშვილის პეტროგრადიდან საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე (*„საქართველო“, 1918 ჯ, №84*).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ევროპაში ყოფნის მანძილზე სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში მოვლენები კალეიდოსკოპურად განვითარდა, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებში გამოიხატა. 1917 წლის 15 ნოემბერს ოზაკომის

ადგილი ამიერკავკასიის კომისარიატმა დაიკავა, რამდენიმე დღის შემდეგ კი თბილისში მოწვეულმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. ჩამოყალიბდა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიც. მართალია, ეროვნულ საბჭოს ლეგიტიმურობის ხარისხი აკლდა — არ ყოფილა შექმნილი საყოველთაო არჩევნების გზით, მაგრამ იგი ფაქტობრივად საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენდა. არც კომისარიატმა და არც ეროვნულმა საბჭომ არ ცნეს რუსეთში 1917 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული ბოლშევიკური მმართველობა. თავად საბჭოთა რუსეთს კი ჯერ ამიერკავკასიისათვის არ ეცალა, — უცხოური სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პირობებში მას თავისი გასჭირვებოდა, თუმცა იყო კავკასიის არმიის მეშვეობით საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების განუხორციელებელი ცდა.

1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა გარეკეს პეტროგრადის თავრიდის სასახლეში შეკრებილი დამფუძნებელი კრება, რომელსაც იმედით შეჰყურებდა მთელი რუსეთი, მათ შორის ე.წ. განაპირა მხარეებიც. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შანსი რუსეთში ნულს გაუტოლდა. ასეთ ვითარებაში აღმოცენდა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც დათხოვნილი დამფუძნებელი კრების ქართველმა, აზერბაიჯანელებმა და სომეხმა დეპუტატებმა შეადგინეს. 1918 წლის 3 მარტს ლენინმა ბრესტ-ლიტოვსკში ზავი დადო გერმანიასთან. ომი შეწყდა. აქამდეც მოშლილი კავკასიის ფრონტის ხაზი, რომელიც უნუგეშოდ მიატოვა რუსეთის არმიამ, საერთოდ გაშიშვლდა. ოსმალეთის მოსალოდნელი აგრესიის შეჩერება კარგად ორგანიზებულ და მტკიცე სამხედრო ძალას შეეძლო, ამიერკავკასიას კი ასეთი ჯარი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, სეიმმა არ ცნო ბრესტის ზავი, რომლითაც საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების მოზრდილი ნაწილი — ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები თურქეთს მიეკუთვნა და სცადა ოსმალებთან მშვიდობიანი შეთანხმების გზით თავიდან აეცილებინა მათი შემოჭრა. ტრაპიზონის მოლაპარაკებამ (1918 წლის თებერვალ-მარტში) შედეგი არ გამოიღო. თურქებმა მცირე დროში დაიკავეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით წილხვედრი პროვინციები და ამიერკავკასია აიძულეს, ეღიარებინა ოსმალთათვის მათი გადაცემის კანონზომიერება, თუმცა არც ამას დასჯერდნენ და საქართველოსა და სომხეთის სიღრმეშიც შემოვიდნენ.

1918 წლის 9 (22) აპრილს სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ოსმალეთის მთავრობამ სცნო ახლად შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა და მის წარმომადგენლებთან საზავო მოლაპარაკების განახლებაზეც თანხმობა განაცხადა. სამშვიდობო კონფერენციის ადგილად ბათუმი შეირჩა.

უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული სპირიდონ კედია, აკაკი ჩხენკელის წინადადებით, ბათუმში წარგზავნილი ამიერკავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში ჩართეს, როგორც მრჩეველი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა: ჩხენკელის ამ გადაწყვეტილებას, ალბათ, წინ უსწრებდა მისი შეხვედრა სპირიდონ კედიასთან და შეტყობა იმისა, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთა მთავრობებმა 1917 წლის ნოემბერში განთავისუფლების კომიტეტს კიდევ ერთხელ დაუდასტურეს თავიანთი მზადყოფნა, ეცნოთ და ეღიარებინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუკი იგი გამოცხადდებოდა.

ბათუმის კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალურად ორი დელეგატი — აკაკი ჩხენკელი და ნიკო ნიკოლაძე წარმოადგენდა. სახელოვანი თერგდალეული ნიკო ნიკოლაძე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თვალსაჩინო წევრი იყო. აქვე დავძენთ, რომ სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა კიდევ რამდენიმე ეროვნულ-დემოკრატი, კერძოდ სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა (*ხუხა, ფ. 1836, ანგ. 1, საქ. 107, ფურც. 16*) და პეტრე სურგულაძე (*ზ. აკალიშვილი, 1990, 76, 84*). აღსანიშნავია, რომ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე ამიერკავკასიის დელეგაციას კი არ ახლდა, არამედ იგი გერმანული მხარის მრჩეველი იყო და სტამბოლიდან ბათუმში სპეციალურად ამ მიზნით ჩამოიყვანეს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან გერმანიის დელეგაციის ორი წევრი — გრაფი შულენბურგი და ახალგაზრდა დიპლომატი ოტო გიუნთერ ფონ ვეზენდოკი წლების მანძილზე დაკავშირებული იყვნენ საქართველოს ეროვნულ კომიტეტთან. გრაფი ერთხანს ოსმალეთში ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონს მეთაურობდა, ახლო აღმოსავლეთის სპეციალისტი, დიპლომატი და გერმანიის გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი ვეზენდოკი კი ქართულ საქმის ერთ-ერთი მთავარი

მწარმოებელი იყო კაიზერის საგარეო საქმეთა სამინისტროში. უთუოდ, მათი და პეტრე სურგულაძის წვლილი უნდა იყოს, რომ „გერმანელებს ბათუმში ჩამოსვლისთანავე კავშირი დაუჭერიათ ქართველებთან. მათ ჩვენს დელეგატებთან კარგი განწყობილება ჰქონიათ, განსაკუთრებით აკაკი ჩხენკელთან, რომელსაც დიდი პატივით ეპყრობიან". „ამჟამად, ფონ ლოსოვსა და ჩხენკელს შორის ისეთი მეგობრული განწყობილებაა დამყარებული, რომ ერთმანეთის დაუკითხავად არას აკეთებენ. ოსმალეთისათვის წარსადგენ საპასუხო ქაღალდებსაც კი ერთად ადგენენ" — მოახსენებდა ნოე ჟორდანია საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის გაფართოებულ სხდომას 1918 წლის 24 მაისს (*სუსსა, ფ. 1836, ანგ. 1, საქ. 48, ფურც. 1*).

სამშვიდობო კონფერენციის დღეებში აკაკი ჩხენკელის ბათუმიდან გაგზავნილმა წერილებმა (*ა. სილაგაძე, ქ. გურული 1998, 108-137*) და თვითონ ნოე ჟორდანიას შეხვედრებმა ბათუმში გერმანიის წარმომადგენლებთან, დაარწმუნა სოციალ-დემოკრატები, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რასაც დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, ალტერნატივა აღარ გააჩნდა. ეროვნულმა საბჭომ კიდევ უფრო გააცხოველა მუშაობა ამ კუთხით და სათანადო ნიადაგის მომზადების შემდეგ შექმნა სპეციალური კომისია ნოე რამიშვილის, დავით ვაჩნაძისა და შალვა მესხიშვილის შემადგენლობით („სამთა კომისია"), რომელიც საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით მოქმედებდა (*სუსსა, ფ. 1836, ანგ. 1, საქ. 2, ფურც. 68, 71*).

ბათუმის კონფერენციის მუშაობის დაწყებისთანავე, როცა გერმანიის დელეგაციამ ქართველებს აცნობა თავისი ქვეყნისა და მისი მოკავშირეების თანხმობა, მხარი დაეჭირათ საქართველოს საუკუნოვანი ოცნებისთვის და ხელი შეეწყოთ მისი დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, აკაკი ჩხენკელმა სპირიდონ კედია საგანგებოდ მიავლინა ბერლინში ქართველი ერის სრულუფლებიან წარმომადგენლად, როგორც გერმანიის, ისე სამთა კავშირის სხვა სახელმწიფოთა მთავრობებთან მოსალაპარაკებლად (*სუსსა, ფ. 1836, ანგ. 1, საქ. 131, ფურც. 38*).

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამას რამდენიმე თვის მანძილზე დაბეჯითებით ესწრაფოდა ევროპაში მოქმედი სა-

ქართველოს განთავისუფლების კომიტეტი. კომიტეტმა ჯერ კიდევ 1917 წლის 3 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება: „საჭიროა ვაცნობოთ საქართველოს, რათა რაც შეიძლება მალე გამოაცხადონ დამოუკიდებლობა ან გამოაგზავნონ ხალხი ან ჩვენ მოგვცენ ვექილობა, რომ შეგვეძლოს ვაცნოთ ყველა სახელმწიფოებს ჩვენი დამოუკიდებლობა, რათა გვქონდეს უფლება ზავის კონგრესზე წარვსდგეთ". განთავისუფლების კომიტეტმა ამასთან დაადგინა, შეერჩიათ ორი ქართველი ოფიცერი, რომლებიც „როგორც გაქცეულნი", გადავიდოდნენ ფრონტის ხაზზე და ნეიტრალურ სახელმწიფოთა გზით ჩააღწევდნენ საქართველოში (*ქ. ხოზრიძე 1998, 101*).

1917 წლის 31 დეკემბერს განთავისუფლების კომიტეტმა განიხილა საქართველოში ბერლინური „ქართული გაზეთის" ასოთამწყობის, სოლომონ ვადაჭკორიას გაგზავნის საკითხი. ს. ვადაჭკორიას უნდა დაერწმუნებინა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელები (უპირველეს ყოვლისა ნოე ჟორდანია), რომ დამოუკიდებელ საქართველოს ექნებოდა გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო დახმარება და საჭირო იყო ევროპაში საქართველოს წარმომადგენლის ჩასვლა (*ხუხა, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 5430, ფურც. 13-15*).

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა სამშობლოში ექსპედიციის მოწყობის საკითხს რამდენიმე სხდომა მიუძღვნა 1918 წლის დასაწყისშიც. 12 და 22 თებერვალს იმსჯელეს იმ ჯგუფების შესახებ, რომელთაგან ერთი უკრაინის, ხოლო მეორე ოსმალეთის გავლით ჩავიდოდა საქართველოში. 1918 წლის 1 მარტს განთავისუფლების კომიტეტისა და ხსენებულ ჯგუფთა წევრები ბერლინში შეიკრიბნენ, შეთანხმდნენ, რომ ოსმალეთზე მიმავალი ექსპედიცია იქნებოდა „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა" წარმომადგენლობა და იგი თბილისში ლეგალურად შევიდოდა. უკრაინის გზით საქართველოში გასაგზავნად 4 კაცი შეირჩა, ესენი იყვნენ: რაფიელ ნიჟარაძე, კაპიტანი ელიზბარ (?) კიკნაძე, პოდპორუჩიკები კანდელაკი და ცერცვაძე (*ხუხა, ფ. 13 ანაწ. 27, საქ. 5432, ფურც. 22*). (სამწუხაროდ, წყაროში აღნიშნული არ არის უკანასკნელთა სახელები). ექსპედიციის მთელი ხარჯი — 4 ათასი მარკა გერმანიის მთავრობამ გაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის წარგზავნილები უკრაინაში ორად გაიყოფნენ, აქედან საქართველოსთან დაკავშირების უმჯობესი გზა მათ თავად უნდა აერჩიათ. საერთო ინსტრუქციით, ექსპედიციის წევრებს ევალებოდათ: მოენახათ საქართველოში საქმის კურსში მყოფი ხალხი — მიხაკო წერეთელი, სპირიდონ კედია და სხვ., ეცნობებინათ მათთვის ოსმალეთიდან მომავალი დელეგაციის შესახებ და ოფიციალურ წარმომადგენელთან ერთად, რომელიც ევროპაში მისავლინებლად შეირჩეოდა, დროულად დაბრუნებულიყვნენ გერმანიაში (*სუსხა, ფ. 13, ანგ. 27, საქ. 5432, ფურც. 22-23*).

მიხაკო წერეთლის ნაამბობზე დაყრდნობით, კ. სალია ამ ამბებს რამდენადმე განსხვავებულად გადმოგვცემს. მისი ცნობით, რასაც მ. ქავთარაძეც იმეორებს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სასწრაფოდ დაუბარებიათ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის 2 წევრი — მიხაკო წერეთელი და მელიტონ ქარცივაძე. მოუთხოვიათ, საქართველოდან ჩამოეყვანათ „თუ მთელი ერის არა, მისი უძლიერესი პარტიის მანდატით აღჭურვილი სრულუფლებიანი წარმომადგენელი მაინც“ (*კ. სალია 1962, 29-30*). დავალების შესასრულებულად მიხაკო წერეთელი და მელიტონ ქარცივაძე გერმანული წყალქვეშა ნავით ოსმალეთიდან საქართველოში გამოემგზავრნენ.

არ ვიცით, რატომ — შესაძლოა წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, — მაგრამ განთავისუფლების კომიტეტის წევრები საქართველოს ნაცვლად ნაპირზე ყირიმში — ქ. სევასტოპოლში გადავიდნენ. აქ ისინი შეხვდნენ სპირიდონ კედიას, რომელიც „ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის მანდატით მიემგზავრებოდა სოფიაზე გავლით ბერლინში, ქართული კომიტეტისთვის საჭირო ავტორიტეტის მოსაპოვებლად და საქართველოს სახელით მოლაპარაკების გასაგრძელებლად“ (*ძ. ჯუთარაძე 1979, 5*).

თავის მეგობრებთან ერთად სპირიდონ კედიამ გზა გაგრძო გერმანიისაკენ და ბერლინში ჩავიდა. აქ მან და განთავისუფლების კომიტეტის წევრებმა შეიმუშავეს გერმანიასთან თავისუფალი საქართველოს დამოკიდებულების პირობები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორი ერის ურთიერთობაში.

1918 წლის 3 ივნისს ბერლინს ეწვია უკვე დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია სა-

გარეთ საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. კაიზერის მთავრობასთან ოფიციალური მოლაპარაკების ობიექტი საქართველოსა და გერმანიის ურთიერთკავშირს შეეხებოდა, რომლის საფუძველი საქართველოს სუვერენიტეტის ცნობა და მისი უზრუნველყოფა, ხოლო გერმანიისათვის გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლობის შეთავაზება იყო (*ზ. ავალიშვილი 1990, 96*).

სპირიდონ კედია ჩაერთო ქართველ დესპანთა მუშაობაში, მას ოფიციალური დელეგაციის მდივნობა დაეკისრა, რასაც ღირსეულად გაართვა თავი. რაც შეეხება განთავისუფლების კომიტეტს, მისი საქმიანობა საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა. კომიტეტმა თავისი მუშაობის ანგარიში ბერლინში ჩასულ საქართველოს სამთავრობო დელეგაციის მეთაურს, აკაკი ჩხენკელს ჩააბარა. ამ უკანასკნელმა „მეტის სიმპათიით მოიხსენია კომიტეტის მუშაობა და სთქვა, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ისტორიაში“ (*ხუხა, ფ. 13, ანწ. 27, საქ. 5432, ფურც. 25*). კომიტეტმა ბოლო, სალიკვიდაციო სხდომა 1918 წლის 21 ივლისს გამართა, სპირიდონ კედია კი გერმანიაში იმავე წლის აგვისტოს დამდეგამდე დარჩა და სამშობლოში დელეგაციის წევრ ევგენი გეგჭკორთან ერთად 1918 წლის 16 აგვისტოს დაბრუნდა (*„საქართველო“, 1918 ე, №167*) (სხვათა შორის, მათთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა გერმანიაში ტყვედ მყოფი 200 ქართველი მეომარი).

## II.5. ნაჩდებილია ბაჩანულ ოჩდენზე

პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე რუსეთის მონარქისტული და ბურჟუაზიული წრეები სამშობლოს დაცვის ურაპატრიოტულმა განწყობილებამ მოიცვა. კავკასიისა და მათ შორის ქართველი საზოგადოების გარკვეული ფენები აჰყვნენ ამ ეიფორიას და ცარიზმისადმი თავიანთი ერთგულქვეშევრდომული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობები მანიფესტაციებსა და იმპერატორის სახელზე გაგზავნილ ადრესებში გამოხატეს.

მეფის მთავრობამ რუსეთის მიწა-წყალზე მიმოფანტულ გერმანელთა წინააღმდეგ იმთავითვე მკაცრ, რეპრესიულ ღონისძიებებს მიმართა. მრავალი გერმანელი იმპერიის ფარგლებიდან გაასახლეს, ზოგიც დააპატიმრეს, ქვეყანაში დარჩენილთა დიდ ნაწილზე კი ფარული პოლიციური მეთვალყურეობა იქნა დაწესებული. გერმანელ მრეწველთა თუ მეწარმეთა დიდძალ ჩამორთმეულ ქონებას ხაზინა დაეპატრონა. ხელისუფლების ამგვარი ზომები ხელს უწყობდა ანტიგერმანული საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებას, რომელიც მოსკოვისა და პეტროგრადის ოფიციალურმა პრესამ გერმანოფობურ სულისკვეთებაში გადაზარდა. უნდობლად უცქერდნენ სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში მყოფ გერმანიის ლამის ყველა ქვეშევრდომს.

ექვმიტანილთა სიებში აღმოჩნდა საქართველოში მცხოვრები ასეულობით გერმანელი კოლონისტი, რომელთა საწინააღმდეგო ადგილობრივ მკვიდრთ არაფერი ჰქონიათ, პირიქით — ქართველობა პატივისცემით იყო განმსჭვალული ამ კულტურული, უაღრესად შრომისმოყვარე, საქმიანი და ენერგიული ადამიანების მიმართ.

საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერებულ ნაწილს, რომელიც გაერთიანებული იყო სხვადასხვა იდეურ მიმდინარეობებსა თუ პოლიტიკურ პარტიებში, მტრული დამოკიდებულება არც გერმანიის სახელმწიფოს მიმართ გამოუხატავს. ქართველი ერის მოწინავე, განათლებული წარმომადგენლები კარგად იცნობდნენ თვითმყოფად გერმანულ კულტურას, ამ ქვეყნის მდიდარ და შინაარსიან ლიტერატურას, სხვა მიღწევებს და დიდად აფასებდნენ გერმანელი ხალხის საუკეთესო თვისებებს. ქართული პერიოდული გამოცემები არ მოუცავს ანტიგერმანულ ისტერიას, მეტიც — ჩვენში მოქმედ პოლიტიკურ დაჯგუფებებსა თუ ინტელიგენტურ საზოგადოებაში გერმანოფილური მისწრაფება შეიმჩნეოდა. გერმანიისაკენ გაურბოდა თვალი და ცენტრალურ სახელმწიფოებზე იყო ორიენტირებული საქართველოს თითქმის მთელი პოლიტიკური ელიტა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი პოზიცია თვითმპყრობელური რეჟიმის სიძულვილმა, მისგან თავდაღწევის ლტოლვამ და ამ საქმეში გერმანიის სავარაუდო დახმარების იმედმა წარმოშვა, რაც ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, მაგრამ

საკითხის ნათელსაყოფად საკმარისი არ იქნება. ამას უნდა დავამატოს საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა საგულისხმო ტრადიციაც, რომლის სათავე შორეულ წარსულშია საძებნი. მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელ ეპოქაში კონტაქტები ინტენსიური არ ყოფილა და ეპიზოდური ხასიათით შემოიფარგლებოდა, ქართველი და გერმანელი ხალხების დაახლოებას თავისებური იმპულსი მიეცა.

ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, „გერმანიის ორიენტაციაში თავიდანვე იყო რაღაც უფრო ღრმა, რაღაც უშუალოდ დაკავშირებული ერის მომავალ სვე-ბედის, მისწრაფებათა და თვითდამკვიდრების შეგნებასთან“, იმ ერისა, რომელსაც ევროპა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც „უმთავრესი კერა ყოველგვარი კულტურული მოძრაობისა“ (*ზ. ავალიშვილი 1990, 128*).

XX საუკუნის დამდეგის ქართველ ახალგაზრდობაში გერმანიის კულტურის პრესტიჟი მეტად ძლიერი იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის თაობაში არსებულ საფრანგეთის ავტორიტეტს. ამას გერონტი ქიქოძე მოწმობს. იგი გადმოგვცემს: „ჩვენს მიდრეკილებას აძლიერებდა ის პოეტური წარმოდგენა ბურუსიან გერმანიაზე, რომელიც „ნიბელუნგების სიმღერის“, გოეთეს, შილერის, ჰაინეს ლექსებისა და ჰოფმანის მოთხრობების მიხედვით გვქონდა შედგენილი“ (*გ. ქიქოძე 1985, 541-544*).

1912 წლის ნოემბერში სანდრო შანშიაშვილი კოტე მაყაშვილს ევროპიდან წერდა: „გერმანია! აი, სად უნდა იზრდებოდეს ჩვენი ქართველი მომავალი მოღვაწე. აქ არის სულის სიღრმე, აქ არის აზრი, აქ არის ფილოსოფია, მეცნიერება და უმაღლესი პოეზია... აქ არის შეერთებული შილერის ჰუმანიზმი და ნიცშეს სისასტიკე. ჩვენმა ქართველმაც ეს ორი ცხოვრების პრინციპი ღრმად უნდა შეიგნოს და შეითვისოს.“

დაახლოებით ამავე პერიოდში, კენისბერგში მყოფი კონსტანტინე გამსახურდია გერმანელთა ხასიათში შემჩნეულ პატივსაცემ თვისებებს — „მოვალეობის მტკიცედ ასრულება, ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი ძალ-ღონის იმედი“ — ქართველ ერს მისაბაძად უსახავდა (*კ. ავალიანი 1990, 14*). ქათველთათვის არც გერმანული ჰეროიზმი და მესიანისტური პათოსი ყოფილა უცხო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შესახებაც ხშირად მიუთითებდნენ ჩვენი პუბლიცისტები (ჯ. ინგოროყვა 1918, №190).

მკაცრი ცენზურა, მით უფრო ომის პირობებში, პრესის ორგანოებს საშუალებას ართმევდა, სრულად გამოეხატათ თავიანთი პოლიტიკური მისწრაფებანი, ღიად ესაუბრათ საქართველოს საგარეო თუ კულტურული ორიენტაციის პრობლემებზე, მაგრამ ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთების ანალიზი აშკარად გერმანიისადმი მათ სიმპათიას ცხადყოფს. ყველაზე მეტად ეს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გამოცემებზე — „კლდესა“ და „საქართველოზე“ ითქმის. სპირიდონ კედია მიუთითებდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა პარტიულად იმთავითვე გერმანული ორიენტაცია მიიღეს, აირჩიეს ის გზა, რომელსაც საქართველოს განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. „საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური სიმპათია და ორიენტაცია იყო ერთადერთი: სიმპათია გერმანიის მხედრობისადმი, ორიენტაცია გერმანიისაკენ. ჩვენი ტაქტიკის და სიმწიფის საქმე იყო, ეს სიმპათია იმდენად გამოგვემჟღავნებინა და ეს ორიენტაცია იმდენად გვეწამებია, რომ საქართველოს ნაადრევი ზიანი თავს არ დასტეხოდა იმ ხიფათით და საფრთხით გატენილ გარემოებაში, რომელშიც იგი ცხოვრობდა, ვიდრე რუსეთი ჯერ კიდევ თავის კანჭებზე იდგა და მისი იარაღის პირველი სიძლიერე ჯერ კიდევ გაწბილებული არ იყო“ (ს. კედია 1918, №188).

გერმანიისადმი ქართველთა სიმპათია მხოლოდ „შორით ტრფობაში“ არ გამოხატულა. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც „ქართული საქმით“ კაიზერის საიმპერატორო კარის წამომადგენელთა დასაინტერესებლად. როგორც ზემოთ ითქვა, I მსოფლიო ომის დასაწყისშივე ჟენევაში დაარსებული საქართველოს განთავისუფლების ჯგუფის ბაზაზე საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი ჩამოყალიბდა. მისი წევრები დაუკავშირდნენ გერმანიის სახელისუფლებო წრეებს და თავიანთი პოლიტიკური მისწრაფებანი გააცნეს.

თავის მოწინააღმდეგე სამხედრო ბანაკის დასუსტების მიზნით, რუსეთისაგან მისი განაპირა მხარეების ჩამოშორება, პოლონეთში, უკრაინასა და კავკასიაში ბუფერული სახელმწიფოების შექმნა ვილჰელმ II გეგმაშიც შედიოდა. ამ გარემოებამ ქართულ კომიტეტს საქმე გაუადვილა. რომანოვთა იმპერიისაგან საქართვე-

ლოს ჩამოცილების საერთო ინტერესმა ქართველები და გერმანელები ერთმანეთთან დააახლოვა. მალე დადებულ იქნა ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და ქართულ ეროვნულ კომიტეტს შორის, რომლის ძალით, გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში დახმარებას აღუთქვამდა, თუ ომში ცენტრალური სახელმწიფოები გაიმარჯვებდნენ.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მისწრაფება — მოკავშირე ეპოვა ევროპის ქვეყნებში, გასცდა დიდ სახელმწიფოთა მხრიდან მორალური თანაგრძნობის ჩარჩოებს და საქმიან ურთიერთობებში გადაიზარდა. გერმანიამ დააფინანსა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მთელი საქმიანობა, უზრუნველყო ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული სამხედრო შენაერთის ჩამოყალიბება, წყალქვეშა ნავებით საქართველოში იარაღის შემოტანა და სხვ. სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამგვარმა თანამშრომლობამ ნიადაგი შეუმზადა გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას. მართლაც, როდესაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი დაცვა გერმანიამ იკისრა. შალვა ამირეჯიბის სიტყვით, „საქართველოს რესპუბლიკა მაისში დაიბადა. მისი ბებია გერმანია იყო. ოდესმე ისტორია იტყვის, რა ძნელი იყო გერმანიისათვის სოციალიზმით ორსულ ქრთულ მუცლიდან ბავშვის გამოღება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჰქვიან“ (*ლიტ. ძუზ. შ. ამირეჯიბის ფ. საქ. 26960/2, ფურც. 12-13*).

1918 წლის ივნისში საქართველოში შემოვიდა ორი ბავარიული ათასეული 1800 მებრძოლის შემადგენლობით. შენაერთებს თან ახლდა გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისისა გენერალ ფრიდრიხ ზიგმუნდ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით, რომელმაც ბინა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მუხრანთბატონის ყოფილ სასახლეში დაიდო.

ქართველი ხალხი სიხარულით შეხვდა რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებასა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. თუმცა გაჩნდა ერთგვარი შიშიც, სამშობლოში უცხო ძალის — გერმანიის ჯარების გამოჩენის გამო. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩა ფონ კრესს, რომელიც ნოე ჟორდანიასთან ვიზიტისას ამ საკითხს განსაკუთრებით შეეხო. განაცხადა, რომ ჩვენ აქ მოვედით საქართველოს მთავრობის სურვილითა და თანხმობით. თუ ხალხი უარყოფითად შეხვდება გერმანე-

ლებს, შეგვიძლია უკან გავბრუნდეთო. ნოე ჟორდანიამ დაარწმუ-
ნა სტუმარი, რომ ყველაფერი გაუგებრობის ნაყოფია, გერმანე-
ლებს ჩვენ მეგობრებად ვთვლით, რომლებიც დახმარებას გვიწე-
ვენ საქართველოს დაცვაში გარეშე მტრებისაგანთ (*„საქართველო“, 1918 ა, №126*).

პრესა ამშვიდებდა მოსახლეობას და განუმარტავდა, რომ შიში უსაფუძვლო იყო. ეროვნულ-დემოკრატები მიუთითებდენ: „როდესაც საკუთარი სახსრით არ შეგვიძლიან საქართველოს ეროვნული არსებობის უზრუნველყოფა, არსებულის შენარჩუნება და დაკარგულის დაბრუნება“, არ უნდა გვაფრთხობდეს მოკავშირედ მოხმობილი გარეშე ძალა, რომელიც მზადაა, დაგვეხმაროს სახელმწიფოს განმტკიცებაში. ამასთან ხაზს უსვამდნენ, რომ „გერმანიას არავითარი ინტერესი არა აქვს, ჩვენი ეროვნული განვითარება შეაფერხოს ან მოსპოს, ვინაიდან ის მისთვის არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.“

გერმანელთა მოწვევა საქართველოსთვის სხვა მხრივაც სასურველი და სასარგებლო იქნება — აღნიშნულია გაზეთ „საქართველოში“. „ჩვენს ეროვნულ თვისებებზე გერმანული სიმტკიცისა და დისციპლინის დამყნით და დასავლეთიდან ჩვენი ქვეყნისაკენ მომდინარე ეკონომიკური ტალღების ჩვენთვის სასურველი მიმართულების მიცემით მოემზადება ნიადაგი ძლიერ საქართველოს და იქნებ მახლობელმა თაობებმა იხილონ საქართველოს მეორე ოქროს ხანა“ — იმედს გამოთქვამდა ალექსანდრე ასათიანი (*ალ. ასათიანი 1918 №89*).

საქართველოს მთავრობამ გერმანიის მისიისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების პატივსაცემად 1918 წლის 20 ივნისს ქართული კლუბის დარბაზში საგანგებო ბანკეტი გამართა. ნოე ჟორდანია ფრანგულ ენაზე მიესალმა სტუმრებს. საპასუხო სიტყვა ფონ კრესმაც ფრანგულად წარმოსთქვა. მან განაცხადა: „გერმანელები ჩვენი წარსული ცხოვრებით ვგავართ ქართველ ხალხს. შუა საუკუნეებში გერმანია დაყოფილი იყო ისე, როგორც ქართველი ერი, მაგრამ ჩვენ შევძელით ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. საქართველოსაც ჰქონდა ოქროს ხანა, — თამარის დროს. გერმანიაში ქართველთა კოლონიამ გაგვაცნო გმირული თავგადასავალი და კულტურა ქართველი ხალხისა და ამით უფ-

რო დაგვაახლოვა ქართველ ხალხს. ჩვენ მოვედით თქვენს ქვეყანაში როგორც მეგობრები და დავიცავთ თქვენს ტერიტორიას, შევქმნით ისეთ პირობებს, რომლებიც ძლიერ ჰყოფს ქართველ ერს" (*„სახალხო საქმე", 1918, №267*). „ჩვენ აქ, კავკასიის უძველეს მიწაზე მოგვიყვანა არამარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა. ჩვენ აქ ვიმყოფებით არა როგორც გამარჯვებულები, არამედ როგორც მეგობრები და ეს არის საფუძველი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისა" (Г. Пипия 1978, 106).

მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი იყო არტურ ლაისტის გამოსვლა: „ქართველებო, — მიმართა მან მასპინძლებს, ამდენ ხანს თქვენ მხოლოდ ერთი გერმანელი გყავდათ მეგობარი ჩემი სახით, ეხლა კი მთელი გერმანია თქვენი მეგობარია, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს" (*„სახალხო საქმე", 1918 ა, №267*).

გერმანელმა მხედრებმა მალე დაიმსახურეს ქართველთა კეთილგანწყობა. როდესაც ბორჩალოს მაზრაში თურქი ასკერები შემოიჭრნენ, ქართული შენაერთების მხარდამხარ მათ წინააღმდეგ გერმანელი ჯარისკაცებიც აღიმართნენ და მტერი საქართველოს საზღვრებიდან უკუაგდეს. ამ შერკინებას რამდენიმე გერმანელის სიცოცხლეც შეეწირა (*ჯ. ზაქარიაძე 1990, №25*). საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლები თბილისში, ავჭალის ქუჩის მახლობლად, გერმანელთა სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანელთა მხარდაჭერით, ჯერ კიდევ 1918 წელს ვ. ლენინმა შეაფასა, როგორც „საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ". აქედან მოყოლებული, ეს აზრი უცვლელად დომინირებდა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. გერმანელთა ჯარებს უწოდებდნენ ოკუპანტებს, იმპერიალისტებს, კოლონიზატორებსა და სხვ. განსაკუთრებით ბევრი დაიწერა ამ თემაზე მეორე მსოფლიო ომის წლებში. მაშინდელ წიგნებში, სააგიტაციო ბროშურებსა თუ სტატიებში საქართველოს სუვერენიტეტის განსამტკიცებლად ჩვენს ქვეყანაში მოწვეული გერმანელები გაიგივებულნი იყვნენ ფაშისტ დამპყრობლებთან, რომლებიც აქ ეგზეკუციის, დამსჯელი რაზმების როლს ასრულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ და თითქოს საქართველოს მთავრობა მათი სრული მონა-მორჩილი იყო.

ყოველივე ეს იყო სიცრუე. გერმანელებს საქართველო არ დაუპყრიათ, პირიქით, მათ გადაარჩინეს ჩვენი სამშობლო ოსმალთა მხრივ დარბევა-განადგურებისაგან და ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცეს, აღედგინა 117 წლის წინ გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. უსამართლობა იქნება კაიზერის ზოგიერთი ჯარისკაცის მოქმედებაში გამოვლენილი უმნიშვნელო ექსცესი გერმანელთა „აღვირახსნილ თარეშად" ან საქართველოს სიმდიდრის „ძარცვა-რბევად" აღვიქვათ. ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველი ადამიანები სულ სხვაგვარად აფასებდნენ სინამდვილეს. „გერმანელების აქ ყოფნის დროს ქართველი ხალხის საქმიანობას... ღრმა რწმენის მადლი ეტყობოდა... სხვები რომ პატივს გვცემდნენ, — ჩვენც ვიმსჭვალებოდით საკუთარის პატივისცემით. გერმანია თავის საქციელით აქ ყველას აჩვენებდა, რომ ის სახელმწიფოში იმყოფებოდა. ჩვენი ხალხიც იზრდებოდა ამ საჭირო გრძნობასა და შეგნებაში" — წერდა ქართველ ნაციონალისტთა გაზეთი „სალი კლდე" 1919 წლის მაისში (*ძველი საქართველო 1919, №48*).

ფედერალისტური „სახალხო საქმე" ხაზგასმით მიუთითებდა: გერმანიის დახმრებას არასოდეს გადაუბიჯებია მეგობრული ურთიერთობის საზღვრებიდან — გერმანელების საქართველოში ყოფნა... სხვა უდიდეს მნიშვნელობასაც შეიცავდა: საერთო რღვევისა და გახრწნის დროს დისციპლინიანი და უაღრესად თავაზიანი ხალხის მეზობლობას უცილობელი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა აღმშენებლობით პროცესში მყოფ სახელმწიფოსათვის."

იგივე აზრისა იყო სოციალ-დემოკრატიული „ბორბაც". გაზეთი თავის ერთ-ერთ მოწინავეში აღნიშნავდა: „გერმანიის ჯარები ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ საქართველოს დემოკრატიის ძახილზე. მოვიდნენ ისინი ორი ვალდებულებით: დაეცვათ მტრის შემოსევისაგან საქართველოს რესპუბლიკა და არ გარეულიყვნენ მის შინაურ საქმეებში... ქართველი ხალხი დაამოწმებს, რომ გერმანიამ აღასრულა პაწია საქართველოს მიმართ დაკისრებული ვალდებულებანი და მისი ისტორიის განწირვის ჟამს იხსნა იგი დაღუპვისა და ოსმალეთის მონობისაგან" (*„საქართველო", 1918 ₾, №205*).

ზემოთ არაერთგზის ხსენებული ფონ კრესი თავის ანგარიშ-
რიო მთავრობას თბილისიდან წერილობით არწმუნებდა: ყველა
შემთხვევას ვიყენებდი, ხაზი გამესვა და პრაქტიკული სამიანობი-
თაც ვცდილობდი, დამემტკიცებინა, რომ გერმანელები საქართვე-
ლოს საშინაო პოლიტიკაში არ ვერეოდით, მაგრამ მაინც
გვივრცელებდნენ ჭორებს, თითქოსდა გერმანიას საქართველოს
ანექსია და მასზე პროტექტორატის დაწესება სურდათ (*L. Bak-
radse 1998, 3*). ამგვარ ხმებს ბოლშევიკებთან ერთად ის ანტიქარ-
თული ძალები არხევდნენ, რომლებიც არ ცნობდნენ საქართვე-
ლოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ათასგვარი საშუა-
ლებით ესწრაფოდნენ, ძირი გამოეთხარათ მისთვის.

ახლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავ-
რობის თავმჯდომარეს მოვუსმინოთ: „გერმანიის ძველი რეჟიმის
ჯარები აქ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავაც არ შელახეს ჩვე-
ნი ერის სუვერენობა“ — აცხადებდა ნოე ჟორდანია საქართველოს
პარლამენტის სხდომაზე (*ვ. გურული 1999, 251*) მას შემდეგ, რაც
ვილჰელმ II მმართველობა დაემხო და გერმანელები იძულებულ-
ნი გახდნენ დაეტოვებინათ ჩვენი ქვეყანა.

1920 წელს თბილისში გამოცემულ ნაშრომში — „პატარა
წიგნი თანამედროვე საქართველოზე“, ვკითხულობთ, რომ „გერმა-
ნია არ ჩარეულა ჩვენ შინაურ საქმეებში და თავისი დაპირებაც
ბოლომდის კეთილშობილურად შეასრულა. გერმანიამ იხსნა ჩვენი
ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან და ეს უტყუარი ამბავი გა-
დაეცემა ჩვენ შვილიშვილებს“ (გვ. 59).

ნიშანდობლივია, რომ ეს გულწრფელი სიტყვები საქარ-
თველოში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილების ყოფნის პერი-
ოდში გამოითქმებოდა, როდესაც ამ ჯარების სარდლობას მარტ-
ლაც ჰქონდა სერიოზული გავლენა დემოკრატიული რესპუბლიკის
ხელისუფლებაზე და გერმანიისადმი მადლიერების საჯაროდ გამო-
ხატვა საშიშიც კი იყო. ამიტომაც, მათ მეტი დამაჯერებლობა
აქვთ და უფრო სარწმუნოა.

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ გერმანია
საქართველოში არც მთლად უანგაროდ მოქმედებდა და მას აქ
საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინ-
ტერესები ამოძრავებდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს ინტე-
რესები ნაკლებ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პოლიტიკურ
ამოცანებს და რომ გერმანია ქართულ სახელმწიფოს თავის პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტნიორად მიიჩნევდა, რომელთანაც თანამშრომლობა ორივე ქვეყ-
ნისათვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპებს ეფუძნებოდა. ეს
კარგად ჩანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინან-
სთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდე-
ლაკის წიგნიდან, რომელიც ემიგრაციაში, საფრანგეთში დაიწერა
და გერმანიისადმი ტენდენციურ დამოკიდებულებას ავტორს არა-
ვინ ავალდებულებდა. კ. კანდელაკი არსებითად სიმართლეს აღ-
ნიშნავს, როცა მიუთითებს: „თუ გერმანელებმა ჩვენში შემოსვლით
და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა
მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწო-
რეს“ (*კ. კანდელაკი 1960, 184-185*).

კაიზერის ქვეშევრდომ, მონარქისტული ქვეყნის წარმომად-
გენლებს, შესაძლოა, გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდათ
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება, მაგრამ
გერმანელებმა იცოდნენ, რომ ეს მთავრობა კანონიერად იდგა ახ-
ლად შექმნილი სახელმწიფოს სათავეში, რის გამოც ანგარიშს
უწევდნენ მას და პატივს სცემდნენ ქართველი ხალხის არჩევანს.
ამდენად, შალვა მაღლაკელიძის მოგონება, რომ მისი და გერმა-
ნელი მაიორის შმიდტის მონაწილეობით მომზადდა შეთქმულება
საქართველოში მონარქიის აღდგენისა და პრინც იოაჰიმის გამეფე-
ბის მიზნით, რომელიც თითქოს ომში გერმანიის დამარცხებამ ჩა-
შალა (*შ. მაღლაკელიძე 1991 ბ, №37*), — გაზვიადებული ჩანს და
არც სხვა მონაცემებით დასტურდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მყოფი გერმანიის
მისია უყურადღებოდ არ ტოვებდა მმართველ ძალასთან დაპირის-
პირებულ პოლიტიკურ პარტიებს, იცნობდა მათ ლიდერებს და
თვალს ადევნებდა ოპოზიციურ ძალთა მოღვაწეობას.

ბუნებრივია, გერმანელებს უფრო მეტი ჰქონდათ საერთო
თავიანთ ძველ ნაცნობებთან — საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრებთან და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
ხელმძღვანელობასთან, რომლებთანაც კონტაქტი არ გაუწყვე-
ტიათ. ფონ კრესის სიტყვით, ეროვნულ-დემოკრატებსა და მათთან
ერთად მოსახლეობის ფართო ფენებს სჯეროდათ, რომ გერმანე-
ლები მათ დავეხმარებოდით სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ
ბრძოლასა და საკუთარი ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაში.
ისინი ამ იმედებს საჯაროდ გამოთქვამდნენ, რაც, თავის მხრივ,
მმართველი პარტიის ჩვენდამი უნდობლობას აღვივებდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის მისიის საერთო საქმიანობას ართულებდა (*L. Bakradze 1998, 3*).

შემორჩენილია ერთი საყურადღებო დოკუმენტი, რომლის შინაარსი ჯერ კიდევ 1933 წელს გამოაქვეყნა გაზეთმა „პრავდამ". ეს არის საქართველოში გერმანიის დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლობის მეთაურის გენერალ ფონ კრესის მოხსენებითი ბარათი რაიხსკანცლერ გრაფ ფონ გერტლინგისადმი, გაგზავნილი თბილისიდან ბერლინში 1918 წლის 8 სექტემბერს. მასში აღნიშნულია: საქართველოს ოფიციალურ აღიარებასთან დაკავშირებით, სასურველი იქნებოდა ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა გერმანული ორდენებით დაჯილდოება. კრესი პირველი ხარისხის ჯილდოებზე წარადგენდა ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელს, ნოე რამიშვილსა და კარლო ჩხეიძეს. მოხსენებაში ხაზგასმულია: „ხალხმა რომ დაინახოს — გერმანია მხოლოდ ერთი თვით მმართველი პარტიის მხარეზე არა დგას და სურს დაეხმაროს მთლიანად ქართულ სახელმწიფოს, ორდენები უნდა მიეცეს ოპოზიციის ლიდერებსაც. კრესი ითხოვდა, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა „მისი აღმატებულებისათვის ცნობილ ეროვნულდემოკრატთა ბელადს სპირიდონ კედიას" ("Правда", 1933, №330).

ვილჰელმ II ხელისუფლება, ალბათ, უარს არ იტყოდა, დაეკმაყოფილებინა ფონ კრესის წინადადება და დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეები მართლაც დაეჯილდოებინა იმპერიის უმაღლესი ორდენებით, რაც საქართველოსადმი კაიზერის კეთილგანწყობილების კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოხატულება იქნებოდა, მაგრამ მალე თვით გერმანიაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ საამისოდ არავის სცხელოდა.

ქართულ-გერმანული ურთიერთობანი 1918 წელს ისე დასრულდა, ჩვენს თანამემამულეებს გერმანიის საპატიო ჯილდოები არ მიუღიათ, მაგრამ საინტერესო იქნება აღინიშნოს, რომ გერმანელი მებრძოლები მრავლად გახდნენ ქართულ ორდენთა კავალრები. არსებობს ცნობა, რომლის თანახმად, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაში შეტანილი წვლილისათვის თამარ მეფის ორდენებით დაუჯილდოებიათ ყველა გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი იმ კონტიგენტისა, რომელიც ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისელთა შემოსვლამდე იმყოფებოდა საქართველოში (*ნ. ჯაფარიძე, ელი 1995, 35, ლ. ბაკრაძე 2001, 28*).

საერთაშორისო ვითარების კარდინალურმა ცვლილებამ მოკლე დროში დარღვია გერმანია-საქართველოს მეგობრული კავშირი. ქართველმა ხალხმა მადლიერებით გააცილა ჩვენს ქვეყანაში მყოფი გერმანიის მხედრობა.

ბედი არაერთ ქართველს, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერს სპირიდონ კედიას კვლავ შეახვედრებს თავის ნაცნობ და საქართველოს მოამაგე გერმანელებს, მაგრამ უკვე არა საქართველოში, არამედ სულ სხვაგან და სხვა ვითარებაში (იხ. ქვემოთ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი III

## III.1. „ბას შეუჭლია უდიდესი ჩოლი შეასრულოს საქართველოს ისტორიაში“

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა მონარქიული იყო. ქართული სახელმწიფოებრიობის დასაბამიდან მის ლიკვიდაციამდე XIX საუკუნეში, უმაღლეს ხელისუფლებას სათავეში მეფე ედგა. მონარქიული იყვნენ ის დამპყრობელი ქვეყნებიც, რომელთა წიაღშიც საქართველოს ცალკეულ ნაწილს თუ ერთობილ საქართველოს დროდადრო საკუთარი მეფობის გარეშეც უწევდა ყოფნა (ბიზანტია, ირანი, არაბთა სახალიფო, ოსმალეთი, რუსეთი). ამდენად, ქართველი ხალხი მოკლებული იყო რესპუბლიკური ცხოვრების (კონსტიტუცია, პრეზიდენტი, პარლამენტი და ა.შ.) გამოცდილებას.

თამარის ეპოქაში მეუჭურჭლეთუხუცესის დასმა სცადა მეფის ხელისუფლების შეზღუდვა „კარვის“ მეშვეობით, თუმცა მაშინ სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლამდე საქმე არ მისულა.

1832 წლის შეთქმულთა შორის ქართული სახელმწიფოებრიობის რესპუბლიკური ფორმით აღდგენის მომხრეებიც იყვნენ, მაგრამ ამ „ფერმკრთალ შეთქმულებას“ (გალაკტიონ ტაბიძე) წარმატება არ ეწერა.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების პირველ საფეხურად ილია ჭავჭავაძემ ავტონომიის მოპოვება დასახა. მართალია, ეს იდეა მან შეფარვით გამოთქვა, მაგრამ იმპერიის სათანადო სამსახურებისათვის მაინც მალევე გახდა ცნობილი. პოლიციის ერთ იმდროინდელ საიდუმლო დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული: „ილია ჭავჭავაძე და ჟურნალების „ივერიისა“ და „იმედის“ კომპანია შეადგენენ ლიბერალთა ჯგუფს, რომელთაც სურთ საქართველოს ავტონომია იმპერიის ფარგლებში და ოცნებობენ ქართულ პარლამენტზე.“

იმხანად ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ განსაზღვრული არ ყოფილა ავტონომიური საქართველოს მართვა-გამგეობის ფორმა. ეს საკითხი არც სოციალისტ-ფედერალისტებს დაუსვამთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი პარიზული გაზეთი დაბეჯითებით

ეწეოდა საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეის პროპაგან-
დას.

პირველი, ვინც ავტონომიის ზოგადი მოთხოვნა კონკრეტული შინაარსით შეავსო, ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა იყო. 1905 წელს მან შეადგინა „საქართველოს ავტონომიის სტატუტის პროექტი", რომლის თანახმად, ავტონომიის მეთაური რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დანიშნული მთავარმართებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო საკანონმდებლო უფლება დემოკრატიული არჩევნების გზით თბილისში ჩამოყალიბებულ სეიმს მიენიჭებოდა (*ლიტ. ძუზ. ე. გვაზავას ფ. საქ. 1799-ხ*).

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოს ავტონომიის თემა სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციისა თუ პერიოდული პრესის ორგანოთა ფართო მსჯელობის საგნად იქცა. ამ გონივრულ იდეას მაშინაც ყველა როდი იზიარებდა, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატთა შორის. მაგრამ ქართულ საზოგადოებრივ აზრში მაინც გამოიკვეთა ერთი საყურადღებო შეხედულება, რომელიც პართენ გოთუამ (მწერალ ლევან გოთუას მამა, ცნობილი ჟურნალისტი, ბანკირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი) შემოგვინახა. მისი სიტყვით: „მხოლოდ ილიას შეუძლია შეგვაერთოს ყველა პარტია. მხოლოდ ის გამოხატავს ჩვენი ხალხის სულიერ სიძლიერეს.

— აი, ვინ არის საქართველოს პრეზიდენტობის ღირსი, თუ გვეღირსა თავისუფლება. მხოლოდ ილიას ძალუძს ჩაუდგეს სათავეში განთავისუფლებულ საქართველოს" (*ა. ბაკრაძე 1992, 199*).

ამ ამბებიდან ახლო ხანებში ილია ჭავჭავაძე სიცოცხლეს გამოასალმეს. მისი ტოლფასი პიროვნება, „ერის მამობა" რომ გაეწია, საქართველოში აღარ მოიძებნებოდა, მაგრამ თუ ვინმე შეძლებდა ერისა და ქვეყნის წინამძღოლობას, ეს უპირატესად ილიას მიმდევართა, მის იდეურ მემკვიდრეთა წრიდან უნდა ყოფილიყო, ვინც ესწრაფოდა და იბრძოდა კიდეც საქართველოს თავისუფლებისათვის. ასეთი პოლიტიკური ძალა მხოლოდ ქართული ეროვნული დემოკრატია იყო, რომელსაც სათავეში სულით-ხორცამდე ილიელი სპირიდონ კედია ედგა.

ეს ახალგაზრდა, განათლებული და ნიჭიერი კაცი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. სამშობლოს იდეით შთაგონებული მისი ყოველი პუბლიკაცისტური წერილი თუ საჯარო გამოსვლა ფარ-

თო საზოგადოების ინტერესს იწვევდა. სპირიდონ კედიას ანგარიშს უწევდნენ და აფასებდნენ არამარტო მისი თანაპარტიელები, არამედ სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებიც, მათ შორის, პოლიტიკური ოპონენტებიც.

თანამედროვენი და უშუალოდ მცნობნი სპირიდონ კედიას შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „თავაზიანი, ზრდილი და კეთილგანწყობილი იგი, პირველი დაახლოებისთანავე კაცს აჯადოებდა ინტელექტუალობით, კეთილშობილებით და პატიოსნებით... დიდი კულტურის მქონე ადამიანი, მდიდარი და დახვეწილი ქართულით მოუბარი შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს წიგნი ლაპარაკობსო... მას უნარი ჰქონდა, ელექტრონულ სიზუსტით გონებრივად ჩამოეყალიბებინა ტვინის სალაროში წარმოქმნილი იდეა და დაუყოვნებლივ უზადო სიტყვად ექცია“ — გადმოგვცემს მიხეილ ქავთარაძე (*ქ. ჯეთარაძე 1979, 12*).

სევერიან ჭირაქაძის სიტყვით, „სპირიდონ კედია იყო უფრო პოლიტიკური მწერალი — პუბლიცისტი და იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მჭევრმეტყველი ორატორი... მთელი თავისი ბუნებით ის იყო მეთაურის თვისებით დაჯილდოებული: ზნეობით მაღალი, უმწიკვლო, უანგარო, ზომიერი, მიუდგომელი, ნათელი გონებით აღჭურვილი და წინდახედული. ტონი საუბრისა ყოველთვის იყო დამაჯერებელი, მიმზიდველი და პატრიოტული გრძნობით გამთბარი“ (*ს. ჭირაქაძე 1949, 12-18*).

გიორგი წერეთელი წერდა: „სპირიდონ კედია იყო სრულყოფილი ქართველი მოაზროვნე, ღრმა მცოდნე, ბრწყინვალე ორატორი და ლიდერობის დამახასიათებელი თვისებით შემკული. მის მსჯელობაში მოსჩანდა დიდი ნებისყოფა, იყო უაღრესად გონიერი და ღრმად განიცდიდა ქართულ პრობლემებს“ (*გ. წერეთელი 1971, 89*).

სპირიდონ კედიას მჭევრმეტყველებასა და გამორჩეულ ორატორულ თვისებებს სხვა არერთიც აღნიშნავს, ვისაც მისი სიტყვები თუ გამოსვლები მოუსმენია. „მისი ორატორობა სიტყვის ლამაზად და ეფექტური წარმოთქმით არ განისაზღვრებოდა: აგზნებასა და პათოსთან ერთად მისი სიტყვა იყო უაღრესად მოაზრებული, ლოგიკური და თანმიმდევნი“. ამის გამო მას „საქართველოს ოქროპირსაც“ ეძახდნენ (*ქ. ჯეთარაძე 1979, 12*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევარი გურამ შარაძე საგანგებოდ ჩერდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ჩინებულ ქართულ მეტყველებაზე, წერის სტილსა თუ მანერაზე და შენიშნავს: „აქ ერთმანეთთან არის შერწყმული ფრაზის მხატვრულობა, ემოციურობა და აზრის სისხარტე, ძალდაუტანებელი ესთეტიზმი და არისტოკრატიული თავდაჭერილობა“ (*ვ. შარაძე 1991, 112*).

სპირიდონ კედიას როგორც ჭეშმარიტი ლიდერის, ღირსეული ხელმძღვანელის და წინამძღოლის უნარს აღიარებდნენ ობიექტურობის გრძნობის მქონე მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც. ამ მხრივ მეტად საგულისხმო ცნობა შემოგვინახა თვალსაჩინო ქართველმა ეკონომისტმა, პროფესორმა ნ.ქოიავამ. ეს არის ცნობილი სოციალ-დემოკრატის, აკაკი ჩხენკელის აზრი სპირიდონ კედიაზე, რომელიც მას ნ. ქოიავასთან საუბარში გამოუთქვამს ჯერ კიდევ 1917 წელს. აკაკი ჩხენკელის სიტყვით: „დღეისათვის ყველაზე მტკიცედ და თანმიმდევრულად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი ლიდერი სპირიდონ კედია დგას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული აღორძინების პოზიციაზე. ამ მხრივ ის დიდი ილიას და არჩილ ჯორჯაძის იდეების და საქმეების გამგრძელებელია და განმხორციელებელი. მიუხედავად ახალგაზრდობისა, კედია უთუოდ შესაფერისი ლიდერია..., თავისი საერთო განათლებით, პოლიტიკოსისათვის საჭირო თვისებებით, საქართველოს წარსულისა და დღევანდელობის ცოდნით, მისი მომავლის ხედვით, მოქალაქეობრივი სისპეტაკით და სხვა მრავალი თვისებებით. თუ ბედმა გაუღიმა, მას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს საქართველოს ისტორიაში“ (*ვ. ჯესტაური 1995, 114*). აკაკი ჩხენკელის ნათქვამი სპირიდონ კედიაზე რაღაცით გავს პართენ გოთუას ზემოთ ხსენებულ შეხედულებას ილია ჭავჭავაძეზე.

„ბედის გაღიმებაში“ აქ, ალბათ, საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ივარაუდება, ხოლო რაც შეეხება „უდიდეს როლს“, — მისი შესულება, ჩვეულებრივ, ქვეყნის პოლიტიკურ მესაჭეთ, წინდახედულ, შორსმჭვრეტელ, გონიერ და გამოცდილ მოღვაწეებს ეკისრებათ ხოლმე.

საქართველომ შეძლო თვითმპყრობელობის უღლისაგან განთავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოებრიობაც აღიდგინა 1918 წლის 26 მაისს, მაგრამ ხელისუფლების საჭესთან, სამწუხაროდ, არა ეროვნულ-დემოკრატები, არამედ ის პოლიტიკური ძა-

ლა აღმოჩნდა, რომელიც მანამდე ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო, და ბუნებრივია, ვერ აღმოჩნდა მზად ეროვნული სახელმწიფოს გასაძღოლად. „უდიდესი როლი“ ისტორიამ არა სპირიდონ კედიას, არამედ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერის ნოე ჟორდანიას დააკისრა, რომელიც როგორც მთავრობის ხელმძღვანელი, სათავეში ედგა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებლი ორგანო — მთავრობა 1918-1921 წლების საქართველოში კოლეგიალური დაწესებულება იყო. მის მეთაურს თავმჯდომარე ეწოდებოდა და არა პრეზიდენტი. სოციალისტურ პარტიებს მიუღებლად მიაჩნდათ ახლად შექმნილ რესპუბლიკაში პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება. მათ აშინებდათ, რომ ფართო ძალაუფლებით აღჭურვილი ერთი პიროვნება საფრთხეს შეუქმნიდა დემოკრატიულ წესწყობილებას. ფედერალისტები იმასაც კი ამბობდნენ, რომ „პრეზიდენტი თავისი უფლებები იგივე მეფეა“ და უპირისპირდებოდნენ მას (*ხუხა, ფ. 1833, ანგ. 1. საქ. 859, ფურც. 4*).

ჩვენ ქვეყნისათვის პრეზიდენტის პოსტის აუცილებლობას მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატები აღიარებდნენ და იცავდნენ კიდეც ამ იდეას დამფუძნებელი კრებისა თუ პერიოდული პრესის მეშვეობით. ამ ინსტიტუტის დაწესებას, ცხადია, ისინი იმისთვის არ მოითხოვდნენ, რომ მაინცდამაინც თავიანთი ლიდერი ეხილათ ამ თანამდებობაზე. თუმცა მაშინ ბევრს სჯეროდა, რომ სწორედ სპირიდონ კედია იქნებოდა ღირსეული პრეზიდენტი. ამ აზრს ამტკიცებს საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკა“) მიერ 1926 წელს შედგენილი ერთი დოკუმენტიც, რომელშიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაურის შესახებ ვკითხულობთ: „კედიას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ამ პარტიის ლიდერი და იდეოლოგი. მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე განუზომელი გავლენა ჰქონდა“ (*ნ. კირთაძე 1990, №225*). ეროვნულ-დემოკრატები პრეზიდენტის თანამდებობის საჭიროებას ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ასაბუთებდნენ.

„საქართველო განსაკუთრებულ პირობებშია. იგი გარს შემოხვეულია მტრებით, მან უნდა აწარმოოს ფხიზელი და ენერგიული პოლიტიკა და დაიცვას თავისუფლება და წესიერება შიგნით. ამისათვის საჭიროა, რომ სათავეში იდგეს ერთი ვადით არჩეული პირი, აღჭურვილი სათანადო უფლებით. ასეთი პირი არის პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენტი რესპუბლიკისა“ (*ქ. ბაკაძეძე 1966, 89*), — მიუთითებდა გიორგი გვაზავა.

გაზეთი „საქართველო“ კი შენიშნავდა: „ევროპულ ქვეყანაში, აზიის ჭიშკართან უპრეზიდენტო — უთავო რესპუბლიკა ვერ გამოდგება“ და უმჯობესია ამ მხრივ „ამერიკის შეერთებულ შტატებს მივბაძოთ, ვიდრე რუსეთის სოვდეპიას“-ო (*„საქართველო“, 1919, №60*).

რაკი ეს პრობლემა დღევანდელ პირობებშიც აქტუალურია და დროდადრო წამოიჭრება კითხვა: „გვჭირდება თუ არა პრეზიდენტის თანამდებობა ე. შევარდნაძის შემდგომ საქართველოში?“ — საჭიროდ ვთვლით, აქვე მოვიყვანოთ სპირიდონ კედიასა და მისი თანამოაზრეების მიერ შემუშავებული საკონსტიტუციო შესწორებანი, რომლებიც თავის დროზე არ იქნა გათვალისწინებული:

„აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს მთავრობას. რესპუბლიკის მთავრობას შეადგენენ: ა) პრეზიდენტი რესპუბლიკისა და ბ) პასუხისმგებელი მინისტრები“.

„რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ხალხი ხუთი წლის ვადით; ის უნდა იყოს საქართველოს მკვიდრი მოქალაქე და შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 40 წლისა“.

ეროვნულ-დემოკრატებმა შეადგინეს ფიცის ტექსტიც, რომელიც არჩეულ პრეზიდენტს პარლამენტის წინაშე უნდა წარმოთქვა. აი, ისიც: „ვფიცავ ჩემი ძალ-ღონე შევწირო საქართველოს კეთილდღეობას, წარვმატო სარგებელი, ვნება ავაცილო, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, სინდისიერად ავასრულო ჩემი მოვალეობა და სამართლიანობა გამოვიჩინო თვითოეულის მიმართ“ (*ხუხა, ფ. 1833, ანწ. 1, ხქ. 191, ფურც. 36*).

# III.2. „ეროვნულ განცდაში და ეროვნულ ინტერესებ ეროვნული ბიბლიოთეკა
# შეჯახების ინჰარეზზე
# (ეროვნული საბჭოს ტრიბუნიდან)

ეროვნული საბჭოს შესაქმნელად ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა მზადება ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულიდან დაიწყეს. ამის წინაპირობა თებერვლის რევოლუციამ და თვითმპყრობელობის დამხობამ შექმნა. იმპერიის ჩაგრულმა ერებმა თავისუფლების დროშა აღმართეს და თვითგამორკვევისათვის საბრძოლველად დარაზმვა იწყეს. ფინეთში, პოლონეთში, უკრაინასა და ბალტიისპირეთში აზვირთებულ დიდ მოძრაობას თავისი ხმა საქართველომაც შეუერთა. დამოუკიდებლობის გზაზე პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენა და ერის სულიერი თავისუფლების მოპოვება გახდა, რაშიც ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად წვლილი პატრიოტ ერისკაცებს, გამორჩევით ეროვნულ-დემოკრატებს მიუძღვით.

სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეებს კარგად ესმოდათ, რომ საქვეყნო საქმე ვერ გაიმარჯვებს, თუ მას მხოლოდ ერთი კლასი, წოდება ან პარტია გამოექომაგა, ხოლო სხვები განუდგნენ. ამ სულისკვეთებითაა დამუხტული გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 9 მარტის სარედაქციო წერილი, რომელშიც ხაზგასმითაა მითითებული: „დიდი და რთული ამბების ხანაა... ქვეყნის ბედი ბეწვზე ჰკიდია... ასეთ დროს გამოყოფილად გამოსვლა და ჯგუფ-ჯგუფად მოქმედება დიდი დანაშულია სამშობლოს წინაშე. რა კაცი, ან რა პარტია უნდა იყოს ისეთი, რომ თავს იდოს ასეთი ტვირთი და მთელი ქვეყნის წინაშე თავის პასუხისმგებლობას არ შეუშინდეს?“ საქართველოს არსებობის ძირითადი საკითხის — მისი თავისუფლების გარეშემო ყველა ქართული პარტია უნდა გაერთიანდეს — განაგრძობდა გაზეთი და დასძენდა: „შეერთებულ პარტიებს უნდა მიემხროს და გაჰყვეს მთელი საქართველო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა“, უნდა შევიმუშავოთ და მივიღოთ „მოქმედების საერთო პროგრამა... ამაშია ჩვენი ხსნა!“ *(„საქართველო“, 1917 ბ, №54).*

„საქართველოს“ თაოსნობას მხარი აუბა „სახალხო გაზეთმაც“. გათიშულ და ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიათა შორის თანდათან ნდობა გაჩნდა, რაც გაერთიანების საფუძვლად იქცა. 1917 წლის 11 მარტს ეროვნულ-დემოკრატთა

და სოციალისტ-ფედერალისტთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, „საქართველოს ავტონომიის კითხვაში საერთო მუშაობისათვის“ (*„საქართველო“, 1917 ა, №57*). ამ შეხვედრაში სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, გიორგი ლასხიშვილი და სამსონ ფირცხალავა მონაწილეობდნენ. ხსენებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მალე ქართველი ესერები და სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) შეუერთდნენ. შეიქმნა „ეროვნული კომიტეტი“. ქართულ სინამდვილეში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც პოლიტიკური პარტიების მესვეურნი ოფიციალურად შეუკავშირდნენ ერთმანეთს ეროვნულ საქმეთა გასაძღოლად.

„ეროვნული კომიტეტის“ საქმიანობა ვერ გამოდგა ეფექტური. მან მხოლოდ ხუთიოდე სხდომა გამართა. ტაქტიკურ საკითხებზე შეხედულებათა შეუთავსებლობამ კომიტეტი გათიშვამდე მიიყვანა. ძვირფასი დრო კვლავ პარტიების უსაგნო დავასა და კამათში იკარგებოდა. უფრო პრაქტიკულნი აღმოჩნდნენ საქართველოში მცხოვრები არაქართველნი. ეროვნული საბჭოები ჩამოაყალიბეს აქ მოსახლე რუსებმა, აფხაზებმა თუ ოსებმა. თბილისში აღმოცენდა მუსლიმთა და დაშნაკთა ეროვნული კომიტეტებიც, რომლებმაც ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სხვა მუშაობა გააჩაღეს.

1917 წლის აპრილის დამდეგს ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ გაუწოდეს ერთმანეთს შეთანხმების ხელი, მოწვეულ იქნა პირველი „ინტერპარტიული კრება“. პოლიტიკურ ძალთა გამაერთიანებელი ეს ორგანო უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მას 1917 წლის 12 აგვისტოდან „ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო“, ხოლო იმავე წლის 21 აგვისტოდან „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ ეწოდებოდა (*შ. ვადაჭკორია 1998, 8-16*).

საბჭოში შემავალ თითოეულ პარტიას თავისი რიგებიდან წარგზავნილი 10-10 წევრი წარმოადგენდა. ეროვნულ-დემოკრატთა დეპუტაცია ამგვარი იყო: შალვა ამირეჯიბი, გიორგი გვაზავა, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო), სპირიდონ კედია, იოსებ მაჭავარიანი, გიორგი ჟურული, შალვა ქარუმიძე და გერონტი ქიქოძე.

ინტერპარტიული საბჭო მისი ჩამოყალიბებიდანვე საქართველოს ეროვნული ცხოვრების წარმმართველ როლში მოგვევლინა. საბჭოს ძალისხმევით დაფუძნდა ეროვნული ფონდი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც მომავალი თავისუფალი საქართველოს ფინანსური საფუძველი უნდა შეემზადებინა, დაიწყო მუშაობა ქართული საჯარისო შენაერთების დასაკომპლექტებლად, წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა სკოლების გაეროვნულების გზაზე და სხვ. მაგრამ საბჭოს მოღვაწეობის უმთავრესი შედეგი მაინც საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მომზადება და მოწვევა იყო.

ყრილობის მოწვევის საბაბად იქცა საკითხი, რომელიც ქართველი თავადაზნაურობის ქონების ბედს ეხებოდა. ცნობილია, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ რუსეთში გაუქმებულ იქნა საზოგადოების წოდებრივი დაყოფა. ამან თავადაზნაურთა წლების განმავლობაში დაგროვილ ქონებას საფრთხე შეუქმნა. ადვილი შესაძლებელი იყო, ეს სიმდიდრე ხაზინას დაესაკუთრებინა (*ბ. სათიძე 1997, 57*). საჭირო გახდა, მოძებნილიყო ისეთი პატრონი, რომელიც ქონებას გარეშე ხელყოფისაგან დაიცავდა. თავადაზნაურთა საკრებულოში განიხილებოდა სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ ბოლოს გაზიარებულ იქნა ეროვნულ-დემოკრატთა წინადადება: თავადაზნაურობას თავისი კოლექტიური ქონება ქართველი ერის მემკვიდრეობად უნდა გამოეცხადებინა და მისთვის მიეძღვნა. უკეთუ შეიქმნებოდა სათანადო ეროვნული ორგანო ქონების მისაღებად და მთელი ერის საჭიროებისათვის მოსახმარად" (*ალ. ასათიანი 1937 ბ, 16-17*). ასეთ ორგანოდ ჩაფიქრებული იყო ეროვნული საბჭო, რომელსაც ეროვნული ყრილობა აირჩევდა.

საქართველოს ეროვნული ყრილობა 1917 წლის 17-22 ნოემბერს თბილისში გაიმართა. ზემოხსენებული ქონება, 60 მილიონი რუსული მანეთის ღირებულებისა, თავადაზნაურთა სახელით, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, ილია ჭავჭავაძის დისშვილმა, ცნობილმა მოღვაწემ კონსტანტინე აფხაზმა ეროვნულ ყრილობას გადასცა. ყრილობამ ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის, სამხედრო საქმის, ადმინისტრაციის, სასამართლოს, ფინანსური შესაძლებლობებისა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზეც იმსჯელა. დასასრულს, „ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევად, გასაძღოლად და ცხოვრებაში გასატარებლად" არჩეულ იქნა ეროვნული საბჭო, რომელიც ძირითადად ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს აერთიანებდა. ეროვნულ-დემოკრატთაგან საბჭოში შალვა ამირეჯიბი, გიორგი გვაზავა,

ოსებ დადიანი, გრიგოლ ვეშაპელი, დავით ვაჩნაძე, სპირიდონ კედია, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ჟურული და გერონტი ქიქოძე შევიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონ კედია, რომელიც დასაწყისიდანვე აქტიურად მონაწილეობდა პარტიათა დიალოგში და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა საერთო შეთანხმებაში, პირველ ეროვნულ ყრილობას არ დასწრებია. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი ამ დროს უცხოეთში იმყოფებოდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან დასაკავშირებლად და იქიდან მოგვიანებით, 1918 წლის აპრილის ბოლოს დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ყრილობამ ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი დაუსწრებლად შეიყვანა ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში. ეროვნული საბჭოს სხდომამ კი სპირიდონი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩია. მასვე საბჭოში მინდობილი ჰქონდა აგრეთვე დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის წევრობაც.

საქართველოს ეროვნული საბჭო არ შექმნილა დემოკრატიული არჩევნების გზით. იგი 1918 წლის 26 მაისამდე არც ოფიციალური დაწესებულება ყოფილა, მაგრამ მის მესვეურებს ეს ეროვნული საკრებულო იმთავითვე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ჰქონდათ გამიზნული.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭოს შემადგენლობა საგრძნობლად გაფართოვდა. პარტიების ახალ წარმომადგენლებს ეროვნულ უმცირესობათა წარგზავნილებიც დაემატნენ. 1918 წლის 4 ოქტომბერს ეროვნულ საბჭოს „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა.

ეროვნულ-დემოკრატთა საპარლამენტო ფრაქცია 15 წვრისაგან შედგებოდა. ფრაქციას სათავეში გიორგი გვაზავა ედგა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში განხილულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ეროვნულ-დემოკრატებს თავიანთი შეხედულება გააჩნდათ, რომლებსაც უპირატესად ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები ასაზრდოებდა. ეს შეხედულებანი ხშირად განსხვავდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციისაგან, მაგრამ, ვიდრე საქართველო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მიაღწევდა, ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქცია უფრთხილდებოდა საბჭოს ერთიანობის იდეას, ერიდებოდა პრობლემათა მეტისმეტ გამწვავებას, რის გამოც იძულებული ხდებოდა,

ზოგჯერ მხარი მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებებისათვისაც კი დაეჭირა.

1918 წლის 26 მაისიდან მოკიდებული ეროვნულ-დემოკრატთა საპარლამენტო მოღვაწეობამ მკვეთრად გამოხატული ოპოზიციური ხასიათი შეიძინა. სპირიდონ კედიას უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ფრაქციის მუშაობა კიდევ უფრო საქმიანი და მიზანმიმართული გახდა. ეროვნულ-დემოკრატები არ იფარგლებოდნენ მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკით, ცდილობდნენ პარლამენტისთვის შეეთავაზებინათ ცალკეულ პრობლემათა გადაჭრის საკუთარი გეგმა, გზები თუ საშუალებები, რაც მათ ოპოზიციას კონსტრუქციულს ხდიდა.

„ჩვენ გვიძნელდება ნაციონალ-დემოკრატებთან ბრძოლა, იმიტომ, რომ არ ვიცით საიდან მოიტანენ იერიშს“ — ამბობდა ეროვნული საბჭოს ტრიბუნიდან მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი წარმომადგენელი ირაკლი წერეთელი (*„საქართველო“, 1918 ბ, №160*). მართლაც, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი, შალვა ქარუმუძე და სხვა ეროვნულ-დემოკრატები მძაფრად ილაშქრებდნენ მთავრობისა და მისი პოლიტიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მსჯელობისას, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში და სხვა. აი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის აზრი საკუთარი პარტიის ოპოზიციურობის შესახებ: „როდესაც ხედავ, რომ გაბატონებული პარტია სამშობლოს უფსკრულისაკენ მიაქანებს, შეუძლებელია მხარი დაუჭირო... ოპოზიციაში იმიტომ ვართ, რომ მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა გამოვამზეურო და... მთავრობის მიერ ჩადენილი შეცდომები მისი ხელითვე გავასწორებინოთ“ (*„საქართველო“, 1918 ბ, №122*).

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის სტენოგრაფიულ ანგარიშებში სპირიდონ კედიას რამდენიმე გამოსვლის ტექსტია შემონახული. მათგან ერთ-ერთი პირველი 1918 წლის 26 ოქტომბრით თარიღდება. ამ დღეს პარლამენტი განიხილავდა ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ ვითარებას, მას შემდგომ, რაც მეზობელი სომხეთის არმიის ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ბორჩალოს მაზრის რამდენიმე სოფელი დაიკავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთავრობამ სცადა არ გაერთულებინა ანტიფლიქტი და სათანადო ნოტით თავდამსხმელ მხარეს პრობლემის მშვიდობიანი, მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა შესთავაზა. ხელისუფლების ამ სამშვიდობო და სხვა ღონისძიებებზე მოუთხრობდა დეპუტატებს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

ოპოზიციის წარმომადგენელთაგან სიტყვა პირველმა სპირიდონ კედიამ ითხოვა. მან მოიწონა საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი: „ჩვენმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ იგი ღვიძლი შვილია იმ ტრადიციებისა, იმ ერისა, რომელსაც მეზობლებთან უყვარს კეთილი განწყობილება, რომელიც არავის ღალატობდა“ — აღნიშნა სპ. კედიამ, მაგრამ იქვე დასძინა: „მე ვშიშობ, რომ ეს ლოიალობა ჩვენი, ეს ჩვენი თავაზი მეტის-მეტი და წრეგადასული არ იყოს. ჩვენის მხრივ არის უდავო ლოიალიზმი, ხოლო... იმათ მხრივ არის უდავო მუხანათობა“. სომხეთის ჯარებმა ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საზღვარი. ისინი თავს დაესხნენ არა რომელიმე ნაწილს ქვეყნისა, არა რომელიმე პარტიის საკუთრებას, არამედ მთელ საქართველოს. რა უნდა ვქნათ, რა უნდა იღონოს სახელმწიფომ და მისმა მთავრობამ ასეთ ვითარებაში? — კითხვას სვამდა ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი და თავადვე პასუხობდა: უნდა დავივიწყოთ, რაც პარტიულია, რაც გვსაქსავს და გვანაწილებს, უნდა გაერთიანდეს მთელი საქართველოს ფრონტი. „ამაში ვხედავთ სამშობლოს აღმატებას და მის მომავალს.“

სპირიდონ კედიამ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია მთავრობამ შესძლოს „ამ მომხდარი ხიფათის სამუდამო ლიკვიდაცია ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ“ და იქვე უმთავრეს ზომებზეც მიუთითა, რომელთა დროული განხორციელება, მისი აზრით, დასახულ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტდა: 1. საქართველოს საზღვრების ჩაკეტვა; 2. მთელ საქართველოში საგანგებო მდგომარეობის — სამხედრო წესების შემოღება და უმკაცრესი დაცვა და 3. საქართველოს შემოხიზნული რამდენიმე ათასი სომეხი ლტოლვილის საკითხის კატეგორიული და ენერგიული გადაჭრა. მაშინ, — აღნიშნა ორატორმა — მთელი ქართველი ხალხი, ყველა პოლიტიკური პარტია და მათ შორის ეროვნულ-დემოკრატები, მთავრობას გაჰყვება, რათა „გაუადვილოს ჩვენი ქვეყნის საზღვრების დაცვა და სახელოვანი გამოსვლა აქედან“ (*საქ. პარლამენტი, 1918, 27 X, 16-18*).

სომხეთის აგრესია არ შეჩერებულა. იგი კვლავ უცხადებდა უსამართლო ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. საქართველოს პარლამენტში 1918 წლის 8 ნოემბერს კვლავ დაისვა საკითხი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ, სპირიდონ კედიას გამოსვლაც ამ პრობლემას მიეძღვნა. მან „დიდი ნაკლი და საბედისწერო შეცდომა“ უწოდა საქართველოს ხელისუფლების უყურადღებობას ხსენებული პრობლემისადმი. სპ. კედიამ შეცდომად მიიჩნია აგრეთვე მთავრობის და ზოგიერთი დეპუტატის აზრი, რომ საქართველოს უპირისპირდება და ებრძვის არა სომხეთი, არამედ თითქოს ერთი სომხური პარტია და მიუთითა: ვინც ამას ამბობს, ავიწყდება, რომ ეს პარტია (დაშნაკცუთიუნი) სათავეში უდგას სომხეთს და მეურვეობს მის სახელმწიფოს.

დაშნაკები არიან სულისჩამდგმელნი საქართველოსადმი მტრული სომხური იდეისა, რომელიც ცდილობს ძირი გამოუთხაროს ჩვენს დამოუკიდებლობას. ამასთან, სომეხ ხალხში არა ჩანს სხვა რომელიმე — საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ძალა. ეს ფაქტია და ანგარიში მხოლოდ მას უნდა გაეწიოს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე შეეცადა, ფარდა აეხადა იმ საფუძვლისათვის, რომელიც განაპირობებდა ქართველ-სომეხთა უთანხმოებას. მან განმარტა, რომ ორი მეზობელი ხალხის დაპირისპირება ბუნებრივი შედეგია პოლიტიკისა, რომელსაც საქართველოს საზღვრებში სომხები აწარმოებენ. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, იგი განსაზღვრულია „სინამდვილის აუცილებლობით.“ „ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მთლიან სომხურ ეროვნულ იდეასთან, რომელიც ამოძრავებულია საქართველოს წინააღმდეგ.... ეს იდეა-ძალა სცდილობს საქართველოს საზღვრები გადმოლახოს, საქართველოს ტერიტორიას ერთი ნაწილი ჩამოაჭრას და მიისაკუთროს, რათა საქართველოსაგან წართმეულ ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება გაშალოს... ეს იდეა-ძალა ცდილობს ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით შიგ საქართველოს შუა გულშიც შემოიჭრას და ხელი ტფილისს დაადოს, რომელიც ცენტრია მთელი საქართველოსი.“

სპირიდონ კედიას სრული უფლება ჰქონდა ეს განეცხადებინა, რადგან სომხეთის რესპუბლიკის მესვეურთა ამბიციები საქართველოს რამდენიმე მომიჯნავე სოფლის მიწა-წყლის მიტაცებით არ შემოიფარგლებოდა (სხვა რომ არაფერი, ამის დასტურად იმ პერიოდში გამოცემულ და გავრცელებული სომხეთის რუკაც იკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა, რომელზედაც თბილისი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული).

საქართველოს მთლიანობისა და სუვერენობის იდეამ შეუძლებელია შეიწყნაროს და შეითვისოს მისი მოპირდაპირე, მისი გამანადგურებელი იდეა. „ეს სოცოცხლის ძირითადი კანონის წინააღმდეგია!" — მიუთითა სპირიდონ კედიამ და დასძინა: „რაგინდ წინააღმდეგიც ვიყოთ ომის, რაგინდ წინააღმდეგი ვიყოთ სისხლის ღვრისა, ჩვენ არ შეგვიძლია ხმლით და მახვილით არ შევეგებოთ იმ იდეას..., რომელიც ჩვენ გვანადგურებს"... სიცოცხლის „ინსტიქტის ძალა გვალაშქრებს თავდაცვისათვის... ძალა ძალამ უნდა შეაყენოს." „დემოკრატიზმის იდეა და პრინციპი, რომელზედაც აქ ლაპარაკობდნენ, კაცობრიობას ომსა და სისხლისღვრას ვერ აარიდებს."

არსებობს ორი ძალა, ორი ეროვნული სხეული — აღნიშნავდა სპირიდონ კედია, რომელთა ატრიბუტები ერთმანეთისაგან განირჩევიან და შეურიგებელნი არიან. ისინი თავიანთი ეროვნული მიზნებისათვის მოქმედებენ საქართველოს საზღვრებში. ერთის მხრივ, აგრესიული ძალა, რომელიც წინ მოიწევს ჩვენი ტერიტორიის დასაპყრობად და მეორეს მხრით, ძირეული ელემენტი — მკვიდრი ქართველობა თავის ქვეყანაში. მათი ერთად მოთავსება საქართველოს საზღვრებში შეუძლებელია. რომელმა უნდა დათმოს? საქართველო თავის საზღვრებში დგას, მას თავისი მეზობლების, მით უფრო სომხების მიმართ აგრესიული მიზნები არასოდეს ჰქონია, პირირქით, მათდამი მუდამ კეთილგანწყობა გამოუჩენია. ჩვენ დათმობა არ შეგვიძლია. „ჩვენი ისტორიულის უფლებით, სტრატეგიის, ეკონომიკის და სახელმწიფოს ინტერესის ძალით ჩვენ ჩაყენებული ვართ ისეთ მდგომარეობაში, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იარაღით ხელში უნდა დავიცვათ ჩვენი ერის მამა-პაპეული სამკვიდრებელი." დათმობას სომხობა უნდა დაადგეს. მათ უნდა აიღონ ხელი მზაკვრულ, დაპყრობით პრეტენზიებზე. ვიდრე ეს არ მოხდება, ვიდრე სომხები უარს არ იტყვიან ამ იდეაზე, ვიდრე სომხები არ მოიშლიან საქართველოს ტერიტორიაზე მიმართულ პრეტენზიას, მანამდე ქართველ — სომეხთა საკითხი გადაუჭრელი დარჩება — მიმართავდა სპირიდონ კედია პარლამენტის წევრებს და განაგრძობდა: „სანამ ჩვენ არ გვექნება სრული გარანტია იმისა, რომ სომხეთი აბსოლუტურად ხელს აიღებს საქართველოს მიწა-წყალზე და თავის პრეტენზიებს უკან არ წაიღებს — მანამ ჩვენი მორიგება შეუძლებელია. დროებითი

მიწყნარება საქმისა, ახალი ქარიშხლების მომამზადებელი იქნება მხოლოდ და თავს ნურავინ მოიტყუებს."

შექმნილი მდგომარეობიდან, სპირიდონ კედიას აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა. მართალია, ეს საშუალება ერთობ რადიკალური იყო, მაგრამ სომხეთის საფრთხის აღკვეთა მარტო ამით იყო შესაძლებელი. სახელდობრ, საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში გადმოსახლებული სომხობა უნდა დაბრუნებოდა თავის პირვანდელ სამკვიდროს — სომხეთის ძირითად ტერიტორიას, რომელიც ოსმალეთის წიაღში მდებარეობდა. ამგვარი გადასახლება ამგვარი მიზნებისათვის, ორატორის სიტყვით, „ნაცადი იყო ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში."

„სომხეთის ხელმძღვანელები რომ გამოფხიზლდებოდნენ და იმის მაგივრად, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი უთხარონ, შინ აჯანყება გაგვიმართონ — სომხეთის ბედის მოწყობას ეცდებოდნენ ამ ერთ-ერთ შესაძლო გზით — მაშინ მოისვენებს საქართველო და მთელი კავკასიაც და მოგებული დარჩება თვით სომხობაც" — მიუთითებდა სპირიდონ კედია. მაგრამ რეალისტი პოლიტიკოსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბედს მხოლოდ სომეხთა კეთილი ნების იმედად ვერ დატოვებდა, ამიტომაც მოუწოდებდა მთავრობას: „ერთადერთი გარანტია ჩვენი მთლიანობის დასაცავად შინაურ სიმტკიცეში უნდა ვეძებოთ ... ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ... საჭიროა ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა." როდესაც დაპირისპირებული მხარე ჩვენს წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, „ჩვენ არ შეგვიძლია თავაზიანობის და გაუბედაობის პოლიტიკა გავაბათ... კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ მთავრობამ ამოწუროს მთელის სიმკაცრით და სისასტიკით ყველა ის საშუალება და ყველა ის ღონისძიება, რომელიც მას მოეპოვება მტრების დასამარცხებლად. ეს აუცილებელია. და როდესაც მთავრობა ამ გზას დაადგება, ის დაინახავს, რომ მთელი საქართველო მას გვერდში ამოუდგება... ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან ენერგიას, სიმკაცრეს და სიმტკიცეს. ამ პირობით ჩვენ მასთან ვართ და მთელი საქართველოც მასთან იქნება" (*საქ. პარლამენტი, 1918 XI, 16*).

ამ გამოსვლების შემდეგ სპირიდონ კედიას ნამდვილად ჰქონდა უფლება, უფრო მკაცრი ყოფილიყო მთავრობის შეფასებაში სომხეთ-საქართველოს ომის დამთავრებისას.

1919 წლის 5 იანვარს პარლამენტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ხსენებულ ომს, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ჩარევით 31 დეკემბერს შეწყვეტილ იქნა.

ზავი ვერ ასახავდა ომის ბოლო დღეებში გამოკვეთილ საქართველოს სამხედრო უპირატესობას. ხელშეკრულების პირობები არ იყო ხელსაყრელი ჩვენი ქვეყნისათვის. ქართული იურისდიქცია ბორჩალოს მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილზე ვრცელდებოდა, მაზრის სამხრეთი მიწა-წყალი სომხურ გარნიზონებს უნდა დაეკავებინათ. მათ შორის მდებარე ლორეს ოლქი კი ნეიტრალურ ზონად ცხადდებოდა ქართულ-სომხური შერეული ადმინისტრაციით და ინგლისის მეთვალყურეობით. საზღვრების საკითხისათვის წერტილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციას უნდა დაესვა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა და ოპოზიციური პარტიები ზავს უკმაყოფილოდ შეხვდნენ. სოციალ-დემოკრატი მოღვაწენი საპარლამენტო ტრიბუნიდან ცდილობდნენ, გაემართლებინათ მთავრობის გადაწყვეტილება, ხოლო მისი განსაკუთრებული მოწინააღმდეგე ეროვნულ-დემოკრატები აგრესიულ მისწრაფებებსა და შოვინიზმში დაედანაშაულებინათ.

თავის გამოსვლაში დეპუტატთა წინაშე სპირიდონ კედიამ დამაჯერებლად განმარტა, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას არასოდეს ჰქონია მიზნად სომეხი ხალხის განადგურება. საწინააღმდეგო აზრის მტკიცება დემაგოგიაა, რაც მიუღებელი და უცხოა საკანონმდებლო ორგანოსათვის, რადგან პარლამენტი „კეთილშობილ განცდათა და მაღალ აზრთა შეჯახების ასპარეზი უნდა იყოს.“

სპირიდონ კედიამ მიმოიხილა საბრძოლო მოქმედებათა პერიპეტიები და საგანგებოდ შეჩერდა ომის წინა ვითარების ანალიზზე. მიუთითა, რომ საქართველოში არსებული სომხური პრესა, სომხურ და რუსულ ენებზე („აშხატაორი“, „ორიზონი“, „ნორ-ორიზონი“, „კავკაზსკოე სლოვო“) იმთავითვე აშკარად და დაუფარავად ძირს უთხრიდა ჩვენს სუვერენიტეტს. „თბილისში ფუსფუსებდა მთელი სომხეთის პოლიტიკური ენერგია, რათა დაემხო საქართველოს დამოუკიდებლობა და მიეტაცა ის მიწები, რომელზედაც სომხობა პრეტენზიას აცხადებდა. მთავრობას ამისათვის თავიდანვე უნდა მიექცია ყურადღება, მაგრამ მან ვერ გამოიჩინა ქვეყნის მართვის ნიჭი, ვერ განსჭვრიტა მოვლენები, რომ საფრთხე თავიდან აერიდებინა. ეს არის შედეგი სოციალ-დემოკრატთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცდარი პრინციპებისა და არა მთავრობის პიროვნული თვისებების ნაკლი" — აღნიშნა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა.

ომის დაწყებიდან ორიოდე დღეში, ხელისუფლებამ იცოდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილები და მთელ ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ერევნის მთავრობა — განაგრძო სპირიდონ კედიამ.

ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ სამშვიდობო კონფერენციის იმედს ჩაეჭიდა, მაშინ როდესაც უნდა სცოდნოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე ტერიტორიის საკითხს კონფერენციაზე არ გაიტანდა, რადგან მიზნის განხორციელება იარაღზე მიაგდო. ევგენი გეგეჭკორი ამაოდ გვარწმუნებდა, რომ „თავიდან ავიცდენდით უთანხმოებას და მშვიდობიანად გადავჭრიდით საკითხს."

„ჩვენი მთავრობა შეპყრობილია შეურყეველი რწმენით, რომ „დემოკრატთა შორის ომი შეუძლებელია!" რომ ყოველი საკითხი აუცილებლად და უსათუოდ გათავდება არბიტრაჟით." ეს ფსიქოლოგია იმდენად ძლიერია, რომ მთავრობა არავითარ სამხედრო-სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს წინასწარ არ მიმართავს, რაც დიდი დანაშაულია და ქვეყნისთვის საბედისწერო — დასძინა ორატორმა.

სპირიდონ კედიამ ხელისუფლებას მობილიზაციის დაგვიანებაშიც დასდო ბრალი: მთავრობამ, საომარი მზადყოფნა მხოლოდ 18 დეკემბერს გამოაცხადა, როდესაც ომი 9 დღის დაწყებული იყოო.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე შეეხო ერთ მეტად პრინციპულ საკითხსაც, რომლის ბოლომდე გაშიფრვას მთავრობა დიპლომატიური მოსაზრებით ერიდებოდა. საუბარია მოკავშირეთა როლზე ომის შეწყვეტაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის საჩქაროდ დამთავრება და ზავის შეკვრა თბილისში მყოფი ინგლის-საფრანგეთის მისიების წარმომადგენელთა ჩარევამ განაპირობაო. სპირიდონ კედიამ საგსებით სამართლიანად იკითხა: „ჰქონდათ თუ არა ამ წარმომადგენლებს — გენერალ-მაიორ რაიკროფტსა და პოლკოვნიკ შარდინს — საკუთარი მთავრობებისაგან სათანადო რწმუნებანი, რომ საქართველოს საქმეში ამგვარად ჩარეულიყვნენ? თუ საკითხი ულტიმატურად არ იყო დასმული და უფლების სფეროში დავრჩებით, რა საბუთით შეეძლოთ მათ ელაპარაკნათ, რა უფლების ძალით, უნდა დაეძალებინათ თავიანთი აზრი?"

„საქართველოს მთავრობას უნდა გაემჟღავნებინა თავისი სიმაღლე და შეუდრეკლობა, რადგან საქმე ეროვნულ ღირსებასა და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შეეხებოდა. თუ მთავრობას ძალას დაატანდნენ, მას საკითხი დამოუკიდებლად მაინც არ უნდა გადაეწყვიტა — უნდა გაეგო არა მხოლოდ პარლამენტის, არამედ ხალხის აზრიც. დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი და მთელი ხალხი წინადადებას მიუღებლად იცნობდა და მთავრობას გვერდში ამოუდგებოდა. მაგრამ მთავრობა ასე არ მოიქცა, პარლამენტს არაფერი გააგებინა და ბრძოლის ველზე გამარჯვებული საქართველო ზურგში დაამარცხა“ — განაცხადა სპირიდონ კედიამ.

მანვე ომში სომხეთის პოლიტიკური ხასიათის გამარჯვებაზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ პოლიტიკურად დაშნაკებმა გაიმარჯვეს. „ჩვენ რომ ისინი დაგვემარცხებინა და მათი დაწყებული საქმე კატასტროფით დასრულებულიყო დაშნაკებს თვით საკუთარი ხალხის მრისხანება მოუღებდა ბოლოს. ამ ზავით კი დაშნაკებმა თავისი ხალხის თვალში დიდი მორალური გამარჯვებაც მოიპოვეს. ამას ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობამ, რადგანაც მათ გაატანა ჩვენი საშობლოს ტერიტორია, რომლისთვისაც ჩვენი ჯარი და ხალხი სისხლსა ღვრიდა და მსხვერპლს სწირავდა.“

„ზავის პირობა არ უპასუხებს ბრძოლის ველზე შექმნილ ძალთა განწყობილებას, იგი ბღალავს ჩვენს სუვერენობას და გვართმევს ჩვენ საშობლო ტერიტორიას,... ამიტომ იგი მიუღებელია. ამ საგალალო შედეგებისათვის საქართველოს მთავრობის მოქმედება გაკიცხულ უნდა იქნას“ — დაასრულა სიტყვა სპირიდონ კედიამ (*„საქართველო“, 1919 ჯ, №8*).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან ეროვნულ-დემოკრატთა დაპირისპირების საგნად იქცა კანონ-პროექტი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ, რომლის განხილვასაც პარლამენტის ორი სხდომა მიეძღვნა. მთავრობა და მმართველი პარტია, გამომდინარე თავიანთი ათეისტური პოზიციებიდან, იმთავითვე ცდილობდნენ, გაემიჯნათ ეკლესია და სახელმწიფო, ჩამოეცილებინათ სკოლა ეკლესიისაგან.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის დემოკრატიულ პრინციპს არც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის მესვეურთ მიაჩნდათ, რომ გამიჯვნა ცივილიზებული ფორმით უნდა განხორციელებულიყო, თანაც არა ნაჩქარევად, არამედ მას შემდეგ, რაც

ეკლესია ქონებრივად განმტკიცდებოდა. ეროვნულ-დემოკრატები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ერის სულიერ მესაჭეს — საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას — საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, მხარს უჭერდნენ და მოითხოვდნენ ეკლსიისათვის გადაეცათ მისი ისტორიულად კუთვნილი სამონასტრო მამულები და სხვა (*ო. ჯანგლოძე 2001, 131*).

ხსენებული კანონპროექტის წინააღმდეგ ვრცელი და არგუმენტირებული სიტყვით გამოვიდა პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი შალვა ქარუმიძე (ეს სიტყვა ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა (*შ. ქარუმიძე 1918*). არანაკლებ მძაფრი იყო სპირიდონ კედიას გამოსვლაც. მისი კრიტიკა ჯერ პარლამენტის მუშაობის ზოგად ხარვეზს შეეხო, სახელდობრ, იმას, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხშირად განიხილებოდა კანონ-პროექტები წინასწარი შესწავლის გარეშე, რაც ხელს უშლიდა და აბრკოლებდა ცხოვრებაში მათ დამკვიდრებას. კონკრეტული საკითხის შესახებ კი სპირიდონ კედიამ განაცხადა: ეს კანონ-პროექტი ბრძოლას უცხადებს ქართველი ერის სულიერ ბურჯს — ქრისტიანობას და მის მორალს. სოციალ-დემოკრატები ჩვეულნი არიან ფორმულებით აზროვნებას, პრინციპით ხელმძღვანელობას, შეთვისებული აქვთ მხოლოდ ზოგადი კანონების მოვლენები, ხოლო სინამდვილე თავისი სირთულეებით მათთვის უცნობია. ამიტომაც ისინი დაშორებულნი არიან ქართველ ხალხს, არ ესმით მისი სული, რომელიც ეძიებს სიმშვიდეს. ამ სიმშვიდეს კი ხალხს რელიგია, სარწმუნოება ანიჭებს. „წარმოდგენილი კანონ-პროექტით ცხოვრებისაგან სარწმუნოებას ვაცილებთ, სანაცვლოდ კი არაფერს ვაძლევთ. ამით ჩვენ ვქმნით სიცარიელეს, რომლის ამოვსება შეუძლებელია, რადგან რელიგიას ვერ შეცვლის ვერც მეცნიერება და ვერც სხვა რამ.“

ეროვნულ-დემოკრატები აქცენტს აკეთებდნენ საღვთო სჯულის არა დოგმატურ მხარეზე, არამედ მიუთითებდნენ მის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე „კლასობრივი სიძულვილის, ბოროტებისა და სოციალური ომის ატმოსფეროში.“

თქვენ, — მიმართავდა სპირიდონ კედია კანონ-პროექტის ავტორებს, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებთ კერძო საკუთრებასაც და საქართველოს სინამდვილეს, ქართველ ხალხს აცლით ორ ძა-

ლას — რელიგიასა და საკუთრებას. მაშ „რაზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილი წყობილება და სახელმწიფო?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონ კედიას სიტყვით, სანამ არ გამოცხადებულა აქტი საქართველოში ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებისა, საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება ყველა ტიპის სკოლაში, მით უფრო ხალხის აზრის გაუთვალისწინებლად, ნაჩქარევად და ძალდატანებით, დანაშაული იქნება ხალხის წინაშე. ამან, შესაძლოა ხალხის უკმაყოფილება, აღშფოთება და მღელვარება გამოიწვიოს. „ხალხმა შეიძლება ჩვენ ზურგიც გვაქციოს და დაბადოს ერთგვარი შინაური უბედურება.“

იწუნებდა რა წარმოდგენილ კანონ-პროექტს, სპირიდონ კედია დეპუტატებს პრობლემის მოგვარების ასეთ გზას სთავაზობდა: საღვთო სჯულის სწავლება იმ სახით, როგორც აქამდე ისწავლებოდა, შეუძლებელია. მაგრამ იგი ჯერ კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ უნდა გადახალისდეს. საჭიროა გარკვეული რეფორმა, რომელსაც თვით სასულიერო მოღვაწეები გაუძღვებიან. ყოველივე კი უნდა განხორციელდეს ევოლუციურად, „თვით ხალის სურვილით, მისი ზრდით, მისი შინაგანი განცდით.“ მიზანშეწონილი იქნება, საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს სარწმუნოების კომისიამ, ხოლო საბოლოოდ გადაწყვიტოს არა პარლამენტმა, არამედ დამფუძნებელმა კრებამ (*საქ. პარლამენტი, 1918, 19 XI, 30-33*).

სპირიდონ კედიას ყოველი სიტყვა თუ გამოსვლა საქართველოს პარლამენტში გამსჭვალული იყო ღრმა პატრიოტიზმით. ამასთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს გამოარჩევდა ზნეობრივი უმწიკვლოება, საქმის უზადო ცოდნა, მოვლენათა სიღრმისეული ანალიზის უნარი, მაღალი პოლიტიკური კულტურა, შინაგანი ტაქტი და თავაზიანობა. იგი იყო უაღრესად თანამიმდევრული, რეალისტურად მოაზროვნე პიროვნება, დაჯილდოებული იშვიათი ორატორული მონაცემებით. ერთ-ერთი თვითმხილველის გადმოცემით, როგორც კი სპირიდონ კედია პარლამენტის ტრიბუნასთან გამოჩნდებოდა, დეპუტატები დარბაზის უკანა რიგებიდან წინ, ტრიბუნისკენ ინაცვლებდნენ, რათა უკეთ მოესმინათ დამაჯერებელი არგუმენტაციითა და მტკიცე ლოგიკით გამორჩეული მისი სიტყვა.

მოხსენებისას, ჩვეულებრივ, ზომიერ, მშვიდ და თავდაჭერილ ტონს ამჯობინებდა, მაგრამ სათქმელს მჭევრმეტყველურად

წარმოსთქვამდა, რაც გამოსვლას მიმზიდველსა და საინტერესოს ხდიდა. თავისი ორატორული ნიჭის გამო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომრეს „საქართველოს ოქროპირსაც“ უწოდებდნენ. ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, სპირიდონ კედიას სიტყვა „ევროპულ დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო“ (*ძ. ჯეთარაძე 1979, 12*).

ფართო ევროპულმა განათლებამ, დიდმა ერუდიციამ, აქტიურმა საპარლამენტო თუ პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ სპირიდონ კედია გამორჩეულ პოლიტიკურ ფიგურად აქცია, საიმედო და ჭკვიანი პოლიტიკოსის სახელი დაუმკვიდრა.

## III.3. „უცოჰიშრს ანმშებანში არ ჩანწანმ ჩვენი ჭვეყნის ბედი და ბოჯანალი“ (სიტყვები და ბანგოსფლები დანეშუჭნებელ ჟრებანში)

ეროვნულმა საბჭომ და პარლამენტმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ახალ ისტორიაში. პირველმა სათავე დაუდო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხოლო მეორე ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებად იქცა. მიუხედავად ამისა, ამ საკრებულოებს აკლდათ ლეგიტიმურობა, არც ერთი მათგანი არ ჩამოყალიბებულა საყოველთაო არჩევნების გზით.

ქართულ სინამდვილეში ფართო დემოკრატიულ საფუძველზე შექმნილი პირველი სრულფასოვანი საკანონმდებლო ორგანო საქართველოს დამფუძნებელი კრება იყო, რომელიც საყოველთაო, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით 1919 წლის თებერვალში იქნა არჩეული.

დამფუძნებელ კრებას თავისი კონკრეტული მიზანი და დანიშნულება გააჩნდა. მის ამოცანას ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრება და მომავლის პროგრამის შემუშავება შეადგენდა. იგი განახლებული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მესაძირკვლე უნდა გამხდარიყო. დამფუძნებელი კრება მოწოდებული იყო გამოეხატა ერის უზენაესი ნება

და მისწრაფებანი. ამიტომაც უწოდა მას შალვა ნუცუბიძემ „ხალ ქართველოს ცნობიერების გვირგვინი“ (*„საქართველო“, 1919 ა, №56*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა (109 ადგილი 130-დან). ეროვნულ-დემოკრატებმა 30 ათასზე ოდნავ მეტი ხმა მიიღეს (6,1%) და მხოლოდ 8 დეპუტატის გაყვნა შეძლეს. ამდენივე მანდატი მოიპოვეს ფედერალისტებმაც. კიდევ უფრო ნაკლები იყო ესერთა წარმომადგენლობა (5).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით დამფუძნებელი კრების წევრებად არჩეულ იქნენ: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ასათიანი და პეტრე სურგულაძე (ეროვნულ-დემოკრატთაგან გამოყოფილმა საქართველოს ეროვნულმა პარტიამ მხოლოდ დამატებით არჩევნებში მოიპოვა 1 მანდატი, დეპუტატი გრიგოლ ვეშაპელი გახდა).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქცია, რომელიც მემარჯვენე ოპოზიციად ჩამოყალიბდა, არ ყოფილა მრავალრიცხოვანი, მაგრამ თავისი პოტენციით იგი დამფუძნებელ კრებაში სერიოზული და ანგარიშგასაწევი ძალა იყო. დეპუტატთაგან ალექსანდრე ასათიანი, გიორგი გვაზავა და იოსებ მაჭავარიანი იურისტები იყვნენ, სპირიდონ კედიასა და გერონტი ქიქოძეს ევროპული საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდათ მიღებული, ხოლო ნიკო ნიკოლაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის პროფესიონალიზმი და ავტორიტეტი ეჭვს არ იწვევდა არათუ ფრაქციაში, არამედ მთელს დამფუძნებელ კრებაში.

ფრაქციას კვლავ გიორგი გვაზავა მეთაურობდა. ექვთიმე თაყაიშვილი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) იყო არჩეული. სპირიდონ კედია კრების საკონსტიტუციო და თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიებში გაერთიანდა.

ეროვნულ-დემოკრატები სრულად აცნობიერებდნენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს როლს სუვერენული ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. თავიანთ თავს, მართალია, ოპოზიციურ, მაგრამ მაინც ხელისუფლების ნაწილად მიიჩნევდნენ და პასუხისმგებლობაც მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული. დამფუძნებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების წევრობა მათ საპატიო და საამაყო მოვალეობად მიაჩნდათ, ყველგან და ყოველთვის უფრთხილდებოდნენ მის სახელსა და ღირსებას.

სპირიდონ კედია თვლიდა, რომ დამფუძნებელი კრების შექმნით „საქართველომ თავისი თავი ჩაიბარა და დაიყუდნა", ქვეყნის მართვა-გამგეობას თვით ხალხი დაეუფლა. ამიტომ, დეპუტატს, როგორც ხალხის თავისუფალ რჩეულს, განსაკუთრებული მოვალეობა დაეკისრა, არა მხოლოდ თანამედროვეობის, არამედ მომავლის წინაშეც. „ჩვენს ნამოქმედებს და ნააზრევს ისტორია წაიკითხავს და განსჯის. ჩვენი დღევანდელი ნამოქმედარი განსაზღვრავს მომავლის მიმართულებას და ბედს. და სწორედ ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით თავისუფალნი და ჩვენი ქეიფის ამყოლნი ჩვენი უფლების მოხმარებაში, ჩვენს მოქმედებაში. საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერთი წუთია და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ჩვენი ქვეყნის უკვდავება" — აცხადებდა იგი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან (*დამფ. კრება, 1919, 22 III, 9*).

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში კიდევ უფრო ფართოდ წარმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაურის შესაძლებლობანი. ქართველი ემიგრანტი მოღვაწის დ. თაბორიძის სიტყვით, სპირიდონ კედია იდგა „ერთგული ოპოზიციის" პოზიციაზე, ... სწამდა, რომ დემოკრატიულ, უფლებრივ სახელმწიფოში — და ასეთი სახელმწიფო იყო საქართველო 1918-1921 წლებში — საქმიანობა ოპოზიციური პარტიებისა ისევე დიდი პასუხისმგებლობითა და ეროვნული შეგნებით უნდა წარმოებდეს, როგორც თვით მთავრობის და სამთავრობო პარტიის თუ პარტიების მოქმედება. სპირიდონ კედია აწარმოებდა არა „ოპოზიციას ოპოზიციისათვის"..., არამედ „ოპოზიციას საქმისათვის"..., „პოზიტიურ ოპოზიციას" (*დ. თაბორიძე 1984, 375*).

ალექსანდრე ასათიანის მოწმობითაც, ეროვნულ-დემოკრატიული „ოპოზიცია იყო საქმიანი და კონსტრუქციული. ის არ გაურბოდა მმართველ სოციალისტურ ძალებთან თანამშრომლობას, სადაც კი ეძლეოდა ამის საშუალება, რათა ამით შეენელებინა და შესწორებები შეეტანა რეალურ სინამდვილეს დაცილებულს... და უტოპიურ გეგმებით გამსჭვალულ პოლიტიკაში" (*ალ. ასათიანი 1937 ბ, 12-15*).

დაპირისპირება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის ეროვნულ საბჭოზე მძაფრად საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გამოიკვეთა. ხელისუფლებას ორივე მხრიდან აქტიურად უტევდნენ. ფედერალისტები და ესერები მას თავს მარცხნიდან ესხმოდნენ, ბრალად სდებდნენ სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევას, მოითხოვდნენ „რევოლუციის გაღრმავებასა" და „სოციალისტური წყობილებისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას. ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ძალასა და მის ერთპარტიულ მთავრობას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მარჯვნიდან აკრიტიკებდა, კერძო საკუთრების შეზღუდვასა და სოციალისტური ექსპერიმენტებით გატაცებაში ადანაშაულებდა (*ალ. ბენდიანიშვილი 2001, 160*).

დამფუძნებლ კრებაში პოლიტიკური ხასიათის დებატებისას ეროვნულ-დემოკრატთაგან სიტყვით უმთავრესად სპირიდონ კედია გამოდიოდა. გიორგი გვაზავა და იოსებ მაჭავარიანი უფრო იურიდიული პრობლემატიკით იფარგლებოდნენ. საფინანსო, სამხედრო, აგრაული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები ალექსანდრე ასათიანს, ნიკო ნიკოლაძესა და პეტრე სურგულაძეს გამოჰქონდათ. კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების სფერო არსებითად ექვთიმე თაყაიშვილსა და გერონტი ქიქოძეს ჰქონდათ მინდობილი. ცხადია, ამგვარად ფუნქციები იყო დანაწილებული, თორემ შებოჭილი არავინ ყოფილა და კრებაში დასმულ ყოველგვარ საკითხზე ფრაქციის ნებისმიერ წევრს თავისუფლად შეეძლო გამოეთქვა საკუთარი აზრი.

სპირიდონ კედიას საპროგრამო გამოსვლა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 22 მარტს შედგა. ამ დღეს სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ევგენი გეგეჭკორის მიერ წინა სხდომაზე წაკითხულ მთავრობის დეკლარაციას განიხილავდა. რეგლამენტის მოთხოვნით ხსენებულ საკითხზე თითოეულ საპარლამენტო ფრაქციას თავისი პოზიცია უნდა გამოეხატა. ეროვნულ-დემოკრატთა სახელით სიტყვა სწორედ სპირიდონ კედიამ წარმოთქვა.

თავის გამოსვლაში სპ. კედიამ ყურადღება თავდაპირველად დამფუძნებელ კრების მნიშვნელობაზე გაამახვილა ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში, შემდეგ კი ის წინააღმდეგობა გამოამზეურა, რომელმაც თავი იჩინა საქართველოს რეალობასა და ხელისუფლების იდეოლოგიას შორის. მისი სიტყვით, „სინამდვილე ძალას გვატანს სახელმწიფოს აღსადგენად საღი ბურჟუაზიული საფუძ-

ვლები და მეთოდები ვიხმაროთ.“ ასეთ ვითარებაში კი, დამფუძნებელ კრებაში თუნდაც 127 სოციალისტი დეპუტატის ყოფნა არსებითი აღარ არის. მათი დიდი სურვილი და რწმენაც „უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად და სინამდვილის გარდასაქმნელად“ (*დამფ. კრება, 1919, 22 III, 9*).

ორატორმა მთავრობის მომავალი საქმიანობის წარმოჩენა მისი წარსული მოქმედების ანალიზის საფუძველზე სცადა, რაც იმით ახსნა, რომ „არავითარი ახალი ელემენტი ამ მთავრობაში არ შემოსულა, არც პიროვნების სახით და არც როგორც ფსიქოლოგიური მოტივი.“ სპირიდონ კედიამ მიუთითა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა განხორციელდა მთავრობის პოლიტიკისა და მთელი იმ მიმართულების წინააღმდეგ, საიდანაც ეს მთავრობაა გამოსული. ეროვნული სახელმწიფოს შექმნა მთავრობის მისწრაფება არ ყოფილა, რის გამოც მასში „არც ფსიქოლოგიური მონაწილეობა მიუღია და არც მოქმედობითი.“ „მთავრობა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ძიება თავის დღეში [მიზნად] არ ჰქონია და რომელმაც მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მართვა-გამგეობა, ცხადია,... ვერ გამოიჩენდა იმ შემოქმედებით სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომლითაც მხოლოდ შეიძლებოდა... ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოს შენობის აგება და გამაგრება“ (*დამფ. კრება, 1919, 22 III, 10*).

ხალხი, რომელიც საქართველოს მთავრობაშია, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე იდგა და საზოგადოებაში შეურიგებლობის იდეოლოგიას თესდა, ამიტომ იგი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. აქედან წარმოსდგა მისი მთელი რიგი შეცდომები საშინაო თუ საგარეო მოქმედებაში, აღნიშნა სპირიდონ კედიამ.

ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერმა მკაცრად გააკრიტიკა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის „ცალმხრივი და დამქსაქსავი პოლიტიკა“ საქართველოს განაპირა კუთხეებში, რომლებშიც ისტორიული ავბედობის გამო, დაირღვა დემოგრაფიული ბალანსი, შეიბღალა წმინდა ეროვნული შეგნება, ფსიქოლოგია და ხელში ეთნოგრაფიულად ჭრელი ოლქები შეგვრჩა.

სპირიდონ კედიამ ცალკე გამოჰყო რეგულარული ჯარის საკითხი და მის ჩამოყალიბებაში არსებული ხარვეზები ინტერნაციონალურ პოლიტიკას, საერთაშორისო განიარაღებისაკენ მის

სწრაფვას დაუკავშირა, რომელიც ხელისუფლებამ პირდაპირ გადმოიტანა ქართულ სინამდვილეში. „ჯარის შექმნის მაგიერ, მთავრობა ინტერნაციონალისტური სოლიდარობის ფრაზებს რაზმავდა; შედეგად ბორჩალოს საქმე მივიღეთ." საქართველოს რომ დროზე გაეტარებინა საჭირო ზომები, მთავრობას რომ მტრის ცნობის ალღო და ინსტიქტი ჰქონოდა, ბორჩალოს კატასტროფას თავიდან ავიცილებდით, — ხაზი გაუსვა დეპუტატმა. ადმინისტრაცია ვერ დგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, სასამართლო ჯერაც ვერ გამხდარა დამოუკიდებელი და ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ იმყოფება. არჩეულ მოსამართლეთა შორის ყველა როდია ღირსეული. ყოველივე ეს სასამართლოს გახრწნის წინაპირობაა და თუ რაიმე არ ვიღონეთ, შესაძლოა საზოგადოების დაშლა-გათახსირების მოწმედ გავხდეთ — აფრთხილებდა სპ. კედია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებს.

ეროვნულ-დემოკრატმა ორატორმა დაიწუნა მთავრობის საგარეო პოლიტიკაც. მეზობელ სახელმწიფოთაგან (აზერბაიჯანი, მთიელთა რესპუბლიკა, სომხეთი) საქართველოს იზოლაცია მან ხელისუფლების „რევოლუციონური სოციალიზმის" პროგრამით მოქმედებას დააბრალა. „საქართველოს მთავრობა ამ სახელმწიფოებთან დაახლოებას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზომითა და საჭიროებით კი არ არკვევდა, არამედ პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით და ამიტომაც განმარტოებული რჩებოდა." მთავრობის პოლიტიკა კვლავ გამოურკვეველია, იგი მუდმივად მერყეობს „მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა და ნამდვილ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის, არ ჩანს საითკენ იხრება, რომელ პრინციპს აძლევს უპირატესობას — მოსკოვის თუ პარიზის. ეს გარემოება ხელს უშლის იმას, რომ საქართველოს იდეა ანტანტის იდეამ დაინათესავოს" — მიუთითა სპირიდონ კედიამ.

სპირიდონ კედია ვრცლად შეეხო საქართველოს ეკონომიკურ ვითარებას და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მას არ დავიწყნია, აღენიშნა ობიექტური მიზეზი (ომისშემდგომი რთული საერთაშორისო მდგომარეობა), მაგრამ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ ქაოსში მთავრობის „სოციალისტური ცოდო და დანაშაულიც" გამოჰკვეთა. მისი აზრით, რევოლუციური ღონისძიებები ეკონომიკურ ცხოვრებაში ნგრევას იწვევს, რომლის გამოსწორება სოციალისტური წესითა და ექსპერიმენტებით ყოვლად შეუძლებელია. მთავრობა დროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაადგეს „ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ შემოქმედების გზას“, რათა ხალხის, ყოველი მესაკუთრე მეურნის და ვაჭარ-მრეწველის თვალში ნდობა მოიპოვოს. მან უნდა იცნოს მესაკუთრის უფლება თავის საკუთრებაზე, შეცვალოს ჩვეული „უსისტემო და ულოღიკო ეკონომიკური პოლიტიკა“ და აირჩიოს კერძო ინიციატივის“, „ნამდვილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზა.“

სპირიდონ კედიამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით განაცხადა: „საქართველოს მთავრობის მომავალი პოლიტიკა პრინციპულად მიუღებელია, რადგან იგი გაგრძელებაა მისივე წარსული პოლიტიკის, რომელიც აღსავსეა საბედისწერო შეცდომებით. ამიტომ მას en bloc ნდობას ვერ გამოვუცხადებთ და საქმიან ოპოზიციას დავადგებით. მაგრამ არის ერთი საკითხი, უზენაესი სავალდებულო კატეგორია — ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი, რომელშიც ყოველ მთავრობასთან ვიქნებით ყოველი გასაჭირის დროს...“

თავისი გამოსვლა სპირიდონ კედიამ დაამთავრა სურვილით, რომ დამფუძნებელმა კრებამ, რომელსაც დაევალა ჩვენი ქვეყნის დაფუძნება, გამოიჩინოს საჭირო გონების სიფხიზლე და უტოპიურს ანთებაში არ ჩაწვას ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი“ (*დამფ. კრება, 1919, 22 III, 16*).

არანაკლებ მწვავე იყო დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 10 მაისს წარმოთქმული სპირიდონ კედიას სიტყვა, რომელიც ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების განხილვას დაეთმო.

ცნობილია, რომ მსოფლიო ომში გერმანიისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა დამარცხებას საერთაშორისო ასპარეზზე სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა მკვეთრი გადანაწილება მოჰყვა. ამ მოვლენამ სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც ვითარება არსებითად შეცვალა. საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთმა გარანტმა — გერმანიის ჯარებმა ჩვენი ქვეყანა დატოვეს. მათი ადგილი 1918 წლის დეკემბრიდან ინგლისის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს, რადგან მოკავშირეთა უმაღლესმა ხელმძღვანელობამ ეს რეგიონი დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ ცნო.

გერმანელთაგან განსხვავებით, ინგლისის სარდლობას აშკარად გამოხატული ანტიქართული პოზიცია გააჩნდა. იგი ნაკ-

ლებად სცემდა პატივს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, და არცთუ იშვიათად, ქვეყნის საშინაო საქმეებშიც უცერემონიოდ ერეოდა. ცხადია, ეს ხელისუფლებისა და მთელი ქართველი საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა, მდგომარეობას ძაბავდა და ამწვავებდა.

აანალიზებდა რა შექმნილ სიტუაციას, სპირიდონ კედია მიუთითებდა, რომ არსებული ვითარება მხოლოდ საერთაშორისო ცვლილებებით არ იყო გამოწვეული და ამას გარკვეულწილად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის „რევოლუციური პოლიტიკაც“ ასაზრდოებდა.

ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი მოითხოვდა, გადაესინჯათ ეს პოლიტიკა და შეერჩიათ იმგვარი კურსი, რომელიც ქვეყანას აარიდებდა პრინციპულ კონფლიქტებს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლობასთან.

სპირიდონ კედიამ მიმოიხილა დიდი ბრიტანეთის მისიის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისა და საქართველოს სუვერენობს შემლახველი ფაქტები და ხაზი გაუსვა, რომ „ინგლისის წარმომადგენლობა მაინცდამაინც ჩვენ მეგობრულად არ გვეპყრობა და იქცევა ისე, როგორც ეს არ შეშვენის ვითომდა წესიერების დასაცავად მოსულ სახელმწიფოს“. მიუხედავად ამისა, საქართველო-ინგლისს შორის საერთო ენის გამოძებნა და საერთო მიზნების შეხამება შესაძლებელია, — დასძინა ორატორმა (*დამო. კრება, 1919, 10 IV, 21*).

სპირიდონ კედიას აზრით, ამგვარი ერთობის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა. „ამიერკავკასია და მისი პოლიტიკური და ტოპოგრაფიული გული — საქართველო პლაცდარმია ინდოეთისაკენ მისაშვერ ზარბაზნებისათვის. ეს პლაცდარმი დიდი მუქარა იყო რუსეთის ხელში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. ეს პლაცდარმი რუსეთს ხელიდან გაუვარდა. როგორც ჩვენ ვართ დაინტერესებული ჩვენს დამოუკიდებლობაში, ისე ინგლისიც დაინტერესებული უნდა იყოს, ეს პლაცდარმი დარჩეს თავისუფალი და მისთვის უვნებელი“ — მიუთითებდა იგი.

სპირიდონ კედია მოუწოდებდა ხელისუფლებას, ეზრუნა ინგლისთან შეთანხმებისა და დაკავშირებისათვის, მაგრამ არამც და არამც საქართველოს დამოუკიდებლობის შეზღუდვის საფუძველზე. მკაცრი რეალობა სპირიდონ კედიას იძულებულს ხდიდა,

აღენიშნა: საქართველოს საკუთარი ძალით, ჯერ-ჯერობით თვით-გამტკიცება არ შეუძლია. მას ესაჭიროება მეგობრის ხელი. და ეს დიდ სახელმწიფოთა თანაგრძნობა, რომელნიც დღეს მოვლენებს სარდლობენ, ეს ანტანტის სახელმწიფოებია. დღევანდელი გარემოება გვიკარნახებს, ჩვენი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა შევუხამოთ გამარჯვებულ სახელმწიფოთა ძირითად პოლიტიკას. საქართველომ, მსგავსად ევროპა-ამერიკის დემოკრატიული ქვეყნებისა, თავის შინაურ პოლიტიკას უნდა მისცეს ზომიერი ლიბერალური ხასიათი და გადაჭრით უკუაგდოს ბოლშევიკური რუსეთის პრინციპი, აირჩიოს „მტკიცე და განცდილი რეფორმების, მშვიდობიანი განვითარებისა და საღი ევოლუციური დემოკრატიის გზა“, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის საბოლოო განმტკიცებას.

არსებითად, საქართველო-ინგლისის ურთიერთობიდან გამომდინარეობდა ის პრობლემაც, რომელსაც მიეძღვნა დამფუძნებელ კრებაში სპირიდონ კედიას შემდგომი გამოსვლა. საკითხს ამგვარი წინა ისტორია ჰქონდა.

სამთა კავშირმა პირველ მსოფლიო ომში მარცხი განიცადა. გერმანია იძულებული შეიქმნა, საქართველოში დისლოცირებული ჯარის ნაწილები უკანვე გაეყვანა. თბილისში ჩამოსული ინგლისის სამხედრო მისია ცდილობდა ხელი შეეშალა გერმანული ეშელონებისათვის, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. დიდი ბრიტანეთის აგენტურამ მოახერხა და მცხეთის მახლობლად ძეგვის ხიდი ააფეთქა. გერმანელი მებრძოლებით სავსე მატარებელი, მართალია, უვნებელი გადარჩა, მაგრამ ხიდის აფეთქებამ გარკვეული დროით შეაფერხა სარკინიგზო მიმოსვლა. ზარალი მიადგა ქვეყნის ისედაც სუსტ ეკონომიკას. საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის წინააღმდეგ მიმართულმა ამ ვერაგულმა მოქმედებამ აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა. დამნაშავენი შეიპყრეს და გაასამართლეს. ისინი რუსი და სომეხი ეროვნების საქართველოს მკვიდრნი აღმოჩდნენ. ბოროტმოქმედთა ჯუფის მეთაურს ოფიცერ შმაგაილოვს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მთელი ქართველი ხალხი მოელოდა კანონიერი განაჩენის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ინგლისის სარდლობის ჩარევით, ავისმქმნელნი არათუ სიცოცხლეს გამოასალმეს — საერთოდაც გაანთავისუფლეს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ ამ ფაქტში, სრულიად სამართლიანად, საქართველოს „სა-

ხელისა და პრესტიჟის“ შებღალვა დაინახა და დამფუძნებელ კრებაში მთავრობის სახელზე სადეპუტატო შეკითხვა შეიტანა. საკანონმდებლო ორგანომ შეკითხვა 1919 წლის 16 მაისს განიხილა. შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპუტატებს მოახსენა შექმნილი ვითარება და დიპლომატიურად მიანიშნა, რომ საქმეში „საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკური მომენტია ჩარეული“ (*დამფ. კრება, 1919, 16 IV, 22*).

განმარტებამ მემარჯვენე ოპოზიცია ვერ დააკმაყოფილა. სიტყვა ითხოვა სპირიდონ კედიამ. მან განაცხადა: მთავრობას არ ჰქონდა უფლება, შეეცვალა განაჩენი და გაენთავისუფლებინა სახელმწიფო დამნაშავე, თუნდაც გარეშე ძალის ზეგავლენით. ხელისუფლება ვალდებული იყო, მტკიცედ დაეცვა სასამართლო, რადგან საქმე „ეროვნული ღირსების, თავმოყვარეობის, მართლმსაჯულებისა და სუვერენობის“ საკითხს შეეხებოდა. „როდესაც მთავრობა ხედავს, რომ მას აიძულებენ თავის ქვეყნის სუვერენობა საკუთარი ხელით შეალახვინონ, მან უნდა მოუწოდოს ქვეყანას, ყოველ ცოცალ ძალას, უწინარეს ყოვლისა პარლამენტს.“ დამფუძნებელ კრებას შეეძლო მხარში ამოდგომოდა მთავრობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს ვერ გამოიყენა თავისი ქვეყნის ღირსების დასაცავად. სწორედ ეს არის სამწუხარო მოვლენა და ამაშია მთავრობის დანაშაულიც. თუ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ეს საკითხი დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე გამოიტანა, მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობა შემდეგში მაინც მეტი სიფრთხილით და მოკრძალებით მოეპყრას საქართველოს ღირსებას — დაასრულა გამოსვლა ორატორმა.

ხელისუფლების მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, სპირიდონ კედიას შეეძლო მოწონებით შეხვედროდა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განმტკიცებისაკენ მიმართულ მთავრობის ყოველ ღონიძიებას, გულწრფელად მისალმებოდა მას და თანადგომაც აღეთქვა. სანიმუშოდ ორ მაგალითს დავიმოწმებთ:

1. 1919 წლის ნოემბერში საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად შეიტანა დეკრეტი „ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთი საბრძოლველი ზომების შესახებ“. დოკუმენტი მიმართული იყო იმ ანტიქართული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეას უპირისპირდებოდნენ და ღიად თუ ფარულად ძირს უთხრიდნენ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას.

ეროვნულ-დემოკრატთა სახელით სპირიდონ კედიამ მხარი დაუჭირა მთავრობის პროექტს. მან გაილაშქრა ესერთა წარმომადგენლის წინააღმდეგ, რომელმაც ხსენებული დეკრეტი დემოკრატიის შემზღუდველი მოქმედების წინაპირობად მიიჩნია. „ჩვენთვის საკითხთა-საკითხი და ყველაფრის საზომი დამოუკიდებლობის დაცვა და მისი განმტკიცებაა. თუ საქართველოს ინტერესები მოითხოვს, მთავრობა რეპრესიულ ღონისძიებებსაც არ უნდა დაერიდოს და ანტიქართული ძალებისაგან გაწმინდოს ქვეყანა — ხაზი გაუსვა სპირიდონ კედიამ და დასძინა, რომ დეკრეტი არ უნდა დარჩეს ფარატინა ქაღალდად, იგი აუცილებლად უნდა გატარდეს ცხოვრებაში (*დამო. კრება, 1919, 18 XI, 12-13*).

2. 1919 წლის 16 ივნისს ორ მეზობელ სახელმწიფოს — საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება. იგი თავდაცვითი ხასიათისა იყო და აუცილებელ შემთხვევაში ურთიერთ სამხედრო დახმარებას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იმავე წლის 22 ივნისის სხდომაზე განიხილა.

სპირიდონ კედიამ კმაყოფილება გამოხატა მთავრობის ამ ნაბიჯის გამო, მასში „სახელმწიფოებრივი სიმწიფის" ნიშნები დაინახა და მიუთითა, რომ ქვეყნის მესვეურებმა თავიდან მოიშორეს ის პარტიული პრინციპები, რომელიც აქამდე ხელს უშლიდა საქართველო-აზერბაიჯანის კავშირს. ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერის განცხადებით, მათ ფრაქციას ხელშეკრულების არც ერთი მუხლის საწინააღმდეგო არაფერი ეთქმის, რადგან შეთანხმება მიზნად ხელმომწერ მხარეთა დამოუკიდებლობასა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ისახავს. ასეთი დოკუმენტი ერთსულოვნებით იქნება დადასტურებული. ამასთან, საჭიროა ხელშეკრულების მნიშვნელობა განემარტოს მოსახლეობას, რისთვისაც როგორც აზერბაიჯანის, ისე საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ და პოლიტიკურმა წრეებმა უნდა იღვაწონ (*დამო. კრება, 1919, 22 VI, 14-15*).

აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საფუძველს უყრიდა საერთოკავკასიურ კავშირს მოსალოდნელი ბოლშევიკური აგრესიისაგან თავდასაცავად, რასაც მემარჯვენე ოპოზიცია სიამოვნებით მიესალმა, მაგრამ სინანულიც გამოთქვა, რომ ხელშეკრულებასთან შეერთებისაგან თავს იკავებდა სომხეთის ხელისუფლება.

ეროვნულ-დემოკრატებს არაფერი ჰქონდათ სომხეთის რესპუბლიკის საწინააღმდეგო, მხარს უჭერდნენ მის დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრივ მთლიანობას, მაგრამ არა საქართველოს ტერიტორიების ხარჯზე. ამასთან არც ის მოსწონდათ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა „ინტერნაციონალური სოლიდარობის" პრინციპით ზოგჯერ ცალმხრივ კომპრომისებს მიმართავდა და სომხეთისაგან სანაცვლოდ კომპენსაციას არ ითხოვდა.

სპირიდონ კედიამ დაიწუნა და მკაცრად გააკრიტიკა 1919 წლის 3 ნოემბერს სომხეთთან გაფორმებული თავისუფალი ტრანზიტის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის საზიანოდ მიიჩნია. აღნიშნა, რომ დოკუმენტი „ჯეროვანის სიფრთხილით და სახელმწიფოებრივი გონების სიმწიფით არ არის დაწერილი" და მხარი არ დაუჭირა დამფუძნებელ კრებაში მის რატიფიკაციას (*დამფ. კრება, 1919, 14 XI, 21-23*).

მრავალმხრივ საგულისხმო და საყურადღებო სიტყვა წარმოთქვა სპირიდონ კედიამ დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის 29 ივლისს, როცა განიხილებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. დამოუკიდებელი რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება, თავისი არსებობის ისტორიაში პირველად, მსჯელობდა ბიუჯეტზე, რომელშიც სარკესავით აირეკლა ქვეყნის ცხოვრების შუქ-ჩრდილები. დეპუტატთა თვალწინ გადაიშალა ციფრებში გამოხატული სინამდვილე ქართული სახელმწიფოსი. თითოეულმა საპარლამენტო ფრაქციამ თავისებურად შეაფასა საქართველოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის წინასწარი მონახაზი. სპირიდონ კედიას სიტყვა იყო არსებითად პოლიტიკური ხასიათის გამოსვლა, თუმცა მასში მკაფიოდ და ნათლად წარმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის განსწავლულობა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებშიც.

სპირიდონ კედია არ ყოფილა არც ფინანსისტი და არც ეკონომისტი, მას ამ სფეროში მხოლოდ ზოგადი ცოდნა გააჩნდა, მაგრამ გრძნობდა რა პასუხისმგებლობას დამფუძნებელ კრებაში წარმოთქმული ყოველი სიტყვისათვის, გამოსვლამდე საგანგებოდ მოემზადა. დეტალურად შეისწავლა სავაჭრო-სამრეწველო პალატის მასალები, სხვა მონაცემები, გაეცნო სპეციალისტთა შეხედულებებს, დასავლეთის ქვეყნების საბიუჯეტო პრაქტიკას და სხვ.

კონკრეტული ფაქტების მოშველიებით მან წარმოაჩინა ხელისუფლების მოღვაწეობის სურათი და იმ მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები, რომელსაც ქვეყანა მუდმივი დეფიციტისაკენ მიჰყავდა. ამასთან. სპ. კედიამ, როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობიდან თავდაღწევის გზებზეც მიუთითა. სიტყვა იმდენად შინაარსიანი იყო, რომ დეპუტატებმა ორატორს სიამოვნებით გაუგრძელეს რეგლამენტი და დამატებით კიდევ 10 წუთის განმავლობაში უსმენდნენ მის გამოსვლას.

სპირიდონ კედია ჯერ მმართველი ძალის — სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების მანკიერ პრინციპს შეეხო და აღნიშნა, რომ „პასუხისმგებელი უმრავლესობა ჩვენი პარლამენტისა ვერ ბედავს მთავრობის მხილებას, მისი უმოქმედობის თუ ცუდი მოქმედების დაგმობას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს ყველასათვის ცხადია და აშკარა.“ ხალხის თვალში ეს არა მხოლოდ უმრავლესობის ფრაქციის ღირსებას ლახავს, არამედ მთელი დამფუძნებელი კრებისა.

გამომსვლელის კრიტიკა შემდგომ კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადასწვდა, რომელმაც მთელი წლის შემოსავალ-გასავლის სტატისტიკის ნაცვლად მხოლოდ 7 თვის ბიუჯეტი წარმოადგინა და თანაც ისე, რომ მასში საერთოდ არ აისახა მომარაგების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა. „კომისიის ასეთი ზერელე ზედამხედველობა სახელმწიფო ფინანსებზედ ჩვენ მოწონებას ვერ მიიღებს“ — განაცხადა ორატორმა.

სპირიდონ კედიამ ვრცლად ისაუბრა მაშინდელი საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სავალუტო საქონელზე — თამბაქოზე და გააანალიზა მის წარმოებაში არსებული ვითარება. მიუთითა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, მთავრობის უვიცად წარმოებული მონოპოლიის გამო, 800 ათასი ფუთიდან 20-30 ათას ფუთამდე დაეცა. ფაქტობრივად განადგურდა გადამამუშავებელი მრეწველობა, მოიშალა გასაღება, სისტემატურად კლებულობს შრომის ნაყოფიერება და ეს მაშინ, როდესაც იზრდება მუშათა ხელფასი, მმართველი პარტია მარტო მუშებისათვის ზრუნავს და ეჭვით უყურებს მეწარმეს. „თუ ჩვენი მიზანია ეროვნულ მეურნეობის დაწინაურება და სახელმწიფოს ეკონომიკის გაძლიერება, ჩვენ ვალდებული ვიქნებით, ერთნაირად დავიცვათ, როგორც მუშათა, ისე მრეწველთა ინტერესები“ — ხაზი

გაუსვა ეროვნულ-დემოკრატული პარტიის ლიდერმა (*დამე. ერეკა, 1919, 29 VII, 20*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომსვლელი შეეხო ეკონომიკური ცხოვრების ერთობ პრინციპულ საკითხს, კერძოდ, უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო „ცოცხალ წარმოებაში", იკისროს მეურნეობის მართვის ფუნქცია.

ეროვნულ-დემოკრატთა ეკონომიკური შეხედულებები თავისი დროის მოწინავე სამეცნიერო თეორიებს ეფუძნებოდა და კონცენტრირებული იყო ლიბერალური ეკონომიკური მოდელის სახით, რაც გამორიცხავდა სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციას. მაგრამ სპირიდონ კედიასათვის უცხო იყო დოგმატიზმი და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხს იმის მიხედვით ზომავდა, ხელისუფლების ჩარევა ვნებას მოუტანდა ქვეყანას, თუ ხელს შეუწყობდა მის ნივთიერ კეთილდღეობას. ამჯერადაც ასე მოიქცა და მიუთითა კონკრეტულ მაგალითებზე, როცა სახელმწიფოს ჩარევამ საქმის საზიანოდ იმოქმედა და რესპუბლიკას საგრძნობი ზარალი მიადგა.

ანგარიშგასაწევი თვალსაზრისი გამოთქვა სპირიდონ კედიამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა უცხო კაპიტალის საშუალებით დამუშავების შესახებ, ხაზი გაუსვა, რომ ეს მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა, ამასთან აღნიშნა: საქართველოში უცხო კაპიტალს ისე ვერ მოვიზიდავთ, თუ დაცული არ იქნება ამ კაპიტალის ინტერესიც. თუ მთავრობა დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებით, მან უნდა შეჰქმნას ნორმალური პირობები და მოაწესრიგოს ურთიერთობა კაპიტალსა და შრომას შორის.

უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსათვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა და იგი სათანადო კანონმდებლობითა და მისი განუხრელი დაცვით თუ მიიღწევა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სპირიდონ კედია 1919 წლის გაზაფხულიდან ეროვნულ-დემოკრატთა მთავარ გაზეთს — „საქართველოს" რედაქტორობდა, რაც, ცხადია, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. პარტიის საერთო ხელმძღვანელობაც არ იყო ოლი საქმე, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, მას არ გაუცდენია დამფუძნებელი კრების არც ერთი სხდომა, ისეთიც კი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზეც ამა თუ იმ კანონში შესატანი უმნიშვნელო რედაქციული ცვლილებები განიხილებოდა. შთამბეჭდავია ასეთი მაგალითი:

1919 წლის 25 ნოემბერს სპირიდონ კედია დაოჯახდა, მან ცოლად შეირთო თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის გამგე, ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი პედაგოგი სოფიო ჩიჯავაძე. სპირიდონის მეჯვარე ალექსანდრე ასათიანი იყო. ახლად შეულოცებულთ სიონის ტაძარში ჯვარი ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზმა კალისტრატე ციცნცაძემ (შემდგომში საქართველოს კათალოკოს-პატრიარქი) დასწერა. ჯვრისწერის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ლხინის სუფრა არ გაშლილა, ნეფე-პატარძალი ხელისმომკიდეებთან ერთად მცირე ხნით სახლში გაემართნენ, იქიდან კი სპირიდონი და ალექსანდრე ასათიანი დამფუძნებელ კრებაში წავიდნენ სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 212*).

სპირიდონ კედია ოპოზიციური პარტიის ლიდერი იყო. ბუნებრივია, იგი ხშირად აკრიტიკებდა ქვეყნის მმართველი ძალისა და მთავრობის მუშაობის ნაკლოვანებებს, ებრძოდა მანკიერების გამომწვევ მიზეზებს და არა შედეგებს, უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატთა მიერ შექმნილ სიტემას და არა კონკრეტულ ფუნქციონერთ. სპირიდონი, „როგორც პოლიტიკოსი მოწინააღმდეგეს სიტყვიერად არ დაინდობდა, ულოლიკობაშიც მოიმწყვდევდა, მაგრამ ამის გარეშე მისთვის გაუგებარი იყო პიროვნული ბრძოლა, პოლიტიკური ინტრიგები, ვისიმე დამცირება“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 362*). იგი ერთგულებდა დიდი ილიას კრედოს: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“. ასე იცხოვრა საქართველოშიც და ამავე პრინციპს იცავდა ემიგრაციაშიც. ცხოვრებისა და ყოფის რადიკალურ ცვლილებებს არ შეუცვლიათ მისი, ადრევე შეთვისებული, მორალურ-ზნეობრივი ნორმები. სხვები ხშირად სხვაგვარად იქცეოდნენ. აქაც და უცხოეთშიც ზოგჯერ ისეთი რამ აკადრეს, რასაც არ იმსახურებდა. უფრო გულსატკენი ის იყო, რომ სპირიდონის წინააღმდეგ ამ მიუღებელი მეთოდის გამოყენებაზე უარს არც მისი გუშინდელი მეგობრები ამბობდნენ.

ემიგრაციის წლებში, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გიორგი გვაზავას ჯგუფი ჩამოშორდა, ეს უკანასკნელი სპირიდონ კედიას გაემიჯნა და თავისი პუბლიკაციებით შეეცადა,

დაეკნინებინა პარტიის მეთაურის როლი როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, ისე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში. მისი სიტყვით: „სპირიდონ კედიას არ მიუღია არავითარი მონაწილეობა... ეროვნულ შემოქმედებაში. ის არ იყო ამისთვის საკმაოდ მომზადებული. მას არ დაუწერია არც ერთი ბროშურა პრინციპიალური ხასიათისა, არ წაუკითხავს არც ერთი მოხსენება პარტიულ კონფერენციაზე, არ გაუშუქებია არც ერთი სახელმწიფოებრივი საკითხი" (*ვ. გვაზავა, 1928, 9*).

აქ თითქმის უარყოფილია სპირიდონ კედიას ღვაწლი საქართველოს პარლამენტსა თუ დამფუძნებელ კრებაში; ხაზი აქვს გადასმული მის ყოველგვარ დამსახურებას, რაც, ცხდია, შეცოდებაა ჭეშმარიტებასთან.

1928 წელს ალექსანდრე ასათიანი თავის წიგნში — „ძველი და ახალი მემკვიდრეობა" შენიშნავდა: ეროვნულ-დემოკრატიული „პარტიის მეთაურებს არ გამორჩენიათ არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე და კითხვა საკონსტიტუციო დარგიდან, თუ ფინანსებისა, ადმინისტრაციის, სამხედრო საქმის და ვაჭრობა-მრეწველობისა, თუ ერობა-ქალაქებისა, აგრარულ და მუშათა საკითხებისა, რომ ის არ დაემუშავებინათ საფუძვლიანად და ახდილად" (*ალ. ასათიანი 1928, 162*).

თვით გიორგი გვაზავაც წერდა: „არ არის არც ერთი მუხლი კონსტიტუციისა, რომლის დამუშავებაში ჩვენი პარტიის წარმომადგენელს არ მიეღოს ბეჯითი მონაწილეობა და არ შეეტანოს, სადაც საჭირო იყო, თავისი შესწორება" (*ვ. გვაზავა 1928, 7*). საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, გიორგი გვაზავასთან ერთად ეროვნულ-დემოკრატთაგან სპირიდონ კედიაც შედიოდა.

ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ სპირიდონ კედია აქტიურად იყო ჩართული კომისიის საქმიანობაში და ცხოველი მონაწილეობაც მიიღო სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტის მომზადებაში. აღსანიშნავია, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწერა კონსტიტუციის თავი „სახელმწიფო თავდაცვა" (*„საქ. რესპუბლიკა", 1920, №266*).

არანაკლებ საყურადღებოა სპირიდონ კედიას მიერ წამოყენებული ზოგიერთი საკონსტიტუციო დებულებაც. მაგალითად, საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შემოღების შესახებ.

პირველი პალატა პროპორციული სისტემით უნდა ამერჩიათ, მეორეს კი ერობის წარმომადგენლები დააკომპლექტებდნენ (*ხუხა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 191, ფურც. 167*). ეს თვალსაზრისი მაშინ გაზიარებულ არ იქნა, მაგრამ მან რამდენადმე ასახვა ჰპოვა საქართველოს ამჟამინდელ, 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში.

აქვე დავძენთ, რომ ეროვნულ-დემოკრატთა პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც საგანგებოდ განიხილა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობა, ყველა წევრის, მათ შორის სპირიდონ კედიას საქმიანობასაც დადებითი შეფასება მისცა. კონფერენციის რეზოლუციაში ხაზი გაესვა, რომ „ფრაქციას აღუნიშნავად და დაუფასებლად არ დარჩენია არც ერთი ღირშესანიშნავი მომენტი და მოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და, რომ მისი გამოსვლები ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესით იყო ნაკარნახევი და ატარებდნენ საქმიანი კრიტიკის ხასიათს“ (*„საქართველო“, 1919 ჯ, №120*).

სრული სიმართლეა და უნდა დავეთანხმოთ ერთ-ერთი დეპუტატის სიტყვებს, რომ „დამფუძნებელი კრება მუშაობდა თავგამოდებით მაშინაც კი, როცა ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი, ისროდა ზარბაზანი და ცაში სკდებოდა ყუმბარები... მტერმა დაგვიდგა ცეცხლის აპოთეოზი, მაგრამ ამ ცეცხლიდან გამოვიტანეთ მაინც უმნიშვნელოვანესი ფურცლები ჩვენი ისტორიისა“ (*ჯ. ჯაბავა 1928, 10*).

## III.4. „ᲓᲐᲮᲔ, ᲬᲐᲛᲘᲓᲜᲔᲜ ᲪᲔᲪᲮᲚᲔᲑᲘ...“

ეროვნულ-დემოკრატები იმთავითვე აფრთხილებდნენ მთავრობას ბოლშევიკთა შესაძლო აგრესიის შესახებ. საბჭოთა რუსეთის იმპერიული ბუნების ამოცნობა სრულადაც არ იყო ძნელი. ლენინი და მისი მიმდევარნი თეორიულად აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, მაგრამ პრაქტიკულად ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ბოლშევიკები რუსეთის მთლიანობის შესანარჩუნებლად მეფის ხე-

ლისუფლებაზე უფრო მეტ პრინციპულობას იჩენდნენ. მათ განსაკუთრებით არ ეთმობოდათ კავკასია. სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1917 წლის 16 დეკემბერს სტეფანე შაუმიანი კავკასიის საქმეთა დროებით და საგანგებო კომისრად დანიშნა „კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე." რომანოვთა ტახტის დამხობიდან და მეფისნაცვლობის გაუქმებიდან ჯერ ერთი წელიც არ გასულიყო, რომ სომეხი ბოლშევიკის სახით კავკასიას „ლენინის ნამესტნიკი" მოევლინა.

ს. შაუმიანი 1918 წლის შემოდგომაზე ინგლისელებმა დახვრიტეს. მისი ადგილი ახლა სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა, როგორც სამხრეთის საგანგებო კომისარმა. შაუმიანისა და ორჯონიკიძის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო საქმიანობა თავიდან ბოლომდე ცნობილი იყო ქართველ სოციალ-დემოკრატებისათვის, მაგრამ მთავრობა მეტისმეტ შემწყნარებლობას იჩენდა ბოლშევიკთა მიმართ. მოგვიანებით თვით ს. ორჯონიკიძე იხსენებდა: „როდესაც 1919 წელს ... მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: „სერგო ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენო" (*ო. ჯანელიძე 1990, 52-53*).

არანაკლებ საყურადღებოა იმავე ორჯონიკიძის სხვა ჩანაწერებიც, სადაც ხაზგასმულია, რომ ძველმა ურთიერთობამ ჯერ კიდევ არალეგალობის პერიოდიდან და ერთად მუშაობამ თავისი გაიტანა და 1919 წელს საქართველოში ჩემი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში „მე თითქმის არავითარი შეტაკება არ მქონია ადგილობრივ ამხანაგებთანო" (*ჯ. ორჯონიკიძე 1957, 89-90*).

ნოე ჟორდანიას კარგა ხანს სჯეროდა, რომ ლენინის დამოკიდებულება საქართველოსადმი იყო „პოლიტიკური და მეზობლური", რის გამოც ბოლშევიკთა აშკარა ანტიქართულ, ძირგამომთხრელ მუშაობას სათანადო შეფასებას არ აძლევდა.

ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „საქართველო" პირდაპირ მიუთითებდა: „ჰანიბალის პარტიზანულ ბრძოლას რომაელები გაცილებით მეტის გამჭრიახობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ბოლშევიკებს... მთავრობა თითქმის კეკემალულას ეთამაშება მათ... მათი მხრიდან ძარცვა-ბლეჯა, განადგურება... მთავრობის ჯარის გამოჩენაზე თეთრს დროშას გამოჰკიდებენ, გაიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თება მოლაპარაკება, მიტინგი, ორთავე მხრით წარმოდგენილნ „შეგნებული ამხანაგები“ და რევოლუციის სახელით წითელ დროშაზე მარქსის სახეს შეჰფიცავენ თანამშრომლობას, ერთად ბრძოლას, ასე რიგდებიან“ (*ეროვნული 1918, №109*).

საქართველოს დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დეპუტატი შალვა ნუცუბიძე სოციალ-დემოკრატებს მიმართავდა: „იცოდეთ, რომ როდესაც თქვენს მოქმედებას ისტორია გაასამართლებს, შესაძლებელია ყველაფერი გეპატიოთ; ისტორია გაპატიებთ თქვენს შეცდომებს, ბორძიკს, თქვენს უცოდინარობას და უვიცობას, მაგრამ ისტორია არ გაპატიებთ იმას, რომ თქვენ თანდათან უფრო სასაცილონი ხდებით“ (*დამფ. კრება, 1919, 7 X, 18*).

მთავრობის მიმართ არანაკლებ მძაფრად და პირდაპირ ილაშქრებდა სპირიდონ კედია, როდესაც აღნიშნავდა: „თუ ერთის მხრივ, ჩვენს მთავრობას მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მეორე მხრივ პრინციპული სიყვარული აკავშირებს“ (*დამფ. კრება, 1919, 22 III, 12*).

ოპოზიციური ძალები არ სცდებოდნენ, ისინი რეალისტურად აფასებდნენ სიტუაციას და მოვლენებს თავის ნამდვილ სახელს არქმევდნენ. ყოველივე საგსებით და მკაფიოდ გამომჟღავნდა 1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც საბჭოთა არმიის ნაწილებმა სამხედრო ინტერვენციის გზით საქართველოს ოკუპაცია განახორციელეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, მისი მთავრობა იძულებული გახდა, ემიგრაციაში გახიზნულიყო. შალვა ამირეჯიბის მართებული შენიშვნით, „სოციალ-დემოკრატიული პარტია დამბაჩის სროლით მოვიდა საქართველოში და ზარბაზნის გრიალზედ დასტოვა იგი. ყველაზე მწარე ამ ტრაღიკული ბოლოსი ის იყო, რომ ზარბაზნებს მათი გუშინდელი ამხანაგები ესროდნენ“ (*შ. ამირეჯიბი 1929, 9*).

უსამართლობა იქნება ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მოსახლეობის მხარდაჭერით არ სარგებლობდა. მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა და დიდი სიძნელისა, ქვეყნის მოქალაქენი ლოიალურად იყვნენ განწყობილი საკუთარი ხელისუფლების მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა აგრესიის შედეგად თბილისიდან დევნილი მთავრობის ზურგს უკან ხალხის შურისძიებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვის ტალღა არ აზვირთებულა. „...არც ერთი შინაგანი გარეთულება, არც ერთი უბრალო წესიერების დარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე, არც ერთი თოფის გავარდნა საქართველოს მხედრობის ზურგს უკან... მხედრობასთან ერთად უკან იხევს დამარცხებული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც თვით ფრონტზე და ფრონტის ზურგში მცველები და დარაჯებიც კი არ დასჭირებია. აი, ასეთი სამოქალაქო დისციპლინა და წესიერება დაიცვა მთელმა საქართველომ, ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ფოილო-შაგალის ფრონტიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის ნაპირებამდე," წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე (*გრ. ლორთქიფანიძე 1995, 37*). მეტიც, როგორც საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარი ვ. გურული მიუთითებს: 1921 წლის თებერვალ-მარტში დედაქალაქის ქუჩებში ბოლშევიკ-ოკუპანტთაგან მალულად ხალხი გულწრფელად მღეროდა სახელდახელოდ შეთხზულ ასეთ სტრიქონებს:

„ნატვრა მომცა, ნატვრა მომცა, ნატვრა ამიხდებოდეს,
ლენინ-ტროცკი-მახარაძე სახრჩობელას სწვეოდეს,
ჩვენი ნოე ჟორდანია ქალაქს დაბრუნდებოდეს...“

(*ვ. გურული. 1999, 129*).

უბრალო ადამიანები ერთხანს მართლაც ინარჩუნებდნენ სიმპათიას ძალმომრეობით დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, მაგრამ სრულიად საპირისპირო განწყობილება შეიმჩნეოდა პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში.

წითელი არმიის ნაწილების შემოჭრისთანავე, როდესაც ცხადი გახდა, რომ ქვეყანა მზად არ იყო ომისათვის, ოპოზიციურ პარტიებში მთავრობისადმი უკმაყოფილებამ იმძლავრა. აღსანიშნავია, რომ ასეთივე გულნაკლულობა თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც იგრძნობოდა. აღშფოთებას ახლა ისინიც ვეღარ მალავდნენ. ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი ივანე გომართელი, წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, სპირიდონ კედიას მიმართავდა: „თუ გვეღირსა თბილისში დაბრუნება, თვქენ ეგენი ისე უნდა დაანგრიოთ, რომ მათი სახსენებელიც აღარ იყოსო“ (*ს. ჩიკავაძე-კვდია 2001, 227*).

თბილისის დაცვის ბოლო დღეებში დამფუძნებელი კრების დეპუტაციამ მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძეს დიქტატურის გამოცხადებაც კი შესთავაზა (*ვ. კვინიტაძე 1999, 127*).

დედაქალაქიდან გახიზნულმა მთავრობამ და დეპუტატებმა რამდენიმე დღე ქუთაისში დაჰყვეს. აქ გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსული ნოე რამიშვილი ირწმუნებოდა, სამოდე თვეში ისევ თბილისში ვიქნებითო. გაცეცხლებულ სპირიდონ კედიას ნ. რამიშვილისთვის მიუგია: „ღმერთმა გვარგუნა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა ისე, რომ თქვენ არამცთუ იბრძოლეთ და სისხლი დაჰღვარეთ ამისათვის, პირიქით, წინააღმდეგნიც კი იყავით; ამას ისე მოუარეთ, რომ შემოსულ მტერს ოქროს სინზედ მიართვით; ქვეყნის დასაცავად ჯარი არ შექმენით, პარტიის მცველად კი გვარდია გაიჩინეთ და ახლა ლაპარაკობთ თბილისში დაბრუნებაზედ. სამი და ექვსი თვე კი არა, იქნება ბევრი ასეული თვეებიც გავიდეს, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ვეღარ ვნახოთო“ (*ს. ჩიკავაძე-კედია 2002, 227*).

გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვით, „რაც უფრო ვუახლოვდებოდით ბათუმს, მით უფრო იზრდებოდა მთავრობისადმი უარყოფითი განწყობილება“. ბათუმში ეს განწყობილება აშკარა მტრულ დამოკიდებულებაში გადაიზარდა: „ჩემთან უამრავი ხალხი მოდიოდა, მათ შორის, პოლიტიკური მოღვაწეებიც, და მეუბნებოდნენ, მთავრობამ ხალხს უღალატა, ქვეყნის თავდაცვაზე არ ზრუნავდაო და ა.შ. დ ა.შ. ისინი მთავრობის დაპატიმრებას მოითხოვდნენ. ხალხი მოდიოდა და საიდუმლო საუბრის მიზნით აუდიენციას ითხოვდა. მოდიოდნენ ოფიცრებიც, რომლებიც იგივეს დაუფარავად, ხმამაღლა აცხადებდნენ“ — იგონებს მთავარსარდალი (*ვ. კვინიტაძე 1999, 128-129*). ამასვე მოწმობს შალვა ამირეჯიბიც, რომელიც წერდა: „ბათუმში ოფიცერთა ერთ ჯგუფს სურდა მთავრობის დატუსაღებაო“ (*ლიტ. ძუბ. შ. ამირეჯიბის ფ. საქ. 26960/3*).

ამ ფაქტის შესახებ, ჩანს, სცოდნიათ ბოლშევიკებსაც. ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში, საბჭოთა რუსეთის ყოფილი ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ა. შეინმანი ერთერთ საგაზეთო კორესპონდენციაში მიუთითებდა, რომ „ქართულმა ჯარმა მოითხოვა მთავრობის წევრთა დაჭერა.“

შეინმანს პარიზში გამომავალ გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ ფურცლებზე გამოეპასუხა კარლო ჩხეიძე. იგი შეეცადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარეყო ხსენებული ბრალდება, მაგრამ არა რაიმე ფაქტებსა და არგუმენტების საფუძველზე, არამედ ზოგადი ფრაზით: „ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი შეიარაღებული მუშები და გლეხები მუდამ ერთგულნი იყვნენ სოციალისტური მთავრობის. მაშინაც, როცა მამაცურად ებრძოდნენ ბოლშევიკების ჯარს და მაშინაც, როცა ბათუმიდან ერეკებოდნენ მოსკოვის მოკავშირეებს, ქემალისტებს, რომელთაც უნდოდათ ამ ქალაქის ხელში ჩაგდება“ (*კ. ხხეოძე 1921, №14*).

მოგვიანებით, თვით ნოე ჟორდანიაც აღიარებდა, რომ ბათუმში მართლაც გაჩაღდა აგიტაცია ოპოზიციურ პარტიებში: „გამოდიოდნენ მომხრედ მთავრობის დაშლის, ან დარჩენის, ბოლშევიკებთან მორიგების და სხვ. იმართებოდა მათი შეერთებული სხდომები, სადაც ესწრებოდნენ აგრეთვე „სხიველები“ (სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი დამოუკიდებელი ჯგუფი პ. საყვარელიძის, მ. ხოჭოლავასა და სხვათა შემადგენლობით, — ო. ჯ.). რადგანაც ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ამ აზრების, საიდუმლოდ გადაწყვიტეს ჩვენი დატყვევება. შესდგა საამისო რაზმი, რასაც მეთაურობდა ერთი პირი. ერთ დღეს ვხედავ ვაგონიდან, ვიღაც საეჭვო ცხენოსანთა ბანდა მოგვიახლოვდა და აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. მხოლოდ ამით დაინტერესებულმა გავიგე სინამდვილე,“ — წერს მთავრობის მეთაური (*ნ. ჟორდანია 1990, 126*).

სპირიდონ კედიას მეუღლე, სოფიო ჩიჯავაძე-კედია, რომელიც ასევე მომსწრე და თვითმხილველი იყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საქართველოში მოღვაწეობის უკანასკნელი დღეებისა, კიდევ უფრო აკონკრეტებს: „ბათუმში სპირიდონთან მოვიდნენ ქართველი მხედრები სუსლიკა ანდრონიკაშვილი, ჩრდილელი, ორი გვარდიელი, სხვების გვარი არ მახსოვს, ესენი აპირებდნენ მთავრობის დატუსაღებას და ზოგიერთის მოსპობასაც კი. სპირიდონმა ეს ხალხი გააჩერა: „ჩვენთვის ტერორი მისაღები არ არის, დაე, წავიდნენ ცოცხლები სადაც უნდათ“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 229*).

ნოე ჟორდანიას მემუარების საპასუხოდ გამოცემულ ბროშურაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე აღნიშნავს: „ჩემთან მოვიდნენ ოფიცრები და პოლიტიკური მოღვაწენი და მკითხეს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ შევხედავ იმას, თუ ისინი დაიჭერენ მთავრობას, ვეძებ მოკლედ: გადაივლით ჩემს გვამზე“ (*ვ. კვინიტაძე 1954, 28*). თავის მოგონებების წიგნში კი მხცოვანი გენერალი დასძენს: „ამის ნებას ვერ მივცემდი, რადგან საკმაოდ პატიოსანი ვიყავი საიმისოდ, რომ არა მხოლოდ არ დამეშვა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა, არამედ თუნდაც გულგრილად მეყურებინა ამგვარი უკანონო აქტისათვის; ვერ მივცემდი მთავრობის დაპატიმრების ნებას მისი ცხოვრების ურთულეს მომენტში, მაშინ, როდესაც იგი თავს ყველასაგან მიტოვებულად თვლიდა. ... ცხოვრების მძიმე მომენტში უარის თქმა იმ ხალხზე, ვისთანაც ბედმა დამაკავშირა, უნამუსობ იქნებოდა“ (*ვ. კვინიტაძე 1999, 129*).

როგორც ვნახეთ, ქვეყნის მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ და გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ ჩაშალეს ემიგრაციაში მიმავალი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის შეპყრობის გეგმა. მოგვიანებით, როდესაც პარიზში სპ. კედიას ამ ამბის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა: „მე რომ ამგვარი რამ ჩამედინა, იმის ღირსი ვიქნებოდი, რაც მაკედონელმა დარიუსის მკვლელებს უყო, თავები რომ დააყრევინა.“ შენიშვნაზე — „ყოველ შემთხვევაში ჟორდანია და მისი ჯგუფი ემიგრაციას არ მოწამლავდნენო“, — სპირიდონ კედიამ ხაზი გაუსვა: „საქართველოს დაღუპვაში ჟორდანიას იქნებ წილი ედოს, მაგრამ ეს მას შეგნებულად და ღალატით არ ჩაუდენიაო, ხოლო თუ საქართველო ჯერ ვერ განთავისუფლდა, ამაში ჟორდანიას ბრალი ვერ დაედებაო“ (*ძ. ჯეთარაძე 1979, 7*).

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფიზიკური განადგურება ჰუმანური მოტივის გარდა მიუღებელი იყო პოლიტიკური თვლსაზრისითაც. ხელისუფალთა დაპატიმრება არ შეიძლებოდა, რათა ბოლშევიკებს საფუძველი არ ჰქონოდათ მტკიცებისა — მთავრობა ხალხმა ჩამოაგდოთ (თუმცა ისინი ყოველგვარი საბუთის გარეშეც ირწმუნებიდნენ, საქართველოში მშრომელთა აჯანყება მოხდა და წითელი არმია ამბოხებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად შემოვიდაო). ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მთავრობა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას განასახიერებდა. იგი ნდობით სარგებლობდა უცხოეთშიც და არა მხოლოდ სოციალისტურ წრეებში. დემოკრატიული მთავრობის უარყოფა ჩანასახშივე ჩაკლავდა ევროპის თანაგრძნობისა და დახმარების მბჟუტავ იმედს

და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერს იმთავითვე მოკავშირისა და მხარდამჭერის გარეშე დარჩენას უქადდა.

საგულისხმოდ გვეჩვენება კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ასევე ანგარიში უნდა გასწეოდა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ხელში ჩაგდებას ესწრაფოდა საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც. მიზანი მარტივი და ადვილად მისახვედრი იყო: ბოლშევიკთა აგრესია უკეთ შეინიღბებოდა, თუ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა გადადგომის შესახებ ოფიციალურად თვითონვე გამოაცხადებდა და დამფუძნებელი კრებაც თავის უფლებამოსილებას ნებაყოფლობით მოიხსნიდა.

არსებობდა ამ გეგმის განხორციელების ორი გზა: საქართველოს კანონიერ მთავრობასთან გარიგება, ანდა უარის შემთხვევაში — ხელისუფლების შეპყრობა და მისი იძულება.

ლენინმა ორივე სცადა. პროლეტარიატის ბელადის მითითებით, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ნოე ჟორდანიას ბათუმში დელეგაცია აახლა მიხაკო წერეთლის, გერონტი ქიქოძის, გიგო ნათაძისა და თედო ღლონტის შემადგენლობით და საქართველოში დარჩენა შესთავაზა (ფრაზა ლენინის ინსტრუქციიდან: „განუზომლად მნიშვნელოვანია მოიძებნოს მისაღები კომპრომისი ჟორდანიას ბლოკთან...“)

ს. ორჯონიკიძე ამ პოლიტიკურ აქციას ქართველი ინტელიგენციის თაოსნობად ასაღებდა, მაგრამ სინამდვილეში იგი რევკომის მოთხოვნით განხორციელდა. ნიშანდობლივია, რომ ბოლშევიკურმა მმართველობამ დაზღვევის ზომასაც მიმართა: იმისათვის, რომ დელეგირებულნი არ შეერთებოდნენ და თან არ გაჰყოლოდნენ ემიგრირებულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, მძევლად იქნა აყვანილი ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის შალვა ნუცუბიძეც (*ვ. ფეფლიძე 1999, 310*).

მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოში დარჩენა, ოღონდ არა პოლიტიკურ ასპარეზზე, სერგო ქავთარაძემაც შესთავაზა: „არის მეცნიერების დარგები, სადაც თქვენ სასარგებლო სამუშაო მოგელით. მე არ მესმის, რად უნდა იყოს ასეთი შესაძლებლობა უარსაყოფი. ნუთუ უცხოეთში ცხოვრებას მეტი აზრი აქვს?“ — უკითხავს მას ჟორდანიასათვის (*ს. ჯავთარაძე 1966, 181*).

ნ. ჟორდანიამ ბოლშევიკთა წინადადება არ მიიღო და დელეგატები უარით გამოისტუმრა (*ლ. ასათიანი 1965, 176*). ალბათ, მაშინ იყო, რომ ჟლობას და მის კავალერიას ებრძანა, გოდერძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულელტეხილით სასწრაფოდ ბათუმში გადასულიყო და ეროვნული-დო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ულობამ დავალება ვერ შეასრულა. ნ. ჟორდანიამ და მთავრობის სხვა წევრებმა გახიზვნა მოასწრეს და ემიგრაციაში გაემგზავრნენ, სადაც აქტიური ბრძოლა გააჩაღეს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. სწორედ ამან ათქმევინა ვ. ლენინს სინანულით: „დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არცთუ მცირე რაოდენობისა“ (*ვ. ლენინი 1972, 313*). ამდენად, გადაწყვეტილება, ხელი არ შეეშალათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის, წასულიყო ემიგრაციაში, იყო სწორი და ყოველმხრივ გამართლებული.

1921 წლის 16 მარტს ბათუმის თვითმმართველობის დარბაზში საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა გაიმართა. კრებამ უმკაცრესი კრიტიკის მიუხედავად, მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით საგანგებო მანდატით აღჭურვა, რათა მას საზღვარგარეთ განეგრძო ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის. სპეციალური დადგენილებით, მთავრობასთან ერთად სამუშაოდ გაიგზავნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმიც, როგორც ამ კრების იურიდიული გამოხატულება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი IV

## IV.I. „საქართველოს ბედისწერის თვე და წელიწადი“ (დაჭყრობილ საბჭოებში)

ჩვენი ქვეყნის ჰეროიკული ისტორიისათვის, სამწუხაროდ, არც ტრაგიკული თარიღებია უცხო. ერთი ამდაგვარი თარიღი, რომელმაც ძირეულად შეცვალა საქართველოს ბედი და მომავალი 1921 წლის 25 თებერვალია. „საქართველოს ბედისწერის თვე და წელიწადი“ უწოდა მას სპირიდონ კედიამ (*ს. კედია 1933, №3*). ამ დღეს საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობით დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ბოლო მოეღო ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების სამწლიან პერიოდს. ქვეყანაში დამყარდა სისხლიანი დიქტატურა, რომელიც იმთავითვე შეუდგა სუვერენული სახელმწიფოს ძირითადი საყრდენების ლიკვიდაციას. ბოლშევიკურმა რევკომმა დემოკრატიული საქართველოს არმია და გვარდია დაშლილად გამოაცხადა, დაითხოვა საქართველოს დამფუძნებელი კრება, საქალაქო თვითმმართველობანი, ერობები და წინა ხელისუფლების სხვა ორგანოები.

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ზიზღით, შიშითა და ძრწოლით შეხვდა საქართველოში შემოსულ მოძალადე დამპყრობელს. ახალმა მბრძანებელმა ყველა პოლიტიკური ძალისაგან საბჭოური მმართველობის კანონიერად ცნობა და აღიარება მოითხოვა. ხალხის დასათრგუნად და მორჩილებაში მოსაყვანად შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან თუ პიროვნებებთან ბრძოლის განსაკუთრებული ორგანო — საქართველოს საგანგებო კომისია — „ჩეკა“. იგი ენერგიულად შეუდგა მუშაობას. ქვეყანა უსაბუთო ჩხრეკებმა, რეკვიზიციებმა, კონფისკაციებმა თუ დაჭერა-დაპატიმრებებმა მოიცვა. დაიწყო ტერორი და რეპრესიები, რომელმაც მალე მასობრივი ხასიათი მიიღო.

25-მა თებერვალმა დაამსხვრია სამშობლოს თავისუფლებასთან დაკავშირებული ათასობით ქართველის ოცნება და პერსპექტივა. სუსხიანი თებერვლის მწარე რეალობამ წერტილი დაუსვა და დავიწყებას მისცა 26 მაისის აღმაფრენა. „თებერვალმა სა-

მუდამოდ დამიზამთრა მაისი“ — ერთ პოეტურ სტრიქონში ჩაეტევა კოტე მაყაშვილმა ულმობელი და თავზარდამცემი სინამდვილე.

სპირიდონ კედიაც შთამბეჭდავად აგვიწერს საქართველოზე თავსდამტყდარ უბედურებას. მისი სიტყვით, 25 თებერვალს „სიცოცხლის ძარღვი გადაუჭრეს მთელ საქართველოს. გულები შედგნენ. სამარის სიჩუმე დამყარდა. ქართველები ლანდებად გადაიქცნენ, ხანდახან გაისმოდა თითქოს საიქიოდან მოსული და შორს მგზავრობით დაღლილი ხმა მათი“ (*ს. კედია 1933, №3*).

ერის წინამძღოლობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკურ პარტიას და მის მეთაურს არ შეეძლოთ, უნუგეშოდ მიეტოვებინათ ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი და ქვეყანა. სპირიდონ კედიას ემიგრანტობაზე არც უფიქრია. მან გადაჭრით უარყო ნოე ჟორდანიას წინადადება, დაეკავებინა სამხედრო მინისტრის პოსტი და მთავრობასთან ერთად წასულიყო უცხოეთში (*ხუსსა, მეროეთრები, საქ. 107, ფურც. 1*).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა უპასუხოდ დატოვა ნოე ჟორდანიას წერილობითი შეთავაზებაც: „ბატონო სპირიდონ, თქვენ არ მოინდომეთ ევროპაში მინისტრის პორტფელით წამოსვლა, გთხოვთ, წამოხვიდეთ თქვენს ცოლ-შვილით როგორც კერძო პირი, გემი გიცდით საღამომდეო“ (*ს. ჩიკავაძე-კედია 2002, 230*). სპირიდონმა ასეთსავე თხოვნაზე მადლობით უარი უთხრა აკაკი ხოშტარიასაც (*ძ. ჯეთარაძე 1979, 7*) და სამშობლოში დარჩა.

1921 წლის მარტის შუა რიცხვებში, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა და დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, ბათუმში გამართულ სხდომაზე, მიიღო დადგენილება, რომ არ გახიზნულიყვნენ უცხოეთში (*ხუსსა, მეროეთრები, საქ. 1145, ფურც. 2,4*). პარტია თავისი მეთაურებით რჩებოდა საქართველოში, რათა მშობლიური ერის ხვედრი ერთან ერთად გაეზიარებინა (*ალ. ახათიანი 1928, 166*).

სპირიდონ კედია ბათუმში ოჯახით 1921 წლის მარტის ბოლომდე დარჩა, იგი თავისი მეგობრის, ეროვნულ-დემოკრატი-

ული პარტიის აქტიური წევრისა და აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ვასო მგალობლიშვილის სახლში ცხოვრობდა.

საარქივო დოკუმენტების ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერება ცხადყოფს, რომ საბჭოურ რეჟიმთან დაპირისპირების მიზნით, სპირიდონ კედიამ ბათუმშივე გააჩაღა მუშაობა. იგი დაუკავშირდა პატრიოტ სამხედროთა წარმომადგენლებს და მათთან ერთად შემდგომი მოქმედების გეგმაც მოხაზა. პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბების პარალელურად „ქართველი მხედრები არ უნდა მორიდებოდნენ ქართულ წითელ ჯარში სამსახურს, ... უნდა ცდილიყვნენ, მოჩვენებითი ლოიალობით მაღალი საკანონმდებლო პოსტები ჩაეგდოთ ხელში, რომ საჭირო ქართული სამხედრო ძალები მათ ხელში ყოფილიყო. მცირერიცხოვანი პარტიზანული რაზმების არსებობას თავდაპირველად ის დანიშნულება გააჩნდა, რომ მათ უნდა განემტკიცებინათ ხალხის მებრძოლი სულისკვეთება, რწმენა და იმედი ჩაენერგათ მის წიაღში. „ამავე დროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეკვეცოდა კადნიერება, რომ თავი დაუსჯელად არ ეგრძნო“ (*ქ. ჯუთარაძე, 1979, 8*).

ქართველი ხალხი არ შეურიგდა დამპყრობელს. პროტესტის ერთ-ერთი ფართო გამოვლინება იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კოჯორ-ტაბახმელასთან გმირულად დაღუპული იუნკრების ჯერ დაკრძალვა, ხოლო 40 დღის შემდეგ სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელიც დიდების ტაძარში იქნება გადახდილი (*სუხა, მეროფორები, საქ. 1360, ფურც. 41*).

ბათუმიდან თბილისში დაბრუნებულმა სპირიდონ კედიამ და მისმა ოჯახმა ბინა სოლოლაკში, ამაღლების ქუჩის №6-ში დაიდო. ცხოვრება უკვე ჭირდა, დახლებიდან პირველი მოთხოვნილების საგნებიც კი გამქრალიყო, სიძვირესა და სპეკულაციას ყველაფერი დაეპყრო. ოჯახს რჩენა სჭირდებოდა. ეროვნული პარტიის ლიდერს, რომც მოენდომებინა, ბოლშევიკები სამსახურში არც მიიღებდენ. შრომით შემოსავალზე სპირიდონის მეუღლეს უნდა ეზრუნა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ერთი წლისაც არ იყო, სოფიო ჩიჯავაძე-კედიამ ქართული გიმნაზიის გამგეობაზე უარი თქვა და ერთ-ერთ სკოლაში გაკვეთილებს დასჯერდა. სპირიდონმა ჩვილის მოვლა იკისრა, მაგრამ მალე ყვავილი შეეყარა და რამდენიმე თვით საწოლს მიაჯაჭვა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აღარც გაზეთი ეაარ-ნდა და აღარც ოფისი. ოფიციალური შეკრებები და სხდომები ცა-შიში იყო. პარტიის ხელმძღვანელები დროდადრო ერთმანეთთან დადიოდნენ — გარეგნულად ჩაის სმის ან ვახშმის საბაბით, სინამ-დვილეში კი წარმოებდა მოსამზადებელი და ორგანიზაციული საქმიანობა ახალ პირობებში მოქმედებისათვის. ამგვარი შეხვედ-რები ძირითადად დავით ვაჩნაძესთან, ალექსანდრე ასათიანთან ან სპირიდონ კედიასთან იმართებოდა.

1921 წლის შემოდგომაზე მთავარი კომიტეტის ცალ-კეული წევრებისაგან შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლო-ბაში შევიდნენ: სპირიდონ კედია (თავმჯდომარე), ალექსანდრე ასათიანი, შალვა ქარუმიძე, დავით ვაჩნაძე, მიხეილ და იასონ ჯა-ვახიშვილები. პარტიის ამ ხელმძღვანელ ბირთვს მიაჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც მენშევიკურმა მთავრობამ თავისი სოციალისტუ-რი კურსით ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, ხოლო თვითონ თავს საზღვარგარეთ გახიზვნით უშველა, მებრძოლი ქართველი ერის „პოლიტიკური და სამხედრო სარდლობა“ ეროვნულ-დემოკრატებს უნდა ეთავათ (*ი. ხახანაშვილი 1929, 32*).

ეროვნული მოძრაობის ლიდერად სპირიდონ კედია მოგვევ-ლინა. თავის თანაპარტიელთა გარდა, მასთან სხვა ქართული პო-ლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა საიდუმლო ვიზი-ტებიც გახშირდა. სპირიდონ კედიასთან სტუმრობდნენ ფედერა-ლისტები გიორგი ლასხიშვილი და გრიგოლ რცხილაძე, მენშევი-კები ნიკოლოზ ქარცივაძე და ლეო ნათაძე, „სხიველი“ კირილე ნინიძე და სხვ.

სპირიდონ კედია კარგი კონსპირატორი იყო, რაც არც „ჩეკას“ მუშაკებს გამოპარვიათ. საარქივო დოკუმენტში ხაზგასმუ-ლია, რომ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაურები მოქმე-დებენ ფრთხილად, ყოველი ნაბიჯის გათვლითა და აწონვით,“ თუმცა საგანგებო კომისია, თავისი მრავალრიცხოვანი აგენტურის მეშვეობით, მაინც ახერხებდა მისთვის საჭირო ინფორმაციის მოპო-ვებას.

1921 წლის სექტემბერში სპირიდონ კედია სოფელ კისის-ხევში მეუღლის ოჯახს ეწვია, მონაწილეობა მიიღო რთველში, დაესწრო ალავერდობას, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ მას აქ რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, შალვა ფავლენიშვილთან და სხვებთან, რომლებიც მალე სათავეში ჩა-

უდგნენ კახეთში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს. ამგვარი რაზმები ჩამოყალიბდა ზემო სვანეთშიც, სადაც მალე აჯანყებამაც იფეთქა (*ო. ქანდლოძე 2000, 149-155*).

ბოლშევიკური დიქტატურის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის წლისთავის აღსანიშნავად 1922 წლის 11 თებერვლისათვის ხალხმრავალ საპროტესტო დემონსტრაციას ამზადებდნენ. მოთხოვნა ასეთი იყო: საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. 11 თებერვალი გლოვის დღედ გამოცხადდა. გამოშვებულ იქნა პროკლამაციები და ბროშურები. პოლიტიკურ აქციებს თვალნათლივ უნდა ეჩვენებინა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოსთვის უცხო და თავსმოხვეული რეჟიმია.

სპირიდონ კედია აპირებდა ეროვნული დროშით წინ წასძღოლოდა დემონსტრაციას და სიტყვაც წარმოეთქვა. იგი გრძნობდა ამ გამოსვლის მოსალოდნელ შედეგებს, ამიტომ წინასწარ საიმედო ბინაც შეურჩევია, რათა არალეგალურ ცხოვრებაზე გადასულიყო (*ს. ჩიკავაძე-კედია 2002, 240*), მაგრამ ფხიზლობდა ხელისუფლებაც.

10 თებერვალს, ღამით „ჩეკამ" ანტისაბჭოთა პარტიების თითქმის ყველა ხელმძღვანელი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ: გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, პართენ გოთუა, რაფიელ ივანიცკი (ინგილო), დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე ცინცაძე და სხვ. (*სუსა, ძეკროფერები, საქ. 1273, ფურცელ 2-3*). სხვებთან ერთად სპირიდონ კედია ჯერ მეტეხის საპყრობილეში მოათავსეს, საიდანაც 6 თვის შემდეგ ორთაჭალის საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში სპირიდონს არ გაუწყვეტია კავშირი თავის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. მეკავშირის როლს მისი მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედია ასრულებდა. იგი იგონებს: „იასონ კერესელიძემ მომიტანა ბადე-პარკი, რომლის ნაქსოვში მსხვილი კვანძი იყო. აი, ეს გახდა ჩემი ფოსტის ყუთი; ამ კვანძში ვდებდი თხელ ქაღალდზე დაწერილ შრიფტს... ბადეში საჭმელების გარდა პატარა მაწვნის პარკუჭსაც ვათავსებდი, თანაც ბარათსაც ვაყოლებდი: „მოგიტანე გაწურული მაწონი" და გადავცემდი ციხე-

ში. ეს პარკი თავის ავლადიდებით სპირიდონთან რჩებოდა. ვიდრე „გაწურულ მაწონს“ არ გამოიღებდა, არ წაიკითხავდა და თავის პასუხს იმავე პარკით შემდგომ მისვლაზე ცარიელ ჭურჭელთან ერთად არ გადმომცემდა“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 242*).

1922 წლის ზაფხულის დამდეგს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის „შეფიცულებით“ ტყეში გავიდა და ხევსურეთში აჯანყების დროშა აღმართა.

სოფიო ჩიჯავაძე-კედიას სიტყვით, ამ მოვლენის გამო ციხეს ესტუმრა „ჩეკას“ მაშინდელი თავმჯდომარე, რომელსაც საყვედურით მიუმართავს სპირიდონისათვის: „ჩოლოყაშვილი თქვენი კუდია, ეს ყველაფერი თქვენი საქმეაო.“ კედიას უპასუხია: „ჩოლოყაშვილი ნამდვილი ვაჟკაცია და ვაჟკაცურად მოიქცა, ჩვენ ლაჩრები კი შეგრჩით ხელშიო“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 244*).

აჯანყების გაფართოებასთან ერთად ხელისუფლება რეპრესიებს აძლიერებდა. მეტეხიდან გაიყვანეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს რამდენიმე პატიმარი. რიგი ტუსაღებისა საზღვარგარეთ გაასახლეს. პოლიტიკური ლიდერებიდან ციხეში ახლა მხოლოდ სპირიდონ კედია რჩებოდა. მას იოლად ვერ ელეოდნენ, „ჩეკამ“ სპირიდონ კედიას ოჯახზე მუდმივი ზედამხედველობა დააწესა. 26 მაისს გამართულ საპროტესტო შეკრებაში მონაწილეობისათვის სპირიდონის მეუღლე რამდენიმე დღით დააპატიმრეს (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 246*).

სპირიდონ კედიამ, გიორგი მაზნიაშვილმა და გოგი ხიმშიაშვილმა დააპირეს საპყრობილედან გაქცევა, მაგრამ ვიღაცამ ციხეში გასცა და საქმე ჩაიშალა. არავინ იცოდა, რას მოიმოქმედება „ჩეკა“. ეროვნული მოძრაობის მესვეურები არწმუნებდნენ სპირიდონ კედიას, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ის წერილობით მიმართავდა ხელისუფელებას და განთავისუფლებას ითხოვდა. სპირიდონს ამის გაგონებაც არ სურდა, ამბობდა: „ციხეში ყოფნა მირჩევნია უცხო ქვეყანაში ხეტიალს. აქ საქართველოს ჰაერიც უზრუნველყოფილი მაქვს და ცოლ-შვილიც აქა მყავსო.“

თხოვნა, პატიმრისაგან ფარულად სპირიდონ კედიას სახელით, მისმა მეუღლემ დაწერა და შინაგან საქმეთა კომისარიატში გაგზავნა. ამ ენერგიულმა ქალბატონმა პარალელურად მთავრობის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მამია ორახელაშვლთან შეხვედრაც მოახერხა, რომელსაც მიმართა: „ვიდრე მთელი შეგნებული ნაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ქართველი ერისა ციხეში გყავდათ, მე ჩემი ქმრისათვის ანაგვი-
თარ შეღავათს არ ვითხოვდი, მაგრამ დღეს, როდესაც თითქმის
ყველანი გაანთავისუფლეთ, რომელთა ერთი ნაწილი აქ საქართვე-
ლოში თავისუფლად ცხოვრობს, ზოგი კი საზღვარგარეთ გაის-
ტუმრეთ, მინდა გთხოვოთ: ამათ წრეში ჩემი მეუღლეც იგულის-
ხმოთ და ციხიდან, სადაც თითქმის ერთი წელიწადია რაც ზის,
ისიც ევროპაში გადაგზავნოთ" (*ს. ჩიკავაძე-კვლა 2002, 254*). მ.
ორახელაშვილმა დახმარება აღუთქვა.

მცირე ხნის შემდეგ საკითხი მართლაც გადაწყდა, სპირი-
დონ კედია ერთწლიანი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს, თუმცა
სამშობლოში დარჩენის ნება არ მიუციათ. იგი ეტაპით ჩაიყვანეს
ბათუმში, საიდანაც უცხოეთში უნდა გაეძევებინათ.

ბათუმელმა ქართველობამ ეროვნულ-დემოკრატთა აღია-
რებული ლიდერის გასაცილებლად დემონსტრაციის მოწყობა გა-
ნიზრახა. ხელისუფლება გართულებას მოერიდა. სამხედრო რაზ-
მით გარშემორტყმული სპირიდონ კედია ნავსადგურამდე მიხვე-
ულ-მოხვეული გზებით ატარეს, მერე გაძლიერებული დაცვის
ქვეშ იტალიურ გემ „კლეოპატრაზე" აუშვეს და უპასპორტოდ
და უვიზოდ საფრანგეთში გაისტუმრეს.

საქართველოდან დევნილს სამშობლოს კვლავ ხილვის
ბედნიერება აღარც ღირსებია.

## IV.2. „ჰანტრონები თუ არ ბეთონდან, რისი იგედით ბანთოდიოდით?" (1924 წლის აბჩისტოს აჯანყება)

სპირიდონ კედიას ვერ ვუწოდებთ რევოლუციონერს ამ
სიტყვის მარქსისტული გაგებით, ანუ იგი არასოდეს ყოფილა
„ძველი, დრომოჭმული წყობილების ძალით დამხობის" მომხრე.
იყვნენ რა ილია ჭავჭავაძის იდეური მემკვიდრენი, ეროვნულ-დე-
მოკრატები იზიარებდენ საზოგადოების განვითარების ევოლუციურ
მოძღვრებას, რაც საფუძველშივე გამორიცხავს „ნახტომისებურ
ცვლილებას", „რევოლუციურ გადატრიალებას", მით უფრო, ძა-

ლადობრივი საშუალებებით. ამდენად, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ ამ პარტიის შეიარაღებული აჯანყებისათვის სამზადისი და 1924 წლის აგვისტოს ამბოხებაში აქტიური მონაწილეობა ახსნას საჭიროებს, რადგან იგი, თითქოს, ეწინააღმდეგება ეროვნულ-დემოკრატთა იდეურ მისწრაფებას, მათ პოლიტიკურ კრედოს.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს გასაბჭოება 1921 წლის დასაწყისში, სინამდვილეში იყო სუვერენული სახელმწიფოს ოკუპაცია ბოლშევიკური რუსეთის მიერ, რომელსაც შემდეგ ფაქტობრივი ანექსიაც მოჰყვა (*ლ. თოთაძე 1991, 143*). სხვაგვარად, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამარცხდა ჩრდილოელი მეზობლისაგან მისთვის თავსმოხვეულ, მაგრამ გამოუცხადებელ ომში, რის შედეგადაც რუსეთმა ხელმეორედ დაიპყრო ჩვენი ქვეყანა.

დამოუკიდებელი ცხოვრების სამი წლის მანძილზე ქართველმა ერმა რამდენადმე მოასწრო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდა და თავისუფლების სულისკვეთებითაც განიმსჭვალა. ახლა კი, თითქმის უბრძოლველად, ყოველივე დაჰკარგა და ხელახლა მონობაში აღმოჩნდა. ამ მძიმე შედეგისათვის პასუხისმგებლობა უპირველესად ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ძალას — სოციალ-დემოკრატიას უნდა ეკისრა, მაგრამ მენშევიკური მთავრობა და პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი უცხოეთში გაიხიზნა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ემიგრაციაში არ წასულა. როგორც ზემოთ დავინახეთ, საგანგებოდ მიღებული დადგენილების საფუძველზე, პარტია საქართველოში დარჩა და მებრძოლი ერი არ მიატოვა.

თავიანთი მოვალეობის ღრმა შეგნებით აღვსილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი მესვეურებიც თავს დამნაშავედ გრძნობდნენ, რადგან განსაცდელის ჟამს სათანადოდ ვერ უწინამძღვრეს ერსა და ქვეყანას, ვერ დაიცვეს მისი თავისუფლება და სუვერენობა. ამიტომაც, მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის შექმნილი დარაზმულობა, ალექსანდრე ასათიანის სიტყვით, „გადაიქცა ერის მხედრულ ძალად“ (*ალ. ასათიანი 1937 ბ, 26*). ეს არ იყო მხოლოდ „რევანშის წყურვილი სირცხვილის მოსარეცხად“ (*ძ. ჯეთარაძე 1979, 8*). საქმე ერის შელახულ ღირსებას, სამშობლოს ყოფნა-არყოფნას, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის

ბედს ეხებოდა და ეროვნულ-დემოკრატებმაც უყოყმანოდ აღმარ-
თეს ბრძოლის დროშა.

ეროვნულ-დემოკრატთა იარაღი აქამდეც კალამი და სიტ-
ყვა იყო. ერთიც ფხიანად უჭრიდათ და მეორეც. იდეურ-პოლიტი-
კურ ჭიდილში პარტია ტოლს არავის დაუდებდა, მაგრამ ახლა
პრესა და პარლამენტი როდი იყო ასპარეზი. გადამთიელი ხელი-
სუფლებას კი არა, მთლად ქვეყანას გვეცილებოდა. წინაპართა
სავანე, სამშობლოს მიწა-წყალი დაცვას ითხოვდა, ძველი საბ-
რძოლო არსენალი საკმარისი აღარ იყო. ბოლშევიკებთან და-
პირისპირება ახლა ძალით იყო შესაძლებელი. ეროვნულმა დემოკ-
რატიამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და „ხალხთა დარაზმვის,
ძალთა მომარაგების და მოხერხებულ დროს შემოჭრილ მტერთან
გადამწყვეტი ბრძოლისათვის“ მზადებას შეუდგა.

აქტიურ ძალთა დარაზმულობას არ ჰქონია მოკლე და
დროებითი მიზნები. ის არ იყო მოწყობილი უსათუოდ აჯანყები-
სათვის, არამედ გადამწყვეტი მომენტისათვის, როდესაც გამოისა-
ხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური
შესაძლებლობა გარეშე შურისძიებისა და სამოქალაქო ომისა —
წერდა ალექსანდრე ასათიანი (*ალ. ასათიანი 1928, 70*).

მართლაც, ეროვნულ-დემოკრატთა თავდაპირველ საქმია-
ნობას ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი. ანტისაბჭოთა მოძრაობა გა-
მოიხატებოდა მოწოდებების გამოცემასა და მშვიდობიანი დემონ-
სტრაციების მოწყობაში, რადგან ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ
საქართველოს განთავისუფლების საკითხი შეიძლებოდა დაჩქარე-
ბულიყო საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის შერყევით საშინაო
და საგარეო გართულებათა შედეგად, ქართველი ერის აქტიური
ბრძოლის გარეშე (*პრეზიდ. არქ. ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 196, ფურც.
90*).

აქვე დავძენთ, რომ პარტიას არც მისთვის დამახასიათებე-
ლი ილია ჭავჭავაძის „ზომიერი ნაციონალიზმის“ გეზი უარყვია.
ეროვნულ-დემოკრატთა დიდი ნაწილი, რომელიც აქამდეც უმთავ-
რესად სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ ეკონომი-
კურ ასპარეზზე მოღვაწეობდა, კვლავაც თავისი პროფესიული
საქმიანობის ერთგული დარჩა. საბჭოთა რეჟიმთან მოჩვენებითი
შეგუებითა და ლოიალობით მან წინანდელი სამსახური შეინარჩუ-
ნა და ლეგალურ ფარგლებშიც დიდი ღვაწლი დასდო ქართველი
ერის „თავდაცვისა და ეროვნული ღირსების ჩენარჩუნებას“. საგუ-

ლისხმოა, რომ ეს გარემოება შეუმჩნეველი არც „ჩეკას“ დარჩენია. მისი ინფორმაციით, ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილმა შესაძლებლად მიიჩნია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, რადგანაც, თითქოს, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაში (НЭП) კერძო საკუთრების ევოლუციური და პროგრესული განვითარების საწინდარი დაინახა (*აბეზ. არქ. ფ. 14, ანწ. 1, საქ 28, ფურც. 821*).

სპირიდონ კედია და პარტიის სხვა მეთაურებიც კარგად აცნობიერებდნენ, თუ რა ძლიერ და სასტიკ მტერთან მოუწევდათ შერკინება. საჭირო იყო მთელი ქართული ანტიბოლშევიკური ძალების თავმოყრა და მტკიცე შეკავშირება საბჭოური რეჟიმის მოწინააღმდეგე სხვა ხალხებთან — უპირველესად აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთის მოსახლეობასთან შეთანხმება და ერთობლივი მოქმედება. ამგვარ მუშაობას ეწეოდა 1922 წლის გაზაფხულიდან „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და მისი „სამხედრო ცენტრი“.

საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შეძლო „სამხედრო ცენტრის“ ხელში ჩაგდება და მის წევრებს — კონსტანტინე აფხაზს, იასონ კერესელიძეს, ალექსანდრე ანდრონიკაშვილს, ვარდენ წულიკიძესა და სხვ. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა, მაგრამ მებრძოლი ძალები სასოწარკვეთას არ მისცემიან. განადგურებული ცენტრის ადგილი „სამხედრო კომისიამ“ დაიკავა, რომელიც პარიზიდან საგანგებოდ ჩამოსული ნოე ხომერიკის ინიციატივით ჩამოყალიბდა.

დამპყრობლის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლას აგულიანებდა და იმედს მატებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. უცხოეთში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები თავიანთი მიმართვებითა და მოწოდებებით ამხნევებდნენ ერს. ერთ-ერთ ასეთ მიმართვაში აღნიშნულია: „ერი არ შეიძლება შედრკეს. ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ გაიფიქრებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა დაბლა დახაროს. ის მტკიცე და შეურყეველია დამპყრობელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ...

ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხიზლობდეს. დაე, ამ ბრძოლაში მამა დაეცეს, მისი ადგილი შვილმა დაიკავოს, ძმა დაიღუპოს, ის ძმამ შესცვალოს, მეგობარი — მეგობარმა, ამხანაგი — ამხანაგმა... და ასე განუწყვეტ-

ლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებამ-
დის“ (*პრეზ. არქ. ფ. 14, ანგ. 1, საქ. 54. ფურცელ. 85*).

1923 წლის 16 აპრილით დათარიღებული მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „არც აჩქარება, არც დაგვიანება! გაუმარჯოს საქართველოს განთავისუფლებას! გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ძირს რუსეთის ოკუპაცია!“ (*ხუხსა, მეკროფორები, საქ. 1062*).

საქართველოს ბოლშევიკური მარწუხებისაგან თავდასახსნელად, ერთიანი ფრონტის შექმნას ისახავდა მიზნად პარიზში დაფუძნებული პარტიათა შეთანხმების ორგანო „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაში ორი სოციალ-დემოკრატი, ერთი ფედერალისტი და ერთი ეროვნულ-დემოკრატი შედიოდნენ. კომიტეტი და ემიგრირებული მთავრობა საქართველოში დროდადრო ფულსაც გზავნიდნენ, რომელიც ძირითადად საბრძოლო რაზმების შექმნასა და მომზადებას ხმარდებოდა.

1923 წლის დამლევს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა თავისი წარმომადგენელი ვასო ნოდია თბილისიდან საფრანგეთს მიავლინა. მას მომავალ აჯანყებასთან დაკავშირებით მთავრობა და ემიგრაციის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელთა აზრი უნდა შეეტყო. როგორც დოკუმენტურად საბუთდება, ვ. ნოდია მხოლოდ ნოე რამიშვილსა და ევგენი გეგჭკორს შეხვდა (*ხუხსა, მეკროფორები, საქ. 1081*) და უკან იმ იმედით დაბრუნდა, რომ აჯანყების შემთხვევაში ევროპიდან მხარდაჭერა ექნებოდათ. ამავე სულისკვეთების განმტკიცებას ემსახურებოდა ცნობილი სოციალ-დემოკრატების ვალიკო ჯუღელისა და ბენია ჩხიკვიშვილის პარიზიდან საქართველოში ჩამოსვლაც. მაგრამ აჯანყების იდეას თვით ემიგრაციაშიც ყველა როდი იზიარებდა.

დასავლეთის ქვეყნების თანადგომა საქართველოსადმი ნაკლებ ეფექტური ჩანდა. მათი თავდაპირველი დაპირება ფინანსური და იარაღით დახმარების თაობაზე ვერ სრულდებოდა, მხოლოდ მორალური თანაგრძნობა კი დიდი ვერაფერი შეღავათი იყო. ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია ამბოხებისაგან თავშეკავებას ამჯობინებდა და საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებსაც ამასვე ურჩევდა. სპირიდონ კედიას დანაბარები საქართველოში ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძემ, ხოლო ცოტა მოგვიანებით

ექიმმა ალექსანდრე წულუკიძემ (ცნობილი ურولოგი, შემდგომში აკადემიკოსი) ჩამოიტანეს (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 273*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ნიკოლაძე შეხვდა დამკომის თავმჯდომარეს კოტე ანდრონიკაშვილს, შემდეგ კი შალვა ამირეჯიბს. ეს უკანასკნელი კონსტანტინე აფხაზის დახვრეტის შემდეგ სათავეში ედგა არალეგალურად მოქმედ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და დამკომის მუშაობაშიც ჩართული იყო. ნიკო ნიკოლაძესთან შეხვედრის თაობაზე თვითონ შალვა ამირეჯიბი მოგვითხრობს. გვამცნობს, რომ მან არ გაიზიარა მხცოვანი მოღვაწის უარყოფითი შეხედულება მოახლოებულ აჯანყებაზე (*შ. ამირეჯიბი 1928, 12*), მაგრამ არაფერს გვეუბნება სპირიდონ კედიას პოზიციაზე. უფრო მკაფიოდ მის შესახებ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებშია გადმოცემული. სპირიდონ კედიას მეუღლეს, მისივე სიტყვით, შალვა ამირეჯიბისათვის, ნათესავადაც რომ ერგებოდა, უთქვამს: „იცოდე, შალვა, ვინც იქიდან ლირებს გიგზავნით და ევროპის დახმარებას გპირდებათ, გატყუებთ. სპირიდონის აზრი ხომ იცით... ის ევროპაშია, სადაც ნათლად ჩანს დასავლეთის გულგრილობა საქართველოს მიმართ. ამიტომ საჭიროა იმის აზრსაც ანგარიში გაუწიოთ. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მისი პოზიცია უნდა იცოდეს, ის სხვებზე ნაკლებ არ ჰხედავს ნამდვილ მდგომარეობას. მართალია, სპირიდონი ფულს არ გიგზავნით, მაგრამ ყველაფერი ხომ ფული არ არის და სხვა...“ „ყველაზე ჭკვიანი ის ხომ არ რის, რომ იმას დავუჯეროთ“ — უპასუხნია შალვა ამირეჯიბს (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 273*).

ახლა ისიც ირკვევა, რომ სპირიდონ კედიას უარყოფითი დამოკიდებულება ამბოხებისადმი შალვა ამირეჯიბმა პარტიის არათუ რიგით წევრებს, სხვა ხელმძღვანელებსაც არ გააცნო (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 274*) (წყაროებით არ დასტურდება ს. ზალდასტანიშვილის ცნობა, რომ შ. ამირეჯიბი აჯანყების წინააღმდეგი იყო) (*ს. ზალდასტანიშვილი 1989, 28*).

სხვათა შორის, საქართველოს დამკომმა სრულად არც ნოე ჟორდანიას 1924 წლის ივნისში გამოგზავნილი დირექტივა გაითვალისწინა, რომლის თანახმად, აჯანყება იმ შემთხვევაში იყო მიზანშეწონილი, თუ პირველი კავკასიის მთიელები და აზერბაიჯანი გამოვიდოდნენ (*ვ. ცაგიშვილი 1999, №232*). ეროვნულ-დე-

მოკრატთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ იშხნელის სიტყვითაც, შალვა ამირეჯიბი წინააღმდეგი ყოფილა აზერბაიჯანთან და მთასთან ერთად გამოსვლისა, რასაც, თურმე, იმით სხნიდა, რომ „საბჭოთა რუსეთი ადვილად არ დასთმობდა გროზნოს“ (*ნ. კირთაძე 1998, 565-566*).

შალვა ამირეჯიბი, თითქოს თავს იმართლებსო, მოგვიანებით წერდა: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადაწყვიტა, ან მისი თავიდან აცილება ვინმეს შეეძლო და არ ინდომა. ... აჯანყება თავისით მოდიოდა, ის მოდიოდა ხალხში გამეფებულის სულისკვეთებისაგან, როგორც ორთქლი წყლისგან, წვიმა ღრუბლიდან, ალი ცეცხლიდან“ (*შ. ამირეჯიბი 1929, 2-3*).

ცალკე უნდა ითქვას ერთი გარემოების გამოც: საქართველოს აჯანყებისათვის სამზადისი ვერ გამოდგა ისეთი კონსპირაციული, როგორსაც საჭიროებდა. საარქივო და სხვა წყაროები მოწმობენ, რომ „ჩეკა“ იმთავითვე საქმის კურსში იყო და ზოგიერთ შემთხვევაში პროცესის თავის შეხედულებისამებრ წარმართვაც კი შეეძლო. ეს ხერხდებოდა იმ მრავალრიცხოვან აგენტთა მეშვეობით, რომლებიც 1921 წლიდან შეგზავნილი იყვნენ როგორც საქართველოში ბოლშევიკებთან დაპირისპირებული პარტიების, ისე პოლიტიკური ემიგრაციის წიაღში. საქართველოს საგანგებო კომისიამ სპეციალურად შეჰქმნა „პოლიტიკური შპიონაჟის ინსტიტუტი“, რომლის წევრებს ანტისაბჭოთა პარტიებისათვის შიგნიდან ძირის გამოსათხრელად ამ ორგანიზაციებში შეღწევა ევალებოდათ. უკვე 1922 წლის ზაფხულისათვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 17, ეროვნულ-დემოკრატიულში 14, ხოლო ფედერალისტთა პარტიაში 8 პოლიტიკური დივერსანტი იყო შეგზავნილი (*„ტიფლისის გაზეთი“, 1999, №151*).

სამწუხაროდ, ესა თუ ის საიდუმლო ცნობა „ჩეკას“ ხელში ზოგიერთი პოლიტიკოსის ოჯახიდანაც ხვდებოდა. სოფიო ჩიჯავაძე-კედია ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „სპირიდონი კარგი კონსპირატორი იყო, სხვებსაც ამას სთხოვდა, ცოლებს არაფერი ... უნდა სცოდნოდათ. მაგრამ სხვისმა ცოლებმა ყველაფერი იცოდნენ... ამას ცუდი შედეგი ჰქონდა. ამ პატრიოტების გადაწყვეტი-

ლება მეორე დღესვე ჩეკამ იცოდა. ქალებს საიდუმლოების შენახვა საერთოდ უძნელდებათ“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 237*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იყო უცხოეთში გახიზნული ქართველობა. იგივე სოფიო ჩიჯავაძე-კედიას სიტყვით, „ემიგრაცია მოსკოვის კლანჭებში იყო, რაც არ აადვილებდა ქართველობის გაერთიანებას, პირიქით, ყველაფერი იყო ხელის შემწყობი, რაც შეიძლებოდა დაქსაქსულები ყოფილიყვნენ. ამისთვის ყოველ პარტიაში მას (მოსკოვს — ო.ჯ.) თავის კაცი ჰყავდა, რომელიც შიგნიდან შხამს ატრიალებდა (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 237*). ბერიას გეგმა „საშიშ ელემენტთა ადგილზე ლიკვიდაციასაც“ ითვალისწინებდა (*„ტფილის კაზეთი“, 1999, №198*).

„ჩეკა“ ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რომ მებრძოლ ბანაკში ეჭვსა და უნდობლობის ნერგს ეხარა, რასაც მიაღწია კიდეც. ცნობილი სოციალ-დემოკრატი გრიგოლ გიორგაძე საქართველოდან ემიგრაციას უთვლიდა, თავი დაგვანებეთ, „რამდენჯერაც მთავრობა იმედიან წერილს გვიგზავნის: „არასოდეს ჩვენი საქმე ისე კარგად არ ყოფილა, როგორც ახლაო“, ამას მოსდევს ხალხის დაჭერა და ციხე; გარდა ამისა, ... რასაც იქ სამი კაცი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და გეგჭკორი გარდასწყვეტენ, მეორე დღეს აქ ჩეკამ იცის, არ ვიცი, რა ვიფიქროთ!“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 366*).

რამდენადმე გადაჭარბებულად გვეჩვენება, მაგრამ ვითარების ნათელსაყოფად ურიგო არ იქნება, გავეცნოთ ასევე თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატი მოღვაწის ვ. კაჩუხიშვილის აზრსაც. 1925 წელს იგი პარიზიდან წერდა: ემიგრაციაში საიდუმლო საქმეები ისეთი პირების ხელში იყო, თუ ვინმეს „პერაზე მოსეირნე ქალბატონთან ექნებოდა რაიმე კავშირი, მას განთიადს უთუოდ ეცოდინებოდა ის, რაც კეთდებოდა ყოფილი „მთავრობის“ სფეროებში. საიდუმლოებები იცოდნენ აგრეთვე საუკეთესო რესტორნების კაბინეტების ოფიციანტებმა, ვინაიდან შამპანიურს მუნჯის ამეტყველებაც კი შეუძლია, ხოლო ასეთ ამეტყველებას მუდმივად და მუდმივდღეც ჰქონდა ადგილი“ (*ვ. კაჩუხიშვილი 1925, №273*).

აჯანყების სამზადისი კვლავ გრძელდებოდა. მოისინჯა კავშირები აზერბაიჯანის მუსავატურ პარტიასთან, ჩეჩენთა თავკაცებთან და სხვ. თითქოს საერთო მოქმედების გზებიც დაისახა,

მაგრამ რეალურად სამხედრო კავშირი ვერ განხორციელდა. საქართველოს დამკომმა და სამხედრო კომისიამ მაინც გადაწყვიტეს გამოსვლა იმ იმედით, რომ დაწყებულ აჯანყებას მოკავშირედ შეგულებული მეზობელი ხალხებიც შეუერთდებოდნენ და ევროპაც დახმარების ხელს გამოიღებდა.

იმედები ფუჭი გამოდგა. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში აღმართული აჯანყების დროშა ბრძოლის ველზე ეულად დარჩა. თავგანწირულ ქართველებს არსაიდან არავინ მიშველებია...

მამაცურად იბრძოლეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულებმა", ეროვნულ-დემოკრატთა ბიძინა პირველის, ეგნატე გაბლიანის, მიხეილ გვალიას, ხუხუ ხოფერიას, დავით მხეიძის, დავით გაბუნიას რაზმებმა, ისტორიაში უსახელოდ შესულმა ათასობით სხვა ქართველმა, მაგრამ აჯანყება წარუმატებელი გამოდგა და უზომო მსხვერპლიც მოჰყვა. მამულის დახსნის კეთილშობილურმა იდეამ დიდძალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური და მებრძოლ საქართველოს მასობრივი რეპრესიებით გაუსწორდა.

აგვისტოს აჯანყების ექომ საფრანგეთში ერთი კვირის შემდგომ ჩააღწია. 1924 წლის 7 სექტემბერს ემიგრირებული მთავრობის წევრები შეიკრიბნენ, მოიწვიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი და ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც. ეროვნულ-დემოკრატთაგან სხდომას სპირიდონ კედია და გრიგოლ ვეშაპელი ესწრებოდნენ. მთავრობამ თავი იმართლა: აჯანყება ჩვენთვის მთლად მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ გამოსვლას ამჟამად არ ველოდითო. „დაუშვებლად მიგვაჩნდა საქართველოს მომზადებით დაკმაყოფილება, მთელი კავკასია — განსაკუთრებით აზერბაიჯანი და მთა ჩვენთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ... აქედან ჩვენ ვერავითარ დადგენილებას ვერ მივწერდით, ადგილობრივ პირობების და მომენტის შეფასება პარიტეტული კომიტეტის საქმე იყო... გამოსვლის საკითხი საქართველოში უნდა გადაწყვეტილიყო და არა ემიგრაციაშიო" (*ხუხა, მიკროფირები, საქ. 1081, ოქმი, 1*).

აჯანყებასთან დაკავშირებით ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ უფრო ფართოდ 1924 წლის 20 დეკემბერს იმსჯელა. ამ დღეს „მთავრობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაციის შეერთებული სხდომა" გაიმართა. ეს-

წრებოდნენ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, სპირიდონ კედია, იოსებ გობეჩია, სამსონ ფირცხალავა და აკაკი ჩხენკელი. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ „ჩეკას“ საპყრობილეს გადარჩენილი აგვისტოს ამბოხების რიგი ხელმძღვანელები სპირიდონ ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი წერეთელი (ჭიათურის გამოსვლის მეთაური) და სხვ.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მიესალმა სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ მეთაურს და აღნიშნა, რომ: ჩვენი მტრები ხმებს ავრცელებენ, თითქოს ჩვენ ვგმობდეთ აჯანყებას, რადგან იგი არ დასრულდა გამარჯვებით. „თუ იგი არ გათავდა გამაჯვებით, ეს მებრძოლთა ბრალი არ არის, ამის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ“ და ყოველივე რაც მოხდა „ისტორიის და მომავალი გამოკვლევის საქმეაო.“

აჯანყების მთავარსარდალმა სპირიდონ ჭავჭავაძემ შეკრებილთ მოახსენა სამხედრო კომისიის საქმიანობის, საქართველოში ამბოხების წინა ვითარებისა და აგვისტოს დღეების შესახებ. მისი დასკვნით, აჯანყების ორგანიზაცია არ იყო დამაკმაყოფილებელი. პარტიული და სამხედრო მუშაობის არევა ხელს უშლიდა საქმეს... საზოგადოდ გამცემლობა იყო, მიუხედავად ამისა... დახმარება რომ გვქონოდა, ჩვენ გავიმარჯვებდით“ (*ხუსა, მიკროფირები, საქ. 1081, ოქმი 29*).

ქ. ჩოლოყაშვილმა და გ. წერეთელმა დამარცხების სხვა მიზეზებთან ერთად ისიც აღნიშნეს, რომ „ხელს გვიშლიდა პატრონების უქონლობაო“. ამან სპირიდონ კედიას გაოცება გამოიწვია: „პატრონები თუ არ გქონდათ, რისი იმედით გამოდიოდით?“ — იკითხა მან (*ო. ჯანელიძე 1997 ა, 197*). ცხადია, ეს არ ყოფილა ნიშნის მოგებით დასმული შეკითხვა. ეს იყო რეალისტი მამულიშვილის უკმაყოფილების, წუხილისა და გულისტკივილის გამოხატულება აჯანყებით გამოწვეული უსაზღვრო მსხვერპლის გამო, რომლის თავიდან აცილება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

სპირიდონ კედია არ უარყოფდა და სათანადოდ აფასებდა კიდეც ამბოხების მორალურ მნიშვნელობას, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მორალური გამარჯვება არ ღირდა იმ მსხვერპლად, რომელიც აჯანყებას მოჰყვებოდა. თავისი შეხედულება ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერს არც შემდგომში უარყვია. აი, მისი აზრი, გამოთქმული ხსენებული საკითხის გამო:

„ის რჩეულნი და უკეთესნი, რომელნიც ათასობით დაიხვრიტნენ ცოცხლად რომ დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთელი პატრიოტული ელემენტის არსებობა, თვით საბჭოთა პირობებშიც, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა — ამ კარგთა ამოწყვეტამ ცუდებსა და უვარგისებს გაუხსნა გზაო“ (*ძ. ჯაფთარაძე 1979, 11*).

1924 წლის აგვისტოს აჯანყება ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ „მენშევიკურ კონტრრევოლუციურ ავანტიურად“ მონათლა. ამ აზრს ათწლეულების განმავლობაში უკრიტიკოდ იზიარებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაც. სრულიად სხვაგვარად აფასებდა სხვებულ მოვლენას ქართული ემიგრაცია. იგი თვლიდა, რომ აგვისტოს ამბოხება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აზვირთებული საერთო-სახალხო აჯანყება იყო, რომელმაც ქვეყანას დაანახა, რომ „ქართველი ერისთვის სამშობლოს თავისუფლება ცარიელი სიტყვა კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია... აჯანყებამ და მისთვის გაღებულმა მსხვერპლმა საქართველოს დაუმკვიდრა საერთაშორისო უკვდავება“ (*„საქმობლოსათვის“, 1915, 15 VII*).

მსგავსი შეხედულება დომინირებს აჯანყების შესახებ თანამედროვე ქართველ მკვლევართა ნაშრომებშიც, თუმცა ამ ბოლო დროს გამოითქვა სხვა თვალსაზრისიც. სახელდობრ, მკვლევარი გოგი ციციშვილი მიიჩნევს, რომ საბჭოთა ეპოქის დასაწყისის ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ორი ტენდენცია გამოიყოფა — „რადიკალურ-ექსტრემისტულის გარდა, არსებობდა არალეგალური რადიკალურ ნაციონალისტური ხაზი“ და, რომ 1924 წლის აჯანყებას შინაგანი ავანტიურის ნაკადიც ახასიათებდა: „რადიკალურ-ექსტრემისტული ელიტა იბრძოდა სამშობლოს სიყვარულით..., მაგრამ ფაქტობრივად ხალხს რაზმავდნენ თავიანთი საერთო-პარტიულ-პოლიტიკური იმიჯისათვის და არა გამარჯვებისათვის“ — არსებობდა ეროვნული მოძრაობის, ერის სამსახურის უფრო გონივრული — „ილიას ხაზი“, რომელსაც აგრძელებდა „ზომიერი ნაციონალიზმის, ანუ „მემარჯვენე პროფესურის“ და ნაციონალისტი მწერლების წარმომადგენლობა (ივანე ჯავახიშვილი და სხვ) (*ჯ. ციციშვილი 2001, 59*).

აგვისტოს ამბოხებას, „როგორც გამარჯვების შანსს „მთლიანად მოკლებულ მოქმედებას“, „ირაციონალურ აქტს“ შწოდებს უკანასკნელი ქართველი ემიგრანტი ეროვნულ-დემოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატი მიხეილ ქავთარაძე, თუმცა იქვე დასძენს, რომ იგი სხვა-მხრივაა „აქტი გონიერი“, როგორც „ნამდვილი რატიფიკაცია“ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტისა, რომელიც „თებერვლის დამარცხების გამო, ისტორიის თვალში გაყალბებულად გამოჩნდებოდა, აგვისტოს აჯანყება რომ არ მომხდარიყო. აგვისტელებმა მომავალ თაობებს მაგალითი დაუტოვეს — თუ როგორ უანგაროდ იციან ქართველებმა მსხვერპლად მიტანა თავისა... დაამტკიცეს, რომ ქართველი კვლავ ქართველია, რომ მის თვისებას კვლავ წარმოადგენს „სახელისათვის ამაყი თრთოლა“ (*ქ. ჯავთარაძე 1986, 1-2*).

XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნული მოძრაობის შესახებ გოგი ციციშვილის მოსაზრება რამდენადმე სპირიდონ კედიას ზემოხსენებულ თვალსაზრისს ეხმიანება და, გარკვეულწილად, 1921-1924 წლებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკური მოქმედების განზოგადებად გვესახება.

საბჭოური დიქტატურის პირობებში საქართველოს თავისუფლებისათვის მშვიდობიან ძალისხმევას ეროვნულ-დემოკრატებმა თავიანთი ორგანიზაციის ფარგლებში არალეგალური ბრძოლის გზაც შეუფარდეს. აგვისტოს აჯანყების მარცხის შემდეგ საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს ქვეყნის შიგნით მოღვაწეობის გასაქანი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეროვნული მოძრაობა შეჩერდა. განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავეობა ახლა უპარტიო ეროვნულ-პატრიოტიული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — მწერლებმა, მეცნიერებმა და სხვ. იკისრეს. მათ ბრძოლის „ზომიერი“, „ილია ჭავჭავაძის ხაზი“ განაგრძეს, ოღონდ უკვე არა ერთი კონკრეტული პარტიის ჩარჩოებში, არამედ მთელი ერის მასშტაბით.

„ილიას ხაზი“, ანუ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თერგდალეულთა ფრთხილი, წინდახედული და აუჩქარებელი, მშვიდობიანი ბრძოლის კურსი ჩვენ „აქტიური ლოდინის ტაქტიკად“ მივიჩნიეთ (*ო. კანდელაძე 1999, 32*). მართალია, იგი სხვა ეპოქასთან მიმართებაში გამოითქვა (გიორგი V ბრწყინვალის ხანა) (*ლ. ტუხაშვილი 1994, 268*), მაგრამ მპყრობელისა და პყრობილის ურთიერთობას ეხება, რის გამოც, შეიძლება ქართველ სამოციანელთა მოქმედებასაც მივუსადაგოთ. ეროვნულ-დემოკრატთა ერთმა ნა-

ილმა თერგდალეულთა ამ გეზს ბოლომდე უერთგულა. ამ
ეორე, უფრო რადიკალურმა ფრთამ, სამშობლოს განთავისუფ-
ება შეიარაღებული ამბოხებით სცადა და თავი გასწირა.

აქვს კი შთამომავლობას უფლება, გაამტყუნოს იგი ამ
რჩევანის გამო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი V

## V.I. ხაშდჩი პოლიტიკური ემიგრანტისა

სპირიდონ კედიას ბიოგრაფიაში 1923 წლიდან ახალი — ემიგრანტული, მიუსაფარი და ტკივილიანი ცხოვრების ხანა დაიწყო. სამშობლოდან რამდენიმეწლიანი განშორება მისთვის არც აქამდე ყოფილა უცხო. 1906 წელს ჟანდარმერია-პოლიციისაგან ძებნილმა გიმნაზიელმა ცარიზმის საპყრობილეს თავი აარიდა და პარიზს გაემგზავრა. 8 წელი დაჰყო მაშინ საფრანგეთში. მეტისმეტად უჭირდა, დროდადრო ავადმყოფობაც თავს ახსენებდა, აკლდა საჭმელიცა და სასმელიც, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღება მაინც შეძლო და საქართველოში დაბრუნებაც მოახერხა. ახლა, საბჭოურ სატუსაღოდან განთავისუფლებული პოლიტიკური მოღვაწე ბოლშევიკებმა გააძევეს მშობლიური ქვეყნიდან. ეროვნულ-დემოკრატთა მეთაურს ბედი ამჯრად საკუთარ მიწა-წყლიდან სამუდამო გადახვეწას უქადდა.

საფრანგეთისაკენ მიმავალი დევნილი 1923 წლის ადრე გაზაფხულზე იტალიურმა გემმა თურქეთში ჩაიყვანა. აქაური ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნავსაყუდლად მაშინ სტამბოლი ქცეულიყო. აქვე მოქმედებდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროც, რომელსაც იოსებ დადიანი ხელმძღვანელობდა (*ალ. ასათიანი 1937 ა, 36*). ბიუროს წევრები იყვნენ: შალვა ქარუმიძე, პეტრე სურგულაძე, დავით შალიკაშვილი და ლელი ჯაფარიძე. განსაკუთრებული აქტიურობით ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა. მან ერთ-ერთმა პირველმა გააბა კავშირი საქართველოში მოღვაწე თავისი პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან, იღებდა მისგან ინფორმაციას თუ საჭირო ინსტრუქციებს, კომიტეტს კი ევროპიდან მოსულ ახალ ცნობებს აწვდიდა.

სპირიდონ კედია თანაპარტიელებს შეუერთდა. შემორჩენილია საყურადღებო საარქივო მასალა, რომელიც აცოცხლებს 1923 წლის 2 აპრილს გამართულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონსტანტინოპოლის ბიუროს ერთ-ერთ სხდომას (*ხუსა, მიკროფირები, საქ. 1145, ფურც. 7–8*). შეკრებილთ სპირიდონ კედიამ გააცნო საქართველოში შექმნილი ვითარება, მოუთხრო იქ მიმდი-

ნარე ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვან ამბებზე, პარტიათა შორის მიღწეულ შეთანხმებაზე, წარმოაჩინა ეროვნულ-დემოკრატთა როლი საბჭოური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ერთიანი, შეთანხმებული, ამასთან ფრთხილი და გონივრული მოქმედება.

ცნობათა სიმწირის გამო, შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს სპირიდონ კედიას თურქეთში ყოფნის ვადა, მაგრამ იგი რომ მაშინვე საფრანგეთს არ გამგზავრებულა და სტამბოლში კარგა ხნით შეყოვნდა, ამას ერთი საინტერესო დოკუმენტი მოწმობს. ესაა 1923 წლის 12 მაისით დათარიღებული წერილი, რომლითაც სპირიდონ კედიამ ემიგრირებულ მთავრობასა და საფრანგეთის ქართულ პოლიტიკურ ელიტას თურქეთიდან მიმართა (*ხუხა, მეკრეთერები, საკ. 1062, ფურც. 29*). აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე წლის 5 ივნისს გრიგოლ ვეშაპელი სოციალ-დემოკრატიული მთავრობისაგან ითხოვდა, გამოეყოთ 15 ათასი ფრანკი სპირიდონ კედიას პარიზში ჩამოსასვლელად (*ხუხა, მეკრეთერები, საკ. 1062, ფურც. 29*).

ჩვენ ვერ მოვიძიეთ მასალა, რომელიც ცხადყოფდეს, გაუგზავნეს თუ არა ეროვნულ-დემოკრატთა მეთაურს ფული თურქეთში, მაგრამ სპირიდონ კედიას მეუღლის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ მანამდე, ორთაჭალის საგუბერნიო ციხიდან გამოსვლისას, სპირიდონისათვის გადაუციათ ევროპიდან საქართველოში მოსული 200-იოდე ლირა და კონსტანტინე აფხაზის მიერ საგანგებოდ მოტანილი გარკვეული თანხა (*ს. ჩიკავაძე-კედია 2002, 255*).

სპირიდონ კედიას თურქეთში რამდენიმე თვით დარჩენა (იგი პარიზში 1923 წ. ივნისში ჩავიდა (*ს. ჩიკავაძე-კედია 2002, 304*)) შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მას საფრანგეთში გასამგზავრებლად საჭირო დოკუმენტაცია არ გააჩნდა. ეს დრო, ალბათ, პასპორტისა და ვიზის მიღებას დასჭირდა.

რატომ აირჩია სპირიდონ კედიამ საფრანგეთი? მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ მას აქეთკენ მიუთითა, მაგრამ სათანადო ვიზა არ მიუცია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს სურვილის შემთხვევაში, შეეძლო წასულიყო სხვა ქვეყანაშიც, მაგრამ მან საფრანგეთი ამჯობინა. ალტერნატივა პრაქტიკულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც არსებობდა. ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, სპირიდონ კედიას უცხოეთის პოლიტიკურ წრეებში იმხანად ახლობლები და მეგობრები ნაკლებად ჰყავდა. მართალია, მას გააჩნდა კავშირები გერმანიაში, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი გარანტი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად, მით უფრო, რომ ბერლინში ახლა სულ სხვა ხელისუფლება არსებობდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ენის ცოდნას, — სპირიდონი ხომ ფრანგულს ფლობდა.

ამასთან, პარიზში იყვნენ დაფუძნებული საქართველოდან დევნილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე. აქ უკვე ფუნქციონირებდა პარტიათა შეთანხმების გზით 1922 წლის მარტში შექმნილი ერთიანი ფრონტი — ემიგრაციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მაკოორდინებელი ინტერპარტიული ორგანოს — „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ და პარტიათა წარმომადგენლებით შევსებული „დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის“ სახით (*ჯ. ცხოვრებაძე 1996, 88-89*).

ინტერპარტიულ კომიტეტში, რომელიც აღჭურვილი იყო საკანონმდებლო უფლებით და წარმოადგენდა „მებრძოლი საქართველოს მოქმედ პარლამენტს“, გაერთიანებული იყვნენ: კარლო ჩხეიძე (თავმჯდომარე), გრიგოლ ვეშაპელი (ეროვნულ-დემოკრატი) და სვიმონ მდივანი (ფედერალისტი) — თავმჯდომარის ამხანაგები, რევაზ გაბაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), ს. კობახიძე (ფედერალისტი) და ბენია ჩხიკვიშვილი (სოციალ-დემოკრატი) — წევრები.

საფრანგეთში ჩასული სპირიდონ კედია შეუერთდა ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციას და ენერგიულად ჩაერთო მის საქმიანობაში.

1924 წლის მაისიდან ინტერპარტიული კომიტეტის ადგილი პარიტეტულმა კოლეგიამ დაიკავა. მასში დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე შევიდა როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლობა კი სპირიდონ კედიას მიენდო (*ჯ. ცხოვრებაძე 1996, 100*).

სპირიდონი შეყვანილ იქნა აგრეთვე 1924 წლისათვის აღმოცენებულ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის შემადგენლობაში. პარტიის ხაზით მას-

ვე დაეკისრა ემიგრირებულ მთავრობასთან თანამშრომლობა-ლა საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის უფლებით. ამ უფლებამოსილებით 1922 წლიდან გრიგოლ ვეშაპელი სარგებლობდა. ახლა იგი სპირიდონ კედიამ შეცვალა. ეს ანაზღაურებადი სამსახური უცხოეთში ცხოვრების ელემენტარულ საშუალებას ქმნიდა, რასაც ემიგრაციაში მყოფი ოპოზიციურ ძალთა წარმომადგენლების უმრავლესობა მოკლებული იყო. შალვა ამირეჯიბის სიტყვით, „ჩვენ ვერას დიდებით ვერ მოვახერხეთ, რომ საერთო მუშაობისათვის აუცილებელი 6-8 ეროვნულ-დემოკრატი მთავრობას თავის პენსიაზედ „აეყვანა". მთელს პარტიაში სამი ეროვნულ-დემოკრატი თუ ღებულობდა მთავრობის დახმარებას. ორი წარმომადგენელი საერთო ფრონტში და ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი" (*ლიტ. ძუნ. შ. ამირეჯიბის ფ. საქ. 26960/20, ფურცელ. 1*).

აღსანიშნავია, რომ 1925 წლის მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სპირიდონ კედიას შესთავაზა რუმინეთში გამგზავრება მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლად, მაგრამ სპირიდონმა ეს წინადადება არ მიიღო (*ხუხა, მეროფერები, საქ. 1081, ფურცელ. 6,10*).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე მთავრობასთან თანამშრომლობის ზემოხსენებული უფლებითა და მდგომარეობით 1927 წლამდე სარგებლობდა, მაგრამ მისი და ქართველი სოციალ-დემოკრატების გზები 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ არსებითად გაიყარა.

უფრო ადრე ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას გაემიჯნა და ანტისაბჭოთა მოღვაწეობაზე ხელი აიღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გრიგოლ ვეშაპელმა. იგი ბოლშევიკებმა გადაიბირეს და საქართველოს თავისუფლებისათვის უცხოეთში მებრძოლ ბანაკს დაუპირისპირეს.

1924 წლის ნოემბერში გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით პარიზში დაიბეჭდა გაზეთ „ახალი საქართველოს" პირველი ნომერი. ეს ორკვირეული გამოცემა, რომელიც აშკარად საბჭოთა პლატფორმაზე იდგა და ქართველ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების იდეას ქადაგებდა, ორი წლის განმავლობაში პარიზსა და ბერლინში გამოდიოდა. გრ. ვეშაპელმა აღიარა საბჭოთა წყობილება და ყოფილ თანაპარტიელებსა თუ უცხოეთში გაბნეულ

თანამემამულეებსაც საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულებისაკენ მოუწოდებდა. მსოფლმხედველობრივი მრწამსისა და იდეური პოზიციის ეს მკვეთრი ცვლილება გრიგოლ ვეშაპელი ტრაგიკული აღსასრულის საბაბად იქცა. იგი 1926 წლის ივნისში სიცოცხლეს გამოასალმეს.

როგორც ითქვა, საქართველოს ემიგრირებულ მთავრობასთან სპირიდონ კედიას საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტა ძირითადად აგვისტოს ამბოხებით, ამ ისტორიული მოვლენის არაერთგვაროვანი შეფასებითა და შემდგომი ბრძოლის განსხვავებული გზების დასახვით იყო განპირობებული. ნოე ჟორდანია კურსს კვლავ პარტიული განკერძოებით სოციალისტურ ინტერნაციონალზე იღებდა, სპირიდონ კედიასათვის კი სამშობლოს უზენაესობა დაეროვნული ერთობა შეუცვლელ მოთხოვნად რჩებოდა. ჩეკას ინფორმაციით, სპ. კედია იცავდა „ერთიან ეროვნულ დროშას და ერთიან ეროვნულ ფრონტს“ (*ნ. კირთაძე 1998, 629*).

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ არც ერთი ქვეყნის ემიგრაციას მოძალადისა თუ დამპყრობლის უღლისაგან სამშობლო მარტოს არ გამოუხსნია. არც ქართული ემიგრაცია იყო ის ძალა, რომელიც დამოუკიდებლად, ადგილზე დარჩენილ მებრძოლი ბანაკისაგან მოწყვეტით შეძლებდა ბოლშევიკური რეჟიმისაგან საკუთარი ქვეყნის განთავისუფლებას, მით უფრო, თუ ის პოლიტიკურად დანაწევრებული და ურთიერთდაპირისპირებული იქნებოდა. არადა, პარტიათა შორის გაფორმებული შეთანხმება-ხელშეკრულების მიუხედავად, ჩვენს ემიგრაციაში მაინც გაუტანლობის, მუდმივი ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფერო იყო გამეფებული. განსაკუთრებით ცოდავდნენ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და მისი წრეები, რომლებსაც „კიდევ უფრო პარტიული, თითქმის კასტური ზნე-საქციელი ჰქონდათ დადებული“ (*ძ. ჯეთარაძე 1979, 10*).

სპირიდონ კედია გადაჭრით დაუპირისპირდა ამგვარ სინამდვილეს. მან მკაცრად გააკრიტიკა ნოე ჟორდანია იმხანად ჰამბურგში გამართულ მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე დასწრებისა და იმ რეზოლუციაზე ხელის მოწერისათვის, რომელიც გმობდა საფრანგეთის ოფიციალურ პოლიტიკას, მოითხოვდა რურის ევაკუაციას, მხარს უჭერდა საბჭოთა ქვეყნის იურიდიულ ცნობას, მასთან დიპლომატიურ თუ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას და სხვ. სპირიდონ კედიას სიტყვით, ნოე ჟორდანიას ეს

ნაბიჯი იყო „ყოვლად მიუღებელი და უტაქტო საქციელი“ საფრანგეთის მიმართ, რომელმაც შეიფარა ქართული ემიგრაციაც და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კვლავაც საქართველოს კანონიერ ხელისუფლებად თვლიდა. „ნოე ჟორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეა და ეკუთვნის მთელ ერს და არა რომელიმე კლასს ან წოდებას ... ეს მას ავალებს კერძო და კლასიკურ გულისთქმაზე ამაღლებას“ — შენიშნავდა სპირიდონ კედია და დასძენდა: 1924 წლის ავგისტოს აჯანყებისადმი მიძღვნილი ნ. ჟორდანიას ნაშრომი „რა მოხდა“ მოწმობს, რომ მთავრობის მეთაურმა დატოვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სარბიელი და გადაინაცვლა პარტიულ ასპარეზზე. იგი დაუბრუნდა კლასთა ბრძოლის ქადაგებას და საბოლოოდ დაადგა თავისი პარტიის ჰეგემონიის და სოციალისტური იდეოლოგიის პოლიტიკას (*სპ. კედია 1925 ბ, 3*).

სპირიდონ კედიას ეს პოზიცია ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა „ფრონტის გარღვევად“ შეაფასეს, დაგმეს და გაკიცხეს იგი.

ნოე ჟორდანიასა და მის თანაპარტიელთა საპასუხოდ სპირიდონ კედია წერდა: „არის ისეთი მომენტი და მდგომარეობა, რომ შემცდარ და მავნებელ ნაბიჯებს ქვეყანას უფრო აარიდებ, როდესაც დადგები იმგვარი ერთობის გარეთ, როგორც აქ დღემდე სუფევდა“ (*სპ. კედია 1925 ა, 2*).

ემიგრაციაში ჩამოყალიბებული „ერთობა“ არ იყო მყარი და რამდენადმე მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. უფრო მკაცრ შეფასებას ალექსანდრე ასათიანი იძლევა. ადარებდა რა ერთმანეთს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ საქართველოსა და უცხოეთში შექმნილ ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, იგი მიუთითებდა: „საქართველოს მებრძოლი ფრონტი იყო რეალური მოვლენა და დიდი სინამდვილე პატრიოტულ თავდადებასა და თავგანწირვაზედ აღმოცენებული, სამშობლოსათვის დაღვრილი წმინდა სისხლით გაქვითკირებული, ხოლო ჟორდნია-რამიშვილის „ეროვნული ფრონტი“ არის სიყალბე, ფიქცია, შინ და გარეთ მოსატყუებლად და სასპეკულაციოდ მოგონილი“ (*ალ. ასათიანი 1928, 210*).

სპირიდონ კედიამ მიზნად დაისახა „ქართველთა მთლიანობის აღდგენა ემიგრაციაში“, რისთვისაც საჭიროდ მიიჩნია, არ-

სებული პარტიებისა თუ მიმართულებების გაუქმება, მათი დაშლა და ერთიანი ეროვნული ორგანიზაციის შექმნა, რომლის ხელმძღვანელი ცენტრი ჩამოყალიბდებოდა პიროვნებათა შერჩევის პრინციპით (*ე. პაგარიძე 1939, 10-11*). „ცხოვრებამ მოსპო და წალეკა პარტიული ასპარეზი, პროგრამა და მოქმედება" — წერდა იგი. სპირიდონ კედიას აზრით, „ეროვნული პოლიტიკა უნდა სწარმოებდეს სულ სხვა საფუძველზე, ვიდრე ეს იყო დღემდე... არა პარტია და მისი პროგრამა, არამედ მთლიანი ერი და მისი ეროვნული დოგმა, აი, რით უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მეთაურმაო" (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 361*).

საქართველოს ეროვნული თავისუფლების ნიადაგზე მებრძოლ ძალთა თანხმობისა და მთლიანობის იდეა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბუნებიდან გამომდინარეობდა და იგი ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა ნააზრევს ეფუძნებოდა. ამდენად, სპირიდონ კედიას აზრი თვისობრივად ახალი არ ყოფილა. თვითონვე ჯერ კიდევ 1916 წელს აღნიშნავდა: „რას ვეტყვით მომავალს, თუ დღევანდელი დრო, აღსავსე მრავლის შესაძლებლობით, ქაოსს მოვანდომეთ, პარტიულ განსხვავებას შევსწირეთ!... ჩვენ ჩვენის პროგრამებით და პარტიული გულისთქმით ხანმოკლე სტუმრები ვართ. საქართველო და მისი სიცოცხლე კი საუკუნოებით არ ამოიწურება" (*ს. კედია 1916 ბ, №277*). ცნობილია ასევე, რომ ნიკო ნიკოლაძემ 1919 წლის ოქტომბერში საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გამოსვლისას, პოლიტიკური პარტიების არსებული ფორმით შენარჩუნება ანაქრონიზმად მიიჩნია და წამოაყენა მათი განახლება-გადახალისების წინადადება (*ო. ჯანელიძე 1998, 54*), რაც მაშინ გაზირებული არ ყოფილა.

შემდგომმა დრომ და მოვლენებმა, განსაკუთრებით, ემიგრაციის რეალობამ, სპირიდონ კედია უფრო მეტად დაარწმუნა ამგვარი შეხედულების სისწორესა და მისი პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობაში. გიორგი გვაზავაც იმხანად მხარს უჭერდა, ასაბუთებდა: „პარტიობას აქვს თავისი ფასი და ღირებულება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო თავისუფალია. მაგრამ, როცა ქვეყანა დამხობილია და იქ ბატონ-პატრონია უცხო ძალმომრეობა, როცა ფეხით გათელილია საერთაშორისოდ ცნობილი დამოუკიდებლობა, მაშინ მიზანი ერთია ყველასათვის, განურჩევ-

ლად პარტიისა: აღდგენა დამოუკიდებლობისა“ (ვ. ვეკუა 1998, 12).

თავისი გეგმის ხორცშესხმის მიზნით, სპირიდონ კედიამ პარიზში ქართულენოვანი ჟურნალი დააარსა, რომელსაც „სამშობლოსათვის“ ერქვა. ეს გამოცემა არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, არამედ ზოგადად — „ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანად“ იწოდებოდა და სპირიდონ კედიას რედაქტორობით 1925 წლის მაისიდან მომდევნო წლის დამდეგამდე (ნ. კირთაძე 1998, 629) ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა (ვ. შარაძე 2001 ა, 261).

საინტერესოა, რომ ჟურნალის პირველმა ნომერმა არალეგალური გზით საქართველოშიც შემოაღწია და ძალიან მაღალი შეფასება ჰპოვა, განსაკუთრებით ეროვნულ-პატრიოტულ წრეებში: „ძლივს გავიგონეთ ნამდვილი ქართული სიტყვაო“ (ხ. ჩიკავაძე-კვლია 2002, 361). ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბუნებრივია, სხვაგვარი რეაქცია ჰქონდათ, ისინი ამ გამოცემას „ხულიგნურ ფურცლებად“ მოიხსენიებდნენ (ლ. ოლობერიძე 1925, №275, №277).

„სამშობლოსათვის“ ირგვლივ ვრცელ მსჯელობას აძნელებს ის გარემოება, რომ ჯერ-ჯერობით ჟურნალის მხოლოდ ოთხიოდე ნომერზე მიგვიწვდება ხელი. ეს სტამბური გამოცემა ხან 8, ხანაც 12 გვერდს შეიცავდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ დროს ჯერ კიდევ ერთიანი იყო, მაგრამ ახალმა ორგანომ ძირითადად სპირიდონ კედიას თანამოაზრე ახალგაზრდები გააერთიანა. ისინი იყვნენ დაკავებული ჟურნალის აწყობითა თუ გავრცელებით.

სარედაქციო წერილებს უმთავრესად სპირიდონ კედია წერდა. მათში კარგად ჩანს პატრიოტი მოღვაწის მისწრაფება, ეროვნული იდეის საფუძველზე შემოიკრიბოს უცხოეთში გაბნეულ თანამემამულეთა ის ნაწილი, რომელსაც ძალუძს პარტიულ ინტერესებზე მაღლა სამშობლო და მისი თავისუფლება დააყენოს. ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული ჟურნალის სხვა პუბლიკაციებიც მიხაკო წერეთლის, რაფიელ ინგილოს, შალვა მაღლაკელიძისა თუ სხვათა ავტორობით.

სპირიდონ კედის განზრახვის რეალიზება არ გამოდგა იოლი. პარტიული დროშის გვერდზე გადადება ესერული, ფედერალისტური თუ სოციალ-დემოკრატიული პრინციპებით გამიჯნუ-

ლი ბევრი ქართველი ემიგრანტის თვალში საკუთარი ეროვნულის დავიწყებად, განვლილი რევოლუციური გზის უარყოფად ჩანდა.

უნდა ითქვას, რომ სპირიდონ კედიას თვალსაზრისს აქტიური მომხრენი არც ეროვნულ-დემოკრატთა წიაღში გამოსჩენია. მეტიც, — სპირიდონს არაერთი თანაპარტიელი კიდევაც დაუპირისპირდა.

ცნობილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დიდი შინაგანი სიმტკიცითა და მონოლითურობით არც თავიდანვე გამოირჩეოდა. პოლიტიკური ორგანიზაციის ოფიციალური დაფუძნებიდან წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის განმავლობაში მას ჯერ ერთი ჯგუფი გამოეყო საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის სახით, ხოლო შემდეგ მეორე ჯგუფიც ჩამოშორდა, რომელმაც დამოუკიდებელი ნაციონალურ-დემოკრატიული (იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული) პარტია ჩამოაყალიბა. მართალია, 1921 წლის იანვარში მოხერხდა განდგომილთა უკანვე დაბრუნება და ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთებაც კოტე აფხაზის უპარტიოთა კავშირის სახით, მაგრამ ბრძოლის უშუალო ასპარეზიდან მოწყვეტამ და ემიგრაციის მკაცრმა სინამდვილემ პარტიის სიღრმეში დაფარული ბზარი ღრმა ნაპრალად გადააქცია, ეროვნულ-დემოკრატთა ერთიანობა ამჟამად საბოლოოდ დაირღვა.

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ პოლიტიკური ემიგრაციის დაქსაქსულობის მთავარი მიკრობი „პირადი ამბიციები“ იყო (*ბ. არძე 1938, 8, 9*). მართლაც, ცალკეული ჩვენი თანამემამულის გადაჭარბებული თავმოყვარეობა, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობა ემიგრანტთა გახლეჩაში არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა, მაგრამ უცილობელი ფაქტია ისიც, რომ ქართული ემიგრაციის (თუნდაც პოლიტიკური პარტიების შიგნით) დაშლა-დანაწევრების პროცესს აღრმავებდა საბჭოთა ხელისუფლების შეუნელებელი ძალისხმევაც — უცხოეთში საგანგებოდ ამ მიზნით მივლინებულ „ჩეკას“ მრავალრიცხოვან აგენტთა თუ განსაკუთრებულ ემისართა ძირგამომთხრელი საქმიანობა. შედეგი საკვალალო იყო: თითქმის ყოველ ხუთ ემიგრანტზე მოდიოდა ერთი ლიდერი, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა, რომ „მის ხელთ არის საქართველოს განთავისუფლების უებარი წამალი. მხოლოდ ის საქმე ვარგა, რომელსაც იგი მეთაურობს; გარეშე ამისა ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველივე ეშმაკისაგან არის და... მავნე და საზარალოა“ (*ბ. ანიძე 1938, 9*).

ალექსანდრე ცომაიას სიტყვით: ისეთ ქართველს ვერ იპოვით და ისიც ემიგრაციაში, რომელსაც საქართველოს დასახსნელად რაიმე გეგმა არ ჰქოდნეს. შესაძლოა ჩვენი ტრაღედიაც იმაშივე იყვეს, რომ ყველანი, უფლებისა და შეძლების უკითხავად გეგმებს თხზავენ და ამით ხშირად ხელის შეწყობის მაგიერ აფერხებენ სხვათა მიერ გონიერად მოსაზრებულ მოქმედებას“ (*ა. ცომაია 1934, 4; 2000, 22*).

ლიდერომანია მეტად მტკივნეულად შეეხო ემიგრაციაში მოქმედ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. სპირიდონ კედიას და მის თანამოაზრეებს პირველად გაზეთ „მამულიშვილის“ ირგვლივ დაჯგუფებული რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, რაფიელ ინგილო და სხვ. დაუპირისპირდნენ. 1929 წელს ყველა ესენი ალექსანდრე ასათიანის ბანაკში გაერთიანდნენ და ჟურნალი „სამშობლო“ გამოსცეს. მათვე შეუერთდა ელისე პატარიძე.

იოსებ დადიანი, ივანე ზურაბიშვილი, ახალგაზრდა თაობის დიდი ნაწილი, მათ შორის: ალექსანდრე ცომაია, დიმიტრი სინჯიკაშვილი, გრიშა ცხაკაია, ვიქტორ შუბლაძე, მიხეილ ქავთარაძე და სხვ. სპირიდონ კედიას მხარეზე დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ ბერლინში არსებულმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთელმა ორგანიზაციამ (ტიტე მარგველაშვილი, ნიკო ნაკაშიძე, კ. ხოშტარია და სხვ.) უყოყმანოდ პარტიის პირველი თავმჯდომარის ერთგულება შეინარჩუნა (*ხუსსა, მიკროფილები, საქ. 910, ფურცელ. 3*).

ცოტა მოგვიანებით პარტიას გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატთა გიორგი გვაზავას ჯგუფი (ივანე ზურაბიშვილი ამ უკანასკნელს მიემხრო. 1929-1935 წლებში გამოსცემდნენ გაზეთ „საქართველოს“).

როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, დაიწყო ერთმანეთის გმობა, კიცხვა, ძრახვა და აუგად მოხსენიება. საქმე უფრო შორსაც წავიდა: როცა სპირიდონ კედიამ უარი თქვა ეროვნულ-დემოკრატთა პარიზის კომიტეტის თავმჯდომარეობაზე, ამ კომიტეტმა 1927 წ. 2 ნოემბერს იგი საერთოდ „პარტიიდან გამორიცხულადაც გამოაცხადა“ (*ჯ. ბარაძე 2001 ბ, 43*).

შალვა ამირეჯიბმა გაზეთ „მამულიშვილის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ტენდენციური ხასიათის პოლიტიკური ესსე „ბუნებისათვის ლიდერისა“, რომელშიც ნათქვამია: კედია მსხვერპლია იმ ძირითადი ნაკლისა, რომ მას ლიდერის არც ერთი თვისება არ ჰქონდა, თუ ილია ჭავჭავაძის იდეალი ეროვნული ზავი იყო, კედიამ იგი შინაურ პოლიტიკურ ომად შესცვალა, კედიამ პარტიიდან საქმე გააგდო და მარტო იდეოლოგიაზე დაჯდა. კედია არასოდეს მისდევდა ფეხდაფეხ პარტიას და დღეს სამუდამოდ ჩამოშორდა მას და სხვ. (*ქ. ამირეჯიბი 1928, 9*).

ალექსანდრე ასათიანი აცხადებდა: სპირიდონ კედია „ჩაითრია ემიგრანტული დეპრესიის ჭაობმა და მებრძოლი პარტიის ასპარეზს ჩამოაშორა (*ალ. ასათიანი 1932, 62*); „ის ჩვენი წრიდან გაიქცა თუ სხვებმა გააქციეს“ (*ალ. ასათიანი 1933, 29*). რაფიელ ინგილო წერდა: „სპირიდონ კედიას დასნეულების გამო ასათიანს უნდოდა ხელთეღო და ეტვირთა პარტიის მეთაურობა და ამას არავინ გამოედავაო“ (*რ. ინგილო 1954, 20*).

თავის მხრივ გიორგი გვაზავა ასაბუთებდა: პარიზში დაარსებული „სამშობლოს“ ჯგუფი, რომელიც თავის თავს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებს, არც ეროვნულია და არც დემოკრატიული. „ის არ არის ეროვნული, რადგან უარს ჰყოფს ეროვნულ მომენტს ისტორიულ პროცესის დაფასებაში და შეაქვს განხეთქილება ქართველობაში. ის არ არის დემოკრატიული, რადგანაც „დემოსი“ იმას მხოლოდ საკუთარი თავი ჰგონია და არა ერი. ... ამისთანა „პარტია“ ჩვენთვის ახალია. იმას წარსული არა აქვს, მომავალიც არ ექნება (გ. გვაზავა 1929, 18). ან კიდევ: „ჩვენ ვიცოდით, რომ ბატონმა კედიამ დიდი ხანია მიატოვა დემოკრატიზმის ნაპირები, მაგრამ არ გვეგონა, რომ წავიდოდა აგრე შორს. ახლა დაბრუნებაც არ შეუძლიან: ჩააქრო ყველა მაიაკები“ (*გ. გვაზავა 1928, 12*).

სპირიდონ კედიამ პარფიუმერიის ცნობილი ფრანგი მრეწველის ფ. კოტისა და მემარჯვენე პოლიტიკური მოღვაწის ლ. მარინის თანადგომით 1932 წელს პარიზში ახალი ქართულენოვანი გაზეთი — „ერის გუშაგი“ დააფუძნა და პრესის ფურცლებიდან ამხელდა „პარტიულ დისიდენტებს“ (გაზეთი 1936 წლამდე გამოდიოდა).

სპირიდონ კედიას მხარში ამოუდგა 1927 წელს დაარსებული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ახალგაზრდობის კავშირი, რომლის პარიზის კომიტეტი 1939 წლამდე გამოსცემდა ჟურნალს „ახალი ივერიის“ სახელწოდებით.

სრული სიმართლეა და უნდა დავეთანხმოთ ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას, რომელიც აღნიშნავდა: ეროვნულ-დემოკრატთა „დაქუცმაცებული ჯგუფები ერთმანეთის კილვასა და ურიგობას უფრო ემსახურებოდნენ, ვიდრე ეროვნულ ინტერესებს, ვერც ერთმანეთში რიგდებოდნენ“ (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 365*).

მართლაც, გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ, პოლიტიკური ორგანიზაციის ცალკეულ წევრთა თუ ჯგუფთა დაუსრულებელი ურთიერთკინკლაობა და ქიშპი არ შეშვენის და ჩრდილს აყენებს ამ პარტიის სახელოვან ტრადიციებს. სათქმელია ისიც, რომ ემიგრანტულ პრესაში შემორჩენილი, ემოციებზე დაფუძნებული და მეტწილად დაუსაბუთებელი ურთიერთბრალდებები ვერც ამ სათაკილო კამპანიაში მონაწილე პიროვნებათა ბიოგრაფიებს მატებს ღირსეულ ფურცლებს. ყოველივე კი ვნებდა დიდ ეროვნულ საქმეს, აკნინებდა პოლიტიკური ემიგრაციის ძლიერებას და წყალს ასხამდა საბჭოთა ხელისუფლების წისქვილზე.

საქართველოს ბოლშევიკური მმართველობაც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ისედაც მტკიცე კავშირს მოკლებული ქართული ემიგრაცია და მისი წევრები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებინა ერთმანეთისათვის. სპეციალური დავალებით საზღვარგარეთ წარგზავნილი ემისრები ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებას ურჩევდნენ, ცდილობდნენ გადაებირებინათ თვალსაჩინო და გავლენიანი მოღვაწეები, რომლებიც თავიანთი მაგალითით შემდეგში სხვებსაც მიიმხრობდნენ. ამ გზით დასუსტებული პოლიტიკური ემიგრაცია ძველებური აქტივობით ვეღარ შეძლებდა ანტისაბჭოთა საქმიანობას და ბრძოლას დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

თვით საქართველოში, ძალაუფლებას დაპატრონებული კომუნისტური ხელისუფლება ემიგრანტებს სამშობლოს მოღალატეებად აცხადებდა, ათასგვარი ცილისწამებით, უსაფუძვლო ხმების დაყრითა თუ სხვა პროპაგანდისტული ხერხებით სახელს უტეხდა მათ თანამემამულეთა თვალში. განსაკუთრებული მძულ-

ვარებით თავს ესხმოდნენ ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, სპირიდონ კედიასა და სხვ., რომელთაც ხან უცხო ქვეყნების აგენტებად და ჯაშუშებად ნათლავდნენ, ხან მონარქისტებად იხსენიებდენ ან კიდევ ფაშისტებს უწოდებდნენ.

ამ მხრივ საგულისხმოა პუბლიკაცია, რომელიც 1925 წლის ნოემბერში გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. მისი ავტორი, საქართველოს კომუნისტური ელიტის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, ლევან ღოღობერიძე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს რუსეთის მონარქისტულ წრეებთან თანამშრომლობასა და საფრანგეთის კონტრდაზვერვის აგენტობაში ადანაშაულებდა. წერილში ვკითხულობთ: პატრიოტულად განწყობილი ქართველი ინტელიგენციისათვის ყველაზე დაუჯერებელი სიურპრიზი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ აგვისტოს აჯანყებაში წილი უდევს სპირიდონ კედიას,* „რომელსაც საფრანგეთის კონტრდაზვერვასთან ურთიერთდამოკიდებულებაში აქვს ყველაზე მეტი სტაჟი. ის ჯერ კიდევ 1922 წელს სტამბოლში პირადად იღებდა ჯილდოს საფრანგეთის კონტრდაზვერვის ოფიცრისაგან 200 ოსმალურ ლირას, ამიერკავკასიაში წითელი არმიის დისლოკაციის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის“ (1922 წელს სპ. კედია თბილისის ციხეთა პატიმარი იყო — ო. ჯ.).

კიდევ მეტი: — აღნიშნულია გაზეთში — სპ. კედია არანაკლებ ცნობილ მის კოლეგასთან და თანამებრძოლთან ერთად... წარუდგა „მის იმპერატორობის უდიდებულესობას, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს“ კირილე ვლადიმერის-ძეს, რომელსაც მათ გამოართვეს რამდენიმე ათასი ფრანკი და წინასწარ დაუდასტურეს „სტატ-სეკრეტარ“ გრაფ ბობრინსკის ქართველი ხალხის უქვეშევრდომილესი გრძნობები „საყვარელი მონარქისადმი“.

ამასთან ერთად, ბატონ კედიას არ შერცხვა ასეთივე მაღალი გრძნობები გამოეთქვა „უმღლეს წინამძღოლის“ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისადმი, რისთვისაც იმპერატორის სალარო №1-დან მას მიეცა 10 ათასი ფრანკი აგვისტოს აჯანყების დღეებში „ქართული საქმის“ დასახმარებლად“ (*ლ. ღოღობერიძე 1925, №277*).

---

* ფაქტია, რომ სპირიდონ კედიას 1924 წ. აგვისტოს ამბოხებაში მონაწილეობა არ მიუღია. მეტიც, იგი წინააღმდეგი იყო აჯანყებისა - იხ. ზემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად სამარცხვინო იყო, რომ ამგვარ მაკომპრომეტირებელ მასალას ერთმანეთის წინააღმდეგ თვით ქართველი ემიგრანტებიც იყენებდნენ. მაგალითად, „კომუნისტის" ხსენებული პუბლიკაციის დამოწმებული ნაწილი, უკომენტაროდ, თავის გაზეთში გადაბეჭდა გრიგოლ ვეშაპელმა (*„ახალი საქართველო", 1926, №17*).

სპირიდონ კედიას სახელის გასატეხად როგორც ბოლშევიკთა პროპაგანდისტულმა ისე ემიგრაციის სოციალ-დემოკრატიულმა წრეებმა სცადეს გმოეყენებინათ იმხანად ფართოდ გახმაურებული ყალბი საბჭოური ფულის — „ჩერვონეცების" დამზადების ისტორია. გერმანიაში დაგეგმილი და განხორციელებული ეს აქცია სსრ კავშირის ფინანსური სისტემისათვის ძირის გამოთხრას ისახავდა მიზნად.

მიუნხენსა და მაინის ფრანკფურტში დიდი ოდენობით ყალბი „ჩერვონეცების" მოჭრაში, მათი საბჭოთა რუსეთში შეტანის მიზნით, ჩაბმული იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი შალვა ქარუმიძე და მეორე ქართველი ემიგრანტი ვ. სადათიერაშვილი. ამ საქმესთან კავშირი ჰქონდათ გერმანიის ერთ-ერთი მსხვილი ბანკის თანამშრომლებს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რაიხსვერის მაღალჩინოსნებსაც. საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, როდესაც ქართველმა „შეთქმულებმა" ყალბი ფულის გადაცვლა თვით გერმანიაში, აქაურ ოფიციალურ მარკეტზე დაიწყეს. ორივე ჩვენი თანამემამულე რამდენიმე სხვა პირთან ერთად დაპატიმრებულ იქნა (*ნ. კეკვაძე 1993, №17*).

საქმის გამოსაძიებლად პოლიცია პარიზში სპირიდონ კედიასაც მისდგომია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაური დასაკითხად კომისარიატში დაუბარებიათ (შალვა მაღლაკელიძის მოგონებით, ყალბი ფულის საქმის გამო უსაფუძვლო რეპრესია განუცდია ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც (*შ. მაღლაკელიძე 1991, 73–74*)).

ეს ამბავი ქართველ სოციალ-დემოკრატებს სასწრაფოდ გაუხმაურებიათ, ადგილობრივი ფრანგული გაზეთისათვის წერილობით უცნობებიათ, რომ სპირიდონ კედია გარეულია მაქინაციაში.

სპირიდონმა იმავე გაზეთში მაშინვე დემანტი მოათავსა და ფართო საზოგადოებას თავისი უბრალოება ამცნო. შალვა ქარუმიძე საქვეყნოდ გაიძახოდა: „ეს საქმე რომ დავიწყეთ, ერთმანეთს ფიცი მივეცით, სპირიდონისათვის არ გვეთქვა, ამაში ის ვერ დაგვეხმარებოდა, დაშლით კი დაგვიშლიდაო". ვ. სადათიერაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც იმეორებდა: „რას ჩააცივდნენ სპირიდონს, ამ საქმეში არ იყო ჩახედულიო“ (*ს. ჩოკაევაძე-კვლია 2002, 364*).

„ჩერვონეცების“ საქმეზე სასამართლო პროცესი რამდენიმე წელს გაგრძელდა. შ. ქარუმიძესა და ვ. სადათიერაშვილს მცირე სასჯელი — წინასწარი პატიმრობა აკმარეს დ ამნისტიის ძალით გაანთავისუფლეს. მოგვიანებით საქმე სააპელაციო სასამართლომაც განიხილა. სპ. კედია მოწმედ გამოიძახეს. იგი გამოცხადდა სასამართლოში, მაგრამ ჩვენების მიცემა აღარ დასჭირდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ამ აქციასთან არავითარი შეხება არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ემიგრანტ ქართველ სოციალ-დემოკრატთა წიაღში ხსენებულ თემაზე დიდხანს არ შეწყვეტილა საუბარი.

სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეთა კომპრომეტაციის ცდები მხოლოდ ამით როდი ამოიწურა. ისტორიამ სხვა სამარცხვინო მასალაც შემოინახა:

1927 წლის მაისში საქართველოს საგანგებო კომისიამ დაატიმრა თურქეთიდან სამშობლოში შემოგზავნილი სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული ბიუროს ემისარი ივანე ქარცივაძე. ჩხრეკისას მას აღმოუჩინეს ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის წერილები, რომლებიც იატაკქვეშეთში გაბნეულ საკუთარ თანაპარტიელთათვის იყო განკუთვნილი. ნოე რამიშვილი პარიზიდან იწერებოდა: „ჩვენ ახალი მტერი გაგვიჩნდა ეს არის ფაშისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობენ: სპ. კედია, ალ. ასათიანი, ლ. კერესელიძე, გენერალი კვინიტაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი... და მიხაკო წერეთელი... მათ აიყოლიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმდევარი ახალგაზრდობა და მიზნად დაისახეს ჩვენი პარტიის და სოციალისტების დასამარება. მთელი ეს ჯგუფი დაკავშირებულია ფულით და საქმით შალვა ქარუმიძესთან, რომელიც ჩეკას აგენტია... ასათიანი და კერესელიძე მაინც, თუ სხვები არა, ბოლშევიკთა აგენტების შთაბეჭდილებას ახდენენ. ფაშისტთა ჯგუფი გადაბმულია რუს მონარქისტებთან და მზადაა დაკმაყოფილდეს ავტონომიით, ოღონდ თავიდან მოიშოროს სოციალისტები, აგრეთვე ისინი ყველგან დაძრწიან და ცდილობენ ამიერკავკასიაში იტალია შემოიყვანონ და მისი მანდატი დააწესონ. ... ისინი აშკარად ამზადებენ იტალიის დახმარებით აჯანყებას.

„მათი გეგმა უნდა ჩავფუშოთ“ — მოძღვრავდა ნოე რამიშვილი თანაპარტიელებს და საამისო გეგმასაც სთავაზობდა: „პირველ რიგში შეეცადეთ... ფაშისტებს ხალხის თვალში სახელი გაუ-

ტეხოთ“, — შემდეგ კი, აღნიშნულია წერილში — „აუცილებელია შევქმნათ დამოუკიდებლობის (ან განმათავისუფლებელი) კომიტეტი სამი პარტიისაგან: სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და მთლიანი ფრონტის მომხრე ეროვნულ-დემოკრატები (ამირეჯიბ-გვაზავას ჯგუფი)“ (*„კომუნისტი“, 1927, №144*) (როდესაც სპირიდონ კედიამ ემიგრაციაში არსებული „ეროვნული ფრონტიდან“ თავისი პარტიის ოფიციალური გასვლის შესახებ განაცხადა, გიორგი გვაზავამ და შალვა ამირეჯიბმა ეს თვალსაზრისი არ გაიზიარეს და ნოე ჟორდანიასთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოხატეს. ზემოთ სწორედ ეს ფაქტი იგულისხმება).

ნოე რამიშვილის წერილი საბჭოთა ხელისუფლებამ ვრცელი კომენტარით სასწრაფოდ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა. გაზეთის ამ ნომერმა საფრანგეთში ჩააღწია (უნდა ვიფიქროთ, თბილისიდან სპეციალურად გაავზავნიდნენ). პუბლიკაციამ ემიგრაციის მემარჯვენე ფრთის აღშფოთება გამოიწვია. ქართულ ლეგაციაში ერთ-ერთი შეკრებისას ალექსანდრე ასათიანმა ნოე რამიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო შალვა ქარუმიძემ ეს უკანასკნელი დუელში გაიწვია. ორთაბრძოლა არ შემდგარა, რადგან სეკუნდანტებმა ქარუმიძეს ეს განზრახვა გადააფიქრებინეს და ურჩიეს, მტყუან-მართალი სასამართლოს მეშვეობით გაერჩია (*სუხსა, მიკროთეორები, საქ. 1092, ფურც. 7*).

უსაფუძვლოდ შეურაცხყოფილებს გამოექომაგა საფრანგეთში მოქმედი ქართული პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომელსაც იმხანად ლეო კერესელიძე მეთაურობდა და ნოე რამიშვილის მთავრობის წევრობისაგან გადაყენება მოითხოვა (*სუხსა, მიკროთეორები, საქ. 1087, ფურც. 133*).

1927 წლის 27 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, გიორგი კვინიტაძემ, ლეო კერესელიძემ, სპირიდონ კედიამ და ალექსანდრე ასათიანმა წერილით მიმართეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებულ მთავრობას, განაცხადეს, რომ „შეილახა მათი ზნეობრივი სახე და მამულიშვილური ერთგულება“, ცილისწამებულ რამიშვილს კი პასუხი არ მოეთხოვა. ამ უღირსი საქციელის შემდგომ შეუძლებელია ნოე რამიშვილი

კვლავ მთავრობის შემადგენლობაში იმყოფებოდესო (*სუსსა, მეკრეთერები, საქ. 1087, ფურც. 130*).

ნოე რამიშვილმა მთავრობის სხდომაზე უარყო „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილის ავტორობა, რომელმაც ასეთი ვნებათაღელვა გამოიწვია. ხსენებული პიროვნებები ჩეკას აგენტობაში არ დამიდანაშაულებია, მსგავსი ეჭვი მათ მიმართ არც გამომითქვამს და არცა მაქვსო — განაცხადა მან (*სუსსა, მეკროთერები, საქ. 1087, ფურც. 135*), მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა.

სოფიო ჩიჯავაძე-კედია იგონებს, რომ რამდენჯერმე სცადეს სპირიდონის თავიდან მოცილებაც, ბოლშევიკები „საშინლად ნანობდნენ, რომ ის ციხიდან გამოუშვეს და სხვებთან ერთად გადმოასახლესო.“ მემუარისტი აღწერს ორ შემთხვევას, როდესაც მიგზავნილი საეჭვო ადამიანები აპირებდნენ სპირიდონ კედიაზე თავდასხმას (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 367-368*).

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სპირიდონ კედია კვლავ რჩებოდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ერთ-ერთ გამორჩეულ და ავტორიტეტულ ხელმძღვანელად, რომელსაც იცნობდნენ და ანგარიშს უწევდნენ დასავლეთის ანტიკომუნისტური მოძრაობის თვით ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები. არსებობს ცნობები, რომ 20-იანი წლების შუა ხანებიდან სპ. კედიამ კონტაქტი დაამყარა დიდ ბრიტანეთის გავლენიან სახელისუფლებო და საქმიან წრეებთან საქართველოს განთავისუფლების საქმეში მათი შესაძლო გამოყენების მიზნით.

სპირიდონ კედიასთან დაახლოებული პიროვნება გიორგი გეგელია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში დაბრუნდა, იგონებდა: ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერთან შესახვედრად ბერლინიდან პარიზში ჩამოვიდნენ გერმანელი გენერლები ჰოფმანი და ფონ კრესი. მათ დააკავშირეს სპირიდონი ინგლისის მაშინდელ ფინანსთა მინისტრსა და მომავალ პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს. სპ. კედია ლონდონში სტუმრობისას შეხვდა როგორც ჩერჩილს, ასევე ინგლისის ნავთობის მაგნატს დეტერდინგს (*ფ. ლომაშვილი 1965, 102*). ამ უკანასკნელთან ქართველი მოღვაწის ურთიერთობის შესახებ ს. ჩიჯავაძე-კედიაც მოგვითხრობს. იგი წერს: სპირიდონი „დიდ გავლენიან ხალხს ხვდე-

ბოდა, მაგალითად, დეტერდინგს, რომელსაც გაუზიარა თვისი აზრი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა. ჰქონდათ ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ შეეგზავნათ პატარა რაზმი... რუმინეთიდან საქართველოში. დეტერდინგი მზად იყო ამ საქმისათვის მაშინვე დაედო საჭირო თანხა (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 380*). ხსენებული მოგონებიდან ვგებულობთ იმასაც, რომ სპირიდონ კედია ცდილობდა სამშობლოდან გახიზნული ქართველი მხედრები გაეგზავნა ინგლისში, რათა უსახსროდ მყოფი თანამემამულენი იქაურ საზღვაო ნაწილში დაესაქმებინა (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 380*).

სპირიდონ კედიას ინგლისელებთან კავშირ-ურთიერთობაზე საუბარია ერთ გვიანდელ საგაზეთო პუბლიკაციაშიც, რომლის თანახმად, 1927 წლის აპრილში ქართველი მოღვაწე ლონდონს ეწვია, სადაც იმხანად ჩამოყალიბდა „კავკასიის კოლონიების გაერთიანებისათვის მოქმედი ჯგუფი." სპ. კედიამ ალ. ასათიანთან ერთად ამ ჯგუფში საქართველოს წარმომადგენლობა იკისრა (*ბ. კაშა-ური 1996, №10*). ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ სპირიდონი არ ურიგდებოდა ემიგრანტის მძიმე ხვედრს და უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, უცხოეთიდან იღწვოდა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის.

1928 წლის შემოდგომაზე სპ. კედიას მეუღლემ, სოფიო ჩიჯავაძე-კედიამ, აბელ ენუქიძის დახმარებით, მოახერხა მიეღო უცხოეთის ვიზა და ქალიშვილთან ერთად საფრანგეთში ჩავიდა. ამის შემდეგ ოჯახი პარიზიდან 15-იოდე კილომეტრზე მდებარე დაბა კლამარში დასახლდა. ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი იძულებული ხდება, პოლიტიკური საქმიანობის გარდა, ოჯახის მოვლა-პატრონობაზეც იზრუნოს. იგი მუშაობას იწყებს თავისი ძველი მეგობრის, საქართველოს განთავისუფლების ეროვნული კომიტეტის თვალსაჩინო წევრის გიორგი მაჩაბლის პარფიუმერულ წარმოებაში. იმ დროს ფართოდ ცნობილი ხსენებული ფირმის ცენტრალური ოფისი ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარეობდა, საფრანგეთში კი მისი ფილიალი ამოქმედდა, რომელსაც სათავეში სპირიდიონ კედია ჩაუდგა (*ს. ჩიჯავაძე-კედია 2002, 324-341; ზ. ლაუშვილი 2000, 28-33*).

მეგობართა შორის ვერბალური შეთანხმების საფუძველზე, სპირიდონი გ. მაჩაბლის პარტნიორიც იყო და ფირმის აქციო-

ნერიც, რასაც მისთვის, სოლიდური დივიდენდი თუ არა, ნაგრ-
რების არსებითი პირობები მაინც უნდა უზრუნველეყო. მაგრამ ისე
მოხდა, რომ 1935 წელს გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემ-
დგომ, ამ უკანასკნელის რძალმა, რომელიც ამავე ფირმაში მუშა-
ობდა, უღირსი ხერხებით შესძლო სპირიდონის შევიწროვება. ამ
ქალის უზნეო საქციელს სპირიდონი ასეთივე უზნეობით ვერ დაუ-
პირისპირდებოდა, ამიტომ იგი თითქმის მშრალზე დარჩა, მაგრამ
უმწიკვლო რეპუტაცია შეინარჩუნა.

როგორც ვნახეთ, სპირიდონ კედიას პოლიტიკურ თუ ყო-
ფით ასპარეზზე პრობლემები არ კლებია, მაგრამ ეროვნულ-დე-
მოკრატთა მეთაური ამ უძნელეს პირობებშიც ცდილობდა შეენარ-
ჩუნებინა სულიერი სიმშვიდე, არასოდეს დაუკარგავს წონასწორო-
ბა და, რაც მთავარია, ინარჩუნებდა მზადყოფნას, რაიმეთი გა-
მოდგომოდა ბოლშევიკურ მარწუხებში ტყვედ მყოფ თავის საფი-
ცარ სამშობლოს.

## V.2. „ნუ ეშინოდეთ ტროცკის“

სპირიდონ კედია ტროცკის უშუალოდ არ იცნობდა, არც
არასოდეს შეხვედრია პირადად, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისი
წყალობით ტროცკი სიკვდილს გადაურჩა და იმ ფაქტის შემდეგ,
რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, კიდევ შვიდი წელი იცოცხლა.

ლევ ტროცკი (იგივე ლეიბა ბრონშტეინი) რუსეთის სო-
ციალ-დემოკრატიის და რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო
მოღვაწეა. საქართველოსთან და ქართველებთან ტროცკის დამო-
კიდებულების წარმოსაჩენად დაგვჭირდება, თვალი გავადევნოთ
მისი ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს.

ცნობილია, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშა-
თა პარტიის II ყრილობაზე, პროლეტარიატის ბელადის აქტიური
მხარდაჭერისათვის, ტროცკის „ლენინის ხელკეტი“ უწოდეს, თუმ-
ცა იგი, პარტიის წესდებისა და პროგრამის განხილვისას, მარ-
ტოვს მიემხრო და მერეც დიდხანს მენშევიკურ პოზიციებზე იდგა.
იცნობდა ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელს, ასევე რუსეთის III
და IV სახელმწიფო სათათბიროთა სოციალ-დემოკრატიული (მენ-
შევიკური) ფრაქციის ლიდერს კარლო ჩხეიძეს და მიმოწერა
ჰქონდა მასთან („ძვირფასო ნიკოლოზ სიმონის-ძევ, თავს ნებას

ვაძლევ, გამოვხატო თქვენდამი მადლიერება, იმ — არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რომელსაც ვიღებ თქვენი გამოსვლებით, განსაკუთრებით ბოლო სიტყვით ხულიგნობის შესახებ. და საერთოდ უნდა ითქვას: გული ხარობს, როცა ვკითხულობ ჩვენი დეპუტატების გამოსვლებს... გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას. გულითადად გართმევთ ხელს და სხვ.) (*Л.Троцкий 1990, 116-118*). ამ „გულითადობას“ ტროცკისათვის ხელი არ შეუშლია, შემდგომში უარყოფითად შეეფასებინა „ძვირფასი ნიკოლოზ სიმონის-ძე“. „ის აღჭურვილი იყო რუსეთის რევოლუციის ჟირონდის — მთიანი საქართველოს პროვინციალიზმის წარუხოცელი ბეჭდით“ — წერდა იგი მოგვიანებით კარლო ჩხეიძის შესახებ.

ტროცკი უფრო მაღალი წარმოდგენისა დარჩა ირაკლი წერეთელზე, რომელთან დაკავშირებითაც აღნიშნავდა: „ამ ჟირონდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე — პირველი ვიოლინო მენშევიკურ ორკესტრში იყო წერეთელი. მან მრავალი წელი გაატარა ციმბირის კატორღაში, მაგრამ დარჩა სამხრეთფრანგული ტიპის რადიკალად. ... მენშევიკთა შორის წერეთელს გააჩნდა, სულ მცირე, ყველზე ფართო თვალსაწიერი და ყველაზე ძლიერი სურვილი, გაეტარებინა თანმიმდევრული პოლიტიკა“ (*И.Дойчер 1991, 292*). სხვაგან კი მიუთითებდა: „თებერვლის რევოლუციის ბელადთა შორის ყველაზე დიდი მჭევრმეტყველი სწორედ ქართველი ირაკლი წერეთელი გახლდათ“ (*Л. Троцкий 1991, 124*).

შემდეგში, როდესაც ტროცკი მენშევიკებს გადაუდგა, მან საკუთარი გონებისა და კალმის მთელი ძალა გუშინდელ თანაპარტიელთა წინააღმდეგ მიმართა, ხაზი გადაუსვა თავის თითხმეტწლიან წარსულსა და მენშევიზმის უმთავრეს მახასიათებლად „პოლიტიკური სილაჩრე“ მიიჩნია. პარტიის აღიარებულ მეთაურებს ტროცკიმ ამგვარი ვერდიქტი გამოუტანა: „წარმოშობით წვრილი აზნაურები, ცხოვრების ნირითა და ფსიქოლოგიური ყაიდით წვრილი ბურჟუები, ჯიბეში ყალბი მარქსისტული პასპორტით — ასეთები შევიდნენ ქართული მენშევიზმის ლიდერები რევოლუციურ პოლიტიკაში. ბევრწილად სამხრეთულმა მგრძნობიარობამ და შეგუებლობის უნარმა აქცია ისინი სტუდენტური და საერთოდემოკრატიული მოძრაობის წინამძღოლებად. ციხეებმა, გადასახლებამ და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნამ განამტკიცა მათი პოლიტიკური ავტორიტეტი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმის პირობებში ლ. ტროცკი ორჯერ გაიქცა ციმბირის გადასახლებიდან, ამიტომ იძულებული იყო დიდხანს ეცხოვრა სამშობლოსაგან შორს, უცხოეთში. თუმცა კეთილი თვალით არც იქ უყურებდნენ. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას ჯერ საფრანგეთიდან გააძევეს პროგერმანული პროპაგანდისათვის, 1917 წელს კი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან რუსეთისაკენ მიმავალი, ინგლისის ხელისუფლებამ კანადაში დააპატიმრა და ინტერნირებულთა ბანაკში მოათავსა. ჩრდილოამერიკული „საპყრობილედან" რუსი რევოლუციონერი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ინიციატივით განთავისუფლდა, რომლის თავმჯდომარეც მაშინ ქართველი სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე იყო. დასრულდა ხანგრძლივი ემიგრაციის პერიოდი და ტროცკის შესაძლებლობა მიეცა, დაბრუნებულიყო რუსეთში.

1917 წლის ივნისში ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის ტროცკი ახლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ დააატუსაღა და ციხიდან მხოლოდ თვენახევრის შემდეგ, 3 ათასი მანეთის თავდებით იქნა გამოშვებული. მალე ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა და სწრაფადვე დაწინაურდა მის უმაღლეს იერარქიაში. იმავე წლის შემოდგომაზე იგი კ. ჩხეიძის ადგილს იკავებს — ხდება პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე და ენერგიულად უპირისპირდება ყოფილ თანამოაზრე მენშევიკებს.

ლ. ტროცკი აქტიურად მონაწილეობს ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებაში და პირველ საბჭოთა მთავრობაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პორტფელს ეუფლება. ამ პოსტზე მუშაობისას მას უშუალოდ უხდება შეხება საქართველოს საკითხებთან. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებზე გერმანიასთან ტროცკი ერთხანს სათავეში ედგა საბჭოთა რუსეთის ოფიციალურ დელეგაციას. საგულისხმოა, რომ ქართული ტერიტორიების ოსმალეთისათვის გადაცემის საკითხი მოლაპარაკების მსვლელობისას სწორედ იმ დროს დაისვა (1918 წლის 18 იანვარს), როდესაც ბოლშევიკურ სახელმწიფოს ტროცკი წარმოადგენდა (მანამდე დელეგაციის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ა. იოფე იყო).

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დადებულმა რუსეთ-გერმანიის სეპარატულმა ზავმა საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი გადაშალა. ლენინის მთავრობამ უსახელოდ დათმო კავკასიის ფრონტზე რუს-ქართველთა საბრძოლო მამაცობისა და იმპერატორ ალექსანდრე II დიპლომატთა ძალისხმევით ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონო-

ბისაგან თავდახსნილი და დედასამშობლოსთან 1878 წელს ერთებული მისი ძირძველი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები გერმანიის სამხედრო მოკავშირეს — თურქეთს გადაეცა. ბოლშევიკებმა ისე გაასხვისეს ისტორიული საქართველოს ღვიძლი მიწა-წყალი, რომ მისი კანონიერი მესაკუთრისათვის არაფერი უკითხავთ. რუსეთისაგან ოფიციალურად ჯერ კიდევ გამოუყოფელ, მაგრამ ფაქტობრივად დამოუკიდებელ ამიერკავკასიას ბრესტის სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობა არ მიუღია. საბჭოთა რუსეთის შესაბამისმა უწყებამ ამიერკავკასიის სეიმის მესვეურთ მიწვევა ბრესტ-ლიტოვსკში ჩასასვლელად შეგნებულად დაგვიანებით გაუგზავნა. დიდი პოლიტიკური ალღო და შორსმჭვრეტელობა ვერც ამ უკანასკნელებმა გამოიჩინეს და მოლაპარაკებაზე თავიანთი წამომადგენელი არ მიავლინეს. უმანდატო ქართველი დელეგატი, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი გიორგი მაჩაბელი, რომელიც ბერლინიდან საგანგებოდ ჩავიდა ბრესტში, თავის კომპეტენციის ფარგლებში ბევრს ეცადა, მაგრამ ამ უსამართლო გადაწყვეტილებაზე გავლენა ვერ მოახდინა.

თითქმის ამიერკავკასიის მდგომარეობაში მყოფმა უკრაინამ, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ბრესტში ოფიციალური დელეგაცია გაგზავნა (ხელმძღვანელი ვ. გოლუბოვიჩი), სერიოზულ წარმატებას მიაღწია, რაც გერმანიის მხრიდან მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ცნობაში გამოიხატა. ამან რუსეთს იმდენად მძიმე მდგომარეობა შეუქმნა, რომ ტროცკის ათქმევინა: „ეს იყო ყველაზე საზიზღარი სცენა, რომელიც მე განმიცდიათ.“ თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „ჩემი ცხოვრება“, საიდანაც ეს ციტატა დავიმოწმეთ, ლ. ტროცკი ბრესტის ზავზე საუბრისას საერთოდ არ ახსენებს საქართველოს (*Л.Троцкий 1991, 348-378*). უკიდეგანო რუსეთის შვილისთვის, რომლის სახელმწიფოს საზღვრები ცენტრალური ევროპიდან იწყებოდა და შორეულ აღმოსავლეთში იკარგებოდა, ხოლო ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან სამხრეთით წინა აზიამდე აღწევდა, უცხო იყო მცირერიცხოვან ერთა სამშობლო მიწა-წყლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ტროცკისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, სად გაივლიდა თურქეთთან საზღვარი — ჩოლოქზე თუ ჭოროხზე.

ბრესტის ზავსა და საქართველოზე მსჯელობისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ წერილობით წყაროს, რომელშიც

ნახსენებია ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ტროცკიც. ესაა ფრაგ-
მენტი ცნობილი ქართველი მსახიობის აკაკი ვასაძის მოგონებიდან,
რომელშიც მოთხრობილია ქართველი ინტელიგენციის წარმომად-
გენელთა შეხვედრებზე იოსებ სტალინთან მისსავე რიწის აგარაკ-
ზე. საბჭოთა ქვეყნის საჭეთმპყრობელს მიპატიჟებული სტუმრები-
სათვის უამბნია:

„ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების პე-
რიოდში, კავკასიის ფრონტის ჯარებს ერზრუმი არ ჰქონდათ და-
ტოვებული; საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ
ტროცკი იყო დანიშნული, ხოლო ამ კომისიის კონსულტანტად
ლენინმა მე მიმავლინა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი.
ამიერკავკასიის მთავრობებმა — განაგრძობს სტალინი — ჩვენს მი-
მართვაზე, თავისი წარმომადგენლები გამოეგზავნათ და მონაწი-
ლეობა მიეღოთ საზავო მოლაპარაკებაში, დუმილით გვიპასუხეს.
კაცი არ გამოჩნდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასაზღვრო
ინტრესები რომ დაეცვა... ჩემს თავზე მივიღე ამიერკავკასიის რეს-
პუბლიკებზე მოლაპარაკება ოსმალეთის დელეგაციასთან, რო-
გორც საბჭოთა რუსეთის დაინტერესებულმა წარმომადგენელმა
და ამიერკავკასიის ქვეყნების საზღვართა მცოდნემ ... ქიაზიმ ბეიმ
ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ისეთი პრეტენზიები წამოა-
ყენა, რომ მათი უარყოფა და დარღვევა არ გამჭირვებია. ყარსი
და არდაგანი რა საკითხავია, ბათუმიც თავის საზღვრებში მოიყო-
ლეს... ქიაზიმ ბეიმ საზღვრების გადასინჯვაზეც კი არ ისურვა მო-
ლაპარაკება და დიპლომატიური მსჯელობების შეწყვეტითაც და-
მემუქრა. მაშინ მე — დასძენს სტალინი — ფრიად მრავალმნიშვნე-
ლოვნად განვუცხადე: როგორც გენებოთ, მაგრამ საზღვრებზე სა-
უბრის გაგრძელება იქნება ერზრუმში მოგვიხდეს-მეთქი და წამოვ-
დექი. მოითმინეთ, მე სულაც არ მინდა თქვენი მომდურება, რუ-
სეთთან მხოლოდ კარგი დამოკიდებულებით ვარ დაინტერესებუ-
ლით და, კარგა ხანს ოსმალური ლათაიებით შემიქცია. მე მოკ-
ლედ ვუთხარი: დამარცხებული ქვეყნისთვის სასირცხვილო როდია,
თუ თავისი ძველი საზღვრების შენარჩუნებას მოინდომებს-მეთქი.
თანახმა ვარო, დამყვა ქიაზიმ ბეი და მეც დასრულებულად მი-
ვიჩნიე ჩემი მისია, მოსკოვში მოვემზადე წასასვლელად. გზაში
უეცრად ტიფი შემეყარა. მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ მოვა-
ხერხე წამოდგომა. კომისარიატში ძვლივს მივლასლასდი, რადგან
ლენინი ჩემთან ტელეფონით დალაპარაკებას ითხოვდა. ლენინმა
თავისთან გამომიძახა ახალი საზღვრების ხელშეკრულებათა გა-

საცნობად. მივედი და, რას ვხედავ: ქიზიმ ბეის კომისიის თავმჯდომარისთვის საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტის თვის მოუწერინებინა ხელი... როგორც შემდეგ გამოირკვა, ქიაზიმ ბეის ჩემი იქ არ ყოფნით უსარგებლია და, ოსმალო გაქნილ დიპლომატს, კარგა ლაზათიანად გაუცურებია ჩვენი თავმჯდომარე ტროცკი. რაღას ვიღონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებაზე" (ა. *ბასაძე 1990, 89-90*).

ამ, ერთი შეხედვით, საინტერესო მოგონებაში, რომელიც ვრცლად მოვიხმეთ, რამდენიმე თვალშისაცემი უზუსტობაა დაშვებული: ჯერ ერთი, ლაპარაკია ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მთავრობებზე, მაშინ როდესაც ბრესტის მოლაპარაკების პერიოდში ეს მხარე ჯერ კიდევ არ ყოფილა დანაწევრებული და უბრალოდ ამიერკავკასიად იწოდებოდა. მის საკანონმდებლო ხელისუფლებას სეიმი (თავმჯდომარე კ. ჩხეიძე), ხოლო აღმასრულებელს — კოალიციური მთავრობა (თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი) წარმოადგენდა. მეორე, მოგონებაში თურქეთის მხარის მთავარ წარმომადგენლად ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებზე მოხსენებულია ქიაზიმ ბეი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ოსმალთა დელეგაციას ბრესტში გენერალი ცეკკი ფაშა ხელმძღვანელობდა (*С.Мстиславский 1918, 47*). გარდა ამისა, საისტორიო დოკუმენტებში არაფერია აღნიშნული საერთოდ სტალინის მონაწილეობის თაობაზე ბრესტის საზავო მოლაპარაკებებში. ამგვარ ცნობებს ვერც სტალინის სიცოცხლეში გამოცემულ მის ყველაზე ვრცელ ბიოგრაფიაში შეხვდებით. ხსენებულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით ი. სტალინის ბიოქრონიკაში მხოლოდ შემდეგია ნათქვამი: „1917 წ. არა უადრეს 27 ნოემბრისა: ლენინი და სტალინი ადგენენ ზავის შესახებ მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტს." „1918 წ. 28 იანვარი: ლენინი და სტალინი საბჭოთა საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში დეპეშას უგზავნიან გერმანიასთან ზავის დაუყოვნებლივ დადების აუცილებლობის შესახებ." „1918 წ. 23 თებერვალი. ი. სტალინი პარტიის ცკ-ს სხდომაზე მხარს უჭერს ვ. ლენინს ბრესტის ზავის საკითხზე ტროცკისა და ბუხარინის წინააღმდეგ ბრძოლაში" (*ი. სტალინი 1948, 480-484*). ასე რომ, საეჭვოა თვით დამოწმებული მოგონების ი. სტალინიდან მომდინარეობაც, მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს საკითხს.

ლ. ტროცკი, ისე როგორც რუსეთის მთელი ბოლშევიკური ხელისუფლება უარყოფითად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მანაც უკომენტაროდ გაიზიარა ლენინის ცნობილი შეფასება: „საქართველოს დამოუკიდებლობა... სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ“ (*ვ. ლენინი 1952, 8*).

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულებას ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოსადმი მკაფიოდ და ნათლად წარმოაჩენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დიპლომატიური წარმომადგენელი მოსკოვში გაბრიელ ხუნდაძე. სახალხო კომისრებსა და მათ მოადგილეებს, ვისთანაც ქართველ დესპანს შეხვედრები ჰქონდა, პირდაპირ განუცხადებიათ, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია ვაღიაროთ თქვენი დამოუკიდებლობის აქტი, ვინაიდან ქართველი ხალხის უმრავლესობა მას არ იწონებს,“ „ჩვენ არ ვცნობთ არც თქვენს დამოუკიდებლობას, არც თქვენს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, არც თქვენს მთავრობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ განიხილება, როგორც ამბოხებული მთავრობა“ და სხვ. (*ვ. ხუნდაძე 1999, 47, 50*).

უნდა ითქვას, რომ თავისუფალი საქართველოსადმი მტრობა ბოლშევიკური რუსეთის სამთავრობო წრეებში არც შემდეგ ხანებში განელებულა. ლ. ტროცკი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას „მითს“ უწოდებდა, მიიჩნევდა, რომ „არასოდეს ყოფილა არც დემოკრატიული, არც მშვიდობიანი, არც დამოუკიდებელი, არც ნეიტრალური საქართველო, იყო მხოლოდ საერთო რუსული ბრძოლის ქართული პლაცდარმი“ (*Л.Троцкий 1922, 72*). მაგრამ იგი წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც იძულებულია მოიხსენიოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის: „ჩვენ დავდეთ მათთან ხელშეკრულება, რომელიც გაცილებით ნაკლებად, ვიდრე ანტანტის პროტექტორატი ლახავდა მათ დამოუკიდებლობას“ (*Л.Троцкий 1922, 67*). თუ არ არსებობდა ქართული სახელმწიფო და მისი ხელისუფლება, მაშ ვისთან და როგორღა გაფორმდა ხსენებული ხელშეკრულება, რომ-

ლითაც აღიარებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის დამოუკიდებლობა?

არანაკლებ საინტერესოა ლ. ტროცკის შემდეგი მსჯელობაც: „ჩვენ ვერ ვხედავდით პოლიტიკურ ინტერესს მენშევიკური საქართველოს სამხედრო ლიკვიდაციისა, თუმცა ამის სრული უფლება გვქონდაო," — წერს იგი და დასძენს: „თავს იმიტომ ვიკავებდით, რომ კარგად ვიცოდით: ბატონი მენშევიკები, თუ მათ ფეხზე დავაჭერდით, იყვირებდნენ დემოკრატიული ცივილიზაციის ყველა ენაზე... ქართველი მენშევიკი პოლიტიკოსები მთლიანად ინტელიგენტები იყვნენ, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტები და არ გვინდოდა მიგვეცა მათთვის მარჯვე საბაბი საერთაშორისო და „დემოკრატიული" ისტერიკისათვის" (*Л.Троцкий 1922, 66-676*).

ლენინი და ბოლშევიკები გარკვეული ხნის განმავლობაში მართლაც ცდილობდნენ, ანგარიში გაეწიათ დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი აზრისათვის, მაგრამ საქართველოში შემოჭრის დაყოვნება უფრო მეტად რუსეთის შინავითარების გართულებით იყო განპირობებული. უცხოელ ინტერვენტთა მოგერიებისა და სამოქალაქო ომში გამარჯვებისთანავე რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას წითელი არმიის ნაწილები შემოუსია. „საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება ჩვენი ხელშეწყობით თვით საქართველოს მშრომელმა მასებმა გადააგდეს პანღურით ბათუმის ლუკიდან" — ირწმუნება ლ. ტროცკი. იგი ამ მოვლენას „სამხედრო ინტერვენციას" უწოდებს და შენიშნავს, რომ მან „სავსებით წარმატებულად ჩაიარა და საერთაშორისო გართულება არ გამოუწვევია, თუ არ ჩავთვლით ბურჟუაზიული პრესისა და მეორე ინტერნაციონალის გაშმაგებულ კამპანიას." იქვე ტროცკის არ ავიწყდება, ხაზი გაუსვას, რომ ეს საკითხი პოლიტბიუროში მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყდა. „მე მაშინ ურალში ვიყავით", — წერს იგი (*ლ. თროცკი 1991, 137*). ეს გარემოება ლევ ტროცკის — იმხანად რუსეთის სამხედრო უწყების მეთაურს, ცხადია, ვერ ააცილებს პასუხისმგებლობას ქართველი ერის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისათვის. საქართველოში სწორად ამოიცნეს მომხდარიცა და მისი მოთავენიც, ამიტომაც შეიქმნა ხალხური ლექსი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროცკისთვის, ლენინსა და სხვა ბოლშევიკებთან ერთად, სანრეხობელას ნატრობდა (*ვ. გურული 1999, 129*).

ბოლშევიკთა ანტიქართული საქმიანობა ჩვენში თუ საქართველოს მიღმა, მეტნაკლები სისრულით, ცნობილი იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისეთი მედგარი დამცველისათვის, როგორსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და განსაკუთრებით მისი თავმჯდომარე სპირიდონ კედია წარმოადგენდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ხშირად მოუწოდებდნენ ცალკეულ კომუნისტთა თუ მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ გადამჭრელი მოქმედებისაკენ, აფრთხილებდნენ ხელისუფლებას ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხისა და აგრესიის შესხებ და სხვ. დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ კოორდინატორად მოგვევლინა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების მხარდამხარ, იარაღით ხელში, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას უწინამძღვრა. ცხადია, ქართველ მამულიშვილებს დამპყრობთა მიმართ შურისძიების გრძნობაც ამოძრავებდათ და ეს იმ ვითარებაში ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა, მაგრამ მაშინ „სისხლის აღება" ვერ მოხერხდა...

1924 წლის იანვარში ლ. ტროცკი საქართველოში ჩამოვიდა. სხვათა შორის, ლენინის სიკვდილის ამბავი მან თბილისის რკინიგზის ვაგზალში, მატარებლის საკუთარ ვაგონ-სალონში შეიტყო, რომლითაც მეუღლესთან ერთად დასასვენებლად სოხუმში მიემგზავრებოდა. ტროცკიმ შავი ზღვის სანაპიროზე ჯანმრთელობა გაიკაჟა და ქართველ კომუნისტთა მასპინძლობითაც კმაყოფილი დარჩა. თუმცა აქაურმა „კურთხეულმა კლიმატმა" და ბუნებრივმა სიმდიდრემ მას ჩვენს ქვეყანაზე დადებითი შთაბეჭდილება ვერ შეუქმნა. „საქართველო მეტისმეტად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო განუვითარებელი მატერიალური ბაზით. მას უფრო აზიური პატრიარქალიზმი ახასიათებდა, რაც აზიურ სისასტიკესაც არ გამორიცხავდა" — წერდა იგი მოგვიანებით (*ლ. ტროცკი 1991, 124*).

ტროცკი ზერელედ იცნობს საქართველოს ისტორიას. თავის ამა თუ იმ შეხედულების დასამტკიცებლად იგი სინამდვილის დამახინჯებასა და გაყალბებასაც არ ერიდება (*ვ. ნადირაძე 2000,*

82). „აზიურ სისასტიკეს“ ტროცკი საქართველოს სოციალ-დემოკ-რატიულ ხელისუფლებას მიაწერს („მენშევიკური რეჟიმი არის სისასტიკისა და ფარისევლობის უიდეო ნაჯვარი“), მაგრამ სიტყვას არ ძრავს ბოლშევიკთა მიერ საქართველოში მოწყობილ სისხლიან კალოზე 1924 წლის აგვისტოში.

1924 წლის ოქტომბერში, მოსკოვში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცკ-ს პლენუმი გაიმართა. საქართველოში აჯანყების შესახებ მოხსენებით ს. ორჯონიკიძე გამოვიდა. ამბოხებულთა წინააღმდეგ განხორციელებულ დამსჯელ ზომებთან დაკავშირებით მან აღნიშნა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტას... აჯანყების ჩახშობისას სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი. აქედან სულ მცირე 95% თავადაზნაურობაა.“ ცკ-ს არც ერთ წევრს რეპრესიები არ დაუგმია და სინანული არ გამოუხატავს. ტროცკი მხოლოდ იმით დაინტერესდა, თუ რამდენი კაცი დაკარგეს კომუნისტებმა (*„ლიტ. საქართველო“, 1990, №25*).

რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის ხელმძღვანელობის ნამდვილი სახე იმითაც წარმოჩნდა, რომ იგი არა მხოლოდ ანტისაბჭოთა გამოსვლებს ახშობდა სისასტიკით, არამედ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ულმობლად უსწორდებოდა გუშინდელ თანაპარტიელ „მეგობრებსაც.“

მალე ამ ანგარიშსწორების მსხვერპლად ლ. ტროცკი იქცა. იგი ჯერ პოლიტბიუროდან გამოიყვანეს, შემდეგ ცკ-ს წევრობიდან გარიცხეს, ბოლოს კი კომპარტიასაც ჩამოაშორეს. ტროცკის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კარიერა და პარტიული დაღმასვლა იმით დასრულდა, რომ 1928 წლის დასაწყისში ალმა-ატაში გადაასახლეს, მერე საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოართვეს და ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გააძევეს.

დევნილი თავდაპირველად თურქეთს შეეხიზნა. აქ ტროცკიმ ევროპელ თანამოაზრეთა ხელშეწყობით შეძლო მიეღო საფრანგეთის ვიზა და 1933 წლის ივლისიდან თავშესაფარი ამ ქვეყანაში ეპოვა. საფრანგეთის მთავრობამ გაძევებულ ბოლშევიკს ბინა სამხრეთის ერთ-ერთ დეპარტამენტში მიუჩინა. ამასთან, ტროცკის ინკოგნიტოდ უნდა ეცხოვრა. იგი მოკლებული იყო პარიზში მცირე ხნით შესვლის უფლებასაც კი (*И.Дойчер 1991, 318*), მის ყოველ ნაბიჯს ფარულად თვალს ადევნებდა ადგილობრივი პოლიცია.

ლ. ტროცკი საფრანგეთში მეუღლის გვარით (სედოვი) ჩავიდა, რამდენიმე თვის განმავლობაში იგი ატლანტიკის სანაპიროზე, სენ-პალეში ცხოვრობდა, ნოემბრიდან კი პარიზის მახლობლად პატარა ქალაქ ბარბიზონში გადაინაცვლა. ფონტენებლოს ტყის პირას, მომცრო პარკში მდებარე მის სახლს გუშაგები და მოდარაჯე ძაღლები იცავდნენ.

საგულდაგულო კონსპირაციის მიუხედავად, ტროცკის ადგილსამყოფელი მაინც გამჟღავნდა. შერისხული რევოლუციონერი რამდენჯერმე ამოიცნეს რეპორტიორებმა. ფრანგმა კომუნისტებმა და გაზეთმა „იუმანიტემ“ პროტესტი გამოთქვეს ტროცკის საფრანგეთში ცხოვრების გამო. იმუქრებოდნენ ფრანგი ნაციონალისტებიც. „მოღალატე“ ბოლშევიკს არაერთი აგენტი მიუჩინა საბჭოთა შინასახკომმაც (*Д.Волкогонов 1992, 179*).

ცნობილია, რომ მოსკოვის სპეცსამსახურებს თავიანთი აგენტურა მრავლად ჰყავდათ შეგზავნილი დასავლეთის ემიგრანტულ წრეებში. ამ მხრივ გამონაკლისი არც საფრანგეთში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ყოფილა. საგულისხმოა, რომ კრემლში ჩაფიქრებულ ტროცკის ლიკვიდაციის გეგმაში ქართველი ემიგრანტებიც ჩართეს. არჩევანი ყველაზე უფრო ნაციონალისტური ფრთის — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელზე შეჩერდა.

მოვუსმინოთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას მეუღლეს სოფიო ჩიჯავაძე-კედიას. მისი სიტყვით, ტროცკის განკარგულებაში „ბარბიზონის მახლობლად, ფონტენებლოს რაიონში იყო ერთი სახლი დიდის, გაშლილი გრემოთი. მის მეზობლად არაფერი იყო საეჭვო და საშიში, მხოლოდ მოშორებით მოსჩანდა პატარა სახლი, სადაც მოხუცებული ქალი თავის დღეებს ათავებდა. მასთან მოიუსურვა ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ოთახი ექირავებინა იმ განზრახვით, რომ იქიდან ადვილად დაეზვერნა ტროცკი, შეესწავლა მისი ჩვეულებები, ამ გაშლილ ეზოში მისი სეირნობის საათები. არჩეულ მომენტში თოფს დაუმიზნებდა, ნიშანში ამოიღებდა და კარგი მსროლელი მიზანს ადვილად მიაღწევდა... ეს გამბედავი, კარგი თოფის ოსტატი, ქართველი ახალგაზრდა ემიგრანტი, ეროვნული დემოკრატიის ერთ-ერთი წევრი იყო... თურმე დაჰპირდნენ, ამ მკვლელობის შემდეგ „შენ განკარგულებაში ავიონი იქნება და საცხოვრებელ თანხასაც მოგცემთო.“ ... პაემანი დანიშნული იყო, როდე-

საც უნდა მომხდარიყო საჭირო თანხის გადაცემა, რომ ამ მხარე არაფერი დაბრკოლებულიყო“ (*ს. ჩიკავაძე-კვლია 2002, 363*).

ამ საინტერესო ჩანაწერის ავტორი იმ პიროვნების ვინაობასაც გვიმხელს, ვისაც ტერორისტული აქტის შესრულება მიენდო. ეს გახლდათ ირაკლი ზალდასტანიშვილი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ტროცკის მოკვლით ის „დიდ პატრიოტულ ნაბიჯს დგამდა, სპობდა საქართველოს მტერს, რომელსაც თვლიდა უმთავრეს ავტორად 1921 წელს წითელი ჯარის მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსპობისა“ (*ს. ჩიკავაძე-კვლია 2002, 363*).

დავალების შესასრულებლად პარიზიდან მიმავალი ი. ზალდასტანიშვილი გამოეთხოვა თავის მეგობარ ქალს, მისწერა წერილი, რომ „ვეღარ ნახავს, მიდის პატრიოტული საქმის გამო და სხვ.“ მიტო სინჯიკაშვილის მეშვეობით ეს ამბავი ცნობილი გახდა სპირიდონ კედიასათვის. მან ეს „ჩვენი გმირი“ სასწრაფოდ თავისთან დაიბარა და დაარწმუნა იგი განზრახულის უგუნურობაში. პარტიული ხელმძღვანელისა და უფროსი მეგობრის შეგონებამ გასჭრა, ზალდასტანიშვილმა ხელი აიღო ტერორისტულ აქტზე. ტროცკი გადარჩა.

საკუთარი სამშობლოს მძიმე ყოფით შეჭირვებულ ახალგაზრდა, ხელმოკლე ემიგრანტს, რომლის წარმოდგენაში ლ. ტროცკი საქართველოს დამონების ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ აღიქმებოდა, შეიძლება მართლაც ეფიქრა მის ლიკვიდაციაზე, თუკი სანაცვლოდ სერიოზულ ფინანსურ გასამრჯელოსაც მიიღებდა. საბჭოთა სპეცსამსახურის გეგმაც ამაზე იყო გათვლილი. მაგრამ ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც სპირიდონ კედია იყო, ამას ვერ დაუშვებდა. მისთვის მიუღებელი იყო, თუნდაც მტერთან, ასეთი არარაინდული წესით ანგარიშის გასწორება. მორალურ-ზნეობრივის გარდა, ტროცკის მკვლელობა გაუმართლებელი იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში, ამ ბინძური საქმის შემკვეთნი და ორგანიზატორები ჩრდილში დარჩებოდნენ, ჩირქი კი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას მოეცხებოდა. სტალინის მიზანიც ეს იყო, იგი ერთბაშად ორ კურდღელს დაიჭერდა: თავიდან მოიშორებდა მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და დასვლეთის თვალში სახელს გაუტეხდა ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც 1932 წელს საფრანგეთში საელჩოს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური

წარმომადგენლობის — გაუქმების შემდეგ, ფაქტობრივად, ერთ-პირებად რჩებოდნენ და მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ მხარდაჭერას.

სპირიდონ კედიამ ამოიცნო კრემლის ვერაგული გეგმა და ჩაშალა იგი. ტროცკის არაფერი გაუგია.

ჰუმანიზმის ამგვარი გამოვლინება სპირიდონ კედიასათვის სრულიადაც არ იყო უჩვეულო. იგი, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, განუხრელად იცავდა ქრისტიანულ მორალსა და პრინციპს: „არა კაც ჰკლა", „გიყვარდეს მტერი შენი". თავის პოლიტიკურ ოპონენტში იგი უპირველესად ღვთის შვილს — ადამიანს ხედავდა. „როგორც პოლიტიკოსი, მოწინააღმდეგეს სიტყვიერად არ დაინდობდა, ულოღიკობაშიც მოიმწყვდევდა, მაგრამ ამის გარდა მისთვის გაუგებარი იყო პიროვნული ბრძოლა. ... ტერორი ხომ ამაღელვებელი და მოლად მიუღებელი იყო" (*ს. ჩიკაკაძე-კედია 2002, 362*) ილიას მიმდევარი მოღვაწისათვის.

თუ როგორ გადაარჩინა სპირიდონ კედიამ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წევრები ქართველ პატრიოტთა შურისგებისაგან 1921 წლის მარტში, ზემოთ უკვე ვნახეთ. აქ კიდევ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ, „რომლის მთავარ ავტორად ნოე რამიშვილი ითვლებოდა", ერთ ემიგრანტ ქართველს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოკვლა, მაგრამ განზრახვაზე ხელი ს. კედიამ ააღებინა (*ს. ჩიკაკაძე-კედია 2002, 365*). ნ. რამიშვილმა ეს ამბავი ყურმოკვრითაც არ იცოდა. მაგრამ ცხოვრებას თან ახლავს პარადოქსებიც:

1933 წელს ტროცკი საფრანგეთში ქართველი ემიგრანტის ხელით სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ შვიდიოდე წლის შემდეგ შორეულ მექსიკაში მაინც მოიკლა რუსეთის მბრძანებელი ქართველის ნებით.

ქართველისაგან ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გახდა ნოე რამიშვილიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# V.3. ბრძოლებული იმედი

მეორე მსოფლიო ომის მოახლოებამ, განსაკუთრებით კი გერმანიისა და სსრ კავშირის მოსალოდნელმა დაპირისპირებამ, რამდენადმე ჩრდილში მოქცეული ქართული ემიგრაციის უჩვეულო გამოცოცხლება გამოიწვია. როგორც ზემოთ ითქვა, პოლიტიკური ემიგრაცია იმ დროს არა მხოლოდ პარტიულად იყო დაქსაქსული, არამედ პარტიებს შიგა მრავალ ფრაქციად თუ ჯგუფადაც იყო დაქუცმაცებული, რაც, შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში, ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და შეთანხმებულ მოქმედებას, არსებითად, გამორიცხავდა. თითოეულ პარტიულ თუ ფრაქციულ ლიდერს ემიგრაციის როლი და მნიშვნელობა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისებურად წარმოედგინა. ემიგრაციულ ძალთა ხელახალი გაერთიანება და საერთო ქართული ეროვნული ფრონტის შექმნა ვეღარ მოხერხდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას კვლავ სოციალისტური ინტერნაციონალის საშუალებით ესწრაფოდა, აქტიურად უჭერდა მხარს ემიგრირებულ მთავრობას „მისი ნაციონალური დავალების შესრულებაში" და იმედოვნებდა, რომ იგი კვლავ დარჩებოდა „თავის პოსტზე მედგრად და ურყევად" (*„ბრძოლის ხმა", 1939, №10*).

1939 წლის სექტემბერში საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟორჟ ბონეს ოფიციალურად გადასცა „მემორანდუმი", რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ „დაწყებულ სამხედრო კონფლიქტში დემოკრატიული საქართველო დგას მოკავშირეთა მხარეზე" (*ფ. ლომაშვილი 1966, 94*).

თვით ნოე ჟორდანიამ 1940 წლის 14 თებერვალს განაცხადა: „შეუძლებელია განთავისუფლებას ველოდოთ გერმანიისაგან, რომელიც უბოდიშოდ ანგრევს სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობას. ჩვენი მომავალი დაკავშირებული იყო და იქნება დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, რადგანაც მხოლოდ მათ შეუძლიათ პატივი სცენ სხვათა თავისუფლებას" (*ნ. კეკელიძე 1993 ბ, №18*).

უფრო ადრე, 1938 წლის ზაფხულში ემისარ ს. გოგიბერიძის მეშვეობით საქართველოში გამოგზავნილ ნოე ჟორდანიას დირექტივაში აღნიშნულია: „ქართველმა ხალხმა მოვლენებს არ უნ-

და გაუსწროს და იგი არც მოვლენებს უნდა ჩამორჩეს“ ანუ „ვიდრე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარები დგანან, დღის წესრიგში არ უნდა დაისვას შეიარაღებული აჯანყების საკითხი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი მსხვერპლი.“ ნ. ჟორდანია განმარტავდა მომავალი საფრთხის საშიშროებას, ამხელდა ნაციზმის ბუნებას, მის მისწრაფებებს და აფრთხილებდა ქართველ ერს — არ აჰყოლოდა ჰიტლერელთა პროპაგანდას: „მზადდება საშინელი კატასტროფა — მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა კავშირი ამ ომში ჩაერევა. თქვენ, ქართველებმა დაივიწყეთ... ძმათა შორის განხეთქილებანი და ეცადეთ მშობელი ერი გადაარჩინოთ ფიზიკურ განადგურებას“ — მოუწოდებდა იგი (*„ლიტ. საქართველო“, 1991, №43*).

ომის გამოცხადებას ქართული ემიგრაციის სხვადასხვა წრეები განსხვავებულად შეხვდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც იმთავითვე ანტიჰიტლერული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ, სასწრაფოდ პარიზის დატოვებას შეუდგნენ. მრავალი ჩვენი თანამემამულე საფრანგეთის არმიაში გაერთიანდა და მოხალისედ ფრონტზე გაეშურა. ყოფილმა იუნკრებმა და სხვა ქართველმა მეომრებმა პოლონელთა მხარდამხარ ბრძოლებში ისახელეს თავი. იყო სრულიად საპირისპიროდ განწყობილი — პროგერმანული ნაწილიც, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა ვერმახტის პირველ სამხედრო წარმატებებს.

ქართველთა ამ წრესთან დაახლოების ინიციატივა გერმანელებს ეკუთვნოდათ. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამდე, გერმანიის სამხედრო დაზვერვის — აბვერის შეფის, ადმირალ კანარისის დავალებით, პარიზში ჩავიდნენ პროფესორი ჰანს რაუპახი და დოქტორი ვერნერ მარკეტი. ისინი შეხვდნენ ემიგრაციის თვალსაჩინო მეთაურებს, მათ შორის ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს, სპირიდონ კედიასა და სხვ., მაგრამ ოპერატიული კავშირი ემიგრანტთა ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებთან დაამყარეს (*ჟ. ჯეთარაძე 1990, 74*).

ყველაზე მეტი აქტიურობა მიხეილ კედიამ გამოიჩინა, რომელიც აბვერთან თანამშრომლობაზე დათანხმდა და ამ უწყების დიდი ნდობაც მოიპოვა. ნაცისტებმა დასაყრდენი ჰპოვეს აგრეთვე ქართული ერთიანი ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრებშიც.

ცნობილი ქართველი ემიგრანტის, თავადაც ხსენებული ამ-ბების უშუალო მონაწილის, ალექსანდრე ცომაიას მტკიცებით, მიხეილ კედიასათვის გერმანელებთან ურთიერთობა ნოე ჟორდანიასა და ევგენი გეგჭკორს მიუნდვიათ (*ა. ცომაია 2000, 280-284*). ამასვე ადასტურებენ გერმანელებთან დაახლოებული ჩვენი თანამემამულე ემიგრანტი მოღვაწენი — მიხეილ ქავთარაძე და განსაკუთრებით გივი გაბლიანი. ეს უკანასკნელი, მეტი სიცხადისათვის რამდენიმე დოკუმენტსაც იმოწმებს (*ვ. გაბლიანი 1981, 8-10*).

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი მიხეილ კედია იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართული სამხედრო შენაერთის — სადესანტო სპეცრაზმის „თამარ I"-ის ჩამოყალიბებისა, რომელიც 1940 წლიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე კომპლექტდებოდა (ცოტა მოგვიანებით, ქართველ საბჭოთა ტყვეთაგან გერმანელებმა შექმნეს ასეთივე რაზმი „თამარ II").

მიხეილ კედიას ბევრი მისი მცნობი საზრიან, მოხერხებულ და ენერგიულ ქართველ პატრიოტად მოიხსენიებს, რომელსაც შეეძლო წარმატებით შეესრულებინა დაკისრებული როლი. ამ თვალსაზრისს ზოგი თანამედროვე მკვლევარიც იზიარებს (*ბ. ლაუშველი 2000, №18*). სპირიდონ კედია თავისი თანამოგვარის (და არა ძმისშვილის, როგორც ჩვენში მიიჩნევენ) შესაძლებლობების თაობაზე უფრო პესიმისტური შეხედულებისა იყო: „წელი არ შესწევს, ვშიშობ, გაკეთების მაგივრად არაფერი გააფუჭოსო" (*ს. ჩიკოვანი 2002, 369*).

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული ქართული შენაერთის ფორმირება საფრანგეთში ისე წარმოებდა, სპირიდონ კედია საქმის კურსში არ ყოფილა. ეს არ იყო შემთხვევითი. ემიგრაციაში ყველამ იცოდა, — ამ წამოწყებას იგი მხარს არ დაუჭერდა. ცნობილია, რომ მიხეილ კედიას სპირიდონის რამდენიმე აქტიური თანამოაზრე და მიმდევარიც მიემხრო. მათი მტკიცებითაც, სპირიდონ კედიას სამხედრო რაზმებთან შეხება არ ჰქონია. 

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულ შენაერთში ვეწერებოდით, „სპირიდონს გავექეცითო“ (*ბერაძე 2001, 97*).

როგორი იყო სპირიდონ კედიას დამოკიდებულება ომისადმი და რა მოიმოქმედა მან პრაქტიკულად ამ უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში?

საფრანგეთში მყოფ სპირიდონ კედიას არ გაუწყვეტია კონტაქტები გერმანიის იმ სამხედრო და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან, რომლებთანაც კავშირს საფუძველი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ჩაეყარა. ეროვნულ-დემოკრატთა ემიგრანტი ლიდერი 20-იანი წლების შუა ხანებში რამდენჯერმე ეწვია ბერლინს. იქაურ ძველ ნაცნობებს ამ ვიზიტებისას ახლებიც დაემატნენ. აღსანიშნავია, რომ მხატვარ კურსელის ოჯახში სპირიდონ კედია შეხვდა ადოლფ ჰიტლერს, ნაცისტური პარტიის ფუძემდებელსა და წინამძღოლს, რომელიც თურმე ინტერესით გაცნობია საქართველოს საკითხს და სპირიდონს დაჰპირებია, „თუ მომავალში გერმანიის მეთაური იქნებოდა, საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას მისცემდა“ (*ს. ჩიქავაძე-კედია 2002, 375*).

ჰიტლერი მართლაც აღმოჩნდა გერმანიის სახელმწიფოს სათავეში, მაგრამ მას ქართველი პატრიოტისათვის მიცემული სიტყვა აღარ გახსენებია. დიდი იმედი ამ „გულჩახვეული, მისტიკი და აჩქარებული“ კაცისა არც სპირიდონს ჰქონია. შენიშნავდა კიდეც 1938 წელს: „თუ ჰიტლერი არ გაგიჟდა, ომს არ დაიწყებს და თუ დაიწყო, უსათუოდ დამარცხდებაო“ (*ს. ჩიქავაძე-კედია 2002, 364*).

მიუხედავად ამისა, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებამ სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად სპირიდონ კედიასაც გარკვეული იმედი ჩაუსახა. გერმანია დაუპირისპირდა იმ ძალას, რომლის „წაქცევაც აუცილებელი წინაპირობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის. ამოქმედდა პრინციპი: „ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარია.“ „თუ გერმანელები კავკასიას დაეუფლებოდნენ, უმჯობესი იყო, რომ ეს ჩვენი მონაწილეობით მომხდარიყო — ასე ფიქრობდნენ მაშინ ემიგრაციაში. „ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა და ანგარიში“ (*ძ. ჯეთარაძე 1990, 73*).

მართლაც, გერმანიის მეშვეობით საქართველოს თავისუფ-
ლების მიღწევის გეგმა კიდევ ერთხელ დაისახა. საგულისხმოა,
რომ ამ მიზანმა ამჯერადაც თითქმის იგივე ხალხი გააერთიანა,
ვინც სააქისოდ პირველი მსოფლიო ომის წლებში იღწვოდა. ქარ-
თველთაგან ახლა ყველა მათგანი ემიგრანტი იყო და თავს საფ-
რანგეთს, გერმანიასა თუ ევროპის სხვა ქვეყნებს აფარებდა (გიორ-
გი მაჩაბელი ომამდე რამდენიმე ხნით ადრე ამერიკის შეერთებულ
შტატებში გარდაიცვალა). თუმცა იყვნენ სხვებიც, რომელთაგან
განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გერმანიაში განსწავლული და
სახელმოხვეჭილი ქართველი პროფესორები მიხეილ ახმეტელი და
ალექსანდრე ნიკურაძე (ფსევდონიმი „ზანდერსი“). ისინი ნაცისტუ-
რი პარტიის რიგებშიც შევიდნენ, ხელმძღვანელობდნენ მნიშვნე-
ლოვან კვლევით ინსტიტუტებს და მჭიდრო ურთიერთობა გააჩ-
ნდათ გერმანიის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან.
ქართველებთან დაახლოებულ ძველ გერმანელ სამხედროებსაც
კვლავ მაღალი პოსტები ეკავათ და მზად იყვნენ, საქართველოს-
თან მიმართებაში იგივე სცენარით ემოქმედათ, როგორც მეოთხედი
საუკუნის წინათ.

1942 წლის აპრილში გრაფმა შულენბურგმა, რომელიც
გერმანიის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში აღმოსავლეთის საქმე-
ებს განაგებდა, კავკასიის ერთა, მათ შორის ქართული ემიგრაციის
წარმომადგენლები ბერლინში მიიწვია. სტუმართა წრეში იყვნენ
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია,
„თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელები მიხეილ წერეთელი და ლეო
კერესელიძე, პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, ბატონიშვილი
ირაკლი ბაგრატიონი, პოლკოვნიკი შალვა მაღალკელიძე და სხვ.
საუბარი საქართველოს მომავალ ბედ-იღბალს შეეხო. განიხილეს
საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეა, იმსჯელეს „ქართული
პოლიტიკური კომიტეტის“ ჩამოყალიბების შესახებაც, რომელსაც
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით უნდა ემოქმედა.

შულენბურგის გეგმა, რომელიც ქართველებმაც მოიწონეს,
საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გამოცხადებას
და ამ რეგიონის გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის დასაყრდე-
ნად გადაქცევას ითვალისწინებდა. რიბენტროპმა ეს გეგმა ჰიტ-
ლერს გააცნო, მაგრამ მან უკანვე დაუბრუნა, იდეის „აბსურდუ-
ლობის“ მოტივით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში უარყოფითი
როლი ითამაშა აღმოსავლეთის სამინისტრომ, რომლის ხელმძღვა-
ნელობასაც მთელი კავკასია გერმანიის მომავალ საკოლონიზაციო

ბაზად ჰქონდა წარმოდგენილი. საქართველოს საკითხი ამ უწყებას და მის მეთაურს ალფრედ როზენბერგს დაუქვემდებარეს.

გულგატეხილი სპირიდონ კედია შულენბურგს გამოეთხოვა და მალევე საფრანგეთში დაბრუნდა. აქ საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ნაწყვეტი მიხეილ ქავთარაძის ერთი მოგონებიდან, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველი მოღვაწის იმდრიონდელ სულიერ მდგომარეობას.

სამხედრო-სამსახურეობრივი დავალებით გერმანიაში ჩასულმა, — წერს მ. ქავთარაძე, „გავიგე, რომ სპირიდონ კედია ბერლინში იმყოფებოდა. ცხადია, მის სანახავად მივედი... იგი ბერლინის უპირველეს სასტუმრო „ადლონში" ცხოვრობდა და... მაღალი კლასის სტუმართათვის განკუთვნილი ბინა ეჭირა. მისი ბინის კარები იმ მოლოდინში გავაღე, რომ ქართული საქმის პოლიტიკურ მდგომარეობაზე საამო და გამამხნევებელ ამბებს გავიგებდი. ჩემი იმედები პირველ წუთშივე გაქრა... მან ყოველგვარი შეფერადების გარეშე მითხრა, რომ გერმანულ ხელისუფლებასთან არავითარი პოლიტიკური ხასიათის არათუ შეთანხმებას — მოლაპარაკებასაც კი ადგილი არა აქვსო. ... ჰიტლერი მხოლოდ სამხედრო ძალაზე ამყარებს თავის ანგარიშებს. გერმანულ პოლიტიკასაც პიროვნულად ხელმძღვანელობს. ამჟამად მას პოლიტიკისათვის არცა სცალია და საერთოდ, მისი მეთოდი გამორიცხავს იმგვარ პოლიტიკურ მოლაპარაკებეს, როგორც ჩვენ გვსურსო.... ეს საქმე ჩვენთვის იდეალურ პირობებში ვერ დაიწყო, მაგრამ... რაც არის, ამის გამოყენება უნდა ვცადოთო. და საერთოდ, დაუმატა მან, ბლიტცკრიგის შეფერხების შემდეგ საქმე კომპრომეტირებულია..., ვინ იცის, ომის მსვლელობა როგორ განვითარდებაო... თუ გერმანელებმა რუსები ვერ დაამარცხეს, იმედი უნდა გვქონდეს, რომ რუსთა გამარჯვებას არ დაუშვებენ ისინი, ვისთვისაც რუსთა გამარჯვება სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენსო."

„სხვა პერსპექტივის ახლავე დაშვება ორ სკამზე ჯდომას ხომ არ ნიშნავს?" — უკითხავს მ. ქავთარაძეს სპირიდონ კედიასათვის. „არაო. როცა ერთ სკამს ფეხი მოტყდება, მეორეზე დაჯდომა უნდა გაითვალისწინო. ეს ორ სკამზე ჯდომა არ არისო" — უპასუხია ამ უკანასკნელს (*მ. ქავთარაძე 1979, 11*).

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს შულენბურგის განზრახვის ჩაშლის შემდგომაც არ დაუყრიათ ფარ-ხმალი. ისინი ახ-

ლა აღმოსავლეთის სამინისტროს მესვეურთა დარწმუნებას შეეჯ-
გნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ხელსაყრე-
ლი იქნებოდა თვით გერმანიისათვის. თავის მხრივ, ეს უწყებაც
ცდილობდა, არ გაეწყვიტა კავშირი ემიგრანტებთან, მიუხედავად
იმისა, რომ ქართველთა სურვილები სამინისტროს რეალურ მის-
წრაფებებს ნაკლებად შეესაბამებოდა (*ძ. კვესელავა 1991, 111-
123*).

1942 წლის ზაფხულში როზენბერგმა და შიკედანცმა
თითქოს ანგარიში გაუწიეს ქართველების გულისწადილს და, მარ-
თალია, შეკვეცილი, მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციებით, მაგ-
რამ მაინც ჩამოაყალიბეს „ქართული ეროვნული კომიტეტი." მისი
თავმჯდომარეობა მიხეილ წერეთელს მიენდო, წევრებად კი ზუ-
რაბ ავალიშვილი, გიორგი მაღალაშვილი და სპირიდონ კედია მი-
იწვიეს. კომიტეტმა ბინა ბერლინში დაიდო. ეროვნულ ძალთა
თავმოყრისა და გაერთიანების მიზნით, აქვე დაარსებულ იქნა კო-
მიტეტის პერიოდული გამოცემაც ჟურნალ „ქართველი ერის" სა-
ხით.

ამასობაში გერმანელთა ჯარები კავკასიას მიუახლოვდნენ.
სამშობლოს თავისუფლებაზე მეოცნებე ქართველ მოღვაწეთა იმე-
დებს საცაა ფრთა უნდა შესხმოდა. სწორედ ამ პერიოდით თა-
რიღდება სპირიდონ კედიას წერილი ადოლფ ჰიტლერისადმი.
ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი ფიურერს აგონებდა მის დაპირე-
ბას საქართველოს საკითხზე და ამასთან, აფრთხილებდა კიდეც:
„თუ კავკასიის ერებს არ გადასძახებთ თავისუფლებას, დიდი კა-
ტასტროფა გელით"-ო (*ხ. ჩიქვაძე-კვია 2002, 375*). წერილი სპი-
რიდონმა თავისივე ნაცნობ მხატვარს, პროფესორ კურსელს მიუ-
ტანა, რომელმაც აღუთქვა — ადრესატს პირდაპირ ხელში ჩაბარ-
დებაო. ცნობილი არ არის, მიაღწია თუ არა წერილმა ჰიტლე-
რამდე, მაგრამ რომც მიელო და წაეკითხა, დარწმუნებით შეიძლე-
ბა ითქვას, ბევრს არაფერს შეცვლიდა, რადგან ასევე უშედეგოდ
დასრულდა ჩვენი თანამემამულეთა ჰიტლერზე ზემოქმედების
სხვა, უფრო საიმედო ცდაც.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ დახმარებისათვის
ფინეთის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს მარშალ მანერჰაიმს
მიმართა. სოციალისტი გუსტავ ფონ მანერჰაიმი ევგენი გეგეჭკო-
რის ძველი მეგობარი იყო. რუსეთის თვითმპყრობელობის უღელ-
ქვეშ მოქცეულ ფინელ და ქართველ ხალხებს საერთო ისიც ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ თავისუფლება და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ორივემ გერმანიის ხელშეწყობით აღიდგინა. სამწუხაროდ, ევროპისაგან ზურგშექცეული საქართველო 1921 წელს კვლავ რუსეთმა დაიმორჩილა, ფინეთმა კი დასავლეთის მხარდაჭერით 1939 წელს შეძლო ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება. საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილი ფინეთის მეთაური კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს კეთილ სიტყვას არ დაამადლიდა.

მანერჰაიმმა შეასრულა ე. გეგეჭკორის თხოვნა და ჰიტლერს სპეციალური მემორანდუმით მიმართა. მიაქცევდა რა ფიურერის ყურადღებას ქართველი ერის ისტორიაზე, კულტურასა და პოლიტიკურ უფლებებზე, ფინეთის პრეზიდენტი ჰიტლერს ურჩევდა და შუამდგომლობდა კიდეც, ღირსეულად გადაეწყვიტა საქართველოს პრობლემა (*ნ. ნაკაშიძე 1951, 24-25*). მანერჰაიმის შუამდგომლობამ ჰიტლერზე გავლენა ვერ მოახდინა.

განსხვავებით კაიზერ ვილჰელმ მეორისაგან, რომელიც 1918 წელს დათანხმდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მესამე რაიხის წინამძღოლი ადოლფ ჰიტლერი ამაზე ვერ დაიყოლიეს ვერც გერმანელმა სამხედროებმა და ვერც პოლიტიკოსებმა.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის სამინისტრომ 1942 წლის აგვისტოში ფიურერს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი „კავკასიის გარდაქმნის შესახებ", სადაც საუბარია აქაურ მკვიდრთათვის „სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის" შესახებ, მაგრამ ჰიტლერმა არც ეს რეკომენდაცია მიიღო (*ქართველები გერმანული დროშის ქვეშ..., 1994, 8*). იგი „ცისფერ კავკასიას" გერმანიის იმპერიის ფარგლებში მოიაზრებდა და მისი ახალი დარაიონების გეგმებსაც თხზავდა.

შემორჩენილია მეტად საყურადღებო მასალა ჰიტლერის სამაგიდო საუბრების სტენოგრამების სახით, რომლებსაც 1941-1942 წლებში სისტემატურად იწერდა ფიურერთან მეტად დაახლოებული იურისტი ჰენრი პიკერი. 1942 წლის 9 მაისით დათარიღებულ ჩანაწერში გადმოცემულია ჰიტლერის შემდეგი გამონათქვამი: „კავკასიას ჩვენს გეგმებში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება, იმიტომ, რომ მან უნდა მოგვამარაგოს ნავთით. ჩვენ კავკასიაში უნდა დავამყაროთ ძალიან მკაცრი წესრიგი, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა მივიღოთ იქიდან საწვავი. სხვა შემთხვევაში, სისხლის ღვრ-ბის გრძნობით გამსჭვალულ ამ მხარეში ტომთა შორის მტრობა შეუძლებელს გახდის ნავთობის საბადოების თუნდაც მცირე რენტაბელობით ათვისებას.

ამიტომ, საკვლევია, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორიც ოფიციალური ორგანო, ამ ტერიტორიებთან დამოკიდებულებაში მიმართავს ისეთ განცხადებებს, რომელთა შესრულება შემდეგში შეუძლებელი იქნება. ოფიციალურ მხარეს, განსხვავებით პროპაგანდისტებისაგან მათი ფურცლებით, უფლება აქვს, დაპირდეს მხოლოდ ის, რისი შესრულებაც ძალუძს" *(Г. Пикер 1993, 263)*.

ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეებს მაშინ ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინათ, რომ „ნაცისტური გერმანია ისეთი უნიკალური ქვეყანა იყო, რომლის სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიურ საფუძველს შეუნიღბავად წარმოადგენდა ერადერთი რასის — გერმანელთა „არიული რასის განუსაზღვრელი და უპირობო ბატონობა ყველა სხვა ხალხებზე, გარდა მონათესავე, „ნორდიკული" (ჩრდილოური) ერებისა... და რომელიც საერთოდ უარყოფდა, უმაღლესი ინსტანციის დონეზე, მომავალ „ათასწლოვან რაიხში" რომელიმე ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობას. „ათასწლოვანი რაიხის" გავრცელების არეალი კი, მათი გეგმით, მთელი მსოფლიო იყო" *(ნ. კიკვაძე 1993 ბ, №18)*.

სწორედ ამით უნდა ახსნას, რომ ჰიტლერმა აკრძალა ზემოთ ხსენებული პოლიტიკური შეფერილობის ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა და ნება დართო შექმნილიყო მხოლოდ ტექნიკურად დამხმარე „ქართული საკავშირო შტაბი" მიხეილ კედიას მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა, გაეადვილებინა გერმანელთათვის ქართველი ტყვეების გამოყენება ომში *(ლ. ვახნაძე 1992, 136)*.

სპირიდონ კედიამ დაკარგა ყოველგვარი იმედი, რომ გერმანელები საქართველოს საკითხს ოდესმე ისევ შეეხებოდნენ და აღმოსავლეთის სამინისტროში თავის პარტნიორებს პირდაპირ განუცხადა: „თქვენ არ გველაპარაკებით იმ საგანზე, რისთვისაც თავი მოგვიყარეთ, მორჩილ მოსამსახურეებს იმდენს იშოვნით, რამდენიც გინდათ, მე მოხელის როლში არ გამოვდგები და მშვიდობით ბრძანდებოდეთო" *(ხ. ჩიკავაძე-კედია 2002, 376)*. ეროვნულ-დე-

მოკრატთა ლიდერმა 1943 წლის დამდეგს კომიტეტი ცხადად და ბერლინიდან წამოვიდა. ასევე მოიქცა ზურაბ ავალიშვილიც. მალე მიხეილ წერეთელმაც ფორმალურად არსებული ეროვნული კომიტეტის თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

ქართველი პატრიოტი მოღვაწენი უსაზღვროდ იმედგაცრუებულნი დარჩნენ. თანდათან ფარდა ეხდებოდა ნაცისტთა მიერ ჩადენილ შემზარავ დანაშაულობებს, აშკარავდებოდა ჰიტლერელთა ნამდვილი მისწრაფებანი და ვერმახტის ძლიერებაც ქარს მიჰქონდა.

აღმოსავლეთის ფრონტზე წარუმატებლობამ გერმანიის სახელისუფლებო წრეები აიძულა, გადაესინჯათ თავიანთი დამოკიდებულება ანტისაბჭოურ ძალებთან, მათ შორის ქართველ ემიგრანტებთანაც. „საკავშირო შტაბი", რომელმაც „თითქმის ქართული დროებითი მთავრობის სახე მიიღო" (*ბ. ჯუთარაძე 2001, 176*), 1944 წელს კვლავ კომიტეტად ცნეს, მომდევნო წლის მარტში კი „ქართველი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლედაც" აღიარეს უფლებით — „შეიმუშაოს თავისი კონცეფცია საქართველოს მომავალის შესახებ" (*ნ. კოკვაძე 1993 გ, 319*). მაგრამ სპირიდონ კედიას გერმანელებისაკენ აღარ მიუხედია.

მკვლევარ გოგი ციციშვილის მიერ საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივში მოძიებული და ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალებით ირკვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და მის შესაბამის სამსახურებს, რომელთათვისაც კარგად იყო ცნობილი ქართველ ემიგრანტთა კავშირების შესახებ ნაცისტური გერმანიის მაღალ სამხედრო თუ პოლიტიკურ წრეებთან, შეუმუშავებიათ გარკვეული კონტრმოქმედების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ ჰიტლერი კავკასიის, მათ შორის საქართველოს ტერიტორიის დაკავებას შესძლებდა. გეგმის არსი ასეთი იყო: ემიგრირებული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ან უცხოეთში გერმანელთა მხარდაჭერით შექმნილი, რომელიმე სხვა ქართული სახელისუფლებო წარმონაქმნის საპირისპიროდ, ადგილზე, თვით საქართველოს პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის წიაღში უნდა შეერჩიათ ქართველი ხალხის ნდობით აღჭურვილი, ავტორიტეტული ადამიანები, რომლებიც, სავარაუდოდ, გერმანიის პროტექტორატის ქვეშ დამოუკიდებელ, ოღონდ „პროსაბჭოურ" საქართველოს უხელმძღვანელებდნენ, რათა ქვეყანა მოსალოდნელი კატაკლიზმებისაგან დაეხსნათ. ასე აღ-

მოცენებულა „საქართველოს ოკუპაციის შემთხვევისათვის ჩათვალისწინებული დროებითი ქართული მთავრობა“ — „საქართველოს ხალხის ყველა კულტურულ ძალთა ანუ შემოკლებით „პროფესორთა კომიტეტი“, რომელსაც თავდაპირველად თითქოს ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა (*ვ. ცეცილია 2002, №12, №13*).

ამ „კომიტეტის“ არსებობის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციაც, რომლის მისწრაფება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. არ უნდა გამოვრიცხოთ შესაძლებლობაც, რომ „პროფესორთა კომიტეტს“ გარკვეული კავშირი ჰქონოდა ემიგრაციის წარმომადგენლებთან ან პირუკუ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ იკვეთება არანაირი კონტაქტი საქართველოში ჩამოყალიბებულ შეთქმულთა ჯგუფებისა (*ბ. ჩხეიძე 1992, 99*) სამშობლოს განთავისუფლებისათვის უცხოეთში მებრძოლ თანამემამულეებთან.

თუ ემიგრანტ გივი გაბლიანს ვერწმუნებით, ქართული ემიგრაცია არ დასჯერდა მხოლოდ გერმანიაში წარმოებულ მუშაობას და სხვა გზის ძებნას შეუდგა. „გამოსავლად მიიჩნიეს თვით საქართველოსთან და მის იმდროინდელ ოფიციალურ წრეებთან დაკავშირება — საჭირო ნიადაგის მოსამზადებლად. იმ შემთხვევაში თუ გერმანელები ჩვენ მიწა-წყალზე შევიდოდნენ, ქართველებს დაუყოვნებლივ უნდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა და დროებითი მთავრობა შეედგინათ. ამგვარად ისინი ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდნენ და, ამ აზრის ინიციატორთა ფიქრით, გერმანელები ფაქტის გაუქმებას მოერიდებოდნენ. გერმანულ ჯარში არსებული ქართული ნაწილები კი, ქართულ ეროვნულ სამხედრო ბირთვად გამოდგებოდა“ (*ვ. კაბლიანი 1981, 17-18*).

სამწუხაროდ, სურვილები სურვილებად დარჩა. ქართველ ემიგრანტთა ოცნებებსა და რისკიან გეგმებსაც მსოფლიო სისხლიანი შეტაკების წლებში არ ეწერათ განხორციელება. „სხვათა ომში“ სხვისი დროშით ბრძოლამ ქართველებს და საქართველოს ვერც ამჯერად მოუტანა სიკეთე.

ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა, შური ეძია ემიგრაციაზე, დააპირა საბოლოოდ დაეშალა და ბოლო მოეღო მისი არსებობისათვის. თუ აქამდე ემიგრაციის წიაღში შეგზავნილი აგენტები ცდილობდნენ ფარულად ემოქმედათ, ახლა ღია და აშკარა საქმიანობაზე გადავიდნენ. პეტრე შარია, ილია თავაძე, სერგო ქავთარაძე თუ სხვა მაღალი თანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობის ბოლშევიკები ერთი-მეორის მიყოლებით კარდაკარ დადიოდნენ და ცრუ დაპირებებით ემიგრანტ თანამემამულეებს სამშობლოში იწვევდნენ, არწმუნებდნენ: „ახლა რეჟიმი შეცვლილია, ყველას შეუძლია თავისუფლად იცხოვროსო.“

ი. თავაძემ დიდხანს უტრიალა სპირიდონ კედიას, მაგრამ საქართველოში დაბრუნებაზე მისი დაყოლიება ვერ შეძლო. ემიგრაცია იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ ციმბირში გადასახლებულ ქართველებს გაანთავისუფლებთ, რუსის ჯარს გაიყვანთ და ქვეყანაში სიტყვისა და პრესის თავისუფლებას გააბატონებთო — ასეთი იყო სპირიდონის პასუხი (*ს. ჩიქავაძე-კედია 2002, 381*).

ცნობილი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, სპირიდონ კედიას თანაკლასელი ქუთაისის გიმნაზიიდან სერგო ქავთარაძე 1946 წლის ოქტომბერში, პარიზში ყოფნისას, საგანგებოდ ეწვია ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერს. სპირიდონ კედიამ არც მისი წინადადება მიიღო სამშობლოში დაბრუნებაზე და განუცხადა: „საქართველოში თავისუფლება არ არსებობს და ამიტომ იქ ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელიაო“ (*ს. ქავთარაძე 1964, 182-183*).

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — სამშობლოს თავისუფლების ილიასეული დევიზი იყო სპირიდონ კედიას ცხოვრების უმთავრესი პრინციპი, მისი ალფა და ომეგა, რომლისთვისაც არასოდეს უღალატია. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეალია მთელი შეგნებული სოცოცხლე და მის თავისუფლებაზე ოცნებაში აღმოხდა სული დამაშვრალ მოღვაწესა და ღირსეულ ერისკაცს 1948 წლის 17 მაისს.

## V.4. „ᲨᲔᲥᲓᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲝᲑᲐ ᲒᲐᲒᲒᲘᲒᲔᲑᲡ“

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალმა ანექსიამ რომ გადახვეწა სამშობლოდან XX საუკუნის 20-იან წლებში, იძულებული აღმოჩნდა, „უცხოეთის ცის ქვეშ“ ეპოვა სამუდამო თავშესაფარი. ემიგრანტების ზურგს უკან მიხურული კარი საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ ჩაჰკეტა და რაკი მათთვის მის გაღებას აღარც აპირებდა, კლიტე შორს გადაკარგა. მშობლიურ წიაღს მოსწყდა ერის წარმმართველი, მოაზროვნე ნაწილი, რომელიც თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ქართული კულტურის, მეცნიერების, სიტყვაკაზმულობა მწერლობის, სამხედროთა თუ სხვა მრავალ ღირსეულ წარმომადგენელს აერთიანებდა. რიცხვი ამ ადამიანებისა სამი ათასს აღწევდა. ბოლშევიკებმა ყველა ისინი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მტრად გამოაცხადეს, ანათემას გადასცეს და მათ წინააღმდეგ ლაფისა და ლანძღვა-გინების ნიაღვარი მიმართეს.

უცხოეთში გახიზნულ ემიგრანტთა მომავალი ბურუსით იყო მოცული, კომუნისტებმა მათი წარსულიდან მოკვეთაც მოინდომეს და საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პიროვნებების ისტორიიდან ამოშლას გულმოდგინედ შეუდგნენ. ეს არ იყო იოლი. საქართველოს თავისუფლების ხანა მარტო მატიანის ფურცლებზე როდი აღიბეჭდა, — მან წარუშლელი კვალი დატოვა იმ ეპოქის ადამიანთა ცნობიერებაშიც. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვით, „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი."

პოლიტიკურ ემიგრანტთა ხელმძღვანელ წრეს მაშინდელ საქართველოში ყველა იცნობდა. ნაცნობ სახელებს ადამიანთა მეხსიერებიდან ძნელად ამოშლი. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებამ თავდაპირველად გამოიყენა პრინციპი: თუ გინდა დაავიწყო, უნდა შეაძულო. და დაიწყო ისტორიის არნახული ფალსიფიკაცია, ცალკეულ პიროვნებათა ღვაწლის გაბიაბრუება, მათი ნააზრევის გაუკუღმართება... პარალელურად რეპრესიები, შიში და ტერორი.

მერე და მერე მოვიდნენ სხვა თაობები, რომელთაც ნამდვილი ისტორია დაუმალეს და სანაცვლოდ ყალბი და არაფრისმთქმელი შეაჩეჩეს. მასში უკვე აღარ ჩანდა არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და არც მისი მოღვაწეები, თითქოს ისინი საერთოდაც არ არსებულიყვნენ. ეს „ისტორია" ამტკიცებდა, რომ თავისუფალი საქართველოს წელთაღრიცხვა 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა წყობილების დამყარებით დაიწყო და დადგა ნეტარი და ბედნიერი ცხოვრების ხანა...

ამ აბდაუბდით ზრდიდნენ ბავშვებს ათეული წლების განმავლობაში. იმისათვის, რომ ეს მითი ადამიანებს დაეჯერებინათ და მიეღოთ როგორც რეალობა, მუშაობდა სხვა, არანაკლებ მძლავრი პროპაგანდისტული მექანიზმი: ითხზვებოდა ათეულობით ცრუ გამოკვლევა და მხატვრული ნაწარმოები, მასმედიაში მძლავროდა ყალბი, მოჩვენებითი პათოსი. დასავლეთს კი საიდანაც შეიძლებოდა სიმართლის სხივს შემოეღწია, სქელი ფარდა

ჰქონდა ჩამოფარებული. ქართული ემიგრაციაც დიდი ხანი ფარდის მიღმა მოექცა და საქართველოსთვის დაიკარგა. ცხადია, ეს მუქი ქსოვილი ჩვენს თვალსაწიერს ზღუდავდა, რათა თავისუფალ სამყაროს გამოვთიშოდით, თორემ იქ აქაურობის შესახებ ყველაფერი კარგად იცოდნენ.

ქართველი ემიგრანტებიც გრძნობდნენ ჩვენი ყოფის სიმძიმეს და ემიგრაციის უსამართლოდ შერისხვაში ხალხს არ ადანაშაულებდნენ. ისინი არ გაბოროტებულან, არც ხელი ჩაუქნევიათ, უცხოეთშიც სამშობლოსათვის ცხოვრობდნენ, იღწვოდნენ და ქმნიდნენ იმ იმედით, რომ საქართველოს კვლავ ეღირსებოდა თავისუფლება, სწამდათ, რომ დრო — ყველაფრის მკურნალი, მათ დიდ სატკივარსაც დასდებდა სალბუნს, რომ, თუ თვითონ ვერ მოესწრებოდნენ ხუნდებაყრილი მამულის ხილვას, მათი მემკვიდრეობა მაინც არ დარჩებოდა გარიყული.

ბევრის მოლოდინი გაცრუვდა, სამწუხაროდ. მრავლისაგან მრავალ ემიგრანტს აღარ ეწერა სამშობლოსთან კვლავ შეხვედრის ბედნიერება. თავისუფალ საქართველოზე მათი მარადი ნატვრა აუხდენელ ოცნებად დარჩა და სამშობლოდან შორს — უცხოეთის მიწაში გაცივდა...

დრომ გააფერმკრთალა ხსოვნა. გაიცრიცა ემიგრანტთა ერთ დროს სახიერი პორტრეტები და ესოდენ მახლობელი ადამიანები ლამის უცნობებად იქცნენ. „გავდივართ სოფლიდან ძველნი, ჩვენი თაობაც გათავდა, ხოლო თუ საქართველოში ახალ თაობას შეიძლება ჩვენი არა ესმის რა, მისი შემდეგი თაობა გაგვიგებს“ — ასე ეთხოვებოდა მიხაკო წერეთელი 1948 წელს საფრანგეთში გარდაცვლილ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს სპირიდონ კედიას (*ბ. წერეთელი 1948, 31*).

იმ თაობას, ვისაც მიხაკო წერეთელი გულისხმობდა, არათუ არ ესმოდა, არც კი სმენოდა სპირიდონ კედიასა და მისთ. სახელები. ამდენად, სამშობლოსათვის დამაშვრალი მხცოვანი მოღვაწის ეს სიტყვა, უპირველესად, მწარე რეალობას ასახავდა, მაგრამ იმავდროულად, იგი მომავლის შეურყეველ რწმენას და იმედს ეფუძნებოდა. მიხაკო წერეთელი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დიდ ერისკაცთა ნაღვაწი არ დაიჩრდილებოდა, ფუჭად არ ჩაივლიდა მათი „თავგანწირული სულისკვეთება“ და ადრე თუ გვიან დარეკდა ჟამი, როცა ეროვნული თავისუფლებისათვის მებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძოლ და თავდადებულ გმირებს საქართველოშიც ღირსეულად დააფასებდნენ.

მართლაც, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. ეს დროც დადგა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა კავშირად წოდებულ „ბოროტების იმპერიაში" განახლების სიომ დაჰბერა. რეჟიმის სუსხი რამდენადმე დაცხრა. რეპრესიებით სულშეხუთული დისიდენტიზმი თავს აღწევს იატაკქვეშეთს, ახალ იმპულსს იძენს და ეროვნული მოძრაობის ტალღებად ზვირთდება. სამფეროვანი დროშა კვლავ მოუხმობს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შემართულ მამულიშვილებს, ხშირდება ხალხმრავალი შეკრებები, მიტინგები, მანიფესტაციები.

ფართო საზოგადოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაპირველად იუცხოვა, ვერ იცნო დემონსტრაციებზე გამოტანილი შავჩოხიან წინაპართა სურათები, მაგრამ, როცა გაიგო, — ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კონსტანტინე აფხაზის, სპირიდონ კედიასა თუ სხვათა სახელები დიდ ძალად და იმედად დაიგულა და თავისუფლებისათვის მოძრაობაში იწინამძღვრა.

1991 წლის 9 აპრილს ქართველმა ერმა თავი დააღწია იმპერიულ უღელს და კიდევ ერთხელ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდგომ...

ქართული სახელმწიფო მძიმედ მიუყვება თავისუფლების აღმართს, ეძიებს და ამკვიდრებს ცხოვრების ახალ, დემოკრატიულ ფორმებსა და პრინციპებს, ამასთან, არ ივიწყებს და პატივს მიაგებს წარსულს — აწმყოს მტკიცე ბალავარს.

ჩვენი წარსულის ორგანული ნაწილია ქართული პოლიტიკური ემიგრაციაც, რომლის ღირსეული წარმომადგენლები ფიზიკურად ვეღარ, მაგრამ სულიერად უკვე დაუბრუნდნენ მამა-პაპათა სამკვიდროს. ქართველ ემიგრანტთა კულტურული, სამეცნიერო, ლიტერატურული თუ სხვა მემკვიდრეობა მათსავე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ გამოცდილებასთან ერთად ძვირფასი შენაძენია, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ჩვენს ეროვნულ საუნჯეს.

ათწლეულების ბურუსს ქარი ფანტავს, ნათელი ეფინება აქამდე უსამართლოდ დავიწყებულ ემიგრანტ მამულიშვილთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც კვლავ იჭერს ჯეროვან ადგილს საქართველოს ისტორიაში. სამშობლოს მოამაგე დაბრუნებულ პიროვნებათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ეროვნულ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემოკრატიული პარტიის დამაარსებლისა და პირველი თავმჯდომარის სპირიდონ კედიას სახელი. საგულისხმოა სხვა გარემოებაც:

გაცოცხლდა სპირიდონ კედიას არამარტო სახელი, არამედ საქმეც. საქართველოში კვლავ აღდგა და ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის მამამთავრად ილია ჭავჭავაძის შემდგომ, სრულიად ბუნებრივად, სპირიდონ კედია მიიჩნევა.

და კიდევ: სპირიდონ კედია აღარ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული პარტიის კუთვნილება. ამიერიდან მისი სახელი მთელ ერს, სრულიად საქართველოს განეკუთვნება, რომლის უკვდავსაყოფად უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. 1994 წლის შემოდგომაზე აღინიშნა სახელოვანი მამულიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავი. საიუბილეო ღონისძიებები მის მშობლიურ ზუგდიდში გაიმართა. ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩას სპირიდონ კედიას სახელი ეწოდა. დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, დიდი ეროვნულ-დემოკრატის ქუჩა თბილისშიც დაარსდა.

სასურველია, უახლოეს ხანებში გაიხსნას სპირიდონ კედიას სახლ-მუზეუმიც, რომელიც შეკრებს, დაიცავს და შთამომავლობას გააცნობს ერის ღირსეული შვილის ფასდაუდებელ მემკვიდრეობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დანართი

## ხეირიდან კედიას გაშოთქმები, საგაზეთო წერილი, საჯარო სიტყვა

# ხეირიდან კედიას გამოთქმები

სამშობლო ჩვენი კაცად–კაცობის, ჩვენი კულტუროსნობის სულმნათი კალატოზია.

*ჩვენი შობა, „საქართველო“, 1916 წ., 25 დეკემბერი.*

სამშობლო ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა ყოველი ქართველის, ქალის, კაცის, ბავშვის თუ მოხუცებულის ეროვნული დამოუკიდებლობაა, ეროვნული შვებაა.

*მიზანი არსებობისა, „საქართველო“, 1917 წ., 5 მარტი.*

როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესს შეეხება, ... ყოველი პარტიული გრძნობა და ყოველი პარტიული საზომი უნდა დადუმდეს წინაშე მამულიშვილობის გრძნობის საზომისა.

*სიტყვიდან საქართველოს პარლამენტში 1919 წ. 4 იანვარს, „საქართველო“, 1919 წ., 10–12 იანვარი.*

სამშობლოს მაღალი იდეაა ერთადერთი ჩვენი მმართველი და მბრძანებელი

*იქვე.*

სამშობლოს სახელს ვანაცვალოთ ჩვენი ეგოიზმი, პირადი თუ პარტიული.

*სამშობლოსათვის, „საქართველო“, 1916 წ., 11 დეკემბერი.*

ვერავინ ამოშლის სამშობლოს იმ ღრმა განცდასა და შეგნებას, რომელიც ჩვენს არსებაშია ჩანივთებული.

*სიტყვიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 მაისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 18.*

გწამთ თუ არა საშობლო, როგორც უზენაესი ღირებულება და მისი დამოუკიდებლობა, როგორც კულტი?

*კიდობნის ხალხი, „სამშობლოსათვის“, პარიზი, 1925, №6. გვ. 3.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო განუკვეთელი ერთარსებაა. ასე ეყოფილა, ასე უნდა იყოს დღესაც და ხვალეც ეგრემც უნდა იქნეს.

*ფრაგმენტიზმი და მისი დამღუპველი შედეგები, „საქართველო“, 1915 წ., 1 ნოემბერი.*

საქართველოს დროშას უნდა წარეწეროს: სამშობლოს კულტი და ეროვნული იდეის ბატონობა.

*სოციალისტური აზროვნების შედეგები, „საქართველო“, 1915 წ., 29 დეკემბერი.*

საქართველს მსოფლიო მისია შვა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ აზიისა და ევროპის ყორღანზე.

*სამუსულმანო საქართველოს პოლიტიკისათვის საქართველოში, „საქართველო“, 1920 წ., 22 ოქტომბერი.*

ფიზიკურად საქართველოს პოლიტიკურ—სახელმწიფოებრივი არსებობა არ შეიძლება, თუ მთელი სამუსლიმანო საქართველო მასთან არ იქნა.

*იქვე.*

კულტურულად საქართველო ვერ განაგრძობს თავის სახიერებას და ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ რომ მასში ერთად არ ამეტყველდა ქრისტიანული და მუსლიმანური დუეტი ქრისტიანიზმისა და მუსლიმანიზმის მსოფლმზერის.

*იქვე.*

სამშობლო მიწა—წყლის საზღვარი, ენა და მთელი შინაარსი გარდასულ თაობათა სულიერის თუ ნივთიერის შემოქმედებისა, ეროვნული აწმყოს სიამაყე და უკეთესი მერმისის მოპოვების უქრობი ჟინი — აი, რა შეადგენს ეროვნული ინტერესების შინაარსს.

*რა უნდა გვახსოვდეს, „საქართველო“, 1915 წ., 4 ივნისი.*

ჟამის სიდიადეს ღირსეულად უნდა გაუწიონდეს ჟამთა დაუნდობლობით გაბრძნილი ძარღვმაგარი საქართველოც.

*დროთა სვლაში, „საქართველო“, 1916 წ., 4 დეკემბერი.*

ნამდვილი თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ისეთ ერს შეუძლიან, რომელმაც სათანადო დისციპლინა და საქმიანობის უნარი გამოიჩინა ეკონომიკურ სფეროში.

*უსათაურო, „საქართველო“, 1915 წ., 24 მაისი.*

უფლება ძვირფასია მხოლოდ მისთვის, ვინც უიმისოდ იტანჯება და ნაკლსა გრძნობს მწვავედ.

*მაინც ძველი რუტინა, „საქართველო“, 1915 წ., 10 ივნისი.*

უფლებამოსილს თავისი ნებით უპირატესობა არ დაუყრია და უფლებააყრილს თავისი უფლება ხვეწნით ვერსად აღუდგენია.

*სიტყვიდან სახალხო მიტინგზე, „საქართველო“, 1917 წ., 14 მარტი.*

ცხოვრება ერთი დაუსრულებელი ბრძოლაა უფლების შესანარჩუნებლად. უფლებათა შორის დედოფალია ეროვნული უფლება, რომლის დაცვა თავის ნაირ—ნაირ გამოსახულებაში ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

*ერთობა ჩვენთვის ტახტია, „საქართველო“, 1916 წ. 12 მარტი.*

უკამათო სინამდვილეა, რომ ეროვნული ინტერესი ყველა ღირებულების გამკითხავი ღირებულებაა.

*რა უნდა გვახსოვდეს, „საქართველო“, 1915 წ., 4 ივნისი.*

ეროვნული უფლება მის დასაცავად დაღვრილი სისხლის კვალობაზედ, რომ ფასდებოდეს, ქართველთა ეროვნული უფლების მცხოვანებას დღეს მოწიწებით თავს უნდა უკრავდნენ წარმავალის ძლიერებით გამედიდურებული ახალი ხალხები.

*დროთა სვლაში, „საქართველო“, 1916 წ., 4 დეკემბერი.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცნობენ პოლიტიკოსნი და დიპლომატნი თუ არა, რომ მშვიდობიანობის შენობის სიმკვიდრისათვის ყველაზედ უპირველესია ეროვნებათა თავისუფლება და თანასწორობა?

*ერთი ნაღმის ისტორიიდან „საქართველო", 1916 წ., 4 ოქტომბერი.*

ერებს წარსული არ უფასდება, ხოლო ყოველი ერის აწმყო ძლიერება საკმარისი არ არის, რომ მან თავისი უფლება და ცხოვრება საკუთრად დაიცვას.

*დროთა სვლაში, „საქართველო", 1916 წ., 4 დეკემბერი.*

პატარა ერი ვართ. გავუფრთხილდეთ ყოველი ქართველის სიცოცხლეს.

*სიტყვიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეკრებაზე, „საქართველო", 1917 წ., 30 მაისი.*

ეროვნული სხეული მაგრად, მტკიცედ უნდა იდგეს მჭიდრო ტერიტორიაზედ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მისი აკვანიცაა და საფლავიც.

*ჩვენი სიტყვა, „საქართველო", 1915 წ., 24 მაისი.*

ქართველ ერს, საქართველოს ერთი სახე აქვს ... იგი წარმოადგენს ერთ ფიზიკურ და სულიერ ტიპს... აქვს ერთი ეროვნული ენა, ერთი წარსული თავისი ჭირითა და ლხინით, ერთი ეროვნული გრძნობა, ერთი ეროვნული სხეულღებულება... აქვს საერთო საფლავი და საერთო აკვანი ..., რაიცა ეროვნულად არსებობის უფლებას უაღრესად განსაზღვრავს.

*ღია წერილი ქართველ დეპუტატებს, „საქართველო", 1916 წ., 7 თებერვალი.*

ერი ცოცხალი ორგანიზმია, მუდამ განახლებული. მრავლება და ზრდა მისი არსებობის ფუნქციაა. ... ერი თვითკმარი ცნებაა, ამიტომაც, ერის თვითგანმტკიცება მაღლა სდგას, ვიდრე რომელიმე გონებრივი კატეგორია.

*ჩვენი სიტყვა, „საქართველო," 1915 წ., 24 მაისი.*

უუდიდესი უბედურება, რასაც წარმოდგენით წარმოიდგენს ადამიანი, ერის სიმკვიდრისათვის, — ეს არის ტერი-

ტორიის დაკარგვა და უცხო თესლის შემოჭრით ეროვნულ-გრაფიული ერთფეროვნების აჭრელება.

*სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო, „საქართველო“, 1919 წ., 20 აგვისტო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეა ეროვნული მთლიანობისა და ეროვნული თანაზიარობისა... თანდაყოლილი იდეა არ გახლავთ ... ეროვნულ კრებულში მოიპოვება როგორც საერთო ნიადაგი და შემაერთებელი მომენტი, აგრეთვე გამყოფი მომენტი და განმაცალკევებელი ნიადაგი. საჭიროა ამ განმათვითებელ ფაქტორებზე მაღლა დადგომა, საჭიროა მათი სრული აბსტრაქცია, რომ ეროვნების საერთო და საზიარო ხასიათი ნათელი და ცხადი გახდეს.

*ერთი შინაური საქმე, „საქართველო“, 1915 წ., 3 სექტემბერი.*

ეროვნული თვალსაზრისით უნდა განიზომებოდეს ყოველი ნაბიჯი, ყოველი დასაწყები საქმე: იგი უნდა იყოს გზისა და ხერხის მაჩვენებელი კანდელი.

*ავმაღლდეთ ჩვენცა, „საქართველო“, 1915 წ., 6 ივნისი.*

საცა ეროვნული საქმეა გასაკეთებელი, იქ ყოველგან ერთად, ყოველგან შეერთებულად უნდა ვიყვნეთ, რაგინდ უმნიშვნელო და წვრილმანი იყოს ეს საქმე.

*თბილისის არჩევნები, „საქართველო“, 1916 წ., 12 იანვარი.*

თითოეულმა ქართველმა უნდა შესძლოს და გადალახოს საქართველოს ყველა გამთიშველი ფაქტი – წინააღმდეგობა და დაპირისპირება პირადი, კლასიური და წოდებრივი ინტერესისა. ამისათვის საჭიროა პიროვნების მაღალი კულტურა და დიდი მორალური ძალა.

*აღორძინების ორი პროცესი, „საქართველო“, 1917 წ., 14 თებერვალი.*

საქმე ის კია არა, რომ ვიღაცის მოსატყუებლად თუ შესაშინებლად გარეგნული ერთობა აცოდვილო, არამედ ის, რომ ამ ერთობამ ქვეყანას მართლაც-და სარგებლობა მოუტანოს.

*ფრონტის გარღვევა, „საშშობლოსათვის“, პარიზი, 1925, №6, გვ. 10.*

წავიმძღვაროთ წინ ეროვნული სანთური და მით განვინათოთ ყოველდღიური საქმიანობის გზა.

*ვიდრე გვიან იქნებოდეს, „საქართველო“, 1915 წ., 17 სექტემბერი.*

განვიმტკიცოთ ეროვნული ერთობა და ქართველობა ახალ საგალობელს გააგონებს კაცობრიობის დიდ ოჯხს.

*ერთობა ჩვენთვის ტახტია, „საქართველო“, 1916 წ., 12 მარტი.*

ეროვნების თითოეული ატრიბუტი მებრძოლის შეგნებაში მის პირად სიცოცხლეზე უფრო ძვირად ფასობს.

*სად არის, სად?! „საქართველო“, 1915 წ., 22 სექტემბერი.*

ეროვნული პოლიტიკა ქართველობის სიმწიფის დამოუკიდებელი აქტია.

*უსათაურო, „საქართველო“, 1915 წ., 28 ივლისი.*

ქართველი ხალხი — ჩვენი მომავალი აღორძინების უტყუარი საფუძველი.

*გავზარდოთ იგი, „საქართველო“, 1915 წ., 27 სექტემბერი.*

ერთადერთი გარანტია ჩვენი მთლიანობის დასაცავად ჩვენ შინაურ სიმტკიცეში უნდა ვეძებოთ.

*სიტყვიდან საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტი, 1918 წ., 8 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 9.*

თუ ერს საკუთარი მთავრობა არა ჰყავს, თუ ერის სამართალი მისი შვილებისაგან არ იწერება, თუ ერის მართვა—გამგებლობა გადამთიელის ხელშია და არა მისი შვილებისა, ფუჭია ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლება.

*სიტყვიდან სახალხო მიტინგზე, „საქართველო“, 1917 წ., 14 მარტი.*

ხელმწიფე ერის სატკივარი და საზრუნავი ერთია... სულ სხვაა არახელმწიფე ერის სატკივარი და საზრუნავი. მისწრაფება ვერ ექნებათ ერთი და იგივე, ვერც მოქმედების მეთოდი და იარაღი. ... ამ განსხვავების გაგება ეროვნული იდეის საღი შემეცნებაა.

*ხელმწიფე ერი, „საქართველო“, 1915 წ., 2 ივნისი.*

ჯერ მთელი ერი, ჯერ სამშობლო და მერე პარტია! ჯერ საერთო ეროვნული ინტერესი და მერე კერძო!

*ღია წერილი ქართველ დეპუტატებს, „საქართველო“, 1916 წ., 7 თებერვალი.*

ეროვნება და საკუთრება ქვაკუთხედად დავისახეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის.

*განწმენდის გზით, „საქართველო“, 1918 წ., 24 სექტემბერი.*

სახელმწფოს მხოლოდ კეთილი გრძობებით ვერ შევქმნით. საჭიროა უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი პოლიტიკა.

*სიტყვიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წ. 17 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 16.*

სახელმწიფო ხასიათის დახმარება ჩვენს ხალხს რომ ევროპული წესით ეძლეოდეს, ჩვენი ქვეყანა ნივთიერ დოვლათის და კულტურულ აყვავების იშვიათ სანახაობას მიეცემოდა.

*ბიუროკრატიის ბატონობის შედეგები, „საქართველო“, 1916 წ., 11 სექტემბერი.*

ქრისტეს შობა მთელი საქართველოს დღესასწაული იყო და ქრისტიანობა კიდევ — ერთობილის საქართველოს განსრულებული ეროვნება. ... ქართველ მოდგმის მთელი ჩამომავლობა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ქრისტიანობაში ჰპოვებდა რელიგიური სინდისის ნათესაობას და საერთო ეროვნული სულის სიმტკიცეს. ეროვნული იყო აღმაფრენა, რადგან ერთი იყო რელიგიური ღმერთი და ღმერთი იგი სავსებით ჰფარავდა ეროვნულ ღმერთსა! ქართველთა სარწმუნოება უკლებლივ ეროვნული იყო.

*ჩვენი შობა, „საქართველო“, 1916 წ., 25 დეკემბერი.*

მაჰმადიანობამ დაარღვია საქართველოს რელიგიური მთლიანობა.

*იქვე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიის შობილი ღმერთები შეგვარიგებენ. ჩვენი მხოლოდ ეროვნების ღმერთშია, რომელიც უნდა იშვას. ამ ღმერთის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ქრისტემაც და მაჰმადმაც და მუნ მუდმივი შერიგების წყარო სვან! დღეს ღმერთი — ეროვნება ღმერთ — სარწმუნოებაზე მაღლა სდგას.

*იქვე.*

საქართველოს ეკლესია მთელი ერის ეროვნული განძი და საკუთრებაა. მისი უფლების დასაცავად გარჯა და თავგამოდება ჩვენი წმინდა ეროვნული მოვალეობაა. ... საქართველოს ეკლესიის საკითხი მთელი ერის საკითხია; შეუძლებელია ეს ძვირფასი განძი რომელიმე ერთ წოდებას მივუგდოთ და მას დავაკისროთ მისი დაცვა და მოვლა—პატრონობა.

*საქართველოს ეკლესიის გულისთვის, „საქართველო“, 1916 წ., 31 მარტი.*

იშვიათია ერი, რომელსაც იმდენი სასიცოცხლო ძალა და ენერგია გამოეჩინოს, რამდენიც ქართველობამ გამოიჩინა, ან ისე ინტენსიურად განეცადოს, თუ რას ნიშნავს ნამდვილი სჯულისა და ეროვნების დაცვა—შენახვა, თუ რაოდენ მსხვერპლსა ითხოვს იგი.

*დროთა სვლაში, „საქართველო“, 1916 წ., 4 დეკემბერი.*

საქართველოს ეკლესიას ქართული ეროვნული იდეა ათას წლობით დაუცავს და უცხოველებია.

*ავჯანყების გასამართლება, „სამშობლოსათვის“, პარიზი, 1925, №5, გვ. 4.*

ნუთუ ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის მთელ სულიერ—რელიგიურ სამყაროს ფლობდა, დღეს იმად არ ღირს, რომ ჩვენ ჩვენი პარტიული დოქტრინის პატარა ღმერთი ჩავაჩუმოთ და მიუძღვნათ მას მაღალი შეგნება უზადო, უანგარო ეროვნული მოვალეობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*საქართველოს ეკლესიის გულისათვის, „საქართველო“, 1916 წ., 31 მარტი.*

სარწმუნოება ის სულიერი ბურჯია, რომელიც მრავალ საუკუნეთა სიგრძეზე ქართველის ბუნებას შემტკიცებია და სოცოხლის აზრად გახდომია.

*იქვე.*

ისტორია ებრძოდა ქართველობას და ქართველობაც ებრძოდა მას. ეს ჭიდილი ქართველობისა მისდა მოსასპობად აღძრულ უცხოობასთან, ღვრა სისხლის ოკეანისა და შეწირვა ზვარაკთა მრავალ ათიათასთა, თავისუფალ სიცოცხლის გულისათვის, შინაარსია საქართველოს განვლილ დღეთა.

*შეერთებული საქართველო, „საქართველო“, 1915 წ., 26 ივლისი.*

ჩვენი ისტორია წარუშლელი მოთხრობაა ქართველობის მოწამეობრივი სიცოცხლსა, რჯულისა და ეკლესიისათვის.

*იქვე.*

ნეტავი როდის გადალახავს ქართველის ხასიათი თავის საბედისწერო რუბიკონს, ნეტავი როდის დაეჩვევა სინამდვილის ამოკითხვას ქართველის გონება?

*ორი ფსიხოლოგიური ვითარება, „საქართველო“, 1915 წ., 25 აგვისტო.*

ყოველ წვრილმანში მოსჩანს ჩვენი ხასიათის ძირითადი ნაკლი: უდისციპლინობა მოქმედებაში, უდისციპლინობა იდეათა სფეროში, უდისციპლინობა ნებისყოფაში. აქ მარხია ჩვენი ეროვნული ვაი და უბედურება.

*დღევანდელი მდგომარეობა, „საქართველო“, 1915 წ., 8 სექტემბერი.*

ჩვენი სულის დაავადების მაჩვენებელია, რომ ქართველი კაცი თავის ქვეყნის თავისუფლებაზე უარს ამბობს იმის შიშით, რომ თავისუფალ საქართველოში სხვა ეროვნება დაიჩაგრებაო.

*დავიწყებული ქვეყანა, „საქართველო“, 1917 წ., 29 აპრილი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში სჭარბობს გრძნობა და ფილანტროპია და ნაკლებია საღი ანალიზი მდგომარეობისა.

*სიტყვიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წ. 17 ოქტომბრის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 19.*

გვღუპავს რუსეთის სკოლა და აზიური ბუნება!

*უპატრონო გზა, „საქართველო", 1918 წ., 16 ნოემბერი.*

ქართველში ჯერ კიდევ რაინდი სჭარბობს პოლიტიკოსს. რაც უფრო მალე შეიცვლება მისი რაინდული ბუნება პოლიტიკურ ბუნებად... მით უფრო მოგებული დარჩება ქართული პოლიტიკური აზრი.

*ილუზია და სინამდვილე, „საქართველო", 1916 წ., 16 სექტემბერი.*

ჩვენში ანარქიული ხასიათი მუშაობს უფრო, ვიდრე კოლექტიური დისციპლინა — ეს მაღალი განვითარების საფეხურზე მდგომ ერის თვისება.

*ვისწავლოთ ბრძოლის ხერხი, „საქართველო", 1915 წ., 25 სექტემბერი.*

ველურობის ნიშანია, როცა დრო და ენერგია ზომის გარეშე იფლანგება.

*პარტიობა თუ უპარტიობა, „საქართველო", 1917 წ., 26 თებერვალი.*

დიდი მომენტის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გრძნობა, გონება და ხასიათი შეწყობილად მუშაობენ.

*სიტყვიდან სახალხო მიტინგზე, „საქართველო", 1917 წ., 14 მარტი.*

ხუთასი კაცის თავი საქმის გასაკეთებლად მაშინ არის გამოსადეგი, როდესაც თითოეულს მათგანს შესწევს დაუმარცხებელი დისციპლინა გონებისა, ხასიათისა და ნებისყოფისა მდგომარეობის მაღალ შეგნებასთან ერთად.

*ყავარჯნის გარშემო, „საქართველო", 1915 წ., 5 სექტემბერი.*

არა ვართ მდიდარი ინტელიგენტურ და შეგნებულ პიროვნებებით, გასაჭირი კი ჩვენს სამშობლოს მთელი ქვეყ-

ნისა აწევს. ცოდოა შეგნებულთა ენერგია რომ იხარჯებოდეს აშკარად საპირადო გულისთქმასა და ბრძოლაზედ, რაიცა აძაბუნებს საზოგადოებრივ ილაჯს და ქვეყის შინაგანი სიმტკიცის კავშირებს ასუსტებს და არღვევს.

*პირველი ნაბიჯი, „საქართველო", 1916 წ., 21 ოქტომბერი.*

რა უნდა გავიხადოთ პირველ საზომად, სახელმძღვანელო იდეად, პარტიული პრინციპი თუ ეროვნული? ჩვენ გვგონია, რომ ეროვნული და მხოლოდ ეროვნული.

*თბილისის არჩევნები, „საქართველო", 1916 წ., 12 იანვარი.*

რას ვეტყვით მომავალს, თუ დღევანდელი დრო, აღსავსე მრავლის შესაძლებლობით ქიშპს მოვანდომეთ, პარტიულ განსხვავებს შევწირეთ! ... ჩვენ ჩვენის პროგრამებით და პარტიული გულისთქმით სანმოკლე სტუმრები ვართ. საქართველო და მისი სიცოცხლე კი საუკუნოებით არ ამოიწურება!

*საშობლოსათვის, „საქართველო", 1916 წ., 11 დეკმბერი.*

პოლიტიკურ ცხოვრებაში არა კმარა მარტო იდეოლოგიური ერთიანობა და პრინციპების თანაზიარობა. აქ უმთავრეს როლს თამაშობს პირადი ნდობის საკითხი. ნდობას კიდევა ჰქმის არამარტო იდეოლოგიური მხარე ადამიანისა, არამედ, მთელი მისი სასიათების კომპლექტი.

*პირველი დარბაზობა, „საქართველო", 1918 წ., 26 სექტემბერი.*

დამფუძნებელი კრება უნდა იყოს დარაჯი ერის სასიცოცხლო ინტერესებისა.

*სიტყვიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წ., 14 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 6.*

ხალხის წარმომადგენელი მოვალეა იცოდეს ყოველი დეტალი თავისი ერის სპეციფიკური ტკივილებისა და დაიცვას მშობლიური ხალხის ინტერესი.

*მოვალეობა და შედეგი, „საქართველო", 1915 წ., 19 აგვისტო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროა ქართველი ინტელიგენცია გამოეთხოვოს ამ ილუზიებს, რომელიც მას რუსის ლიბერალებისაგან ყმაწვილობის დროს მიუღია და ისე დააფასოს ისინი, როგორც სინამდვილეს შეეფერება.

*ილუზია და სინამდვილე, „საქართველო", 1916 წ., 16 სექტემბერი.*

ვინც გინდა მოექცეს რუსეთის მთავრობის სათავეში, რომელიც გინდა პოლიტიკური მიმართულება გაბატონდეს რუსეთში, ჩვენ მაინც გერებად დავრჩებით. ერთმანეთს ვერ შეეწყობა ჩვენი და მათი გზა და მიზანი.

*იქვე.*

ჭეშმარიტად, უბედურება იყო და დიდი უბედურებაც, რომ საქართველოს ეროვნული ბურჟუაზია არ გააჩნდა.

*აღორძინების ორი პროცესი, „საქართველო", 1917 წ., 14 თებერვალი.*

ჩვენი ქვეყნის ფეხზე დამყენებელი ძალა ეროვნული ვაჭრობა—მრეწველობაა. ჩვენი ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სიმტკიცისა და საერთო კეთილდღეობის ზრდა იქნება.

*მოგების დაცვა და ეროვნული ბურჟუაზია, „საქართველო", 1917 წ., 16 თებერვალი.*

წვრილი კრედიტის ამხანაგობები და სხვა სახის კოოპერატივები იმითაც არის სასარგებლო, რომ ხალხის ამგვარი მჭიდრო თანამშრომლობა თავისთავად წარმოშობს ეროვნული თანაზიარობის, მთლიანობის და ერთობლიობის იდეას. პირველ საარსებო საკითხის გარშემო შემოკრებილი ხალხი ამაღლებდა საერთო ეროვნული ინტერესის შეგნებამდეც.

*საერთო გაჭირვების საგულისხმიერო შედეგი, „საქართველო", 1915 წ., 30 სექტემბერი.*

საღი კომერსანტი, საღი მეურნისა და მრეწველის გვერდით. აი, სამი ქვააგური, რომლებზედაც უნდა აშენდეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომავალი საქართველოს ეკონომიკური დოვლათი და კულ-ტურული სიმტკიცე.

*ავღმაღლდეთ ჩვენცა, „საქართველო“, 1915 წ., 6 ივნისი.*

თუ ჩვენი მიზანია ეროვნული მეურნეობის დაწინაუ-რება და სახელმწიფო ეკონომიკის გაძლიერება, ჩვენ ვალ-დებული ვიქნებით, ერთნაირად დავიცვათ როგორც მუშათა, ისე მრეწველთა ინტერესები და შევებრძოლოთ, თუ რომე-ლიმე მათგანის მადა და შემოქმედება ჩვენი ქვეყნის საზია-ნოდ იქნება ამოძრავებული.

*სიტყვიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 29 ივლისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 20.*

ჩვენ ვალდებულნი ვართ წარმოების ორივე აგენტის ინტერესი დავიცვათ, როგორც მრეწველის ისე მუშების, თუ გვინდა სწორი განვითარების საშუალება მივცეთ ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას.

*იქვე, გვ. 24.*

შინაურ პოლიტიკაში ყველა ძალთა შემაერთებელი კომპრომისი, ყველა ცოცხალ ეროვნულ ძალთა ჰარმონიის შექმნა და საღი ეკონომიკური რეფორმების წარმობა უძარ-ცვაგლეჯოდ, აი რა გაგვამტკიცებდა შინ და გარეთ.

*იქვე, 1919 წ., 10 მაისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 19.*

დანაშაული მარტო ომის გამოცხადების ან დაწყე-ბის თაოსნობა კი არ არის, არამედ ისეთი ობიექტური პი-რობების შექმნაც, დაუდევრობით თუ სხვა ხასიათის ნაკ-ლით, როდესაც ერთი სახელმწიფო შეიარაღებულ ტაციო-ბასა და ყაჩაღობაში სიძნელეს ვერ ხედავს და იოლ ავან-ტიურად ეჩვენება.

*ახალ შეცდომას ნუ ჩავიდენთ, „საქართველო“, 1918 წ., 8 ნოემბერი.*

ჯარი, როგორც ერის დაცვის იმედი, უთუოდ პოლი-ტიკის გარეშე უნდა იდგეს და ვინც ჯარში მსახურობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას არ უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს მონაწილეობა ამ ჩვენებში, არც აქტიური და არც პასიური.

*სიტყვიდან საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის 1918 წ. 26 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში გვ. 16.*

მხედრის შეგნებაში სამშობლოს დაცვის იდეამ სხვა ყველაფერი უნდა დაჩრდილოს. ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს.

*„საქართველო“, 1917 წ. 31 ოქტომბერი,*

ჩვენი აზრი არასოდეს დაგვიქვემდებარებია ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნება—სურვილისათვის. პრესის თავისუფლება ამგვარ შეურაცხოფას ჩვენის მხრით არც არასოდეს მიიღებს.

*საზოგადოებას, „საქართველო“, 1920 წ., 17 დეკემბერი.*

ხალხი პრაქტიკია და მხოლოდ კონკრეტულ საჭიროებას მიჰყვება.

*საერთო გაჭირვების საგულსხმიერო შედეგი, „საქართველო“, 1915 წ., 30 სექტემბერი.*

ყვირილი და მიტინგები ადვილი საქმე. ძნელია დადებითი და ამღორძინებელი მუშაობა.

*სიტყვიდან სახალხო მიტინგზე, „საქრთველო“, 1917 წ, 14 მარტი.*

მტკიცედ ნათქვამი სიტყვა თავის ფასით და ღირსებით ისტორიულ საბუთად დარჩება და ერის ფსიქოლოგიურ აღზრდაში თავის როლს ითამაშებს.

*ვისწავლოთ ბრძოლის ხერხი, „საქართველო“, 1915 წ., 25 სექტემბერი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სიკვდილი სიკვდილის ღმერთს!

ვაჟა დაჰკარგეთ, ჰეეი!...

საქართველოს მთებო... აბორგდით!

განიპეთ მკერდი, შეირღვიეთ კლდოვანი ფერდები თქვენნი, მთებო ქართლისავ!

შემოიბურეთ უკუმი ღრუბელი, რისხვით ეწიეთ ცათა მაღალთა და მკვეთრის წვეტებით დაუხიეთ მათ კაბადონი!

წყრომა ერისა დევის ხმით ასმინეთ ზეცას; უძრო წიაღად შთაგზავნეთ ძარღვიანი მკლავნი თქვენი, ბუმბერაზებო, და აიკელით, ნაცარ-ტუტა აადინეთ სამართლის წიგნთა ე მაგ ზეცის დავთარხანას!

დაჰკარგე ვაჟა, ჰეეი!...

შეინძერ შენც ბარო ქართლისავ! ლაღუმის ბურთებრ შეიკუმშე, შინაგან ძალით განიხეთქე ქერქი გარისა და აღმოყარე ქვა და ხრეში, ცეცხლი-ლითონი, ბოლო შხამისა და ჯოჯოხეთის ორომ-ტრიალი ცას შეუკეთე!...

ვაჟა დაჰკარგეთ, ჰეეი!...

ისმინეთ და შეშფოთდით, მთანო მაღალნო! აღიძვრენით შურისძიებით და ხმალ-კაპარჭი შეუმართეთ, აბა ჰა, მარჯვედ!

ბარი არს თქვენთან, გეფიცებით, ისიც პყრობილი შურისძიებით.

მთაო და ბარო, ერთარსება საქართველოვ ორთავე ერთად! წამწამთ ხამხამზე თქვენ დაგიმიწეს შობილთ შორის ორი ძე დიდი: აკაკი, ვაჟა.

ორი ნიჭი მაღალი...

ორი გვირგვინი შემოქმედების...

სიკვდილი გებრძვის ბუნება, ჩემო სამშობლოვ!

შენ-კი, შენის საშოდან გადმოუშვი ჯარი სიცოცხლის, წარმოგვიგზავნე ერთის წილ — ათი, ორის წილ — ოცი.

მთაო და ბარო, მაშ ფიცი დასდეთ და სიკვდილის ღმერთს სიცოცხლისა გაურჭეთ ხმალი!

*„საქართველო“, 1915 წ., 29 ივლისი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპირიდონ ჯედიას სიტყვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა კრებებზე თბილისში, 1917 წ. 10 მარტს

ბატონებო! საქართველოს სახე! ათასმა წლებმა ჩამოქნეს საქართველოს სახე. ზღვა სისხლი დაიღვარა და უთვლელი მსხვერპლი შესწირვია ამ სახის აგებას. წინაპართა ხმალი და მკერდი ყოფილა მისი დამცველი, წინაპართა გულ-გონება — მისი ამომვსები შინაარსით. მედგრად გადაუტანია ათასი წლების ქარიშხალი, ზოგჯერ მიწად განრთხმული, კვლავ ამდგარა ღონე-მოკრეფილი და თავისი სახელოვანი არსებობა განუგრძვია. ბევრი დიდი სახელმწიფო და ბევრი სახელოვანი ხალხი დაამარცხა არ-სებობისათვის ბრძოლამ და აღიგვა კიდეც დედამიწის პირიდან. საქართველო კი ჟამს გადაურჩა, ჟამი დაამარცხა. საქართველოს სახე დაუმარცხებლობის ნიღაბია.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე მოვიდა საქართვე-ლო დამოუკიდებელი და თავისუფალი. საქართველოს, ბრძოლით დაქანცულმა, სხეულმა მოსვენება მოითხოვა. ქვეყნის მოამაგე მე-ფემ, პატარა კახმა, თავის სიცოცხლის გადამხარზე გადასწყვიტა ეს მოსვენება ქვეყნისთვის მიენიჭებინა. რუსთა დედოფალთან, ეკა-ტერინესთან, დადო ხელშეკრულება და საქართველოსა და რუ-სეთს შორის კავშირი ჩამოვარდა.

მეფე მოსვენებით და გულნაოხი წავიდა საფლავში; ეგონა, ხელშეკრულება დაცული იქნებოდა და საქართველო თავისუფ-ლად დარჩებოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. მეფე მოტყუვდა. იგი გარდაიცვალა და საქართველოც მოკვდა მეორე, მესამე წე-ლიწადს. რუსეთმა გასტეხა ფიცი, დაარღვია ხელშეკრულება და საქართველოს უფლება ახადა. და ამ წლიდან, 1801 წლიდან, და-იწყო საქართველოს დანგრევა და გაჩანაგება. ირღვეოდა რაც ათასწლობით ერს შეეძინა. საქართველომ ბრძოლის წილ, მოსვე-ნება მოისურვა. მან უღალატა თავის ძველისძველ ჩვეულებას და დაისაჯა კიდევაც ამ ღალატისათვის. მოსპეს ყოველივე: მთავრო-ბა, სამართალი, ჯარი, ფული; ქვეყანას საზღვრები შემოარღვიეს და დაიტაცეს მისი ქონება, მისი მიწა-წყალი. განიდევნა მისი ენა, დაანგრიეს მისი ეკლესია, აწამეს საქართველო სულიერად, აწამეს იგი ხორციელად. რისხვისა იყო გასული საუკუნე, საქართველოს სახე, ათას წლებით შექმნილი, იშლებოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ თებერვლის მიწურულში დაემხო რეჟიმი, რომელიც ასე მტარვალურად მოექცა საქართველოს. განდევნეს, დინასტია, რომელმაც ფიცი და ხელშეკრულება დაარღვია და საქართველო სისხლისაგან დასცალა.

დიდი აქტია ეს აქტი. რუსეთი უფლებრივ სახელმწიფოდ გადაიქცა. ამის შედეგები მეტად საგრძნობია და კეთილისმყოფელი. ამ წუთის გარემოებიდან რომ მაგალითი ავიღოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ მომხდარ რევოლუციის წყალობაა, აქ რომ თავისუფლად შევკრებილვართ და სიმართლის თქმას რომ არ გვიშლიან. ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ეს უბრალო მოვლენა არ გახლავთ. თავისუფლება სიტყვისა, წერისა, კრებისა და სინდისისა, — აი რა მოაქვს რევოლუციას. საყოველთაო, ფარული და სხვა საარჩევნო უფლება, აი რა აღიარა რევოლუციამ. ხალხს გზა ეხსნება, მას საშუალება ეძლევა თავის ქვეყნის პოლიტიკაზე პირდაპირი გავლენა მოიღოს. მისი ხმა, დღემდის უყურადღებოდ დატოვებული, ძალით და უფლებით შეიმოსა. მოისპო წოდებრიობა, საუკუნოებით განმტკიცებული. არ იქნებიან დაბადებით უფლებითა და უპირატესობით მოსილნი, არ იქნებიან დაბადებით დამცირებულნი და უფლება-ახდილნი. კერძო თაოსნობას ქართველი მიეცა. პირადი ღირსება, პირადი კაცად-კაცობა — აი, ამიერიდან ახალი საზომი პიროვნების მნიშვნელობისა და გავლენისა. მოქალაქეობრივი წარმატების აუცილებელი პირობები დამყარდა. ყოველივე ეს მეტად საგულისხმოა. არსად და არასოდეს უსისხლოდ არ მომხდარა ასეთი ცვლილება. უფლებამოსილს თავის ნებით თავისი უპირატესობა არ დაუყრია და უფლებააყრილს თავისი უფლება ხვეწნით ვერსად აღუდგენია.

ჩვენზედაც, ქართველებზედაც ვრცელდება ამ რევოლუციის ყოველი შედეგი და სიკეთე. ჩვენი სალამი, ჩვენი აღტაცებული სალამი ამ რევოლუციას. დღეგრძელობა რუსეთის ახალ რეჟიმს. მაგრამ... და აი, სწორედ აქ იწყება განსხვავება ჩვენსა და რუსებს შორის. აქ იწყება განსხვავება საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს განსხვავება უნდა შევიგნოთ. თავისუფალ რუსეთისთვის ეს მოქალაქეობრივი ნორმები საკმარისია, რომ ფრთა გაშალოს, რაც რომ ფარული ძალა-შემოქმედება შესწევს, უკლებლივ გამოსთქვას.

საქართველოსთვის ეს არა კმარა. მოქალაქეობრივი უფლებრიობა თავისუფალ ერშია შესაძლებელი, თუ ერს თავისი საკუთარი მთავრობა არ ჰყავს, თუ ერის სამართალი მის შვილები-

საგან არ იწერება, თუ ერის მართვა-გამგებლობა გადამეფეების ხელშია და არა მისი შვილებისა, ფუჭია ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლება. ერის სული შებორკილია, მისი არსებობა შებოჭილი, მისი ძალა-შემოქმედება შეხუთული. ერი, როგორც ერი მონაა მაშინ: ხოლო მონობა და შემოქმედება, მონობა და წარმატება შეუძლებელია. მაშ დღევანდელი რევოლუცია ამ მოქალაქეობრივ ნორმების მოპოებასა და განმტკიცებას არ გასცილდა, ქართველი ერი როგორც ერი კვლავ მონად დარჩება. ამიტომაც, რომ თანაბრად კეთილისმყოფელი იყოს, დღევანდელმა რევოლუციამ, უწინარეს ყოვლისა საქართველოს ეროვნული თავისუფლება უნდა მოუტანოს. რევოლუცია მხოლოდ მაშინ იქნება სრული. თავისუფალ საქართველოში ქართველი ხალხი საკუთრივ მოაწყობს და განამტკიცებს მართვა-გამგეობის დემოკრატიულ რეჟიმს. საქართველოს განახლება მოქალაქეობრივ-უფლებრივ ნორმების გამოცხადებით ვერ დაიწყება, არამედ მისი ეროვნული თავისუფლების აღდგენით. ეს უნდა მოხდეს ეხლა ან არასოდეს. თავი და თავი ესაა. ამას გვავალებს ჩვენი თავისა და ჩვენი მდგომარეობის შეგნება.

უდიდესი მომენტი დადგა საქართველოს ისტორიაში. მონობის კირთების დალეწვა მხოლოდ ეხლა შეიძლება. მხოლოდ ეხლა შეიძლება აღმობრწყინდეს თავისუფლების ჩასული მზე. რაც უფრო მაღალია ამ მომენტის დიდებულება, მით უფრო განუზომელია ჩვენი პასუხისმგებლობა. ხოლო ქართველები გავცუღლუტდით. მონობის ასმა წელიწადმა უდარდელი და უზრუნველი გაგვხადა. ზრუნვა ქვეყნის საქმეებზე რომ ჩამოგვერთვა და ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავენი წაგვერთვა, ყველაფერზე გული ავიყარეთ. სხვა გვმართავდა და ჩვენ მისი მონური მიმყოლი ვიყავით. ქართველ კაცს დაეკარგა შემეცნება მოქმედებისა, თავის ქვეყნის მართვა-გამგეობისა და კანონმდებლობისათვის. მას დაეკარგა გრძნობა პასუხისმგებლობისა ქვეყნის წინაშე ამგვარ მოქმედებასთან დაკავშირებულ ნაბიჯისათვის. ქართველი კაცის ფსიხიკიდან აღმოიშალა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შემოქმედება! უსულონი შევიქმენით და საშინელი იყო ბედი ქვეყნისა, მაგრამ გადავსცდით საბედისწერო ზღურბლს. დღეს სხვებთან ერთად ეროვნული იდეის გამარჯვებას ვესწრებით. თანდათან ... შევდივართ ღრმა განცდაში, მარცხდება ... მონობის ფსიხიკა. ჩვენში იღვიძებს ის ამაყნი წინაპარნი, რომელთაც გამოსჭედეს თავისუფალი საქართველო და რომელნიც მტლად ედებოდნენ მას. ეს აღორძინების ხასიათი, თავისუფლების მოპოვებიის სული ყოველ ქარ-

თველში იღვიძებს. და როგორც წარსულში მთელი საქართველო, კაცი, ქალი, თავადი, აზნაური, გლეხი და სამღვდელოება ერთიანობდა და საერთო ძალ-ღონით იცავდა სამშობლოს და მის თავისუფლებას მსხვერპლად ეწირებოდა, დღესაც მთელი ქართველობა უნდა შეიკრიბოს ამ იდეის გარშემო. ავმაღლდეთ და დავივიწყოთ ყოველივე საპირადო, პარტიული, საწოდებო, ვეზიაროთ სამშობლოს უზენაესობას. ნუღარ იქნება ნურც მუშა, ნურც გლეხი, ნურც ბურჟუა, ნურც თავადაზნაური, ნურც სამღვდელოება. იყოს მხოლოდ ქართველი და საქართველო და ერთად გამოვსჭედოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, მისი დახსნა ტყვეობისაგან, მის თავისუფლება.

ბატონებო! ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთ მოწოდებას სტვენით ეგებებოდნენ! დღეს კი ტაშითა და აღტაცებით მიესალმებიან! ვინა სთქვა — წინ არ მიდისო ჩვენი ეროვნული შეგნება? ვიმუშაოთ, გავაძლიეროთ ეს შეგნება. მოვსდოთ იგი კიდით კიდე მთელს საქართველოს. ამ შეგნებით დაირაზმოს და გამაგრდეს ჩვენი დაუმარცხებელი სამშობლო.

ბატონებო! საერთოდ აღტაცებული ხალხი ვართ. დღევანდელი ამბები ამ ჩვენს ხასიათს კიდევ უფრო აღიზიანებს. მაგრამ თავდაჭერა და გონების მოკრება ისე არასოდეს ... დაგვჭირებია, როგორც დღეს. დიდი მომენტების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გრძნობა, გონება და ხასიათი შეწყობილად მუშაობენ. ერთის სიჭარბემ შეიძლება ყველაფერი წაახდინოს. ჩვენი ძალის ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ, გადაუჭარბებლად წარმოვიდგინოთ ჩვენი როლი რაც ხდება იმ მოვლენებში და ამისდა შესაფერისად ვიმოქმედოთ. ცხრაას ხუთის შეცდომები არ გავიმეოროთ. პატარა ერი ვართ, გავუფრთხილდეთ ყოველი ქართველის სიცოცხლეს. გავარჩიოთ ჩვენი და სხვისი, ჩვენი და სხვასთან საერთოც. იმდენი სისხლი არა გვაქვს, რომ ჩვენთვისაც ვღვაროთ და სხვასთან რომ საერთო გვაქვს იმისთვისაც. ყველაფერს შესაფერისად მიუწყოთ. რევოლუცია პეტროგრადმა მოახდინა. ჩვენ მხოლოდ ამბავი მოგვივიდა და მის შედეგებით ვსარგებლობთ. ჩვენ კუდში ვართ და თავს საქმის მოთავედ წარმოვიდგენთ. პეტროგრადივე გადასწყვეტს რევოლუციის ბედს. მდგომარეობა რთულია. შესაძლებელია, კიდევ უფრო გართულდეს. მოსალოდნელია კონტრრევოლუციაც. ვინ იცის? ახალ მთავრობას ხელი შევუწყოთ, წესიერების დაცვით და მწყობრი სამეურნეო მუშაობით. ყვირილი და მიტინგები ადვილი საქმეა. ძნელია დადებითი და ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღორძინებელი მუშაობა. მთელი ჩვენი ენერგია ამას უნდა მოვახმაროთ. მე არ მინდა აქედან აღგზნებით და გრძნობაშეკიდებული წაბრძანდეთ. თუ ეს მოხდა, ჩემი მიზანი დამარცხებული იქნება და ჩემი აქ გამოსვლა უნაყოფო. მე მინდა ყოველი დამსწრე აქედან წავიდეს იმ სიდინჯით, იმ დაფიქრებით და გრძნობა-შეკავებით, რომელიც ყოველ დიდ მოვლენისა და დიდ მომენტის ნამდვილ განცდას გამოსახავს. გვქონდეს სამშობლოს თავისუფლების რწმენის სიმხურვალე, გვქონდეს გონების სიფრთხილე და გრძნობის ზომიერება. ვიყვნეთ სალი სულით, სალი სხეულით და საქართველოს თავისუფლებაც ჩვენთან არს! გაუმარჯოს მას!

*„საქართველო“, 1917 წ., 14 მარტი.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## I. წყაროები

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ხელნაწ. ინსტ.)

*იაკობ გოგებაშვილის ფონდი*

საქ. №482

*მიხეილ მაჩაბლის ფონდი*

საქ. №840

*ივანე ჯავახიშვილის ფონდი*

საქ. №1369
საქ. №1548
საქ. №1861
საქ. №1884

*არჩილ ჯორჯაძის ფონდი*

საქ. №80

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (ლიტ. მუზ.)

*შალვა ამირეჯიბის ფონდი*

საქ. №26960/3
საქ. №26960/20

*გიორგი გვაზავას ფონდი*

საქ. №1799—ხ

*სანდრო შანშიაშვილის ფონდი*

საქ. №5558—ხ

საქართველოს პრეზიდენტის არქივი (პრეზიდ. არქ.)

*ფონდი 14, ანაწერი 1*

საქ. №28
საქ. №54
საქ. №196

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა)

*ფონდი 13, ანაწერი 27*

საქ. №64
საქ. №5423
საქ. №5430
საქ. №5432
საქ. №5433

*ფონდი 94, ანაწერი 1*

საქ. №433
საქ. №652

*ფონდი 480, ანაწერი 2*

საქ. №1088

*ფონდი 1833, ანაწერი 1*

საქ. №191
საქ. №859

*ფონდი 1836, ანაწერი 1*

საქ. №2
საქ. №48
საქ. №107
საქ. №131
საქ. №191
საქ. №859

სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები (სცსსა, მიკროფირები)
საქ. №910
საქ. №1017

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. №1062
საქ. №1081
საქ. №1087
საქ. №1092
საქ. №1145
საქ. №1273
საქ. №1306

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქუთ. მუზ.)

*გიორგი ზღანოეთის ფონდი*

საქ. №1941

ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (ქსცსა)

*ფონდი 94, ანაწერი 1*

საქ. №3132
საქ. №3600

*ფონდი 139, ანაწერი 2*

საქ. №67
საქ. №139

საქართველოს დამფუძნებელი კრება (დამფ. კრება)

1919. *22 მარტის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*10 მაისის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*16 მაისის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*22 ივნისის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*29 ივლისის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*7 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*14 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

*18 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი (საქ. პარლამენტი)

1918. *26 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*
*8 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*
*19 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა-ული ანგარიში*

## II. ლიტერატურა

ავალიანი ლალი

1990. კონსტანტინე გამსახურდია კენიგსბერგში. ჟ. „ქართული მწერლობა“, №1, თბ.

ავალიშვილი ზურაბ

1990. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918—1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბ., 192 გვ.

ან (შორდანია ნოე).

1915. ფედერალისტთა ბანაკში. გაზ. „თანამედროვე აზრი“, №197, 30 ოქტომბერი, თბ.

არიძე ბ.

1938. ემიგრაციის როლი და ემიგრაციის გაერთიანება. ჟ. „ბრძოლის ხმა“, №6, (85), პარიზი.

ასათიანი ალექსანდრე

1918. გერმანეთის მფარველობა. გაზ. „საქართველო“, №89, 12 მაისი, თბ.

1928. ძველი და ახალი მემკვიდრეობა. წგნ. I. ვალანტინეი. 226 გვ.

1932. პარტიული ცხოვრება. ჟ. „სამშობლო“, №12, პარიზი.

1933. ა. თავადი იოსებ დადიანი (1863—1937). ჟ. „სამშობლო“, №21—22, პარიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 ბ. საქართველოს ეროვნულ—დემოკრატიული პარტია (1917—1937). ჟ. „სამშობლო“, №21—22, პარიზი.

ასათიანი ლევან

1953. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბ., 502 გვ.

1965. უბის წიგნაკიდან. ჟ. „მნათობი“, №7, თბ.

ასლანიშვილი ალეკო

1996. ქარიშხლინი დღეების ქრონიკა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №215, 25 ოქტომბერი, თბ.

ამირეჯიბი შალვა

1928 ა. ბუნებისათვს ლიდერისა. ჟ. „მამულიშვილი“, №6, პარიზი.

1928 ბ. ნიკო ნიკოლაძე. ჟ. „დამოუკიდებელი საქართველო“, №28, პარიზი.

1929 ა. აგვისტოს აჯანყება. ჟ. „სამშობლო“, №2, პარიზი.

1929 ბ. ქართული სოციალ—დემოკრატიის კრიზისი. ჟ. „სამშობლო“, №3—4, პარიზი.

ბაქრაძე აკაკი

1992. ილია და აკაკი, თბ., 276 გვ.

ბაქრაძე ლაშა

2001. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. საკანდიდატო დისერტაცია.

ბენდიანიშვილი ალექსანდრე

1980. ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801—1921. თბ., 274 გვ.

2001. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918—1921). თბ., 366 გვ.

გაბლიანი გივი

1981. მეორე მსოფლიო ომი და ქართველობა ჟ. „ივერია“, №24, პარიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


**გაგელი ვარამ (ტაბიძე ტიციან)**

1920. ქართული პრესა. გაზ. „ბარიკადი“, №2, 18 ოქტომბერი, თბ.

**გაბაშვილი რევაზ**

1992. რაც მასხოვს. წიგნში — დაბრუნება, 3, თბ., 462 გვ.

**გენძეხაძე იოსებ**

1975. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, №5, თბ.

1989. იოსებ ოცხელი. ქუთაისი, 61 გვ.

**გვაზავა გიორგი**

1928. საქართველო და ეროვნულ—დემოკრატიული პარტია. წერილი მეორე. პარიზი. 16 გვ.

1929. საქართველო და ეროვნულ—დემოკრატიული პარტია. წერილი მესამე. პარიზი. 15 გვ.

**გვეტაძე ი.**

1998. გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩის) არქივი მუზეუმში. კრებულში — ქუთაისის მუზეუმის მასალები — IX—X. ქუთაისი. 106 გვ.

**გურული ვახტანგ**

1999. ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. თბ., 280 გვ.

**გურული ზვიად**

2000. „გურიის რესპუბლიკა“. ჟ. „ზა“, №3, მაისი. თბ.

**დაუშვილი რუსუდან**

2000. „პრინცი მაჩაბელი“ სუნამოების პრინცი. ჟ. „ომეგა“, №6, ივნისი. თბ.

2002. ღია წერილი „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორს. გაზ. „ჩვენი მწერლობა“, №18, 3—10 მაისი. თბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკალი
1915. სამი მცნება. გაზ. „საქართველო“, №8, 2 ივნისი. თბ.

ვადაჭკორია შოთა
1998. პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. თბ., 87 გვ.

ვასაძე აკაკი
1990. სტალინთან აგარაკზე (ავტორის თვალით). ჟ. „თეატრალური მომბე“, №5, თბ.

ვაჩნაძე დავით
1992 ა. სამშობლოს სამსახურში. ჟ. „ივერია“, №1, თბილისი—პარიზი.
1992 ბ. სამშობლოს სამსახურში. ჟ. „ივერია“, №2, თბილისი—პარიზი.

ვეშაპელი გრიგოლ
1928. ახალი საქართველო. თბ., 306 გვ.

ზალდასტანიშვილი სოლომონ
1989. საქართველოს 1924 წლის ამბოხება. პარიზი-თბილისი. 62 გვ.

ზაქარიაძე გიორგი
1990. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917—1921). გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №25, 22 ივნისი. თბ.

თაბორიძე დავით
1984. საუბარი სპირიდონ კედიაზე. წიგნში — კ. ინასარიძე. პატარა „ოქროს ხანა.“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918—1921. რადიოდოკუმენტაცია. მიუნხენი. 693 გვ.

თოიძე ლევან
1991. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 334 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგბილო (ივანიცკი) რაფიელ

1954. ერის გუშაგი (ალექსანდრე ასათიანის ხსოვნისათვის). ჟ. „ივერია“, №7, პარიზი.

ინგოროყვა პავლე

1918. მონგოლიების განდევნა ევროპიდან და წინა აზიიდან. გაზ. „საქართველო“, №190, 10 ოქტომბერი. თბ.

ინასარიძე კარლო

1984. პატარა „ოქროს ხანა.“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918—1921. რადიოდოკუმენტაცია. მიუნხენი. 693 გვ.

კ.ა. (აბაშიძე კიტა)

1906. შავი დღეები. გაზ. „ივერია“, №1, 5 მარტი. თბ.

კაიშაური ბესიკ

1996. თეთრი გიორგი. გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, №10, ოქტომბერი. თბ.

კაკაბაძე ლია

1991. რამდენიმე ფურცელი სპირიდონ კედიას ცხოვრებიდან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №39, 27 ოქტომებრი. თბ.

კანდელაკი კონსტანტინე

1960. ეროვნული მეურნეობა. წიგნი მეორე. პარიზი. 222 გვ.

კაჩუხიშვილი ვ.

1925. მწარე მოგონება (წერილი საფრანგეთიდან). გაზ. „კომუნისტი“, №273, 27 ნოემბერი. თბ.

კახელი დ. (ვაჩნაძე დავით)

1915. ხელი მოაწერეს. გაზ. „საქართველო“, №52, 24 ივლისი. თბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კედია სპირიდონ

1915 ა. ჩვენი სიტყვა. გაზ. „საქართველო“, №1, 24 მაისი. თბ.

1915 ბ. ჯერ საქართველო. გაზ. „საქართველო“, №37, 7 ივლისი. თბ.

1915 გ. მოვალეობა და შედეგი. გაზ. „საქართველო“, №72, 19 აგვისტო. თბ.

1915 დ. სად არის, სად?! გაზ. „საქართველო“, №98, 22 სექტემბერი. თბ.

1915 ე. სოციალისტური აზროვნების შედეგები. გაზ. „საქართველო“, №175, 23 დეკემბერი. თბ.

1916. ა. ღია წერილი ქართველ დეპუტატებს. „გაზ. „საქართველო“, №29, 7 თებერვალი. თბ.

1916 ბ. სამშობლოსათვის. გაზ. „საქართველო“, №277, 11 დეკემბერი. თბ.

1917. ეროვნული დემოკრატია. გაზ, „საქართველო“, №118, 4 ივნისი. თბ.

1918. გერმანია—საქართველოს მეგობრობისათვის. გაზ. „საქართველო“, №188, 8 ოქტომბერი. თბ.

1919. სიტყვა პარლამენტის სხდომაზე 1919 წ. 5 იანვრს. გაზ. „საქართველო“, №6, 8, 10, 12 ოქტომბერი. თბ.

1925 ა. კიდობნის ხალხი. ჟ. „სამშობლოსათვის“, №6, პარიზი.

1925. ბ. ფრონტის გარღვევა. ჟ. „სამშობლოსათვის, №6, პარიზი.

1933. თებერვალი 1921 წელი. გაზ. „ერის გუშაგი“, №3, პარიზი.

1988. ილია ჭავჭავაძე (ერთი თვალის გადავლებით). კრებულში — ილია ჭავჭავაძე. პარიზი. 112 გვ.

### კერესელიძე გიორგი

1951. სოლომონ მეორის ნეშტის შესახებ. ჟ. „ბედი ქართლისა“, №9, პარიზი.

### კვესელავა მიხეილ

1991. ასერგასის დღე. წგნ. II. 396 გვ.

### კვინიტაძე გიორგი

1954. ჩემი პასუხი. პარიზი. 37 გვ.

1999. მოგონებები. II. თბ., 285 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიჯვაძე ნოდარ
1993 ა. ნაციონალიზმი და ქართველი პროფესორები (წერილი მეორე). გაზ „დრონი“, №17, 20 მარტი. თბ.
1993 ბ. ნაციონალიზმი და ქართველი პროფესორები (წერილი მესამე). გაზ. „დრონი“, №18, 24 მარტი. თბ.
1993 გ. ნაციონალიზმი და ქართველი პროფესორები (წერილი მეოთხე). გაზ. „დრონი“, №19, 27 მარტი. თბ.

ჯირთაძე ნესტან
1990. დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. გაზ. „კომუნისტი“, №225, 30 სექტემბერი. თბ.
1998. კაენ, სად არის ძმა შენი?! თბ. 775 გვ.

ლასხიშვილი გიორგი
1992. მემუარები. თბ., 260 გვ.

ლაშაური მინდია (კუჭუხიძე მინდია)
1996. ილია. წიგნში — ილია ემიგრანტთა თვალით. I. თბ., 287 გვ.

ლენინი ვლადიმერ (ულიანოვი ვ.ი.)
1952. თხზულებები. ტ. 28. თბ., 565 გვ.
1972. თხზულებები. ტ. 45. თბ., 766 გვ.

ლომაშვილი ფარნა
1965. ქართული ემიგრაციის ისტორიიდან. თბ., 130 გვ.

ლორთქიფანიძე გრიგოლ
1995. ფიქრები საქართველოზე. თბ., 371 გვ.

მაკალათია სერგი
1941. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 384 გვ.

მარგიანი გრიგოლ
1968. სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში. თბ., 482 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლაკელიძე შალვა

1991 ა. მოგონებები. ჟ. „განთიადი“, №2 ქუთაისი.

1991 ბ. მოგონებები. ჟ. „განთიადი“, №3 ქუთაისი.

1991 გ. მოგონებები. ჟ. „განთიადი“, №4 ქუთაისი.

მაცაბერიძე მალხაზ

1996. 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ., 118 გვ.

მეუნარგია იონა

1937. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან (მოგონებები). თბ., 63 გვ.

ნადირაძე გიორგი

2000. სტალინი — ქართველი კაცი? თბ., 192 გვ.

ნაკაშიძე ნიკო

1951. მარშალი გუსტავ ფონ მანერჰაიმ. ჟ. „ბედი ქართლისა“, №9, პარიზი.

ნარკანი (კურდღელაშვილი ნიკო)

1909. აკაკი პარიზში. ჟ. „საქართველოს მოამბე“, №9, თბ.

ნიკოლაძე ნიკო

1984. მოგონებები. თბ., 238 გვ.

ნიკოლეიშვილი მ.

1991. გრიგოლ რობაქიძის წერილი გიორგი მაიაშვილისადმი. ჟ. „განთიადი“, №3, ქუთაისი.

ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო)

1957. სტატიები და სიტყვები. I. თბ, 646 გვ.

პატარიძე ელისე

1939. ეროვნულ ძალთა მთლიანობისათვის. ჟ. „საშობლო“, №7, პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟორდანია ნოე
1990. ჩემი წარსული. თბ., 134 გვ.

საითიძე გელა
1997. სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი). თბ., 109 გვ.

სალია კალისტრატე
1962. დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. ჟ. „ბედი ქართლისა", №39—40, პარიზი.

სახოკია თედო
1948. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ., 247 გვ.

სიგუა ალექსანდრე
1989. ქუთაისის ბულვარი. გაზ, „სახალხო განათლება", №52, 29 ნოემბერი. თბ.

სილაგაძე აპოლონ, გურული ვახტანგ
1998. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თბ., 168 გვ.

სიორიძე მალხაზ
1998. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ბათუმი. 119 გვ.

სტალინი იოსებ (ჯუღაშვილი ი.ბ.)
1955. თხზულებები. ტ. 4. თბ., 530 გვ.

ტაბიძე ნოდარ
1982. გალაკტიონი. თბ., 317 გვ.

ტულუუ ვ.
1967. მცირე მოგონება. ჟ. „კავკასიონი", №XII, პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტულუში მარკოზ
1965. გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და მოქმედება). ჟ. „კავკასიონი“, №X, პარიზი.

ტროცკი ლევ (ბრონშტეინი ლ.დ.)
1991. სტალინი. ჟ. „ცისკარი“, №1, თბ.

ტუხაშვილი ლოვარდ
1994. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. 1. თბ., 287 გვ.

ფირცხალავა სამსონ
1988. მოგონებათა ფურცლები. თბ. 132 გვ.

ქავთარაძე მიხეილ
1979. სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის. ჟ. „ივერია“, №221, პარიზი.
1986. აგვისტოს ავჯანყება. ჟ. „ივერია“, №30, პარიზი.
1990. მტერი მტერსა ვერას ავნებს... ჟ. „ივერია“, №34, პარიზი.
2001. იანიჩარები. თბ., 190 გვ.

ქავთარაძე სერგო
1966. დღეები პარიზში. ჟ. „მნათობი“, №4 აპრილი. თბ.

ქართელი
1918. ბრძოლა ბოლშევიკებთან. გაზ. „საქართველო“, №109, 5 იანვარი. თბ.

ქარუმიძე შალვა
1918. საღვთო რჯულის გაუქმება. თბ., 28 გვ.

ქისტაური შოთა
1995. ბედი და უბედობა პროფესორ ქოიავასი. თბ., 118 გვ.

ქიქოძე გერონტი
1985. წერილები, ესსები, ნარკვევები. თბ., 599. გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღლონტი თედო
1916. ნაპრალის წინ. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №558, 24 აპრილი. თბ.

ღოღობერიძე ლევან
1925. ქართული ემიგრაცია. გაზ. „კომუნისტი“, №275, №277, 29 ნოემბერი, 2 დეკემბერი. თბ.

შანშიაშვილი სანდრო
1977. თქვენც რომ გახსოვდეთ ახალგაზრდებო. თბ., 82 გვ.

შარაძე გურამ
1991. უცხოეთის ცის ქვეშ. 1. თბ., 605 გვ.
2001 ა. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I. თბ., 656 გვ.
2001 ბ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია ტ. II. თბ., 759 გვ.

შენგელი შალვა
1972. სკოლა აკაკის სახელობისა. თბ., 42 გვ.
შველიძე გივი
1999. მისთვის საქართველო იყო ყველაფერი. წიგნში — ასე იგონებენ შალვა ნუცუბიძეს. თბ., 426 გვ.

შველიძე დიმიტრი
1993. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბ., 312 გვ.

ჩიჯავაძე—კედია სოფიო
2002. ნასმენ—ნახული. თბ., 432 გვ.

ჩხეიძე კარლო
1921. საქართველოში („პასუხად შეინმანს). გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №14, 15 ივნისი. პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩხეიძე როსტომ

1992. დაწყევლილი თაობა. თბ., 174 გვ.,

ცაიშვილი სოლომონ

1962. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 238 გვ.

ციციშვილი გიორგი

1962. სანდრო შანშიაშვილი. თბ., 258 გვ.

ციციშვილი გოგი

1999. ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №232, 31 აგვისტო. თბ.

2001. რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი. თბ, 80 გვ.

2002. საკვირველებათა „სკივრის" ფურცლებიდან. გზ. „ჩვენი მწერლობა", №12—13, 22—29 მარტი, 29 მარტი — 5 აპრილი. თბ.

ცომაია ალექსანდრე

1934. საადრესატო საკითხი. ჟ. „ახალი ივერია", №3, პარიზი.

2000. რჩეული თხზულებანი. თბ., 383 გვ.

ცხოვრებაძე გიორგი

1996. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921—1925 წლებში. თბ., 137 გვ.

ძველი ქართველი

1916. პრესის ზნე. გაზ. „საქართველო", №152, 10 ივლისი. თბ.

1919. შინ და გარეთ. გაზ. „სალი კლდე", №48, 19 მაისი. თბ.

წერეთელი გიორგი

1971. ქართული ემიგრაცია და ადამიანები. პარიზი. 116 გვ.

წერეთელი ვასილ

1915. კარლო ჩხეიძის სიტყვა. გაზ. „იმერეთი", №23, 3 აგვიტო. ქუთაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერეთელი მიხეილ
1948. სპირიდონ კედიას ხსოვნას. ჟ. „ბედი ქართლისა“, №1, პარიზი.

ჭირაქაძე სევერიან
1949. სპირიდონ კედიას მოღვაწეობა. ჟ. „ივერია“, №1, პარიზი.

ხახანაშვილი იოსებ
1929. ჩვენი ბრძოლის უმთავრესი საფუძველი. ჟ. „სამშობლო“, №3—4, პარიზი.

ხუნდაძე გერასიმე
1999. ანგარიში რუსეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის მოღვაწეობის შესახებ 1918—1919 წლებში. თბ., 127 გვ.

ჯავახიშვილი ნიკო
1995. ქართული ფალერისტიკა. თბ., 96 გვ.

ჯანელიძე ალექსანდრე
1988. მოგონებები. თბ, 195 გვ.,

ჯანელიძე ოთარ
1990. 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ. თბ., 60 გვ.
1997 ა. „დახმარება რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით“ (1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია). ჟ. „მნათობი“, №11—12, თბ.
1997 ბ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთან. თბ., 38 გვ.
1998. ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები). თბ., 72 გვ.
2002. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 536 გვ.
2000. 1921—1922 წლების სვანეთის ანტისაბჭოთა აჯანყება. ალმანახი — „კავკასიის მაცნე“, №2, თბ., 278 გვ.

2001. საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. კრებულში — საისტორიო შტუდიები, II. თბ., 2002.

ჯაყელი გ.
1961. ნანახი დ ნააზრევი. გაზ. „ქართული აზრი", №43, ნიუ-იორკი.

## კრებულები

1920. პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე. თბ., 124 გვ.
1994. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენშევნები დაურთო ვ. რცხილაძემ. თბ., 592 გვ.

## ხელმოუწერელი პუბლიკაციები

„ამირანი" (გაზეთი), თბილისი.
1908. გურიის რესპუბლიკა, №181, 14 ოქტომბერი.

„ახალი კვალი" (გაზეთი), თბილისი.
1915. ქართული პრესა, №5, 1 ივნისი.
„ახალი საქართველო" (გაზეთი), პარიზი.
1925. ქართული პრესა, №17, 15 იანვარი.

„განთიადი" (ჟურნალი), თბილისი.
1915. ქართული პრესა, №17, ივნისი.

„დილის გაზეთი" (გაზეთი), თბილისი.
1999. ა. სარეველასაც ამოვძირკვავთ და საქართველოსაც გადავხნავთ (ყოფილი ჩეკისტის მ. შელიას მოგონება), №151, 6 ივლისი.
1999 ბ. გზა კრემლისაკენ (მ. შელიას მოგონება), №198, 1 სექტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ზვირთი“ (გაზეთი), თბილისი.
1915. „ზვირთი“ და „საქართველო“, №1, 13 ოქტომბერი.

„თანამედროვე აზრი“ (გაზეთი), თბილისი.
1915. ქართული პრესა, №69, 26 მაისი.

„ისარი“ (გაზეთი), თბილისი.
1908. საზოგადოების მიმართ. პარიზის ქართველობის წერილი,. №21, 26 იანვარი.

„კავკასიონი“ (ჟურნალი), პარიზი.
1964. გ. დეკანოზიშვილის დღიური, №IX.

„კლდე“ (ჟურნალი), თბილისი.
1913. კიდევ ერთი ახალი ბოროტმოქმედება, №38, ოქტომბერი.

„კომუნისტი“ (გაზეთი), თბილისი.
1927. ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრეთა ბანაკიდან, №144, 26 ივნისი.

„ლიტერატურული საქართველო“ (გაზეთი), თბილისი.
1990. 1924 წლის ოქტომბერი, №21, 25 მაისი.
1991. პოლიტიკური ემიგრანტი და ემისარი სიმონ გოგიბერიძე. ავტობიოგრაფია. ი. მეგრელიძის პუბლიკაცია. №43, 25 ოქტომბერი.

„სამშობლო“ (გაზეთი), ქუთაისი.
1915. ქართული პრესა, №382, 19 მაისი.

„სამშობლოსათვის“ (ჟურნალი), პარიზი.
1925. აჯანყების გასამართლება №3, ივლისი.

„საქართველო“ (გაზეთი), თბილისი.
1915 ა. ახალი ამბავი, №54, 24 ივლისი.
1915 ბ. გზა-ჯვარედინზე ვდგევართ, №162, 8 დეკემბერი.
1915 გ. თბილისი. 24 მაისი, №24 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1915 დ. საჭირო კაცები, №167, 13 დეკემბერი.
1916. დამარხული გამჭრიახობა, №194, 1 სექტემბერი.
1917 ა. ახალი ამბავი, №57, 12 მარტი.
1917 ბ. გაერთიანებისკენ, №54, 9 მარტი.
1917 გ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, №81, 15 აპრილი.
1917 დ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა, №130, 17 ივნისი.
1917 ე. ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია, №120, 6 ივნისი.
1917 ვ. პირველი დღე, №120, 6 ივნისი.
1917 ზ. ქართული ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის კრება, №50, 4 მარტი.
1918 ა. გერმანელები ნოე ჟორდანიასთან, №126, 30 ივნისი.
1918 ბ. ეროვნული საბჭო, №160, 9 აგვისტო.
1918 გ. პოლიტიკური შეუგნებლობა, №122, 21 ივნისი.
1918 დ. პრესა, №205, 29 ოქტომბერი.
1918 ე. ქართველი ტყვეების ჩამოსვლა გერმანიიდან, №167, 17 აგვისტო.
1918 ვ. ქრონიკა, №84, 1 მაისი.
1919 ა. დამფუძნებელი კრება, №56, 12 მარტი.
1919 ბ. მოწინავე, №60, 18 მარტი.
1919 გ. საქართველოს ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენცია, №120, 13 ივლისი.
1919 დ. სპ. კედიას სიტყვა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1919 წ. 5 იანვარს, №8, 10 იანვარი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ (გაზეთი), თბილისი.
1920. დამფუძნებელი კრება, №266, 23 ნოემბერი.

„სახალხო საქმე“ (გაზეთი), თბილისი.
1918 ა. ბანკეტი გერმანელთა და მის მოკავშირეთა პატივსაცემად, №267, 28 ივნისი.
1918 ბ. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო, №367, 26 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ახალი ფურცელი“ (გაზეთი), თბილისი.
1915. ქართული პრესა, №290, 26 მაისი.
1916. ქართული პრესა, №498, 9 თებერვალი.

„ПРАВДА” (გაზეთი), მოსკოვი.
1933. За что германские генералы хотели наградить меншевиков №330, 1 декабря.

ВОЛКОГОНОВ ДМИТРИЙ
1999. Троцкий. Политический портрет. кн. 2. М. 416 стр.

1907. Всеподданейшая записка по управлению Кавказским краем генадьютанта графа Воронцова-Дашкова. Тб., 47 стр.

ДОЙЧЕР И.
1991. Троцкий в изгнании. М. 588 стр.

ЛОРЕЙ Г.
1937. Операции Германо-турецких морских сил в 1914—1919 г.г. М. 498 стр.

МСТИСЛАВСКИЙ С.
1918. Бретские перегаворы. СПБ. 91 стр.
ПИПИЯ ГЕОРГИЙ
1978. Германский империализм в закавказье в 1910—1918 г.г. М. 323 стр.

ТРОЦКИЙ ЛЕВ (БРОНШТЕЙН Л.Д.)
1922. Между империализмом и революцией. Основные вопросы революции на частном примере Грузии. Тб., 119 стр.

BAKRADSE LASCHA
1998. Bericht ueber die Taetigkeit der Deutschen Delegation im Kaukasus 1918. „Kaukasische Zeitung“, №3, Tbilisi.

BIHLL WOLFDIETER
1975. Die Kaukasus—Politik der Mittelmächte, Teil I, Wien, Köln, Craz. 402 St.

ZETERBERG SEPPO
1978. Die Liga der Fredvölker Russlands 1916—1918. Heilsinki, 279 St.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლაკელიძე შალვა
1991 ა. მოგონებები. ჟ. „განთიადი“, №2 ქუთაისი.
1991 ბ. მოგონებები. ჟ. „განთიადი“, №3 ქუთაისი.
1991 გ. მოგონებები. ჟ. „განთიადი“, №4 ქუთაისი.

მაცაბერიძე მალხაზ
1996. 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ., 118 გვ.

მეუნარგია იონა
1937. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან (მოგონებები). თბ., 63 გვ.

ნადირაძე გიორგი
2000. სტალინი — ქართველი კაცი? თბ., 192 გვ.

ნაკაშიძე ნიკო
1951. მარშალი გუსტავ ფონ მანერჰაიმ. ჟ. „ბედი ქართლისა“, №9, პარიზი.

ნარკანი (კურდღელაშვილი ნიკო)
1909. აკაკი პარიზში. ჟ. „საქართველოს მოამბე“, №9, თბ.

ნიკოლაძე ნიკო
1984. მოგონებები. თბ., 238 გვ.

ნიკოლეიშვილი მ.
1991. გრიგოლ რობაქიძის წერილი გიორგი მაიაშვილისადმი. ჟ. „განთიადი“, №3, ქუთაისი.

ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო)
1957. სტატიები და სიტყვები. I. თბ, 646 გვ.

პატარიძე ელისე
1939. ეროვნულ ძალთა მთლიანობისათვის. ჟ. „სამშობლო“, №7, პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟორდანია ნოე
1990. ჩემი წარსული. თბ., 134 გვ.

საითიძე გელა
1997. სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი). თბ., 109 გვ.

სალია ჰალისტრატე
1962. დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. ჟ. „ბედი ქართლისა", №39—40, პარიზი.

სახოკია თედო
1948. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ., 247 გვ.

სიგუა ალექსანდრე
1989. ქუთაისის ბულვარი. გაზ, „სახალხო განათლება", №52, 29 ნოემბერი. თბ.

სილაგაძე აპოლონ, გურული ვახტანგ
1998. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თბ., 168 გვ.

სიორიძე მალხაზ
1998. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ბათუმი. 119 გვ.

სტალინი იოსებ (ჯუღაშვილი ი.ბ.)
1955. თხზულებები. ტ. 4. თბ., 530 გვ.

ტაბიძე ნოდარ
1982. გალაკტიონი. თბ., 317 გვ.

ტუღუშუ ვ.
1967. მცირე მოგონება. ჟ. „კავკასიონი", №XII, პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტულუში მარკოზ
1965. გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და მოქმედება). ჟ. „კავკასიონი“, №X, პარიზი.

ტროცკი ლევ (ბრონშტეინი ლ.დ.)
1991. სტალინი. ჟ. „ცისკარი“, №1, თბ.

ტუხაშვილი ლოვარდ
1994. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. 1. თბ., 287 გვ.

ფირცხალავა სამსონ
1988. მოგონებათა ფურცლები. თბ. 132 გვ.

ქავთარაძე მიხეილ
1979. სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის. ჟ. „ივერია“, №221, პარიზი.
1986. აგვისტოს აჯანყება. ჟ. „ივერია“, №30, პარიზი.
1990. მტერი მტერსა ვერას ავნებს... ჟ. „ივერია“, №34, პარიზი.
2001. იანიჩარები. თბ., 190 გვ.

ქავთარაძე სერგო
1966. დღეები პარიზში. ჟ. „მნათობი“, №4 აპრილი. თბ.

ქართელი
1918. ბრძოლა ბოლშევიკებთან. გაზ. „საქართველო“, №109, 5 იანვარი. თბ.

ქარუმიძე შალვა
1918. საღვთო რჯულის გაუქმება. თბ., 28 გვ.

ქისტაური შოთა
1995. ბედი და უბედობა პროფესორ ქოიავასი. თბ., 118 გვ.

ქიქოძე გერონტი
1985. წერილები, ესსები, ნარკვევები. თბ., 599. გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღლონტი თეიდო
1916. ნაპრალის წინ. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №558, 24 აპრილი. თბ.

ღოღობერიძე ლევან
1925. ქართული ემიგრაცია. გაზ. „კომუნისტი“, №275, №277, 29 ნოემბერი, 2 დეკემბერი. თბ.

შანშიაშვილი სანდრო
1977. თქვენც რომ გახსოვდეთ ახალგაზრდებო. თბ., 82 გვ.

შარაძე გურამ
1991. უცხოეთის ცის ქვეშ. 1. თბ., 605 გვ.
2001 ა. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I. თბ., 656 გვ.
2001 ბ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია ტ. II. თბ., 759 გვ.

შენგელი შალვა
1972. სკოლა აკაკის სახელობისა. თბ., 42 გვ.
შველიძე გივი
1999. მისთვის საქართველო იყო ყველაფერი. წიგნში — ასე იგონებენ შალვა ნუცუბიძეს. თბ., 426 გვ.

შველიძე დიმიტრი
1993. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბ., 312 გვ.

ჩიჯავაძე—კედია სოფიო
2002. ნასმენ—ნახული. თბ., 432 გვ.

ჩხეიძე კარლო
1921. საქართველოში („პასუხად შეინმანს). გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №14, 15 ივნისი. პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩხეიძე როსტომ

1992. დაწყევლილი თაობა. თბ., 174 გვ.,

ცაიშვილი სოლომონ

1962. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 238 გვ.

ციციშვილი გიორგი

1962. სანდრო შანშიაშვილი. თბ., 258 გვ.

ციციშვილი გოგი

1999. ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №232, 31 აგვისტო. თბ.

2001. რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი. თბ, 80 გვ.

2002. საკვირველებათა „სკივრის" ფურცლებიდან. გზ. „ჩვენი მწერლობა", №12—13, 22—29 მარტი, 29 მარტი — 5 აპრილი. თბ.

ცომაია ალექსანდრე

1934. საადრესატო საკითხი. ჟ. „ახალი ივერია", №3, პარიზი.

2000. რჩეული თხზულებანი. თბ., 383 გვ.

ცხოვრებაძე გიორგი

1996. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921—1925 წლებში. თბ., 137 გვ.

ძველი ქართველი

1916. პრესის ზნე. გაზ. „საქართველო", №152, 10 ივლისი. თბ.

1919. შინ და გარეთ. გაზ. „სალი კლდე", №48, 19 მაისი. თბ.

წერეთელი გიორგი

1971. ქართული ემიგრაცია და ადამიანები. პარიზი. 116 გვ.

წერეთელი ვასილ

1915. კარლო ჩხეიძის სიტყვა. გაზ. „იმერეთი", №23, 3 აგვიტო. ქუთაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერეთელი მიხეილ
1948. სპირიდონ კედიას ხსოვნას. ჟ. „ბედი ქართლისა“, №1, პარიზი.

ჭირაჭაძე სევერიან
1949. სპირიდონ კედიას მოღვაწეობა. ჟ. „ივერია“, №1, პარიზი.

ხახანაშვილი იოსებ
1929. ჩვენი ბრძოლის უმთავრესი საფუძველი. ჟ. „სამშობლო“, №3—4, პარიზი.

ხუნდაძე გერასიმე
1999. ანგარიში რუსეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის მოღვაწეობის შესახებ 1918—1919 წლებში. თბ., 127 გვ.

ჯავახიშვილი ნიკო
1995. ქართული ფალერისტიკა. თბ., 96 გვ.

ჯანელიძე ალექსანდრე
1988. მოგონებები. თბ, 195 გვ.,

ჯანელიძე ოთარ
1990. 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ. თბ., 60 გვ.
1997 ა. „დახმარება რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით“ (1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია). ჟ. „მნათობი“, №11—12, თბ.
1997 ბ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთან. თბ., 38 გვ.
1998. ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები). თბ., 72 გვ.
2002. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 536 გვ.
2000. 1921—1922 წლების სვანეთის ანტისაბჭოთა აჯანყება. ალმანახი — „კავკასიის მაცნე“, №2, თბ., 278 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2001. საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. კრებულში — საისტორიო შტუდიები, II. თბ., 2002.

ჯაყელი გ.

1961. ნანახი დ ნააზრევი. გაზ. „ქართული აზრი", №43, ნიუ-იორკი.

## კრებულები

1920. პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე. თბ., 124 გვ.

1994. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენშევნები დაურთო ვ. რცხილაძემ. თბ., 592 გვ.

## ხელმოუწერელი პუბლიკაციები

„ამირანი" (გაზეთი), თბილისი.

1908. გურიის რესპუბლიკა, №181, 14 ოქტომბერი.

„ახალი კვალი" (გაზეთი), თბილისი.

1915. ქართული პრესა, №5, 1 ივნისი.

„ახალი საქართველო" (გაზეთი), პარიზი.

1925. ქართული პრესა, №17, 15 იანვარი.

„განთიადი" (ჟურნალი), თბილისი.

1915. ქართული პრესა, №17, ივნისი.

„დილის გაზეთი" (გაზეთი), თბილისი.

1999. ა. სარეველასაც ამოვძირკვავთ და საქართველოსაც გადავხნავთ (ყოფილი ჩეკისტის მ. შელიას მოგონება), №151, 6 ივლისი.

1999 ბ. გზა კრემლისაკენ (მ. შელიას მოგონება), №198, 1 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზვირთი“ (გაზეთი), თბილისი.
1915. „ზვირთი“ და „საქართველო“, №1, 13 ოქტომბერი.

„თანამედროვე აზრი“ (გაზეთი), თბილისი.
1915. ქართული პრესა, №69, 26 მაისი.

„ისარი“ (გაზეთი), თბილისი.
1908. საზოგადოების მიმართ. პარიზის ქართველობის წერილი,. №21, 26 იანვარი.

„კავკასიონი“ (ჟურნალი), პარიზი.
1964. გ. დეკანოზიშვილის დღიური, №IX.

„კლდე“ (ჟურნალი), თბილისი.
1913. კიდევ ერთი ახალი ბოროტმოქმედება, №38, ოქტომბერი.

„კომუნისტი“ (გაზეთი), თბილისი.
1927. ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრეთა ბანაკიდან, №144, 26 ივნისი.

„ლიტერატურული საქართველო“ (გაზეთი), თბილისი.
1990. 1924 წლის ოქტომბერი, №21, 25 მაისი.
1991. პოლიტიკური ემიგრანტი და ემისარი სიმონ გოგიბერიძე. ავტობიოგრაფია. ი. მეგრელიძის პუბლიკაცია. №43, 25 ოქტომბერი.

„სამშობლო“ (გაზეთი), ქუთაისი.
1915. ქართული პრესა, №382, 19 მაისი.

„სამშობლოსათვის“ (ჟურნალი), პარიზი.
1925. აჯანყების გასამართლება №3, ივლისი.

„საქართველო“ (გაზეთი), თბილისი.
1915 ა. ახალი ამბავი, №54, 24 ივლისი.
1915 ბ. გზა-ჯვარედინზე ვდგევართ, №162, 8 დეკემბერი.
1915 გ. თბილისი. 24 მაისი, №24 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1915 დ. საჭირო კაცები, №167, 13 დეკემბერი.
1916. დამარხული გამჭრიახობა, №194, 1 სექტემბერი.
1917 ა. ახალი ამბავი, №57, 12 მარტი.
1917 ბ. გაერთიანებისკენ, №54, 9 მარტი.
1917 გ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, №81, 15 აპრილი.
1917 დ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა, №130, 17 ივნისი.
1917 ე. ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია, №120, 6 ივნისი.
1917 ვ. პირველი დღე, №120, 6 ივნისი.
1917 ზ. ქართული ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის კრება, №50, 4 მარტი.
1918 ა. გერმანელები ნოე ჟორდანიასთან, №126, 30 ივნისი.
1918 ბ. ეროვნული საბჭო, №160, 9 აგვისტო.
1918 გ. პოლიტიკური შეუგნებლობა, №122, 21 ივნისი.
1918 დ. პრესა, №205, 29 ოქტომბერი.
1918 ე. ქართველი ტყვეების ჩამოსვლა გერმანიიდან, №167, 17 აგვისტო.
1918 ვ. ქრონიკა, №84, 1 მაისი.
1919 ა. დამფუძნებელი კრება, №56, 12 მარტი.
1919 ბ. მოწინავე, №60, 18 მარტი.
1919 გ. საქართველოს ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენცია, №120, 13 ივლისი.
1919 დ. სპ. კედიას სიტყვა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1919 წ. 5 იანვარს, №8, 10 იანვარი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ (გაზეთი), თბილისი.
1920. დამფუძნებელი კრება, №266, 23 ნოემბერი.

„სახალხო საქმე“ (გაზეთი), თბილისი.
1918 ა. ბანკეტი გერმანელთა და მის მოკავშირეთა პატივსაცემად, №267, 28 ივნისი.
1918 ბ. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო, №367, 26 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალი ფურცელი“ (გაზეთი), თბილისი.
1915. ქართული პრესა, №290, 26 მაისი.
1916. ქართული პრესა, №498, 9 თებერვალი.

„ПРАВДА” (გაზეთი), მოსკოვი.
1933. За что германские генералы хотели наградить меншевиков №330, 1 декабря.

ВОЛКОГОНОВ ДМИТРИЙ
1999. Троцкий. Политический портрет. кн. 2. М. 416 стр.

1907. Всеподданейшая записка по управлению Кавказским краем генадьютанта графа Воронцова-Дашкова. Тб., 47 стр.

ДОЙЧЕР И.
1991. Троцкий в изгнании. М. 588 стр.

ЛОРЕЙ Г.
1937. Операции Германо-турецких морских сил в 1914—1919 г.г. М. 498 стр.

МСТИСЛАВСКИЙ С.
1918. Бретские перегаворы. СПБ. 91 стр.
ПИПИЯ ГЕОРГИЙ
1978. Германский империализм в закавказье в 1910—1918 г.г. М. 323 стр.

ТРОЦКИЙ ЛЕВ (БРОНШТЕЙН Л.Д.)
1922. Между империализмом и революцией. Основные вопросы революции на частном примере Грузии. Тб., 119 стр.

BAKRADSE LASCHA
1998. Bericht ueber die Taetigkeit der Deutschen Delegation im Kaukasus 1918. „Kaukasische Zeitung“, №3, Tbilisi.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

BIHLL WOLFDIETER
1975. Die Kaukasus—Politik der Mittelmächte, Teil I, Wien, Köln, Craz. 402 St.

ZETERBERG SEPPO
1978. Die Liga der Fredvölker Russlands 1916—1918. Heilsinki, 279 St.

**Othar Djanélidzé**

# Spiridon Kédia
## (Portrait politique)
## Résumé

Dans les années 60 du XIXe siècle, basée sur les idées de l'écrivain célèbre Ilia Tchavtchavadzé et des personnalités publiques qui partageaient ses idées, s'est formée l'idéologie géorgienne. Plus tard, fondée sur cette idéologie, le parti national—démocrate de la Géorgie verra le jour. Sipidon Kédia, héritier digne des écrivains dits " Tergdaléoulis ", en sera un des fondateurs et leaders.

Spiridon Kédia est né le 20 septembre 1884, dans une famille noble appauvrie. Orphelin de père dès son jeune enfance, il a pris le goût des sciences grâce à sa mère. En 1898, après avoir fait six années d'études à l'école de ville de Zougdidi, Spirodon Kédia a poursuivi ses études au gymnase classique de Koutaïssi.

La vie à Koutaïssi, l'ambiance spirituelle qui régnait dans la ville ont beaucoup influencé la formation de sa personnalité, sa vision du monde et l'ont préparé aux activités politiques. A cette époque, le jeune Kédia vivait chez son pédagogue Joseph Otskhéli, dont il jouissait des soins paternels et qui a joué un rôle important dans sa formation.

Les événements troubles et compliqués qui avaient lieu, en ce moment, dans l'empire Russe, ont beaucoup marqué les années d'études de Siridon Kédia. La guerre russo—japonaise, ainsi que le mouvement révolutionnaire de 1905 ont provoqué des manifestations étudiantes. Spiridon, un des leaders du mouvement révolutionnaire dans la région de Koutaïssi, fut exclu du gymnase et expulsé de la ville. Retourné dans sa région natale — la Mingrélie — , le jeune émeutier s'engagera dans le mouvement révolutionnaire des paysans tout en

participant à des réunions secrètes, à des meetings ou manifestations.

A cette époque, deux forces politiques opposées — le parti social—démocrate et le parti social—fédéral — étaient particulièrement importants. Le parti social—fédéral luttait pour l'autonomie territoriale de la Géorgie. La fidélité à l'idée de l'autonomie a rapproché Spiridon Kédia des fédéraux si bien qu'il a adhéré au parti, mais il l'a bientôt quitté.

L'activité révolutionnaire de Spiridon Kédia n'est pas restée inaperçue pour le régime du Tsar. La gendarmerie lui a intenté un procès. Arrêté, il serait exilé. Alors il s'est réfugié d'abord en Svanéthie, puis en Tcherkessie. Et en automne de 1906, il est parti clandestinement à l'étranger, en France.

Arrivé à Paris, Spiridon Kédia s'est inscrit d'abord au Collège de France. En 1907, il est devenu étudiant à la faculté des sciences naturelles de la Sorbonne pour étudier la botanique, la zoologie et la géologie. Le futur homme politique bénéficiait d'une bourse d'études de 25 roubles allouée par le Conseil des industriels du manganèse de Tchiatoura. Mais cette somme n'était pas suffisante et il vivait dans la misère. Malgré cela, Spiridon Kédia travaillait ferme, lisait beaucoup, s'intéressait à la vie sociale et culturelle de l'Europe. Plus tard, la maladie l'a obligé à s'installer dans le midi de la France pour y continuer ses études, d'abord à l'Université de Toulouse, ensuite à celle de Montpellier. Après trois certificats obtenus à l'Université de Montpellier, il a eu le diplôme " licence ès sciences ", mais il ne s'est pas arrêté là et s'est mis à préparer, au laboratoire de Dastre, le doctorat en physiologie.

Le triste sort de sa patrie préoccupait fort le jeune Géorgien même en France. Il essayait donc de lui être utile. C'est ainsi qu'en 1907, il prend l'initiative de fonder, à Paris, la société des étudiants géorgiens qui, l'année d'après sera transformée en diaspora géorgienne. Il s'est fixé pour objectif la traduction en géorgien et la publication de la littérature

ეროვნული
ბიბლიოთეკა

scientifique, des écrivains les plus célèbres et d'autres livres devenus populaires.

Les étudiants, tout en travaillant sur des dissertations et exposés, essayaient de faire connaître aux Français la culture géorgienne, favorisant le rapprochement entre la Géorgie et les pays européens.

Spiridon Kédia entretenait, par correspondance, des rapports avec des personnalités illustres géorgiennes, tels Jakob Goguébachvili, Artchil Djordjadzé, Georges Gaïachvili, etc.

La réalité politique de l'Europe a montré au futur homme politique que le socialisme n'était pas le choix qui pouvait sauver son pays se trouvant sous le joug de l'empire Russe. Il a finalement renoncé au socialisme et au fédéralisme auxquels il a préféré la voie d'Ilia Tchavtchavadzé. C'est cette voie qui devait mener la Géorgie à la liberté et à l'indépendance politique.

La guerre mondiale approchant, Spiridon Kédia espérait des changements à l'échelle mondiale, ce qui l'a décidé de revenir en Géorgie. En 1914, ayant obtenu des faux papiers, il a quitté la France, mais à la frontière russe, il a été arrêté et mis en prison de Kronshtadt pour l'accusation faite en 1905 : " la tentative de la fondation d'un régime républicain à Zougdidi ". Après deux ans de prison, il sera libéré à l'aide des intellectuels géorgiens et ses compatriotes influents vivant à Petrograd.

Une fois rentré dans son pays, Spiridon Kédia commence à réunir des forces politiques à l'idéologie nationale. Au début, il s'adresse aux dirigeants du parti fédéral. Mais il s'est avéré impossible de s'entendre avec eux. Alors il décide de former des forces à l'idéologie tout à fait éloignée du socialisme. Il se met en contact avec le groupe de la revue " Kldé " (le " Roc ") à tendance nationale—démocratique, ainsi qu'avec les chefs de la colonie géorgienne de Bakou et, après avoir collecté des ressources différentes, il fonde, en 1915, le journal quotidien politique et littéraire intitulé " Sakarthvélo "

(“ la Géorgie ”). Le premier numéro a vu le jour le 24 mai 1915. Le journal a joué un rôle important dans l’unification des groupes nationaux et démocratiques en une seule organisation politique (Spiridon Kédia fut le rédacteur du journal de 1919 à 1921).

Au début de mars 1917, fut créé le comité central d’organisation des nationaux — démocrates. Il a élaboré et publié les documents fondamentaux du futur parti — le programme et les statuts. Le parti national—démocrate de la Géorgie fut fondé au congrès qui s’est déroulé à Tbilissi, du 4 au 10 juin 1917.

Le partie national—démocrate était une union politique de droite à tendance nationaliste hors classes au sein de laquelle s’étaient rassemblés les représentants de toutes les classes sociales, mais les intellectuels y étaient sensiblement nombreux.

Bientôt, le nouveau parti et son leader ont eu une influence bénéfique sur la population. Le parti luttait pour la liberté politique du pays, tout en étant étroitement lié avec le comité national de l’indépendance de la Géorgie qui avait été fondé à l’étranger pendant la Première guerre mondiale et qui fonctionnait sous l’instigation de l’Allemagne.

En décembre 1917, Spiridon Kédia fut envoyé avec une mission particulière. Il a dû traverser la ligne du front à Stokholm et rencontrer en cachette G. Matchabéli, un des membres du Comité national de l’Indépendance de la Géorgie. Spiridon Kédia avait pour but d’apporter à Tbilissi la confirmation écrite de la reconnaissance de l’indépendance de la Géorgie par les grandes puissances en cas de sa proclamation.

Retourné en Géorgie, Spiridon Kédia, au sein de la délégation de Transcaucasie, participe, en mais 1918, à Batoumi, à la conférence de paix avec les Ottomans. Plus tard, muni de mandat du Conseil national de la Géorgie, il quitte

Batoumi pour l'Europe et arrive à Berlin en qualité de représentant plénipotentiaire de la nation géorgienne pour mener des pourparlers avec les gouvernements des Etats de l'union des Trois.

Après la restauration de l'indépendance de la Géorgie, en mai 1918, la délégation gouvernementale de la Géorgie s'est rendue en visite en Allemagne. Spiridon Kédia a rejoint les diplomates géorgiens pour devenir secrétaire de la délégation.

Spiridon Kédia a été élu député du Conseil national et, plus tard, de l'Assemblée constitutive de la Géorgie. Dans l'organe législatif suprême, le parti national — démocrate représentait une des forces distinctement opposées. Malgré cela, Spiridon Kédia ainsi que les autres membres du parti avaient une grande responsabilité, leur activité parlementaire étant imprégnée d'intérêts nationaux et étatiques.

Spiridon Kédia critiquait la politique socialiste du gouvernement, surtout sa politique extérieure. Il exigeait de lui plus d'efforts pour le renforcement de l'autodéfense, pour la lutte sans compromis contre ceux qui s'opposaient à l'indépendance de la Géorgie, etc. Spiridon Kédia était un homme politique réaliste et possédait un don extraordinaire d'orateur. Ses discours étaient attentivement écoutés et appréciés. Sipiridon Kédia était considéré comme un leader politique remarquable. Certains voyaient en lui futur président de la Géorgie.

En février 1921, après l'agression de la Russie bolchevique, la République démocratique de la Géorgie fut renversée. Le gouvernement socialiste—démocratique a émigré. Spiridon Kédia est resté dans sa patrie occupée et s'est mis à lutter sans compromis contre l'occupant. Il fut un des leaders de la nation géorgienne lutant contre le régime des Soviets.

En février 1922, Spiridon Kédia fut arrêté par le gouvernement communiste. Il a passé presque un an en prison. Une fois libéré, il fut expulsé à l'étranger.

Depuis 1923, dans la biographie de Spiridon Kédia commence une période de vie à l'émigration. Il s'est établi en France et s'est allié à l'émigration politique géorgienne. Il prenait part à des activités antisoviétiques, mais ne partageait pas l'idée d'une insurrection armée.

Spiridon Kédia s'est fixé l'objectif d'unifier l'émigration géorgienne politiquement divisée et de fonder une organisation nationale sans partis politiques. Dans ce but, en 1925, il a fondé, à Paris, un journal en langue géorgienne " Samchoblostvis " (" Pour la Patrie "). A cette idée se sont opposés non seulement le gouvernement émigré et son milieu, mais même certains membres du parti de Spiridon Kédia. Pendant l'émigration, le parti national — démocrate s'est fractionné en plusieurs partis.

De 1932 à 1936, soutenu par ses partisans, Spiridon Kédia faisait paraître un journal en langue géorgienne " Eris gouchagui " (" Sentinelle de la nation "), où il défendait l'idée de la liberté de sa patrie.

Le pouvoir des Soviets essayait par tous les moyens de calomnier et de discréditer l'émigration géorgienne. D'après les plans des services spéciaux du Kremlin, Lev Trostky, un des chefs des communistes, expulsé de l'Union Soviétique et résidant en France, devait être tué par un émigré géorgien, membre du parti national — démocrate. Spiridon Kédia a deviné le dessein malhonnête et, bien que Trotsky fut, avec Lénine et Staline, initiateur de l'annexion de la Géorgie, ne leur pas permis d'assassiner le révolutionnaire persécuté.

Pendant la Deuxième guerre mondiale, l'émigration politique géorgienne a voulu délivrer la Géorgie de la dictature bolchevique à l'aide du Troisième Reich. Au début, Spiridon Kédia participait à la réalisation de ce projet. Il a essayé de

profiter de ses relations dans des milieux militaires et politiques de l'Allemagne, est arrivé à Berlin, a adressé une lettre à Hitler où il lui demandait de libérer la Géorgie. Un certain moment, il a même fait partie du " comité politique géorgien ", fondé par les Allemands. Mais lorsque les vrais desseins des nazis, par rapport à la Géorgie entre autres, se sont révélés, déçu, il est retourné à Paris.

Des émissaires soviétiques ont plusieurs fois proposé à Spiridon Kédia de retourner en Géorgie, mais à chaque fois ils recevaient un refus catégorique, en disant : " Il n'y a pas de liberté en Géorgie, il m'est impossible d'y vivre ".

En mai 1948, Spiridon Kédia est mort à Paris. Il est enterré au cimetière géorgien de Leville.

L'ouvrage représente une analyse monographique de la vie des activités de Spiridon Kédia. Le livre comporte en annexe des citations de Spiridon Kédia, ainsi que quelques ouvrages de son héritage de publiciste et d'orateur.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**Othar Djanélidzé**

# Spiridon Kédia
## (Portrait politique)

"Mematiane"
Tbilisi 2002

საბეჭდი ქაღალდი ოფსეტი №1 60x84 1/16
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,5
ტირაჟი 500
აიწყო და დაიბეჭდა გამომცემლობა
„ენა და კულტურა"-ს სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლეთარ ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2000). 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორად. კითხულობს ლექციებს საქართველოს ისტორიასა და საფრანგეთის ქვეყანათმცოდნეობაში.

იკვლევს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებს, ქართული კულტურის, ჟურნალისტიკის, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს. არის რამდენიმე ენციკლოპედიის რედკოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი და ათეულობით საგაზეთო პუბლიკაცია.

ავტორია წიგნებისა:

„26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ“ (1990);

„ივანე ჯავახიშვილი“ (1996);

„ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები)“ (1998);

„საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთან“ (1999);

„დახვრეტილი თავისუფლება“ (2000);

„ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან“ (2002).